

ISSN 0182-590 X
საქართველო
ზეზლიროვის

ვეთიკი



5

1988



ენათმეცნიერება

ქართული
ენათმეცნიერება

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კოლექტიური შუბნული

ფაილიანი 64-0

№ 5

მაისი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

| | |
|--|----|
| რევაზ ინანიშვილი — ახალი წიგნიდან | 3 |
| ლადო სულაბერიძე — ლექსები. პოემა, დრამატული | 14 |
| ნინო ქუთათელაძე — ლექსები | 22 |
| გივი სულაბერიძე — მთარგმნელი სემულები. ლექსი | 25 |
| რევაზ მთვალაძე — ნოველები | 28 |
| თაბაკ ბაბრუშვილი — ლექსები | 65 |
| ირაკლი ტიგრაშვილი — ლექსები | 67 |
| ნაწული გოსვაძე — ზა იანნა ბერი, რომანი | 69 |

ნარკვევები

| | |
|-------------------------------------|-----|
| გიორგი ნარბეიძე — იმედის მუცხვანები | 115 |
|-------------------------------------|-----|

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

| | |
|---|-----|
| ჯეორჯ ქიტიანი — ალმანახ „ბანთიადის“ 1987 წლის პროზა | 129 |
| ლია პარპაძე — სტამბატიანის თოვლი. იტოვებულება | 136 |

მეცნიერება

| | |
|--------------------------------------|-----|
| მარინა ჩხარტიშვილი — „წიგნი პირველი“ | 147 |
|--------------------------------------|-----|

მოგონებები, უაქტები

| | |
|--|-----|
| მინასო წაბთელი — ბრატისკი მთელლისადმი | 151 |
| ზაღვა ბიგაშვილი — საბჭოთა არმიის ოფიცერის ჩანაწერი. გაგრძელება | 159 |

წიგნების მიმოხილვა

| | |
|---|-----|
| დმიტრი ქვეციანი — ქველი დავით ალგაშვიტაძისა | 170 |
| ზურაბ კიანაძე — წიგნი თუშეთზე | 174 |

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიშვილი, ბ. დოჩენაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეონიძე, ე. მაღრაძე, ლ. მგელაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. შილაძე, ბ. ხარბაშვილი (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ახალი ფიგნიდან

ოქის ნამდვილი სუნი

ორმოცდასამის მძიმედ ჩამოღუშული მარტის ერთ დილას გერმანელი ტყვეებით სავსე მატარებელი ჩამოაყენეს ჩვენს მახლობლად, არსენალის გორაზე. დაგმანულ, გადაქუცულ „ტეპლუშკებს“ ორთქლის ბლუჯები გასაღივდათ აქეთ-იქიდან, შუა კარის ძირას თუნუქის მოკლე ღარები ჰქონდათ დატანებული, ღარები განავლით იყო გათხიზნილი. ყვითლად წვეთავდა და ირგვლივ საზარელი სუნი იდგა...

მარტის ამ ჩამოღუშულ დღეებში ჩვენი ნათესაობა დასტიროდა ფრონტზე დაღუპულ ყველაზე უფროსს ჩემს ბიძაშვილებს შორის, ქალაქელ ბიჭს, რომლის დასახასიათებლად დღემდე გვაქვს შემორჩენილი ასეთი თქმა: ომამდე, სპარტაკ ბალაშვილი რომ გამოვიდოდა საღამოობით, მარჯვენა მხარეს ცეზარს მოიყოლებდა, თავისზე სამი წლით უმცროსსო. მეც მახსოვს ისინი ერთად — თეთრპერანგიალები, შავი-სერდაღებულები, ჭიუჭიჭიანები და სახეგანათებულნი.

ორმოცდაორის ოქტომბერში რალაც უცნაურად გაშავებული და გაფითრებული ლეიტენანტი ცეზარი, ორ ყავარჩენზე დაყრდნობილი, თითქმის თვენახევრით ჩამოვიდა შინ. კონტუზირებულიც ხომ არ არისო — არავისთან არაფერს ამბობდა ომის სიძნელებებზე,

ილიმებოდა სულ ოდნავ და გვერდზე, ხანდახან თუ გამოაჩენდა ბაგის ბოლოზე ოქროს კბილს. გვეფერებოდა, გვკოცნიდა უმცროს ბიძაშვილებს, გვჩუქნიდა წითელ ტყციანა სამთუშნიანებს.

მხოლოდ ერთხელ ვნახე გულიახად გაცინებული — შეიდ ნოემბერს, ქვემოთ, პლუხანოვზე. ისა და მისი მეგობარი, ისიც ლეიტენანტი, ისიც ორ ყავარჩენზე დაყრდნობილი, ერთმანეთს მიჰყუდებოდნენ და ისე იციხოდნენ. ეცინებოდათ ყალბ მხარბეჭიან კოსტუმებში გამოწყობილ ნაპატივებ ძიებზე, რომლებიც თოჯინური სიბეჯითით გადადიოდნენ ქუჩაზე. „ჯერ ნამდვილი მხარბეჭისა... და მერე“... იძახდა ცეზარი. „გუშინ შეკითხება ერთი მანდილოსანი, — თქვა მისმა მეგობარმა. — რატომ ხართ ყველანი ზელში და ფეხში დაჭრილებით?!“ „კრეტინკა!“ იციხოდა ცეზარი.

ადრე ხშირად გამბრაზებული დედასა, ცეზარი ახლა სულ თავდაბრილი იდგა მის წინაშე. აი, ვხედავ ფალახგასავით შემზარავ მისი ხელის შავ მტევანსაც დედის შევერცხილ საფეთქელთან გატყრენილს...

ორჯერ ვნახე გამწყვარაღც. ერთხელ, პატრულს რომ უყვირა:

«Я тебе покажу «какой я несчастный!»

ვინაა კ. მანასა, ს. ს. რეს.

მეორედ, ღვინოს რომ სვამდნენ, ჭიკა ქახანით დადგა მაგიდაზე, შუბლზე მიიჭრა მკელი და კბილების კრაქუნით თქვა, — „მმაკაცოს ტინი“...

შეებულების ბოლომდე არ დარჩენილა შინ. რაღაცნაირად გუნებაარეული, ხუთი დღით ადრე ბრუნდებოდა ნაწილში. ცოტა ხნით მოდგა ვაგონის კართან. პატარებელი დაიძრა. ცეზარმა ოდნავ აიწია მაღლა, ჯერ თითქოს უფრო გაუმკაცრდა სახე, მერე გაეღიმა, გაუბრწყინდა ოქროს კბილიც ბაგის ბოლოზე... და მე დავინახე: ერთი მაღალი, ბეწვის თეთრსაყელოიანი, თეთრბერეტისანი ქალი აშკარად მოეფარა სადგურის რკინის ბოძს, მერე შუბლიც მიაჭირა ამ რკინის ბოძს.

ორმოცდასამის მარტის დასაწყისის მოღუშულ დღეს გერმანელი სნაიპერის ტყვიამ მუზარადი შეუნგრია უფროს ლეიტენანტ ცეზარს. მისმა შემზარავამდე ძლიერმა ხელებმა დურბინდის შეაკვებაც კი ველარ შესძლეს. — Командир! Командир! — ამოდ აჰანჯყარებდნენ გულაღმა გადავარდნილს. უფროსი ლეიტენანტი ცეზარი დიდებულად იწვია, მარცხენა წარბთან სისხლჩამომდინარი, თითქოს სიხარულითაც კი უბრწყინავდა ოქროს კბილი ბაგის ბოლოზე...

ორმოცდასამის ჩამოღუშული მარტის შუა რიცხვებში, ერთ შებინდებულზე, ჩვენი კარი შემოაღო იმ მაღალმა ქალმა, მე რომ დავინახე სადგურში ცეზარის გაცილებისას. თითქოს შეაკრთო ჩვენი ოთახის სიპატარავემ, სიბნელემ. კართანვე შეჩერდა და ზურგით მიეყუდა მიხტრულს. ჩვენ ორნი ვიყავით შინ, მე და ჩემი და, მასთან შედარებით პატარები, — დედა სამუშაოდან დაბრუნდებოდა ათის მერე, — გვენთო მთლად პატარა ლამაზი, შუშის მაკვირად მრგვალად მოხვეული რვეულის ფურცელი გვედგა ზედ, გვენთო ნეთქურაც, იქიდანაც ამოდებოდა შუქი, მაგრამ ახალშემოსულისთვის, სანამ თვალს შეაჩვევდა, მინც საკმაოდ ბნელი იყო. შემოვიდა თუ არა, მე ის მაშინვე ვიცანია ისევ ის პალტო ეცვა,

გრძელი, საყელოზე თეთრბერეტზე-ლებული, ბერეტაც თეთრბერეტზე წამოწეული. მერე, წლების შემდეგ, მივხვდი, რომ მაშინ ის ძალიან ჰგავდა ფრანგ მსახიობ ქალს მიშელ მორგანს. ჩემი დაც შემოფოთებული იდგა. უთუოდ მასაც აღელვებდა ჩვენი პაწაწინა ოთახისათვის უჩვეულოდ ელევანტური სტუმარი, თან შემოყოლოლი მასი აშკარა ქალური კეთილსურნელება, ვერც ერთი ვერ ვიღებდით ხმას. მაშინ ქალმა თქვა, — „მე ელისო ვარ!“ მოვიდა ჩვენთან, ერთად მოგვევია გრძელი ხელები, მოგვეფერა სახეზე საფეთქლოთ, და იქვე, ჩვენს სახეებთან აუვარდა ჭკვითინო. ქვითინებდა ჯერ ასე, ჩვენთან ჩამოხრილი, მერე სკამზე მჯდარი, ნაწყვეტნაწყვეტ ამბობდა სიტყვებს: „რა დაგვემართა, პატარებო! როგორღა მოვიქცე მე. დღეს თქვენთან ვტირი, მერე სადღა ვტირო, კისთან ვტირო, ყველაზე დიდი სატირალი ხომ მე მაქვს, მე, მე“...

ჩვენც ვტიროდით, მეცა და ჩემი დაც.

ბოლოს შეიკავა თავი, შეიმშრალა ცრემლები, ისევ მოგვეფერა, პატარებაც ითხოვა ამგვარი შემოფოთებისთვის და წავიდა. წავიდა აშკარად წონასწორობა დაკარგული, მთვარეულივით მჩქანაობდა ქვაფენილზე და სიბნელეში.

როცა შემოვბრუნდით, მაშინ შევნიშნეთ, რომ პატარა ტუმბოზე რაღაც შეხვეული იყო. აღმოჩნდა ორი ფილა შოკოლადი. ორი ფილა შოკოლადი ორმოცდასამის მარტში...

დილას გაბრწყინებულმა გამოვადე კარი. თითქოსდა გარეთაც უნდა ყოფილიყო დარჩენილი იმ ქალისეული რაღაც — ის განუმეორებელი კეთილსურნელება მინც, ჩვენ რომ მთელ ღამეს ვგრძნობდით.

მაგრამ გერმანელი ტყვეებით საცეს მატარებელს გადაეკეტა ჩვენი ჩიხიდან გასასვლელი. დაგმანულ, გადაქუცულ „ტელეშეებს“ ორთქლის ბღუჯები გასდიოდათ აქეთ-იქიდან, შუა კარის ძირას თუნუქის მოკლე ღარები ჰქონ-

დათ დატანებული. ის ლარები განავლით იყო დათხიბნილი, ყვითლად წვეთავდა და საზარელი სუნი იდგა, არამართო განავლისა, ორთქლსამოყოლილი სიღამპლისა, ბინძური ჭირისოფ-

ლისა და რალაც დაძველებული მყარო ჭიმიკალისა...

მივბრუნდი და შევეკარდი გემს, მაგრამ უკვე იქაც შეესწრო იმ სუნს. ჩემი და საწოლზე იჯდა ცხვირზეხელმოკერილი, თვალებდადიდებული...

გედები

პრალა. მისი ცნობილი პრადი. სამეფო სასახლეების და ტაძრების ოქროცურვილი შპილები და ჭვრები ამაყად შეჭრილან ცაში.

წვრილად წვიმს. ამ სევდიან წვიმში: ვარდისფერი ტაძრის უმშვენიერესი სამრეკლოს ძირას კიდევ უფრო სევდიანი აღამიანები მოკრძალებით მოდიან პატარა შავი ხეების სკვერში ჩადგმულ რუსულ უბრალო ობელისკთან (შეუღებავი ცემენტი, მეტრნახევარი — სიმაღლით), ჩერდებიან, ხნიერი მამაკაცები იხდიან ჭედებსაც... ობელისკზე წარწერა: „პრალის განთავისუფლებისთვის დაღუპული ჭარისკაცი ბელიაკოვი“. გულსაკლავი და თანაც ამამალლებელი ამბავი.

გერმანელები პრალიდან განდევნეს. ურიცხვი იყო დახოცილი, დაჭრილი. აქ, ამ მოედანზე, მონასტრის შენობებში ლაზარეთი იყო გამართული. ლაზარეთში მშვენიერი ჭაბუჯი ბელიაკოვი კვდებოდა. ერთადერთი შვება მისთვის მუსიკა იყო. ეს მუსიკა სამრეკლოდან ჩამოესმოდა, როცა იქ საათი დარეკავდა. ბელიაკოვმა სულის ამოსვლისას ითხოვა: აქვე დაემარხათ სადმე, მარად

რომ ესმინა სამრეკლოს მშვენიერი ხმები. დამარხეს. მაგრამ მის გვერდით სხვებიც დაიმარხნენ, ბევრნი. აქაურობა ნამდვილ სასაფლაოდ იქცა.

როცა დამშვიდდა ყველაფერი და შეიძლეს, სასაფლაო გადაიტანეს. მხოლოდ ბელიაკოვის საფლავს არ ახლეს ხელი. ის ისევ აქა წევს, ხეების ქვეშ... ვიდრე და ვლოცავდი კეთილ აღამიანებს, ვინც ეს გააყეთა.

და საოცრება!

მიფრინავენ გედები, თხუთმეტნი მაინც, ერთად, თეთრები და ფანტასტიურნი რუხ ცაში!

გრძლად წაწვილილი კისრებით, მდუმარედ, მწყობრად, ფრთების ნელი, მელოდიური რხევით გადაუარეს სწორედ ვარდისფერი ტაძრის სამრეკლოს, სწორედ მაშინ შესრულდა თორმეტი, დაიწყო მუსიკა, დაირეკა თორმეტჯერ, ისევ გაგრძელდა მუსიკა.

გედები კი მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ.

რაზე რას შეატყობ, მაგრამ გედებმა რალაც მოიტანეს კარგი, რალაც კარგი მიჰქონდათ იქით და იქითაც...

ზვიფის უმსართავი

სექტემბრის ნახევარია, უმშვენიერესი დრო ზღვის სანაპიროსთვის. მაგრამ გუშინწინ უცებ გადაბრუნდა ზღვა, ოცდაორიდან რვა გრადუსზე დავიდა წყლის ტემპერატურა. შეშფოთებულნი იჩიჩავენ მზრებს ჩამოსულებიც, აქაურებიც. ტელევიზიაც ვერ გვეუბნება რაიმე სანუგეშოს.

თუმცა მზე ანათებს, წყალში არ ჩანს ზღვა. მძიმე ცივი ნიავი მოდის იქი-

დან ხმელეთზე, და გადაწვევით, წავიდევ ზევით, ბზიფის უმსართავთან. მარჯვენა ხელით მივიბჯენ ბზის ჯოხს, მარცხენით მიჭირავს «Японская поэзия»... ამგვარი მოგზაურობისას ლექსებს არაფერი სჯობს, მით უფრო ჩინურ და იაპონურ კლასიკურ ლექსებს. მიღიბარ უკაცრიელ რბილ ქვიშიან გზაზე, ზღვა ფეთქავს, ამოიკითხავ

სწრაფად: «Нищий на пути! Летом все его покров — небо и земля». რაღაც აფწევს მხრებში, გაველიშება და წახვალაო.

ზოგი ლიტერატორი გმობს ამგვარ კითხვას. ჩემთვის, პირიქით, ტკბობაა. ხოლო თუ რამდენიმე წუთით ვჩერდები ჩრდილში, თუ კი მივწეკი კიდემ იდაყვზე დაყრდნობილი, ეს უკვე მთელი განცხრომაა.

არ მეგონა, თუ ასე შორს აღმოჩნდებოდა ბზიფი. მეჩვენებოდა რომ მისი შესართავი აქვე იყო ჩვენი დასასვენებელი სახლიდან, — მზეში მთვლენარე ვეება ჭრელი პრობების, გადახუნებული დიდი ველური ლეღების, რუს მოსახლეთა მონგრეული ღობეების, სასაფლაოს და რაღაც კუშტად მდუმარე ბეტონის კუბური ნაგებობის იქით, მაგრამ მივდიოდი და არ იქნა და არ გამოჩნდა ბზიფი.

იყვნენ «ველური დამსვენებლები», უმთავრესად ქალები, მზეს მიფიცებულები ჩაღრმავებებში, სადაც ვერ სწვდებოდან ზღვის ცივი ნიაგი, ზარმაცად აახელდნენ თვალებს ჩემი ნაბიჯების ხმაზე, ასევე ზარმაცად მისთვლემდნენ. იყო მთლად შიშველი ბებიაც, მთელი დრედნოუტი ყურეში, აქეთ-იქით გადაწოლილი დარბილებული ქოცოებით, იმანაც ზარმაცად გადაიფარა ზეწარი, — თითქოს ბეირდებოდნენ სიცილით მის მახლობლად ვერხვების ფოთლები. იყო ქალი და ბავშვი; გამხდარი, სანიდაგო ბიუსტქალტერიანი გამხდარი შუახნის ქალი და ეჭვითღე წლის გაღურჯებული ბიჭი. ცეცხლი დაეთოთ ნარიყებით, გახარებული ურბენდა შიშველი ბიჭი ირგვლივ; იყვნენ მუცლიანი ძიებიც, აქ რომ ინელბდნენ მახლობელ რესტორნებში ჩანთქმულ ხორცეულს. იყო დიდი ვერხვები, ეკვალატები, მთელი გოგებური დაბურთლობა და მწვანე სიმუქე. იყო მთიან ჰორიზონტზე და ზღვაზე დამდგარი მკერივად დაბოლქვილი ცივი ღრუბლებიც. იყო ფებდაუდგმელი ქვიშიანი ქალაც, წითელი ტირიფები რომ ლელის სიბშირით ამოყრილიყო

მიწიდან (იქაც იყო გენერალის ვეება კანგადაქერცლილი ზღვის ქალი), და ბოლოს, როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა, შესართავი თითქოს უცებ გაჩერდა ყოველგვარი მღელვარება. გაჩერდი მეც და ისე ვუყურებდი ამდენი ხნის ნანატრს.

არა, გაჩერებული არ იყო ყველაფერი. ხმელეთიდან მარცხნივ ტოკავდა თითქოს კრისტალებად ქცეული, წყალში გაუხსნელი შაბიამისფერი ზღვა, ზღვა თავდებოდა ღრუბლებით, ღრუბლებს დაეფარათ მზეც. ზღვიდან ხანგამომშვებით მოდიოდნენ გრძელი, გრძელი ტალღები. ის ტალღები აწვებოდნენ ბზიფის ბაცად მომწვანო წყალს. წინ ველარ მიდიოდა მდინარე, იწეოდა აქეთ-იქით და ქმნიდა ზღვის მთელ უბეს, ოღონდ არა ზღვისფერს, მოთეთროს და მშვიდს. და შემზარაობა — იწვნენ ამ მშვიდ, მოთეთრო უბეში გახაფხულის წყალდიდობისას ზემოდან ჩამოთრეული ასეულობით „დამხრჩვალი“ შავი ხეები, ტოტებით ზღვისკენ, ფესვებით თითქოს ისევ მთებისკენ მისწრაფებულნი, ზედ ესხდნენ უამრავი, უთვალავი თოლიები, გაჩუმებულუბი, დაღონებულუბი, ქაერიც მუქდებოდა თან და თან, და დაეჭეკო, თვალბომოქუტული ვიყურებოდი აქეთ-იქით, თითქოს მეშინოდა, ერთად ვერ დავიტევდი ამდენ რამეს თვალბგახელილი.

მართლაც, იყო უბის აქეთ-იქით ჩაყურებული გუბეები, ხავსებით, ალბათ, ბაყაყებით, ლიფსიტებითაც, იყო ახალგაშისვლებული საფლობები, ქაფი, ალაგ მომწვანო, ალაგ თეთრი, ბევრი ქაფი. მაგრამ ყველაფერზე ბატონობდა მაინც „დამხრჩვალი ხეები“, შავად გაფარჩხული ფესვებით მთებისაკენ მისწრაფებულნი, თითქოს გრძელი თმებით ზღვას მიცემულნი...

და ბუნებრივია, წარმომიდგა, რომ მაღალჭვინტიან შავ ნაეს შემოიყვანენ შავ ხეებში უცხოელები. თოლიები ისევ სხედან და დუმან. მაყვლიანებიდან გამოვლენ დალალებიანი კოლხები, დგანან, იყურებიან. ვილაც დაიძახებს რა-



ლაცას. აპრილდება ლითონი და აიშლებიან ხმაურით თოლიები...

შემცივდა, შემცივდა უძრავად მჭდარს.

წამოვედი.

მალ-მალე ვიყურებოდნო დემნილივით, უკან.

ლამით ამიტყდა ფექრი: რაღაც უცებ

გარინდება

ლურჯ ცაში შავად შეკვრილა დიდი ოთხკუთხი ლოდი. მაგრამ ეს ლოდი არ არის. სკელი, მაღალი გალავნის ნაშთია, ფლატის პირას მომდგარი. ფლატე ჩამოდის, ხორხებდად ჩამოიჭიმება დაბლა, ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე მაინც. აქა-იქ ძლივს მოსკიდებიან ბალახები, შავი ყორანიც ზის კლდის ფხაზე, მოაზროვნის კუსტი გამოხედვით დასჩერებია ქვეყანას. თითქოს საცდელად აფრინდება, ხაზგამსული სიზარმაცით, სიზვიადით მიუყვება ფლატის შუა წელს.

დაბლა, ფლატის ძირში, ხეებია, ტყე — ნაკვალეი მუხები, რცხილები, ნეკერჩხლები, შინდები. იმ ხეების ქვეშ კლდის მოყვითალო ნაშალია გაგებული. ჩამოდის ის ტყეც, ჩამოდინ ხეები თითქოს მუხლებში ჩაბრით, მოდიან ჩემამდის, ბალახიან პლატომდის. მე მუხის ძირას ვზივარ, მუხისა და მის ტოტებში შეხლართული რცხილის ჩრდილში. მუხა ახალგაზრდაა, ტოტებსაც კი მომწვანო ფერი დაჰკრავთ, რცხილასაც არ აყრია სიბერის თრთვილისფერი ხავსი. სექტემბერი დგება და კენწეროს ფოთლები უკვე ყვითლად ციმციმებენ ნათურებივით. ორიოდ დღის წინათ ვილაცას შინდისთვის ჩამოუჭრია ტოტები, ამ ტოტების ფოთლები ახლა ჩამწუხრებულნი ჩასაქერიან მიწას. აქვეა ასკილი, ორიოდ შეთეთრებული ნაყოფით. ზედ ჩემი ორკაპი ჯოხი მაქვს მიყუდებული. იქით ძეძენარია, ძეძვის ფარები დაირის ფიფანურებივით თრთიან. მე რაღაც რკინის ყუთი მაქვს მოთრეული, გარინდებული ვზივარ...

ჩემიდან, პლატოდან, ქვემოთაც ჩა-

წამოვედი შესართავიდან, თოლიები დამრჩა უნახავი, შეუძენდა მათ მამა მუ უკვე აღარ წავიდოდი იქ, პანიკური შიში მაქვს პირველადქმულს დაყარვისა. ისევ «Японская поэзия» გადავშალე. მალე გამეღიმა კიდევ: «Над ручьем весь день, ловит, ловит стреказа собственную тень».

დიან ხეები და ბუჩქები. მერე იქიდან ძირს ვარდება ფლატე, ვარდება იორში. იორი ჩქაროლავს, მისი ხმა ხან ამოდის ჩემამდე, ხან არა. მე ფეხები რიყის ქვებში და კენჭებში მიღვას. ქვებზე, აშკარად, ზღვის მწერები და ნიყარებია დაჭვავებული. ზღვის მწერები და ნიყარები ამ სიმაღლეზე?!

ოდესღაც, უუ, სულ ოდესღაც, ეს მთაც ზღვის ფსკერი იყო... წუთით გაკრთება ის ზღვა, რუხი და ჩანლიანი, რუხი ტალღები ეხლებიან ჩანლს, ყაზყამით ვადმოდის იმ ტალღებზე თითქოს მთლად სველი წითელპირდაღებული ვეება ფრინველი, წყლიდან ხერხებივით ამოჩრილან რაღაც არსებთან ხისკარტები.

ჩემს ფერხითივით ყრია თიხის კურკლის ნაშხვრევები, მიწისაც, სულ მაღლა, გალავნის ნაშთის იქით, სალოცავია — პატარა, ივეარქმნილი. ამ სალოცავს დღესაც ეხვეწებიან ჩანმრთელობას, ბელნიერებას — ავადმყოფები, ხეიბრები. მერე ნაღვლიანი თვალებით ჩასაქერიან ჩამებს და ქიქებს.

ჩემიდან ორ მტკაველზე, მუხის ნორჩ ტოტზე, გზას გასდგომია სევდიანი შავი პაწაწა ქია. ფეხებს ძლივს მოათრევს სევდით, საოდან მოდის, სად მიდის, როდის მივა დათქმულ ადგილას?! ან საერთოდ თუ მივა მიეჩერებივარ და ნელნელა მე ვადმომდის მისი სახსრების სიმყიფე და ტკივილი სხეულში...

მოფრინდება ბოლოცეცხლა შინდზე, — წრიო! წრიო! — თახთახებს ფრთების განზე გაწევიით. რაო პატარავ? რაღაცას მეუბნება აშკარად, მაგრამ რას?! შემომომბრუნებს ზურგს, გაფრინდება, მეც ახლამავონდება ზურგი, მივაბჯენ

მუხას, ასე ღონივრად ვარ. ასე აქაურობის მფლობელი ვარ. მაგრამ მეჩე ვხვდები, რომ რაღაც შეშფოთება მაინც დენივით შემოდის ჩემში. ხელში ბლოკნოტი და კალამი მიჭირავს. ორივეს გავუშვებ ხელს. ბლოკნოტი ქობივით გაჩაჩხული დგება მიწაზე, ფანქარს ოდნავ გამოუყვია წვერი იქიდან, თი-

თქოს გამოძრომა უნდა... მე გარბენდე-ბული მფლობელი ვარ...
სადღაც ვაყოწიწებ სიტყვებს: „თუ წვიმა წამოვიდა... ძველი ფიცრული სალორეა... დიდი ნარების იქით... თუ წვიმა წამოვიდა, იმ სალორეში შევალ“...

დაგვიზავი ისრაელის ტავრში

ამას მრავალჯერ ვხედავ:

რუხი ცა გაფართოვდა რუხ დედა მიწაზე. რუხად წვიმს, რუხი მთა გაფართოებული უშენს რუხ ისრებს აკახ-კალეხულ გრძელ ველს, და იმ ისრებში შეუპოვრად თავდაღუნულები მიაბიჯებენ რუხი რაზმელები. მიდიან ეს რაზმელები არეულ-დაჩეულნი, არეულ-დაჩეული იარაღებით, რაღაც სიმძიმე-ებაც მიაქვთ (ალბათ შეტყვევითვის არის საჭირო), ზოგს ზურგი, ზოგს გულზე მიხუტებთ. გრგვინავს, ყოველ წუთში

გრგვინავს, ისრები აერთიანებენ მიწასა და ცას, ძლივსღა ჩანს რაზმი ამ ისრებში, მაგრამ არცერთი რაზმელი წამით არ ანელებს ნაბიჯს, მხოლოდ წინ მხოლოდ წინ დაგებულნი, გაბოროტებული ისრების ტყეში...

ო, რამდენ საზღაღს აღმოხდება დიდებულნი! დიდებულნი!

სინამდვილეში, ომის დროს შორეულ მინდვრებში დამედგომით მომუშავე კოლმეურნე ქალები მიიბრძვიან, მიისწრაფვიან შინისაკენ.

ალაზნის მონატრება

ჩანაწერი ველეზნოვოდსკში

ჩამოვიდა ჩვენთან, საქართველოში, დასავლეთ გერმანელი მწერალი მანფრედ ბოში. წაეიყვანეთ კახეთში, ვაჩვენეთ ალავერდი. დიდი სიბეჯითით ვუნსნიდით, რომელ საუკუნეში იყო ამენებული ტაძარი, რა მნიშვნელობა ჰქონდა წმინდა გიორგის კულტს საქართველოსთვის, როგორ გადაიზარდა საკულტო დღესასწაული ალავერდობა თავისებურ მოსავლის დღესასწაულში, როგორ ზეიმობდნენ ამ დღეს ქრისტიანებთან ერთად კავკასიონის მთებიდან ჩამოსული მაჰმადიანები, უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს, და ბოლოს, როგორ ეზრუნავთ სიძველეთა დაცვარესტავრაციებზე უკანასკნელ წლებში.

ბოში, ორმოც წელს მიტანებული სახეფიქრიანი კაცი, გულდასმით გვისმენდა, სქელ ბლოკნოტში წვრილად იწერდა თავისთვის საყურადღებო ცხოვრებას და თვითონაც გვეკითხებოდა იმ,

მაგალითად, ასეთ რამეებს: მორწმუნენი ვიყავით თუ არა თვითონ ჩვენ, მისი მასპინძლები. თუ ქრისტე არ გეწამდა, სხვა ვინ გეწამდა, ხომ არ იყო გატაცებული ჩვენი ახალგაზრდობა ბუდიზმით. ჩვენ ისე მივეუბნებოდით, არც მორწმუნეები გამოვჩენილიყავით, არც გავარჯარებული ათეისტები. რაც შეეხება ბუდიზმს და ახალგაზრდობას, აქაიქ ჩვენშიც იჩენენ მისადმი გარკვეულ ინტერესს. ბოშიმა ესეც ჩაიწერა ხაზგასმით.

ტაძრის ეზოდან გამოსულს, ვილაყამ აჩუქა კარგი თუშური ქუდი. მაშინვე დაიხურა, ძალიან მოუხდა შავ ხუჭუქა წვერიანს. დიდი მადლობა გადაგვიხდა ყველაფრისათვის, ჩავსხედით მანქანებში, დავიძარით (რუსიპირში სადილად გველოდა ერთი კოლმეურნის ოჯახი), და აი, აქ გაახსენდა სტუმარს, — არტურ ლაისტს უწერია, თუ ალაზანი

მთვარიან ღამეს არ ნახე. ნუ იტყვი, რომ კახეთი მი-ნახავსო... იმ წამსვე შევაჩერეთ მანქანა. ახლა მთვარის გადაბრუნებაა, ტყუილად დაველოდებით ღამეს, მზიან ალაზანს კი ახლავე ნახეთ-მეთქი. მივბრუნდით და დავეშვით ალაზნისაკენ. მიუვალოდით ქალას, დავიწყეთ ალტაცებით „მოყვარხარ, ტყბილო კახეთო, დიდო ალაზნის ქალაო“. იღვნენ დიდებული ვერხვები, წნორები, მურყნები, ნიაფი ეფერებოდა ქორბეზე, მივადექით ხილს და შემკრთალმა მძლოლმა ხიდის ყურთანვე შეაჩერა მანქანა. ხიდი მზით გადაქათქათებულ რიყეზე გადადიოდა, წყალი აღარ იყო, აღარ მოიტბორებოდა, აღარ მოზვიადობდა ალაზანი. ჩვენსკენ, კოვდის ძირსდა მილოკლეკებდა პატარა ლურჯი ნაწკრეტი, ერთგან ტბორდებოდა, ის ტბორი მზით გახუხული ბიჭებით იყო სავსე, შეშფოთებული კიკვივით გარბოდნენ წყლოვკები ქვებზე, ქვემოთ, სულ ქვემოთ, რაღაცას ეხევიოდნენ ყვაეები, სუნი იღვა სიღამბლე შეპარული თევზებისა...

შეწუხებულებმა ავეხსენით სტუმარს, რომ დიდი გვალვების გამო ალაზანი მთლიანად სარწყავ არხებში იყო გამშვებული. სტუმარი გამტკანარებული იდგა, ხან აღმა გახედავდა ალაზნის რი-

ყეს, ხან დაღმა. მერე ერთი გაღიმი და უბრალოდ თქვა: **ქარქინესული**
— მეოცე საუკუნის **ტყვემტყობა** რაეისა აქვს უფლება, თავის ნებაზე სიარულისა, არც ადამიანებს, არც წყლებს, ყველანი ასე! — ჯიბეებთან ჩაიჭიმა ხელები. მიბრუნდა და ჩაქდა მანქანაში. კარს რომ ვკეტავდი, მომეჩვენა, რომ ცოტაც და ცრემლი წაძოუვიდოდა ბოშს.

თითქმის თვე გავიდა იმ დღიდან და წუხელ აქ, ევლენოვოდსკოი, დამქსი-ზმრა ალაზანი — გაესებულებო მთელი რიყე მისი ძალიან ღრმა, მძიმე, ცოვი და მოყომრალი ფერის ზომზიმა წყლით. წყალი შესწვდენოდა ხეების ხშირფოთლიან ტოტებს და ის ხეები, თეთრი ვერხვები, გახარებული ღონიერი ქალებივით ალაღლებდნენ მკლავებს შიგ. ლოკობივით დგაფუნობდნენ ღერულეები და სატრიალოები. დიდი შამაშური და ეფილ-ხივილი შესდგომოდათ შამზიან ნაპირებს. ჰაერი იყო დატეტყილი, ტენით სავსე, დაბურუსებულიც კი. მაგრამ წყალს მაინც მოაქონდა ღრუბლის ნაფლეთები და მზის ბრტყელი, თახთახა ათინათები...

მე ვეძახდი შორს თეთრად გაჩერებულ ბოშს, მაგრამ ბოში უძრავად იდგა.

ციცხლფარეში

ზღვისპირა სანატორიუმში დიდი იყო, უამრავი ქალისა და კაცისთვის მოყვარა თავი. ქალებიც და კაცებიც აშკარად ნებეირობდნენ, თავიანთი ასაკისთვის შეუფერებლად ლაღობდნენ და ამით ცდილობდნენ, სამსახურებში მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი მტერისა და ენგის ჩამობერტყვას. ღამით, როცა ზღვა და ხმელეთი სიბნელეში იყო გახვეული, ისეთი ხმები გამოისმოდა, თითქოს სულ ახლოს ალები და ამორძალები დააბიჯებდნენ.

ერთი ყმაწვილი კი, სანატორიუმის საჭკაბე მეურნეობის ციცილფარეში, მუდამ დაფიქრებული იყო, მუდამ საჭმით გართული. ოცი წლის, ან ოცდაე-

რთის იქნებოდა, უთუოდ ნარევი სისხლისა, ქართულად კი ლაპარაკობდა, ნამდვილი დასავლური ქართულით. წელს ზევით ყოველთვის შიშველი, თხელი, შავი, წერილწვრილად დაკუხუთული, ქვანახშირის სქელი მტერიითაც იფარებოდა და თვალებს და კბილებს ზანგივით ავაშავებდა. მაინც რა ცეცხლი ნთქავდა იმოდენა ქვანახშირს! მთელი ცვლის განმავლობაში, გარეთ მთადდამდგარს, ურიკაზე ტვირთავდა და საჭკაბეში ეზიდებოდა. შხაპი ცალკე ჰქონდა, ზღვაც იქვე იყო, შეეძლო, შეგარდნილიყო და ებანავა, მაგრამ თითქოს რაღაც რიტმის დარღვევას გურბოდა, დამტყვრილი განაგრძობდა



მუშაობას. მოზომილად იღებდა ყოველი ნიჩბით ქვანახშირს, ურყიანზე ჰყრიდა, ვაყვებდა. ასწევდა ხელნებით და საქვებზე შეაგორებდა. ცოტა ხანს იჩჩებოდა, გალულულდებულ ღუმელებს თავთავიანთ ულუფას უმატებდა, მერე ისევ გარეთ გამოდიოდა. ისე დგებოდა, თითქოს ყოველთვის მზად იყო, მძიმე ტვირთისთვის შეედეგა მხრები.

ნაშუადღევს ბიჭთან გოგო მოდიოდა და სადილი მოჰქონდა. ძალიან კარგი სანახავი იყო მათი პურობა. ტანმორჩილი და ხელსწრაფი გოგო ბეტონის დაბალ კედელზე გაზეთს გაშლიდა, ზედ ამოაწყობდა თერმოსს, ორ ტოლჩას, კატლეტებს, ხორცს, პამიდორებს. ბიჭი მხოლოდ ხელპირს დაიბანდა და ღიმილით მიუჯდებოდა სუფრას. გოგოც სულ იღიმებოდა. ერთმანეთს სთავაზობდნენ უკეთეს ნაჭრებს, თან სულ ტაბილად დალაპარაკობდნენ. მერე გოგო სუფრას დალაგებდა და წავიდოდა. ბიჭი თავის საქმეს გააგრძელებდა.

სალამოს მოხუცი კაცი მოდიოდა, ბიჭს ისა სცვლდა, ბიჭი საქვების შხაბჭებში იბანავებდა, სუფთად ჩაიცვამდა და, საქმე მორჩენილი, ამაყად მიიბიჭებდა, ალბათ, შინისაკენ.

ჰო, მოდიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, საბანაოდ შედიოდნენ საქ-

ვებში, ბიჭსა და მოხუცს აქედან ცოტა გამოჩენენა ჰქონდათ. მერე რომ მათ ეუუუუებდნენ, თითქოს დამაშვილებელ წამალს ვლებულობდი, ადვილად ესუნთქავდი.

ორი წლის შემდეგ ისევ მომიხდა იმ სანატორიუმში ჩასვლა. არ მოველოდი, ბიჭი თუ ისევ იქ დამხვდებოდა, მაგრამ იქ დამხვდა. ისევ ისე მუშაობდა — აუჩქარებლად, მოზომილად. ერთი ეგ იყო, გოგო აღარ მოდიოდა. ვიფიქრე, ალბათ, ბავშვი ჰყავდა, ბავშვს თავს ველარ ანებებდა. მივედი ბიჭთან, გამოველაპარაკე, შევეუქმე მუყაითობა, მერე კვითხე, მეუღლე როგორა ჰყავდა. მადლობთო, ერთი ეს თქვა, როგორღაც უგუნებოდ, ზურგი მომაქცია, ურყის ხელნებში ჩადგა, მიაწვა ღონიერი მკლავებით და საქვებზე შეაგორა. მომეჩვენა, რომ იქ დიდხანს დარჩა, სანამდე მე არ წამოვედი, გარეთ არ გამოსულა. მე რომ კარგა მანძილზე მოვიცილდი იქაურობას, მაშინ გამოვიდა. მშვიდად აიღო ნიჩბი, ჰყარ ასე იდგა, ნიჩბის ტარს დაყრდნობილი, მერე ისევ საქმეს შეუდგა. ყველაფრით ისეთივე იყო, როგორც ორი წლის წინათ, მაგრამ გამაგებელი, დამტყვერილი, ველარც თვალებით და ველარც კბილებით ველარ ანათებდა ძველებურად...

წამება-კრულშიანი საკითხავი

დიდი ილიაობაა ჩვენს ქვეყანაში. დიდი ასპარეზი აქვს დათმობილი საფიქრალს და სათქმელს. ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ისეთ რამეებსაც, ადრე შიშის ურუხანტელი რომ აიტანდა მთქმელსაც და მსმენელსაც. დღესაც არ გრძნობს თავს სრულიად მშვიდად არც მთქმელი, არც მსმენელი, მაგრამ მაინც... აშკარად მეტი პატივი დაედოთ თვით უგუნურების საზღვართან მისულ მაძიებელურ გონებას. თუნდაც აი, ასეთის:

რამდენიმე დღის წინათ კახეთიდან ვბრუნდებოდი. ნაღვლიანი ამინდი იყო, შემოდგომისპირულად მიმტვერილი, მიბურუსებული. გულის სამზერსაც რა-

ღაც ეფარებოდა მუქად, და შეიძლება ამიტომ უფრო, ლოჭინის ხევთან მოსულს, ახლო ხანებში გადატანილი ავადმყოფობის სიმძაფრით გამახსენდა ილიას ბრწყინვალე „სარჩობელახედ“. თუმცა რომელ წიგნიერ ქართველს არ ახსენდება ეს მოთხრობა ლოჭინის ხევთან სიცხე, სიცხე, თითქმის დამშრალი ღელე, გუბებში ჩაყრილი გალექებული კამეჩები, ჯამებით რომ ასხამენ წყალს არანაყლებ დაოსებული შეურმეები, ორი ობოლი ბიჭი ხვეის ყურში, კეთილი მოხუცი პეტრე, ღამე, ჯიბების დაჭრა, მერე, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ეს გზა, ახლა უკვე პეტრეს ვაჟი მეწინავე ურემზე, ქალაქი.

ქალაქური სერი — კაცის ჩამოხრჩობა მახათის გორაზე, და პეტრეს გაოგნება, აღშფოთება და მოთქმა: როგორა, ადამიანი კატა ზომ არ არის, აიღო და ჩამოკიდო, თანაც ვილაყეებმა იცინონ კიდევ ამის მყურებლებმა...

ყოველმა წიგნიერმა ქართველმა ისიც იცის, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯას თვითონ ილია უარყოფდა. მან, როგორც საბელმწიფო საბჭოს წევრმა ერთ-ერთ სხდომაზე სწორედ ეს მოითხოვა — სიკვდილით დასჯის გაუქმება, რა ხასიათის დანაშაულთანაც არ უნდა გვექონოდა საქმე, და იმედი ჰქონდა ამ მოთხოვნის აღსრულებისა...

ლოკინის ხვეთან გაცოცხლებული საყვარელი მოთხრობის სცენებს კბილისტყვიელის დაურღებლობით შოება სხვა სცენებზე. ეს უკვე ჩემი ცხოვრებიდან.

ერთ ჩემ ნათესავს პატარა ნაკვეთი ჰქონდა აქ, ამ ხვეის ბოლოსთან, ხელმარჯვნივ, ჩადაბლებაში, რომელსაც „ბალკას“ ეძახდნენ ქალაქის გამონაპირის მცხოვრებნი. ამ ნათესავეს მიძიყვანა ერთი კბოდის ძირას (ახალი გარდაცვლილი იყო სტალინი) და შეფიქრინებულმა მითხრა: — აქ რომ ვბარავდი, კაცის ძელებს წავაწყდი. სუ ძელებია, აი, ასე, ჩაყოლებზე, ზოგი ტანსაცმელი ბოლომდეც არ არის დაშპალი. დაუგდო ბარი, ერთხელ, მეორედ, მესამედ, ამოსწია და შეძრწუნებულმა დავიხიე უკან. ძვალი და ფარაჯის ნაგლეჯი ისევ ძელები, ისევ ფარაჯის ნაგლეჯები!

ჩემი შეძრწუნება იმითაც იყო გაძძაფრებული, რომ პაპაჩემი გიორგი,

67 წლის გლეხკაცი, მთლად რბულად გაზრდილი, ძალიან რომ მკვლევანდა ილიას პეტრეს, ვადმოცემით, სწორედ ამ ადგილებში დახვრიტეს, მე რომ ათი წლისა ვიყავი. წარმომიდგება ხოლმე თვალწინ ეს თუშურქუდიანი, თეთრწვერა ფარაჯიანი კაცი, მისი შემოილობამდე მისული სახე, — რასა სჩადით! ე ზო არ დაპყდით, ე! დაგიეზბულეები კი მაინც უმიზნებდნენ თოფებს. და ის თვალცრემლიანი ბერიკაცი, თავისებური პეტრე ილიასი, უკვე თვითონ ჩააწვინეს მიწაში, უკუბოოდ, მხოლოდ იმაში ექვმიტანილი, რომ სადღაც რაღაც წუთებში, ისე არ იფიქრა, როგორც თოფიანებს სურდათ, დიდი-დიდი, ხმაშალაყ წამოსცდა იმ ნაფიქრალის რაღაც ნაწილაკი...

რა იმედით ჩავიდა ილია მიწაში და რა დახედებოდა, სულ რაღაც ოცდაათი წლის მერე რომ ახილებოდა თვალი. აი, ნამდვილი „წყვეთ-ყრუღვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“...

დიდი კაცები დიდ საფიქრალს მოგვახვევენ ხოლმე თავზე, ერთი ხელის მოსმით ვერ მოიცილებ ამ საფიქრალს, წვერი უნდა უბოვო ნაქსოვს, მერე იფდე და ეწიო შენსკენ იმ ძაფს. პირველ ხანებში თვალეები გექნება შთაგონებით, მოლოდინით სავესე, მერე — მკაცრი, მერე შემფოთებული, მერე უმეტყველო... ბოლოს კი სხვათა თვალეებში დიმილის მომგვრელი, როგორი თვალეებიც მქონდა მე, ლოკინის აქეთ, გზის პირას ბარიერებად გაყოლიებულ ძველ საბურავებზე რომ ვიჭექი სრულიად მარტო...

უჩინარაული წუთები

ახ, ეს ძალიან ჰკვიანები!

ჩემმა სამოცდახუთი წლის მეზობელმა პროფესიით ეკონომისტმა, განხი-მარტა წლის ბოლოს აღებულ შეებულეებაში ორჯერ ნაკლებია დღეების რაოდენობა, ვიდრე ზაფხულში. წლის

ბოლოს დამეებს იღებ ბევრს, დღეებს კი ცოტასო.

წარმოვიდგენიათ, აქამდე ფიქრადაც არ გამივლია ეს ჰეშმარტება! ახლი დიმილით ვანგარიშობ წლების განმე-ლობაში ჩემს ზარალს, მაგრამ მე მაინც ნოემბერ-დეკემბრის შეებულეებს

ვაჭრობინებ ივლის-აგვისტოსას. ჩემი შეგებულება ზომ თითქმის მთლიანად ეთმობა ჩემს თავისებურ საკრალურ საქმიანობას, ე. ი. წერას, წერით კი ნოემბერ-დეკემბერში უკეთესად შეწერება, თანაც ჩემს სოფელში. ეს, ალბათ, იმის გამო, რომ სოფელში ამ დროს აღარ არიან გართობისა და მხიარულების სურვილით შეპყრობილი დამსვენებლები, სიმშვიდე, ბალ-ვენახებში საქმის უქონლობა და ცინცხალი პაერიც თავისთავად განგვაწყობს ფიქრისა და წერისათვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორიც — არსებულის წასვლა! არსებული, რა თქმა უნდა, ყოველ წამს მიდის, მაგრამ ყველაზე შესამჩნევად — ფოთოლცვენისას, ყინვისას, რომელიც აზრობს და სპობს ყოველგვარ სიმწვანეს, და კიდევ — ნისლიანობისას, რომელიც თავისებური გამოხატულებაა წასულეებზე სევედისა. ნისლიანობაში გულს ეჩვენება, რომ ვიღაც თუ რაღაც ძვირფასები მიდიან ჩვენგან, ვერაფრით ვახერხებთ მათ შეჩერებას, შენარჩუნებას, და ერთადერთი, რითაც შეგვიძლია, საჩვენოდ დავიტოვოთ ისინი, ეს ჩაწერაა, ესაა სიტყვიერ ხატებად ქცევა ჩვენგან წასულეებისა.

აი, ახლაც, დეკემბრის ამ მიცრიბტებულ დღეს, ამისთვის ვირჩები, ამისთვის ვწვლიობ, რომ სამუდამოდ დავინარჩუნო აგვისტოს დამლევის ერთი უჩვეულო ღამე, უფრო — განთიადი. ეს იყო უკრაინაში...

ჩვენი ტურისტული სამდინარეო გეგმა „ქორუტგი ვიშნევსკი“, აქეთ-იქიდან დიდი ბორბლებით, ცილიანსკის ზღვის ბოლო რაბიდან მზის ჩასვლისას გავიდა. იგი მიცურავდა ზღაპრულ ფეიერვერკში. წითელი იყო გადაწმენდილი ცა, წითელი არილი გადაფრქვეოდა გახუნებულ შემალლებებს, წითლად ღაპლაპებდა მშვიდი წყლის ზედაპირი, — მხოლოდ გემის ბორბლები ფანტაგდნენ აქეთ-იქით ფერადოვან, მზიარულ წინწყლებს, — ცოტა ხნით შეეჩერდით პატარა დასახლებაში, სადაც თეთრ-თავსახვევიან ქალები პირდაპირ ნაგ-

მისადგომზე ყიდდნენ ვაშლებს, ქლიავებს, დამუჭუქებულ კაქუსებს, სურჩერვერკი შორჩა, ცასლა შეჩინებულა სწოთლე. იქიდანაც წავედით და ჭერ ისევ თვალნათლივობაში დონის წყლებში შევედით.

დონი, ვოლგასთან შედარებით, კაცკასიურ მდინარეებს გვაგონებდა, — თავთხლებით, გრძელი ლაპლაპა მდორეებით, წყალში ჩაქიდებული წნორებით და ვერხვებით, მაგრამ მაინც იმდენად დიდი იყო, არამართო დაცურავდნენ გემები, შეუშფოთებლადაც უცაქედნენ ერთმანეთს. აქეთ-იქიდან მოგვევებოდნენ დამუშავებული ნაყოფიერი მინდვრები — მთელი ზღვები სიმინდისა, ჭარხლისა, კომბოსტოსი. თავაწუქონი მიდიოდნენ საქმემოთავებული ქალები გზებზე, ვერხვებზე ჭანაობდნენ ქილყავები, აქა-იქ იდგნენ დაფიქრებული ცხენები, თეთრი ქოხებიდან აღიოდა მშვიდი კვამლებიც.

ჩვენი გემი სიგნალით ხვდებოდა შემხვლურ გემებს. მეზღვაურები გადაძახილ-გადამოძახილით მოიციობავდნენ ერთმანეთს. ჩვენი ვესალმებოდით უცხო მგზავრებს, ან ისინი გვასწრებდნენ სალამს. ავილით გემის ბანზე, იქ უფრო გრილოდა, იქიდან უფრო კარგად ჩანდა შემოგარენი.

ბოლოს მთლად დაღამდა. უმთავარო ღამე დადგა, ვარსკვლავებიანი. ციმციმებდნენ სოფლების სინათლებიც, სულ ახლოს — ბაკენები, ბაკენები წითლად.

თითქმის არავის უნდოდა ძილი, მაგრამ ბოლოს მაინც ყველამ დაიძინა. დავიძინე მეც, მძინავს. ნანასავით შესმის გემის ძრავების რიტმული ხმები. მე რიერაყისას ვიღვიძებ ყოველთვის, ჩიტების ვაღვიძებისას. და აი, უცებ, ამ კარგად გაგრძელებულ ძილში, გემი მძლავრად შეიარყა, თითქოს რაღაცას დაეჯახა, მოკლე სიგნალი აუშვა, ვიღაცამ შეიგინა კიდევ და გაჩერდა. გაჩერდა ყველაფერი, მომეჩვენა, რომ ძრავაც, ხუთის ნახევარი ხდებოდა, რაღა დამაძინებდა, ავღექო, გავედი კაიუტიდან, იქვე გაჩერდი შემკრთალი. რაღაც ერთიან ბაც სიშავში ვიყავით,

თითქოს წყლის სიღრმეში. ვიღაცამ გამიარა ახლოს. რა ხდება-მეთქი. ბურუსიანო. ახლა უკვე გაოცებული ვიხედებოდი აქეთ-იქით. რა იყო, რა ბურუსი იყო! მხოლოდ წყალი ჭყაბუნობდა ძლივსგასაგონად დაბლა. აშკარად, სუნთქვაც კი ჭირდა, ზელების ცეცებით, ბობლვით ავალწიე ბანამდე. აქ უარესი იყო, აქ თითქოს სისველეშიც შევედი, ნამდვილად წყლის სიღრმეში. კინაღამ ვიკეღე... მაგრამ უცებ მომესმა რომელიღაც პატარა ჩიტის ხმა, მერე ავტომობილის ხმა, მერე ვიღაცის გინება ისევ, და უცებ მომეშვა გულზე. დავჯექი შემაღლებულზე. ვიჯექი და უკვე ვტყებოდი ამ უჩვეულ სანახაობით. გავიგონე ქალის ხმაც, მერე კაპკაქის ხმაც, მერე ნისლმაც დაიწყო გათხლება, გამოიკვეთა რაღაც გორაკივით, ამ გორაკის ფონზე ქალი, აღნაგი ქალი. მალე ვიცანი კიდევ. ეს იყო ფრანგი ტურისტი, მე მისი სახელიც კი ვიცოდი — ადელ.

— ადელ! — წამოვიძახე ჩემდაუნებურად.

ის შემობრუნდა. ეტყობოდა, ისე იყო

აღტაცებული იმით, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა, არავითარ მხრეზეც არ მოუცია ჩემი როყით დაძახებისთვის. ისიც იცინოდა და მეც.

ჩვენი გემის წინ კლდესავით იყო აზიდული სატვირთო გემის შავი ქიმი. ორიოდ მეტრიღა გვაშორებდა ერთმანეთს, კინაღამ შევეჯახებოდით.

ნისლი იშლებოდა სწრაფად, ქვეყანა იბადებოდა თითქოს სულ პირველად, ჩვენს თვალწინ, რაც მთავარი იყო აქ, ლამაზი ფრანგი ქალის მკლავებსა და ფართო ღიმილში — გამტყნარებულ ხეები, სახლები, ბოძები, მესერები... წითელი და ქრელი ძროხები, გაოცებით აყელყელავებული ფრინველები... ყველაფერი უმწეოდ უმანკოები.

და... აი...

პატარა ადამიანებსაც მოგვინდებოდა ხოლმე ამგვარი წუთების შეჩერება დიდი ხნით. ასეთი წუთები ჩვენს გარჯად ღირს. ამად ვიჩვენებ დეკემბრის ამ მიცრიატებულ დღეს.

ლოდები

მონოლოგი

კალიმური სიხვარულისა

1

როცა მარყუჟი შევხსენი ყელზე,
ჭერ კიდევ თბილი იყო საწყალი.
ველარ ვუშველე ველარაფერი,
მოკვდა ტანჯული და ბედგამწყარალი.
გულისჩიბეში ედო ქაღალდი,
ზედ ეს სიტყვები წვრილად ეწერა.
მე წაგიკითხე,
მისი სიკვდილი
მკერდზე მომაწყდა მართლაც მეწყერად.
იწვა გულაღმა ცოცხალი მკვდარი,
მკვდარს არა ჰგავდა ტანტზე მწოლარი.
სუღარა კი არ ეფარა მკერდზე,
ჯანლი ეყარა აუწონავი.

თვალღია იყო,
თითქოს ასტქერდა,
ვით მალღდებოდა სული ზეცისკენ.
ღვთაებრივ ნათლით იყო მოსილი,
მომავლისაკენ შეგზურ-მეცისკრე.

2

იქ მივბარე მარად ყინულეთს,
და შევიწახე მე ეს ქაღალდი.
აჰა, ბატონო,
მისი ვედრება
და გაუბზარავ სულის ღაღადი.
მისი თვალების ცა კი დაეხურე,

მაგრამ გამეხსნა მისი სულის ცა.
ილბათ გეგონა ეულად მკვდარი
და უგზო-უკვლოდ დაკარგულიცა.
მე ხელთ მეჭირა მისი ლამპარი,
სულ შენ ახსოვდი,
სულ შენ გელოდა.
მე გავეუშენე სასოწარკვეთილს
მცირე კარავი თოვლის ველობთან.
აღარ ისურვა შინ დაბრუნება
ათი წლის შემდეგ ბორკილგაყრილმა.
სულ კურცხალ-კურცხალ ვაგროვე
ბეშვით
რაც მის თვალთაგან ცრემლი დაღვრილა.

3

გადამავიწყდა ჩემი ტანჯვანი
შენზე
ღიადმა მისმა გოდებამ.
ის მალღა იდგა,
იქა დგას ახლაც,
ცის ყველა ფერი მასთან გროვდება.
მე შემოევარდა მისი სინათლე,
ჩემს წამებულ სულს ზედ შეჭენია.
ბორკილებიდან ასხლეტილ ფრთებზე
ენთო ვაჟკაცურ სევდის გენია.
თუმც მიწრეტოდა სიცოცხლის ნირი,
ეფერებოდა ლამაზ მიჩაეებს.
მისი ცის კიდე ოდნავ გაფერე
და მრუმე ღამე გავეურიერავე.



მეც იქ ვიყავი...
თუმც ადრე მისებრ
აქ.

ჩვენს მამულში კანი მიწვა მზემ...
ცისკენ ილტვოდა...
მე შევაჩერე
ერთხანს გაყინულ დედამიწაზე.

4

სასაჩელის ვადა კი მოიხადა,
მაგრამ შინ არეინ აღარ ელოდით.
იქვე დასახლდა...
მე შევეყარე.
ვით ჭვარზე გაკრულს, მას შევეცქეროდით.
გატანჯულ სულის ვედემ მეოხად,
ცეცხლით გავუთბე მცირე კარავი.
გადავაფიწვე ჰმუნვა მრავალი,
ვერ დავეფიწვე შენზე ვარამი.
მომნუსხა მამაშვილობის ზღაპრით,
შვილზე სალოცავ საყდარს აგებდა.
სულ შენთან იყო,
როს იყო ჩემთან.
ან ქირეარამის ამხანაგებთან.
სულ შენთან იყო,
ვერ მოგაშორე.
თუმცა შევეძინე ვაჟი მეორე.

გაოგნებული გასცქერდა ღამით
ცოც ვარსკვლავებსა და მეტეორებს.

5

ხალხის ნამდვილი შვილი იყო და
თქვენ კი ხალხის მტრად იგი შერაცხეთ.
მე ვაშორებდი ამ ლაფს ცოდვიანს,
იმის უმანკო სულზე შენაცხებს.
აჰა, ეს ვაჟი...
ზარდა, ეფერა,
ზარდა შენეულ აკვნის ნანათი.
მაგრამ ამანაც ვერ დაავიწყა
შენი ზამთრები და კაყაბათი.
მეგონა ვარამს გაუნღლებდა
მამაშვილობის ეს აღტაცება.
მას მორაგებში თურმე დაუდგამს
შენზე ლოცვები ურყევ ტაძრებად.
აჰა, მისი ძე,
შენი ღვიძლი ძმა.
მამის თილისმით მონუსხულია.

იმის კლდეზე ჩამოტეხილი,
მისი სისხლი და მისი სიკეთე
გაქრულიყოფა

6

მძიმეა შენი შეცოდებანი,
ეს წაგიძღვება განსაწმენდელად.
შენს ახლო იყო მამის წალკოტი,
მისი ია და მისი ენძელა.
ვერ შეამჩნიე...
ამან იბილა
იმის სურები აუვსები და
ესსურებოდა ჯადო შეხვები
მისი სინათლის აუზებიდან.
შენ უარყავი...
ამან შეიცნო
და შეიყვარა თავდავიწყებით.
შენ დაივიწყე...
ამას ცეცხლი წვავს
მამის ხსოვნის და არდავიწყების.
თქვენ ორი რტო ხართ ერთი მუხისა,
სხვადასხვა მხარეს ხართ გაშვებული.
იგი გაგამხელს,
რასაც გიმალავს
შენგან გმობილი მამის წერილი.

7

ნუ, ნულარ განსჯი...
ვხედავდი ცეცხლი
ქრებოდა მასში,
სულს ვუბერავდი.
შავი ნალევლით იყო მოსილი,
მინავლებოდა ალი ფერადი.
მე შემეყვარდა
მისი ნალველი,
მე შემეყვარდა
მისი ღაღარი.
ცასა წედებოდა მუნჯი ღუმელი
და მწირო სულის ნალაღაღარი.
ასაკით მცირე ვიყავ იმაზე,
მაგრამ ტანჯვანი გუქონდა ზიარი.
ეს სიყვარული
მინც აყვავდა,
ეს სიყვარულიც
ღამაზი არი.
და ნულარ განსჯი...
ამ სიყვარულის
მეტი სხვა ცოდვა არ ამძიმებდა.

მე სამუდამოდ დავრჩი მის ლოდზე
აყაბუცებულ ცრემლის წვიმებთან.

8

მამა არა მყავს,
დედა არა მყავს...
იმ უცხო მხარეს დავსამარე.
ობლად შემოვრჩი მე ყინულის
მათულებლართებით გაკრულ სამიანებს.
განგვაკულავეს...
გადაგვასახლეს...
მამულს გაგვეყარეს და გაგვარიდეს.
კვარით ვითბობდით გაყინულ თითებს,
სულსაც ვითბობდით იმავ კვართვე.
დედაც დავკარგე,
მამაც დავკარგე...
იმერეთისკენ გზას ვერ დავადიქ-
დავრჩი ობლად და
კმუნვის სურები
ამევსო მწარე შხამით თავამდე.
სასომიხდილი თავად
ანაზღად.

იმ სულ ცხოვრებულს შევხვდი
ღვთაებრივს.

ნუ,

ნულა განსჯი შენ ამ სიყვარულს,
ულმერთოდ ნულა შეგვედავებო.

9

ეს ბიჭი ზარდა...
გაოგნებული
ჩემს დიდ სიყვარულს არად აგდებდა.
მზე ჩრდილოეთის მიბეჭუტულიყო

გამოფიტული ღრუბლის ნაკვთებითან.
ეს ბიჭი ზარდა ეროვნული
ხმბლნიცნიქა
თავის ნებაზე
და უყვებოდა შენზე ლეგენდებს,
როცა შეხვდებო, შენც შეუნდგო
ამ წუთისოდის ცოდვილთ ეგეთებს.
ამაში ჩარგო შენი ყვავილი,
ეს მხოლოდ ძმობის არ არის ზღვარი.
თქვენ ორმა უნდა ჩამოჰკრათ ხვალ-ზეგ
კაცთმოყვარების სამრეკლოს ზარი.
ამას ღალადებს მისი შენდობა,
ამ ბიჭის სულიც ამას ღალადებს.
შენთვის აგროვა განწმენდის შეუქი,
რათა გაგიძღვეს ღვთიურ ბალამდე.

10

ჰა, ეს წერილი...
გულისჯიბეში
ამ აუწონავ წუხილს იტევდა.
განმარტოება უყვარდა მუდამ
ყინვის კალთაზე გაზრდილ ჩიტებთან.
რა არ ვიღონე...
ჩემს სიყვარულთან
ვერ დავუშვებდი ნებსაყუდარი.
შენსკენ ილტვოდა
და იღლებოდა
ამ ბიჭის ცეცხლთან ლოცვა-მუდარით.
ეჩქარებოდა შენი განწმენდა,
ამას შიანდო ალი განწმენდის.
სხვადასხვანი ხართ,
მაგრამ იმისი...
სისხლი ძარღვებში გაქვთ ჩანაწრეტი.
ამაში ჩარგო შენი ყვავილი,
ეს მხოლოდ ძმობის არ არის ზღვარი.
თქვენ ორმა უნდა ჩამოჰკრათ ხვალ-ზეგ
კაცთმოყვარების სამრეკლოს ზარი.

მონოლოგი — მომავალი ხალი

1

მრავალჯერ ღამე გვითენებია
დათვის ბელებთან
და მგლის ლეკვებთან.
ერთი ლეგენდა უყვარდა ძლიერ,
მამაშვილობის მძაფრი ლეგენდა:
...ამოეფარა კაცი სამილაფს,

გამოედევნენ მეფის კაცები.
თავი გასწირა,
რომ შეიღოს სახელი
არ შერჩენოდა მამის გამცემის, —
გადაიბირა მეფის ქამუშმა:
„თუ გატყუებდე, ღმერთმა შემრისხოს,
მითხარ სად არის, უნდა ვუშველო,
მე ძმაყაცი ვარ მამაშენისო.“

და დაუჭერა ბავშვმა,
ჭამეში
სამალაეისკენ მიჰყავს გზაწერილით.
რომ არ დაერქვას, გამყიდველი,
ხსნა,

შველა უნდა შვილს თავგანწირვით.
სამალაეიდან გამოხტა კაცი,
შვილს შეეგება უიარაღო:
„წადი და მამაშვილობის მზეში
სოფელმა გათბოს, გზარდოს,
გალალოს!“

გაიქცა ბავშვი,
სოფლის ბილიკებს
გაჰყვია ყოცინით და აღტაცებით.
მადლობა უფალს,
სამალავამდე
არ მოიყვანა მეფის კაცები.
არ დაინდობდა სოფელი
მამის
გამყიდველსა და გამცემს ნიადაგ.
„წამიყვით ახლა, საცა გენებოთ,
შვილს რაკი ვტოვებ ღვთიურ
ნიათთან“.
ამბობდა კაცი და ჩასაფრებულ
მეფის კაცებთან თვითონ მივიდა.
„მამაშვილობის ერთგულების მზეს
მე ჩემი ტანჯვის ზღვართან მივიტახ“.

2

„ვაი, იმ მეფეს,
შვილები გაწვრთნას
მამის გამცემად და მოლაღატედ.
ამგვარ შვილებით როგორ მიაღწევ
მამაბაბუკი მინდვრის ყანამდე?!
ვაი, იმ მეფეს,
ვინაც ააგებს
გამყიდველებით საფხე სასახლეს,
მამაშვილობის დროშებს დაფლეთს და
ჭვეყნად სისხლისღვრის ჰომნებს
დამძახებს.“

რას,
რას აშენებ უფრორე დიადს,
ადამიანის სულის შესადარს?!
პირამიდებიც ცად მიბჭენილი
არა ღირს კაცის წამის კვნესადაც.
ვაი, იმ მეფეს,
ვინც მამის გამცემ
შვილების ძეგლებს ააგებს რუხებს.

2. „მნათობი“, № 5.

ფესვები მაინც გაუნედლდებოთ
ამგვარ მეფეთა ნამებარ ქვეყნულში
ზინზლინიონქან

3

ლეგენდის გმირის სიტყვებით
მწვრთნიდა
და ერთგულების ცეცხლს მიჩალებდა.
მოგიგონებდა და მიამბობდა,
როგორ ლალობდი ბაღია-ბალებთან.
ხელს ჩამავლებდა,
გამიტაცებდა,
ყინულზე ქართლის მთებს მიხატავდა.
ხშირად ვყოფილვარ მიფიცებულნი
შენი კერის ბუხრის ღაღართან.
მე ძმა ვარ შენი,
სისხლი და ხორცი,
სისხლი და ხორცი გატანჯულ კაცის.
ჩემში შეერთდა შენი და მისი
დაუნდობელი საწუთრო მკაცრი.
ვინახავ მე მის გადამწვარ ღმირს,
წინ წაიგმდვარებ ხვალ-ზვგ დროშადაც.
შენ იწვებოდი მამულის მზეში,
მე ყინულეთის ქარი მთოშავდა.

4

ჩემში შეერთდა შენი და მისი
ძაფი,
გამწყდარი დროის ქარიშხლით.
გაზომილია ეს ცოდვა-მადლი
მამაშვილობის ღვთის ანგარიშით.
შენ გადაგძალეს,
შენ არ დაგინდეს,
შენ გაგაქვავეს შიშის ზარებთან.
დაუნდობელი დრო-უამი იგი
ანკარა ცვარში შხამს გიზავებდა.
ჩრდილოეთის და საქართველოს გზებს
მე ვაერთებდი იმის კარავთან.
კავკასიონის მწვერვალებისკენ
ფრთებს მიგეშავდა,
გზას მიკვალავდა.
რათა შენამდე მუც მომელწია,
შევმატებოდი იმის შენდობას.
იგი,
ჭვარცმული,
ამაღლებული,
ჩვენი მომავლის მზეს დაშვენდება.

საქ. სსრ კ. შა.

5

იგი ხარჭავდა ღვთაებრივ ძალებს.
წუთისოფელის მშფოთვარ მინდორთან.
გაპატიებდა ყველაფერს, ძმო,
სამშობლოს ღალატს არ შეგინდობდა.
თუმცე შორს ვიყავი მე მამულისგან,
უცხო ყინულებს მკერდზე მადნობდა.
ქართული სიტყვის ელვით გამპოხა
ჩრდილოეთის ცის მბეუტავ მნათობთან.
მისი სევდაა ჩემი სამშობლო,
ცივ ყინულების ცას ასხლექილი.
მე იმას,
როგორც მამულს სანატრელს,
ზედ დავაშენდი ნათლის სვეტივით.
აჰა, მოვედი,
არ მოუცხოო,
შენს ჭვართან შემწედ ვარ შემართული.
შენამდე ძნელი გზებით ვიარე,
ისმინე ჩემი ზმა და ქართული.

6

ალბათ აჩრდილნიც შენივთებულან
ჩემში წინაპარ ბედსავე ქართველთა,
ნაწილ-ნაწილად მათი ლანდები
კვლავ შეერთდენ და ჩემში გამრთელდა.
ზოგი სპარსეთში,
ზოგი სტამბულში,
ზოგი ეგვიპტის პირამიდებთან
ჩნდებოდა,
მერე უცხო ტაძრებზე
ცრემლებში დამბალ დროშებს
ჰკიდებდა.

იგი მწუხარე მოლანდებანი
მან მოიხზო და მე დამიტოვა.
მათი სევდაა ჩემი სამშობლო,
ჩემ თოვლთან მათმა თოვლმაც ითოვა.
უცხო მიწაზე შობილნი დრტვინვენ,
ჩემში ელარუნებს მათი ზარები.
ნულა შეგაკართობს მშვიერი ხმები
ჩემი ლოცვების და აღსარების.

7

შენ უარყავი მამის სახელი,
მე ვაძლიერებ მამის ტახტრევანს.
ჩვენ ორი რტო ვართ ერთი მუხისა,
ვერაიენ შესძლებს ჩვენს გადამტყვევანს.

შენ აგირიეს ჭკუა-გონებზე,
მოვედი, რათა მხარში შეგედევნე
ჩვენ მამულს უნდა ვუზარდოდეთ მამად
შვილებს,
მამების ერთგულ შეგირდებს.
მიტომაც მზარდა და დამიტოვა
მე — ეს ანდრძი,
და შენ — შენდობა.
ცოდო ხარ, მარტომ ზილო ის ცოდვა,
რითაც დროების ეშმამ შეგთოკა.
მომეცი ხელი,
მე შენ გიშველი,
მე ხომ შენს ბედზე ვარ გაჩენილი.
შენებრ უღმერთოდ განწირულ
ბავშვებს,
ამაო, შეგუნდოთ მამაჩვენით.

8

მე იქნებ არც ვარ
მე,
მირაფი ვარ
იქნება მისი ნატვრა-ოცნების.
(ჩვენ ხომ მგოსნების წარმოსახვაშიც
ვჩნდებით და მერე არ ვიხოცებით).
იქნებ მეცა ვარ მგოსნის იდეა, —
არ მიიტოვა კაცი უშვილოდ,
გაძერწა ჩემი ამაყი სახე, —
რათა შენს ცოდვებს ახლა ვუშველო.
იქნებ მე მისი სიზმარი ვარ და
ღვთის ნება იყო ჩემი გაჩენა,
წამომაფრინეს ტანჯვის ჭვრებიდან
ქვეყნის მომავლის გადასარჩენად.
მომეცი ხელი
და განიწმინდე,
სხვა ბოროტებას ნულა გაეაჩნეთ.
ნუ გამოვუტანთ აწ ნურასოდეს
მამებს
უღმერთო ბედის განაჩენს.

9

წამო მერე და
მე შენ გაჩვენებ
მის მარადიულ ყინვის სარკოფაგს.
წაველებთ ქართლის მინდვრის
ყვავილებს
მის გასათბობად და შესასმეობად.
შენ მის საფლავთან მუხლებს მოიყრი

და მის ნათელში განიწმინდები.
 ახლა გამყვევი,
 შემომატარე
 ჭერ ჩემთვის უცხო ქართლის
 მინდვრები.

გამხვიე იმათ ცვარში და ნისლში,
 და საქართველოს მზეში გამათბე.
 იმ დაუნდობელ დროის ქარებზე
 ნუ ვისაუბრებთ,
 ნუ ვიკამათებთ.
 გამოთავისე და შემეგუე,
 მერე რა, ვიყო თუნდაც მირაჟი.
 წამო,
 გამბანე შენს მდინარეში,
 მერე გამხვიე მის ცხელ სილაში.

10

მომეცი ხელი,
 ჩამჭიდე მაგრად,

შევეშველები შენს ტრაგედიას.
 ჩვენ ორი რტო ვართ სურსამ მტკვარსა
 და ჩვენი ბედი მუხინს ხელსი, ვინაჲს
 მე მოგიშუშებ დროის ნამეხარს,
 შენს ნამეხარზე დაედებ მაღამოს.
 გესმის,
 ის გვიხმობს:
 დაგიფართოთ
 შშობელმა ზეცამ და ქვეყანამო.
 ჩრდილოეთის და საქართველოს გზებს
 მე ვაერთებდი იმის კარავთან.
 კავკასიონის მწვერვალებისკენ
 ფრთებს მიგეშავდა,
 გზას მიკვალავდა.
 რათა შენამდე მეც მომეღწია,
 შევემატებოდი იმის შენდობას.
 იგი,
 ჭვარცმული,
 ამაღლებული,
 ჩვენი მომავლის მზეს დაშვენდება.

ავტორის აოლო მონოლოგი

1

ჩემო მეზაღვე,
 შენს ხეივანში
 მე ეს აჩრდილიც მსურს დაეამკვიდრო.
 ხო მითხარ,
 იმათ ხსოვნას დავარწვე
 მარადისობის ლოდის აკენითო.
 გზად შემომადნა ყინვის ლოდები,
 ვერ მოვიტანე მაგ ლოდებამდე.
 შემოვივალ ბაღში და უცოდველი
 მოლანდებანი მოგროვდება დღეს.
 დღესაც,
 ხვალაც და
 მერეც..
 ფიჭვები
 ცას აწვდებიან კენწეროებით.
 სოფლის ხეების ყვითელ ფოთლებსაც
 მოაყრის ამათ ქარი ნოემბრის.
 წუხელ უშენოდ შემოვიპარე,
 მიხმობდა ფიჭვთა მშვიდი ებანი.
 ..
 უცებ ლოდებზე ამოიზარდნენ
 ის კურთხეული მოჩვენებანი.

2

ამოიზარდნენ,
 როგორც ძეგლები,
 ამოქყვით ვარდისფერი ნათელი.
 აღმართეს ხელი და ათრთოლებდნენ
 მთვარის შუქს ფიჭვთა მხრებზე
 განფენილს.
 „ჩვენი მთვარეო“,
 „მკვდართა მთვარეო“,
 „ხსოვნის მთვარეო“, —
 წაიგალობეს.
 „მადლობა უფალს,
 შინ დაგბრუნდითო,
 მადლობა მკვდართა უფალს
 მწყალობელს!“
 გალობდნენ ასე და ირხეოდნენ
 ვარდისფერ შუქზე აღანდულები.
 აღარ ახსოვდათ ფაში განდევნის,
 განკიცხვისა და განადგურების.
 ეფერებოდნენ მთვარის მკრთალ
 ნათელს,
 ნიავის ფრთებზე მიმორწეულნი.



დაბინდულ ციდან მათეკენ ანაზდად
დაეშვა უცხო ლანდი ეული.

3

მე გამოვიხმე ის შორეთიდან, —
ჩემი პოემის გმირის აჩრდილი.
ის იქ დაეტოვებ,
ცოც კალიმაში,
ყინვის ლოდებში უღვთოდ გაჩრდილი.
შემოვიყვანე შენს ხეივანში,
რომ შემოადნეს ყინვის ჭავშანი.
აჰა, წარუდგა შენს აჩრდილებს და
იმათ წინაშე დგას დამაშვრალი.
შემოაფუთნეს მთვარის ბლონდები,
და შეათბუნეს ფიჭვთა ნიაეში:
„მოდი, ძმობილო,
აქ დაივიანე
ამ ფიჭვნარში და ამ მთვარიანში“.
ვარდისფერ შუქზე შემოაყენეს,
აუღვლვარდა თვალი ჩამქრალი.
„ვინ იცის,
სად არ ვმარხვივართ,
მაგრამ
ჩვენი სულეები აწი აქ არი“.

4

„მოდი, ძმობილო,
შემოდექ ლოდზე,
ეს კვარცხლბეკია,
ჩვენთვის დადგმული.
წამების გზები გამოვლილია,
აქ არის ჩვენი ბოლო სადგური.
შენ ჩვენზე მეტად გაგწირა ბედმა, —
ყოფილა ზვედრი ჩვენზე მწარეცა.
დროყამის წვიმა იმ სისხლიან კვალს
ვეღარასოდეს ვეღარ წარეცხავს.
მოდი, ძმობილო,
ეს ხეივანი
ჩვენ გაგვიშენა კაცმა კეთილმა.
კვლავ გვახსენებენ სოფლისკაცები,
სოფლიდან არა, არ მოვკვეთილვართ.
ამ ლოდებში აქვს შემონახული
მებაღეს ჩვენი წვა და წუხილი.
მოდი,
შემოვხსნათ ყელზე მარყუეი,
შემოტყერილი ცხელ მარყუეივით“.

5

და დაიყენეს მხარდაშენ ლოდებზე
ცად აღვლინეს ლოცვა-ქებანი.
მე იქ ვიდექი
და ვერ მამჩნევდნენ
სულკურთხეული მოჩვენებანი.
არას ამზობდნენ რისხვით და ბოლქით,
არც არაფერს და არვის კიცხავდნენ...

უცებ შემნიშნეს,
ჩემსკენ მობრუნდნენ,
ხმა ამოიღეს და განმიცხადეს:
„ჩვენ წუთისოფლის გზაზე ვიარეთ,
შენ შეგიძლია ამ გზებს გაახედო.
ჩვენ შურისგებას კი არ მოვიტხოვთ, —
უკეთესი გზა გამოჩახეთო“.
თქვეს და ჩაბრუნდნენ ისევ ლოდებში,
ფიჭვებზე ცისკრის შუქმა იალა.
ნიაემა მთვარის თხელი ბლონდები
ფიჭვნარის თავზე შეაშრიალა.

6

ჩემო მებაღევე,
სხვა თაობები
შენს ხეივანში შეჩერდებიან.
და მიხვდებიან, რომ ეს ლოდები
კაცებია და არა ქვებია.
კვესს ჩამოტყრავენ, მათი ნაპერწკლით
აქ ანთებენ სანთელ-ჩირაღდანს,
და ფიჭვთა რტოებს ააყდერებენ
ჩანჯ-ფანდურებად, არფა-ლირადაც.
ჩამოიჭროლებს ბაღში ნიაევი,
მუკნარი ფოთლები რათა აშხვეტოს.
ამოიხრება ლოდიდან ხმები:
„უკეთესი გზა გამოჩახეთო“.
შეჩერდებიან აქ თაობები,
ლოდზე დადებენ გვირგვინს ეკლიახს.
მოხდება ეგაც:
გაიხსენებენ
მამაშვილობის ამ ელეგიას.

7

შორს,
კალიმაში,
ორი ყმაწვილი
შეჩერდა ყინვის ეულ ლოდებთან.

მამის საფლავთან როს მიადწიეს,
 მამინ იცისკრა და შემოთენდა.
 მუხლმოყრილია ცოდვილი შვილი,
 აწონილია მამის ვარამი.
 იქ ხეივანი არ გაშენდება,
 იქ დადგმულია თოვლის კარავი.
 რაკი შენდობის ძალა მოგვმადლე,
 ნუ გაგვინელებ ნურცროს, უფალო.
 ცოდვილიან შვილს,
 თუ არა მამამ,
 აბა, სავალი ვინ გაუკვალოს?!
 მუხლმოყრილია მამის საფლავთან,
 ყინვის ლოდებთან განწმენდილია.
 ოსანა,
 მამის მოწყალე გულსო, —
 აღმოხდათ ჩრდილო ქარებს ყინვიანს.

8

შემოცვივდება,
 ჩემო მებაღევ,
 შენს ხეივანში სოფლის ბავშვები.
 გალუმბული ვარ დილის ცვარნამით,
 ამ ყმაწვილების ახლო გაგშრები.
 მიაცხრებიან ლოდებს ყიყინით,
 მკლავებს გაშლიან წმინდა ლანდები.
 მათ სახელიოდ სისხლს შეუცხებლებს
 ამ ხეივანის მზე ახლანდელი.
 სოფელი მიდის,
 მიდის სოფელი,
 წუთისოფელი ხავსს არ იკიდებს.
 ბავშვებო,
 თქვენი ხმა მომაწვდინეთ
 და თქვენი ცეცხლი შემომიკიდეთ.
 სდუმან ლოდები,
 ყური დაუგდეთ
 შიგ ჩაქვავებულ წმინდა აჩრდილებს.
 მათი ფერები აქ მოფანტულა,
 თქვენ ის ფერები აღმოაჩინეთ.

9

ხედავთ, კეთილი მებაღე შრდის,
 ისმინეთ მისი სულის ჩურჩული:
 „— თქვენს ბედზე არის ეს ყვაილები
 აყვავებული და გაფურჩქნული.
 საქართველოს კლდის ნატეხებია,
 აქ მხოლოდ კაცთა სული ჩაიდგეს.
 ქართლში დატოვეს მათ ეს ლოდები,
 სახლიდან ღამით როცა წავიდნენ.
 მას მერე ბევრი ქვიშა დარჩა წყალს,
 ცამ ბევრი შავი წვიმა ასხა ხეს.
 ამ ფიჭვებშია აფეთქებული
 მათი სიმწვანე და სიხასხასე.
 მიწას წალეკავს ამათი ჭავრი,
 ეს ლოდები რომ მეხმა დახეთქოს...
 თქვენ, თქვენ გიხმობენ:
 „წუთისოფელში
 უკეთესი გზა გამოხატეთ“.

10.

ჩემო მებაღევ,
 აბა, ეს სევდაც
 მე დავაწრიტე შენს მუნჯ ლოდებზე.
 ჩვენი აჩრდილნიც ამ ხეივანში
 შემოჰყვებიან ღამეს ოდესმე.
 მგოსნის ჩანგიდან ვერ ამოვარდა
 შეუღობლობის ქარი სარისკო.
 ვერ ვიღადადე:
 სისხლი სისხლის წილ
 და კეისარსა კეისარისო.
 ჩემო მებაღევ,
 შენს ხეივანში
 სხვა თაობები დაივანებენ.
 დაინახვენ ამ ლოდებიდან
 მირაყებივით აშლილ ზმანებებს.
 სდუმან ლოდები,
 შეკუმშულია
 მათში ზართა ხმა, ერეოლის მომდები.
 ქვეყანას წალეკს, კლდეებს დაგლეჯენ,
 თუ ახმაურდნენ მუნჯი ლოდები.

სიმღერა

გამიტაცებენ სადმე წყველიადში
ჩემი ნათელი თეთრი სიზმრები...
ოღონდ მიაშბე, ისევე მიაშბე,
როგორ ვეკვდები და როგორ ვიწყები.

როგორ მომდევნ მუდამ ფეხდაფეხ
ჩემი ლამაზი ცივი ქარები
და როგორ მიყვარს, როცა მზის გულზე
ვდგავარ და არვის არ ვემალები.

გამომიწოდე ჩემი საყურე
ყალბი ღიმილის ჯაჭვით მორთული.
მე ვიცი ახლა, როგორ მიშვრენ,
როგორ ბრჭყვიალებს თვალი
მომხვედურის.

ვიცი, გატანა უფრო ძნელია,
ვიდრე სიცოცხლით ისევე ავსება

და ისე მძიმედ სუნთქავს სამყარო,
როგორც სინათლის გადასახლება.

გამომიტანე შენი სახლიდან
ერთი ნამსზვრევი ფერადი ჭურჭლის,
რომ დავინახო მზის ფრინველები
და ვიგოძნო, ფრენა არავის უჭირს...

გადამიშალე თოვლი — ნათელი,
როგორც სითეთრე მოსული ციდან.
რომ მივხვდე მიწა ისეა სავესე
გაზაფხულით და ისეა წმინდა.

გამიტაცებენ სადმე წყველიადში
ჩემი ნათელი თეთრი სიზმრები...
ოღონდ მიაშბე, ისევე მიაშბე,
როგორ ვეკვდები და როგორ ვიწყები.

პრემიერა თეატრში

ანუ

გასაუბრება ნახევრადნაცნოვ რეჟისორთან

ქარმა აიკლო ჭადრის ხეები,
აქ კი ისეთი თბილი დარია,
და მოდის შენთან უცხო ფერებით
ხალხი, რომელიც არ გიხარია.

მე მოულოდნელ ზეიმს ვესწრები,
ზეიმს, რომელიც ეკუთვნის მრავალს...
სცენაზე სიბზო და ყვავილები,
სცენაზე წვება სინათლის ქარვა.

ო, რა კარგია, როცა ეწვევი
გახუნებული ბავშვობის ქალაქს
და გრჩება მზეზე ძველი ფესვები,
სიცოცხლე გიყვარს და აღარ გზარავს.

(ჯერ დიდებამდე ისე შორსაა,
აღბათ არც გვინდა დაფნა დიდების...)
მხოლოდ ლექსებში ერთი სინათლით,
ერთი ზეიმით მეტი ვიქნები.

**ნიწო თარიშვილის ყვავილავის მავიარ დაბადების
80 წლისთავზე**



ისე უჩუმრად, მოკრძალებით
 მოდის მაისი,
 თითქოს გულზე არ გადაიხმურა,
 წლების ნატერფალ-ნატყვიარები
 გაიყოლია ათას სამუშაოდ.
 და სიჩუმეში მკრთალდება ბინდი,
 გადანისლული დამე ყოველი...
 რალა იქნება სიცოცხლის იქით,
 რა დაინახავს მკლავებს მოცელილს,
 რა დაინახავს გათიბულ მინდვრებს,
 დაკრფეილ ბაღებს რა დაინახავს?...
 როგორ ბრუნდება ისევ და ისევ,
 როგორ აწყდება ლექსი ღია კარს;
 როგორ ზეიმობს სიჩუმე ცივი
 და რა ფერებით, მათ რა იციან?! —
 მიხაცის ნაცვლად მზის ხავერდები
 გაუფენია გზაზე ტიციანს.
 თეთრი სინათლე ისევ ყვავილობს

და ეს სინათლე მძლეოთა სულია;
 ღამენათევი ლექსით პაოლოს
 ჩამოუტლია გული სრულიად...
 და როცა ლურჯი იღება ფარდა
 და სარკეებში თვლემენ იები,
 ის ღანდიც მოვა ნაგვემ-ნაცემი,
 მაგრამ დიდი ზნის ნაპატიები.
 და ლექსი ისევ ამტვრევს დარბაზებს
 და იმ ლექსების სიცოცხლე მიაქვს,
 ამდენ აზარ და ავყია ასულს
 როცა ამქვეყნად პოეტი ჰქვია.
 ერეკებიან ლექსებს და ღანდებს
 თეთრი დროშები წვიმის და თოვლის
 და ყოველდღიურ მძიმე ყოფაში
 სინათლე მოაქვს სიჩუმეს ყოვლის.
 ვიცი, წაივინენ, აღარ არიან,
 ვერვინ მიუტანს ათასფერ ყვავილს...
 კდემას, სიჩუმეს და მოკრძალებას
 მინდა მიწამდე დავუკრა თავი.

ნეიტრალური ბალადა

ახლა ლექსში სანთელი
 უკვე ბანალობია,
 ახლა ლექსში ტკივილი
 უფრო სიცილს წააგავს
 და ცრემლების ღვართაფი
 როს მოსწყდება თვალთაგან,
 შენს გულში თუ დარჩება,
 ისიც მხოლოდ ხანდახან.
 დღეა ნეიტრალური,
 სუნთქვა ნეიტრალური,
 უფრო თეატრალური
 ხდება ჩვენი ცხოვრება.
 არაფერი არა გვაქვს,
 მაგრამ თუ გვაქვს ხანდახან,
 თან არაფერს წაივინებთ,
 არც არავინ გაგვატანს.
 ნეიტრალურ ხელს ართმევ
 ნეიტრალურ მეგობრებს,
 ნეიტრალურ სიმღერებს
 შეეჩვია გონება,

ახლა, რაც სათუთია,
 ახლა, რაც ზურმუხტია,
 ახლა, რაც ღამაზია
 უკვე გვემდროება.
 ნეიტრალურ კლავიშებს
 გადაედავ შენდობით,
 ნეიტრალურ სიმალღეს
 ნეიტრალურ შენობის
 თუკი მოსწყდა სინათლე,
 გადახედავ შენდობით,
 აღარც გამბედაობა,
 აღარც კარის შეღებვა.
 გათიშულნი სამყაროს
 ვსხედვართ მყუდრო ბინაში,
 სადღაც უხმოდ ჩაგვივლის
 ბავშვობა და სინაზე.
 თან არაფერს წაივინებთ,
 არც არავინ გაგვატანს,
 მხოლოდ უამინდობა
 შეგვაწუხებს ხანდახან.

მომავალ, მომავალ მაისამდე



ქართული

ალექსანდრე ქავჭავაძის

ისევ თეთრია შენი სახლი,
 დღეები გაწამდნენ და აღარ ჩანან...
 ღრუბლებო, მომავალ მაისამდე,
 მომავალ, მომავალ მაისამდე...
 აქედან წასული გზა და კვალი
 სულ ივლის ათას გაისამდე
 და შენ დარჩები, როგორც ის ხმა:
 „ეს მე ვარ, ქავჭავაძე ალექსანდრე“.

ისევ თეთრია შენი სახლი,
 ველებს მზის ცეცხლი წაეკიდა,
 ისევ იწვიან ასულები
 მომავალ, მომავალ მაისამდე...
 წელში გაწყვეტილი მისამდერი
 მიდის, მიდის და არ ბრუნდება;
 დაველოდებით, როგორც ის ხმა:
 „ეს მე ვარ, ქავჭავაძე ალექსანდრე“.

ისევ თეთრია შენი სახლი,
 ზეცა შეთქმულივით აირია,
 იწვიმებს, იწვიმებს ისე დიდხანს,
 მომავალ, მომავალ მაისამდე.
 წვიმაში ვიდგებით დაუღლელად,
 ნეტავ ავიტანდეთ, ავიტანდეთ,
 გზაზე სიმშვიდით ჩამოივლის:
 „ეს მე ვარ, ქავჭავაძე ალექსანდრე!“



გივი სულაიაური

მეტაფიზიკური სხეულები

19 ნანსხვანძვი

უბრძანე თვალებს
ბულისა და მტერის
ფარდიდან
დაინახონ,
როგორ ისრუტავს
შენი ქალაქი
მთვარისა და ვარსკვლავების,
ლამის კოქტილს...
(ლამისმთევლები
სადღაც შიგნით,
თავის ქალაქში იხედებიან.
მოჩანს ტვინი—
მარჯვენა და მარცხენა
ნახევარსფერო,
როგორც წყვილი კამათელი
თიხის ქიქაში).

ლამე.
ცაში წითლად ფეთქავს
თვითმფრინავი.
თვითმფრინავში წითლად ფეთქავენ
გულები.
გულებში წითლად ფეთქდება
განთიადი.
განთიადი წითლად აფეთქებს
ხეებს.
ხეებზე წითლად ფეთქებიან
ჩიტები.
ჩიტებში წითლად ფეთქდება
მზე.
მზეს წითლად უფეთქავს
პროტუბერანცები.
ლამეა...

*
რეკავს საათი —
თითქოს უნდა
კიდევ ერთხელ გამიმზილოს
ბევრჯერ გათქმული საიდუმლო.
საათი რეკავს —
ექო გაისმის
ჩემს ცარიელ ჭიბეებში,
როგორც ზარი —
სკოლის ცარიელ დერეფანში...

*
თავის ზიბლი აქვს სიცარიელეს.
მე ვიცი, რომ დღეს
ცარიელი ვარ,
მაგრამ არ ვიცი,
ცარიელია თუ არა ბინა,
სადაც უაზროდ დადებორიალობ
და რომელშიც
თან დამდეგს ჩრდილი
პორტის კახპას
აკიდებელი
დასპირტული მეზღვაურივით.
ის იმეორებს ჩემს მოძრაობებს,
და შეუძლია (უხმაუროდ)
გასრიალდეს მაგიდაზე,
გადატყდეს ჰერზე,
ერთდროულად
იყოს კედელზეც და იატაკზეც,
გაჭრას მინა
და იქითა მხარეს
დაეცეს.
(სამწუხაროდ?)

რა თქმა უნდა,
 მე მისაყვით არ შემოდლია —
 მე ან ვამსხვრევე,
 ან შევემსხვრევი,
 ანდა
 პირდაპირ ვჩანვარ მინაში.
 დღეს ჩემი ყოფნით
 ვეზმარები სიცარიელეს.

•
 მე დავემსგავსე
 ჩემს ძველ ეზოს,
 რომელსაც ერთხელ
 ბავშვობაში,
 წვიმების შემდეგ,
 მოხეტიალე მუსიკოსმა
 დაუტოვა
 უჩვეულო, თავისებური
 მელოდია.
 დავემსგავსე,
 ოღონდ მე ახლა
 აკვიტებულ სევდას ვლილინებ.

•
 ღია ფელკერი:
 — მიზაროდა,
 რადგან მეგონა
 ვარსკვლავები მეცემოდნენ
 თმაზე, სახეზე.
 (არც ერთი წუთი არ მაპატიეს,
 იქვე ამიხსნეს —
 ეს არის თოვლი!..)
 მივირდა,
 რადგან ვერ ვიფიქრებდი,
 ეს უცნაური ვარსკვლავები
 თუ ასეთი მსუბუქები,
 ამოდენები
 და ასეთი ცივები იყვნენ...
 განა მართალი არ ვიყავი,
 როცა პეშვები
 სავსე მჭონდა შეციებული
 ვარსკვლავებით...

•
 ნუ გაიხსენებ
 რა დაკარგე,
 სად რა დატოვე.
 თუ დატოვე — იაჩსებოს!

იქნებ შემთხვევით
 გადააწყდეს
 შენივე მსგავსი,
 რომ შენნაირი შეცდომები
 აღარასოდეს გაიმეოროს...



•
 არა მაქვს
 იმის დრო და თავი,
 რომ ვიფიქრო
 სად ჩავუხვიო,
 რომელი ქუჩა გადავჭრა
 და რომელ გუბეს გადავაბიჯო.
 მე ჩემსას ვფიქრობ,
 ჩემი სხეული თავისთვის მიდის, —
 ჯერჯერობით
 ნაცნობ ტრასებზე
 უშეცდომოდ,
 კარგად მატარებს...

•
 წითელი პლედი
 იალქანივით იბერებოდა
 აივანზე
 და მარტოხელა ქალის ღამეულ
 ვნებებსა და თავგადასავლებს
 ამცნობდა ეზოს...

•
 შემოლილი ბიჭი
 შემზარავი ნიშნით
 ტუჩებზე.
 (ბავშვობა მისი
 მილურსმული სიცარიელეს,
 როგორც ნალი — კარს)
 და მისი ლტოლვა
 (ქაოსის მიღმა)
 უგონო და უნაყოფო —
 ქალებისადმი...

•
 ეზო გაფატრეს,
 ორად გადახსნეს —
 ოხშივარასულ ნაწლავებივით
 გადმოყრილან
 სქელი მილები...



ჩვენ აქ ვცხოვრობდით,
და მე ხანდახან
თვალს ვადევნებდი
მარტის თოვლს
და სინამდვილეში
სხვა თოვლს ვხედავდი —
დიდი ხნის წინათ
გამკრთალს თვალებში,
სხვა თვალებში
და სხვა ეზოში.
ახლა ისე ვარ,
თითქოს ფილტვებმა
პირველად იგრძნეს
სიგარეტების ცოცხალი კვამლი...

ღია ფელკერი:
— ცრემლმომდგარი თვლებიდან
ბალახი და ყვავილები
მოჩანან ისე,
როგორც წყალქვეშ ფერადი
ქვები...

დავეირვებიხარ,
გაზაფხულზე,
განთიადისას,
როგორ იპყრობს
ხეებს და ჩიტებს
ტოტალური შიზოფრენია?...
•

Hare Krishna —
ასე მღერიან
დღეს ბიჭები —
ანგელოზები.
ფასკუნჯი კი წუხს:
— აღარ არიან
ის ვაუკაცები,
საკუთარ კუნთს რომ
გამოითლიდნენ...

ცოცხლისთვის ზოგჯერ
გულგრილი ვარ —
სულერთია,
რა იდგება ჩემს ფანჯარასთან
ტირიფი თუ კიპარისი.
(მაგრამ მაინც
არ ჩანხარ ისე
გულუბრყვილო,
რომ დაიჯერო,
როცა მოკვდები
შენმა ქალმა მოგატიროს:
— ბავშვივით იყო,
მცირე რამეზეც
სიხარულის ცრემლი ადგაო...)

გულისყურს ველარ იმორჩილებ,
გადაიდო დღესასწაული —
შენი ფანჯრის ქვეშ,
ბუნკერიდან,
ამ დროს მანქანას
ნაგავი გააქვს...
ჩალას უცდი,
მაინც მიაქვს,
შენც გაეტანე...

ვხედავ შენს სახეს —
კიდევ ერთი,
დაუვიწყარი
და მშვიდი ღამე
გაგილუვია.
გეტყობა კარგი ქამი
დაგიდგა...

უბრძანე ხელებს
მიიკრან მკერდზე
თავის ქალაქი,
რომლის ზამთარშიც
2000 წელიწადია
მზე იხედება...

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი

საჩინხელი დევნები

ოთხნი იყვნენ, ოთხი დღევი. შარშან გაზაფხულზე ამოვიდნენ დაბაში, ახალი იყო თუ მაისი დაწყებული აღარ მახსოვს. დადიოდნენ ოთხივენი, ერთად, ზურგზეხელეზდაწყობილები. თავის ქველორლიან ეზოში მოფუსფუსე მასპინძელს ჭიშკართან რომ დაიგულეზდნენ, მორცხვად ჰკითხავდნენ: — საქმე არაფერი გაქვთ? შარშან პირველთოვლამდე იმუშავეს. როგორც ხელოსნები ეძახიან; პატარ-პატარა, დღიურ საქმეებზე. „შავ მუშებად“ არ ემეტებოდათ თავის გამოცხადება და აშკარა იყო, არც რომელიმე ერთი ხელობა იცოდნენ გამოარჩეულად. წელსაც ჩამოვიდნენ. ჩემი კარის მეზობლის — გივი ზაალიშვილის მოღუმთავრებელ საზღ-კარზე მუშაობდნენ და იქვე დაიღვეს ბინა. მოგვხსენებთ, ქართველებმა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ნამეტანი ახლთ-ახლო ვიცით დასახლება, ჩემი ოთახის ფანჯარა ზაალიშვილების ეზოსკენ გადის და მსურდა თუ არ მსურდა, ოთხი საჩინხელი დღევის საუბარს ვისმენდი დილიდან საღამომდე.

— აბა გამოხედე ერთი ზურია!

— რა გინდა?

— გამოხედეთქვა, არ გიგვიქცეს კედელი!

— ხო გითხარი, მარცხნივ, დოუჯავეთქვა.

— აბა, მარჯვნივ არი ესი?

— მარცხნივ არი, მარა ნამეტანი ავიღია.

— აქით შამევიდე უფრო?

— გეუბნები და არ გესმის და შენ უგე ახლა ამ კაცს პასუხი.

— შენ გოურიგდი, მე კი არა.

ზურია მიხედ-მოიხედავს და ნახევრადდატუქსევით იტყვის:

— მაი ქენი მადანა, ნუ აჭარტალებენას ჩხიკვივით.

— რასავითო?

ზურია პასუხს აღარ აძლევს.

ხმაურიანი მუშებიო რომ იტყვიან, სწორედ ესენი იყვნენ. გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, ხითხითებდნენ, ქილიკაობდნენ. თითქოსდა მთავარი მათთვის ერთმანეთთან ხუმრობა და ტკბილი მუსიკა იყო, ხოლო საქმეს ისე, გულის გადასაყოლებლად აკეთებდნენ. მოძრაობდნენ ზანტად, მოუხეშავად. ოთხივე ტანმრგვალი და სქელკისერა იყო. მათი სიცილის მოსმენას არაფერი სჯობდა. ოთხივენი ერთდროულად მიიგდებდნენ ბარ-ნიჩაბს და ქაფჩა-თარაზოს, მიწვებ-მოწვებობდნენ და ჩაბეირებამდე ძიგძიგებდნენ. მერე ერთ-ერთი მათგანი მოითქვამდა სულს:

— რავე უთხარი, რავეო?

— ამძორღით ახლა ზეით, გეყოფათ, რავეარტა ვუთხარი, ხო ვუთხარი, რა გინდათ ახლა.



— ხმარებაში გასწორდებოდათქვა?!

და ისევ ხითხითი ვულსწავლა მდებ. ხოლო სიცილის მიზეზი-დათვისტორება კაპია არ იცინოდა და რაც უფრო სერიოზულ სახეს იღებდა კაპია, მით უფრო უმატებდნენ ხარხარს ბიჭები.

მაშინ უნდა გენახათ, როცა, ან მორი იყო ასაწევი, ან ქვის საფეხური რკინის რელსზე შესადგმელი.

— ჰე გიყავიათ ყველას?!

— აქეთ მოდი, ზურია, რო გაგვივარდეს, ფებს მოგტეხავს.

— არ წამოვა, აქედან უნდა ლომის შედგმაო.

— არ წამოვა? დეინახე აბა!

— რავე არი მაქით საქმე?

— ავწიოთ?!

— მეიცა, სამს დავთვლი და შეუბეროთ ოთხივემ.

— დათვალე ჩქარა, დამაწყდა მკლავები!

— ერთი, ორი, სამი ჰოპ, კაათ არი!

— რა არი კაათ, შექცეულია შენკენ.

— გავასწორებოთ მერე.

— არაფერი გასწორებაი არ უნდა იმას. მეორე რომ მიედგმება, თითონ გასწორდება.

— არ მივა თავი?

— მისულია და ეგაა რაღა დარჩა.

— ეგ „რაღა დარჩა“ სწორედ საქმე, მამაჩემსა აქ ცხონება.

შუადღისკენ დევები ლაპარაკს უკლებდნენ და ჭიშკრისკენ გაურბოდით თვალები. ხშირ-ხშირად საათს ეკითხებოდნენ ერთმანეთს და ზურია ნაჭურჩალით თავმოცმული დოქით, რომელსაც თავისი ზომით კოკა უფრო ეთქმოდა წყაროსკენ გარბოდა.

— რა გეჩბარება ბიჭო. მევიდეს ის კაცი და მერე წაი წყალზე. ხო ხედავ, თბება, თბილი წყალი ესვათ იმდღევანდელივით?

— ეგება, სულ აღარ ამოდის დღეს და წყალი მაინც არ დავლიო?

მზე ტატნობს ცოტა რომ გადაშორდებოდა, ამოდიოდა გივი კალანჩხით ხელში. გივი პურ-მარილიანი, გულუზვი კაცია და უშურველად ამოჰქონდა სადილი. იცოდა იმერელთა „სისუსტე-

ები“ და ცხელ ჰადებს. ხახვი-წიწკარს, ჭყინტ ყველს და პარკოვანობას არ ივიწყებდა. და დიდხანს დამუშავებულ-ჩურჩულით სადილობდნენ დევები. მერე როცა ლაზათიანად დანაყრდნობდნენ, გივისთან ერთად ეზოში დაამოტეზდნენ და თავაზიან მასპინძელს ნახელავს აწონებდნენ. ხანდახან ქარს ჩემს ფანჯარაში შემოჰქონდა გარიგების საქმიანი მასლაათი:

— რაი ვინდათ სხვა, რავე ჩვენ ვერ გავაკეთებთ?

— რაი, ლესგაი? მეტი რა ვიცით აბა.

— რაიო ბიჭო?

— ლესგაი იციოთ?

— დისერტაციას ვერ დაგიწერთ, ბატონო გივი და ლექსს ვერ ავაწყობთ თეარა, დანარჩენი, ე საქმე ვიცით, ეს ოხერი. გვილესია? მეტს რას ვაკეთებთ საჩიხეში.

— ისე არც ლექსს დაგიწერთ, რომ მიმიშვა სხვაზე ნაკლებ, — წაიტრამახებებს კაპია — აკაი წერეთელი რავე, შორებელი კი არ იყო ჩემი. ბებიამეშს დედა ჰყამდა წერეთელი.

ოთხივენი შეთანხმებულეზივით სხვა ადგილას გადინაცვლებდნენ, ახლა იქ იტყოდა გრძელ სიტყვას მასპინძელი, ჩუმად, მარცვალ-მარცვალ ჩამთავრებდა სათქმელს ზაალიშვილი და არახრახდებოდნენ დევები:

— რაი, სვარკაი? სვარკის გულიზა იმ სიშორიდან კაცი უნდა ამეიყვანო?!

— თქვენი საქმე თქვენ იციოთ, მარა ფულის გადაყრა იქნება ტყვილად.

— სვარკაი? შე კაცო. სვარკაზე ვმუშაობ ჩემი დღე და მოსწრება.

— რავერც გვეტყვი, ისე შეგიდუღებთ თავებს. ქოთნის და ყურის ამბავი არ არი?!

მერე ისევ ძველ ადგილას, რცხილის ქვეშ შეჭკუფდებოდნენ.

— რა ვიცით, ჭერ თქვენ გვითხარით თქვენი ფასი, ბატონო გივი, გამტყვევები არ ვართ ჩვენე და არც საორდლისოდ ვაპირებთ ერთმანეთთან ნაცნობობას.

— ეგება, ჩვენ რომ ვითხრათ, არც თქვენ მეგეწონათ ისი. ამიტომ სჯობია,

ჯერ თქვენ გვითხარით, რა გიღირთ ამის ამოშენება ასე და გამართვა ისე, რავარც გვითხარით, თავის სვარკიან ყველაფრიანად.

— კარქათ უნდა გაკეთდეს აბა, გლახათ გაკეთება გაკეთება არი?

— მაგაზე ჭავრი ნუ გეჭნება.

— პირველად კი არ ვაკეთებთ, ბატონო გივი. საქმე რომ არ გვესმოდეს, მოვიკიდებდით ხელს?

სულს ცოდვილო, იმთავითვე ორი რამ შეეატყვე დევებს. ჯერ ერთი, ყველაფრის გაკეთებაზე თანხმდებოდნენ და როცა მუშა ამბობს, შვიდი ხელობა ვიცო, არცერთი არ ეცოდინება კარგად. გივის ეს სიბრძნე რაღას უშვეველის, მაგრამ შენ მაინც იცოდე საქმისათვის, ძვირფასო მკითხველო. მეორეც, ფულზე გაწუწუებულ მუშებს არ ჰგავდნენ. ამჟამად იყო რომ ფულის საშოვნელად იყვნენ ამ სიშორეზე წამოსული, მაგრამ თავის გარჯას ძვირად არ აფასებდნენ. რასაც მასპინძელი შეაძლებდათ, თანხმდებოდნენ. რაკი სიტყვას მოჰყვა, იმასაც მოგახსენებთ, რომ თუ ხელოსანი თავის საქმას ბრძნად გთავაზობთ, იქ რაღაც საეჭვოა. მალა ხარისხზე გაკეთებულს ნურაფერს მოელოდები. ვერც ეს შეგონება უშველის გივის საქმეს, მაგრამ, იქნებ, შენ მაინც სადმე წაგადგეს, ღრმად პატივცემული მკითხველო.

როცა გივის ცარიელ კალანჩაში ჩაულაგებდნენ თეფშებს, გაზეთსაც ჩაუფენდნენ ისე, სილამაზისთვის, ოთხივენი თავის ქნევით ქიშკრამდე მიაცილებდნენ და გივის ხეწნაგარეულ შეგულიანებაზე — „აბა, თქვენ იცითო“, თავის კანტურით პასუხობდნენ შემობრუნებულები, კვლავ რცხილის ჩეროს შიამურებდნენ. სადილის შემდეგ ცოტა ხომ უნდა დაესვენათ.

— რაღა იყო ბიჭო? — სერიოზული სახით შეატყურდებოდა შავუღვაშა, ქინჯილოჯათიანი ნიკუშა კაპიას და ყელში მოწოლილი სიცილისგან სულს ძლივს ითქვამდა.

— დეიწყოკიდო? არ მომიყვანო მათ-

ნა, თვარა გაგაბრტყელე ლევაშვიტო, — წყრებოდა კაპია. *მარტინეშვილი*
— რა მოგივიდა, თქვენი შენიც, სიტყვას პური არ უნდა და წყალი, — ურჩევდა ზურია.

— რამდენჯერ უნდა ვთქვა, საბურქალიო სხვა ვერაფერი ნახეთ? — უარზე იდგა კაპია.

— რაღა უთხარი, კაპია, იმ პატიოსან კაცს: ხმარებაში ნელ-ნელა გასწორდება კედელიო?! — ძლივს ჩაამთავრებდა მალალი, არსენასბეჭება, იმერულფაფანაკიანი როლანდა და თითქოს მუცლის გვრემა შეჰყრიათო, წამოგორდებოდნენ ბალახზე დევები. ცვაძმწვდენი სიცილი, მუცელზე ხელის ტყაპუნე, „ოპოპოპო, დევიბრჩვი კაცი!“ და „შენ აგაშენა ღმერთმა!“ აყრუებდა გარემოს.

ერთი სიტყვით, არაფერი სჯობდა ოთხი დევის ყურებას. ისინი ფულს კი არ ღვრიდნენ, მტრედებივით ლულუხებდნენ, ერთმანეთს სიტყვის მოგებაში ეჯიბრებოდნენ, ზმა-შაირში ებმებოდნენ. ყველაფერზე ეტყობოდნენ, სულ სხვა ცხოვრებისთვის იყვნენ გაჩენილ-მომართულნი. ნათხოვარივით, სურათის გადასალებად მოყვანილებივით ეჭირათ ხელში თარაზო — აქანდაზი, ბარი და ნიჩაბი. ჩემთვის გამოცანად რჩებოდა; ვინ იყვნენ, რა ქარმა გადმოაგდოთ წიფის გვირაბს აქეთ, ეს არისტოკრატული მიხერა-მოხერის, „დღიური მუშები“.

წინა კვირას, მგონი ოთხშაბათი საღამო იყო, გივი შემოვიდა ჩემთან აღვლევებისაგან ტუჩებგათეთრებული.

დავლუპე კაციო, ფანჯარას მიიადგა და თავის ეზოში იმზირებოდი, ხარჯი ხარჯად და ყველაფერი თავიდანა გასაკეთებელიო. ჭუდი მეჭუდეს უნდა შეეკერა, ხომ ვიცოდი მშვენივრად, მაგრამ ვენდე ამ კაიდდამამიშვილებს დაჩაჯობხრე საქმე, ვატყობდი, რომ ფინაჩურად აკეთებდნენ, მაგრამ ისე საყვარელი ხალხია, ვერ ვკადრე უხერხული ლაპარაკიო.

რა იყო რა გაგიფუტეს მეთქი.

მეტი გაფუტება რაღა იქნება; ამათი დაგებული კიბე ოწინარივით ირწევა,



კედელი ზიგზაგებიანია, ავზი წყალს უშვებს და სარდაფის არცერთი კარფანჯარა არ იკეტება.

რატომ მოუვიდათ ეს ამბავი, შესახებ ვეღარ ვიცი, თითქოს, მშვენივრად ჩანს აქედან ყველაფერი და მე როცა კი შევავლებდი თვალს, უნდა ვთქვა, გული ანად მუშაობდნენ. შენს მიმართაც კეთილად არიან განწყობილი, სულ შენს ქებაში არიან მეთქი; ვეცადე დარდი შემეშპებუქებინა მეზობლისათვის, მაგრამ ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი ცუდად შედეგებზე ავზს და მრუდედ დაწყობილ კბებს ცარიელი სიტყვით ვერას ვუშვებოდი.

ბოლოს ჩემი რჩევა-თხოვნით, და თვით დაზარალებულის შემბრალებ გულითაც, ასე გადავწყვიტეთ. მეორე დღეს გივი ქალაქიდან ორ მუშა-სპეცი-ალისტს ამოიყვანდა, თითქოს რაღაც რაღაცების გადასაცემებლად, სინამდვილეში კი დევების ნახელავ-ნახურჯალების გასასწორებლად. მოზითხითე საჩიხელებს არაფერს აგრძნობინებდა მასინძელი, გადაკრულ სიტყვასაც არ ეტყოდა, იმის თაობაზე, რომ მათი ნამუშევრით უკმაყოფილო იყო. მოშავალი გარიგებების დროს, თანდათანობით გადაიყვანდა მათ შედარებით ნაკლებად ფაქიზ — მიწის სამუშაოებზე და ეზოს მოწესრიგება-მოსწორებაზე.

დიდი ღელვა-ნერვიულობით ველოდებოდი მეც (თითქოსდა ჩემი სანერვიულო არ მყოფნიდა). რა მოხდებოდა მეორე დღეს, როგორ შეხვდებოდნენ დევები ახალ კოლეგებს.

ასე თერთმეტი იქნებოდა, გივი ზაალიშვილიმა ქალაქიდან ბერძენი მამა-შვილი რომ ამოიყვანა. ბერძენებმა ერთი ჩამოუარეს ეზოს, მეორე გადაიკვეს სატინის ხალათები და საქმეს შეუდგნენ. მუშაობდნენ თითქმის უხმოდ. მამის ხელის მოძრაობაზე ატყობდა, ბიჭი, რა იყო საქმით; რა უნდა დაეძაგრებინა და რა უნდა მოეწოდებინა.

ჩვენი დევები ამ დროს იატაკის ფიცრებს აშალაშინებდნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ. შალაშინს წამდაუწუმ სულს უბერავდნენ და ტარზე ჩაქუნს უკაყუ-

ნებდნენ. აშკარა იყო, შალაშინი არ მოწონდათ. ხანდახან ჩამოქრამდნენ-განი ზურგზეხელედ ამოიხრამდნენ, და, ჩემს საქმეზე მივიღივარო, ბერძენ მამა-შვილს ჩაუვლიდა, ცალი თვალით გახედავდა და ისევ საშალაშინო დაზგასთან შეგკუთვებულებს მიემატებოდა.

ალარ ისმოდა ზაალიშვილების ეზოდან სიცილ-ლიღინი. უსამელოდ გაგრძელდა დღე. მეც გადამედო იმ ეზოში დატრიალებული სევდიანი დრამა და წერას ვეღარ ვახერხებდი. სიტყვა სიტყვას არ მისდევდა.

...იქნებოდა ასე. ათი საათი, კიმეართან ჩემი სახელი დაიძახა ვილაცამ. გავეგებე. საგარეოდ გამოწყობილი ზურია მელოდებოდა. იქვე მოშორებით სამი დღევი იღგა ხელბობჩიანი და სამგზავროდ განახილებული.

შემობრძანდით მეთქი ეზოში იუარა.

„ბატონო შიო, მივიღივართ. ჩვენ ახლა. ალარ ეწყობა ჩვენს საქმეს აქ დარჩენა, ბატონ გივის ვეღარც კი გამოვეშვიდობეთ, თუ კაცი ხარ, მადლობა მოახსენე და ბოდიში მოგვხადე იმ კაცთანო. უცებ გადავწყვიტეთ „წასვლა“ და ვერც კი მოვასწარით გივისთვის გავეგებინებინაო.“

რაც ვიწრომეთ, იმის ფული მოცემული აქვს. ცოტა დარჩა, მაგრამ ალალი იყოს მაგაზე, ნამეტანი საყვარელი კაცია და ცოტა არ იყოს, ქე გვრცხვინია ასე დაუშვიდობებლად რომ მივიღივართო.

ჩვენს ამბავს, ალბათ, ქე ხედებით, ბატონო შიო, მარა მაინც გეტყვით ერთ-ორ სიტყვასო. ვის დაუშვალთ, არ ვართ ჩვენ მოხელეები, სოფლის უბრალო ხალხი ვართ და ჭკუა რომ გვქონოდა, არ უნდა მოგვეკიდა მშენებლობა-რემონტისათვის ხელი, მაგრამ იძულებული გავხვადა ცხოვრებაში.

ახლა, იძულებული რანაირად, კი არავის მოუყვია ჩვენთვის ეს საქმე, მარა ერთი-ორი კაბიკის შოვნა გვიხდოდა და, ასე ვთქვათ, გამევიპარეთ სოფლიდანო.

თქვენი დადგენილია ე კანონები და

თქვენ ვინ გასწავლით, მარა მინც უნდა ვითხრათ, ჩვენ ზარმაცები არა ვართ, არც ცოლ-შვილი მოგვტულებია ამხელი გზაზე რომ წამოვსულიყავით და ეზო-კარი მიგვეტოვებია. საქმე იმაშია, რომ ვერ ვართ სოფელში ისე, რა ვარც უნდა. მთელი წელიწადი უნდა ურტყა თოხი მიწას და ცოლ-შვილის სარჩენი და პატარა გადასარჩენი (ზომ უნდა გქონდეს კაცს ორი კაპიკი შავი დღისთვის გადანახული) ძალიან ქირსო.

ასე თუ გავრძელდა, ტყვილად ვიროც არ იმუშავებს დღეს, პატარა ხანს შევებდავთ ჩვენც ჩვენს საქმეს და შერე უნდა ავიბარგოთ სოფლიდან. არ გვაქვს მეტი გზაო, რაც შეგვიძლია, იმას გავაკეთებთ. ახლა ქე შევრცხვით ამ ძვირფას კაცთან, მარა ჩვენი ბრალიც არაა. ისე ადვილი ჩანდა გარედახ მყურებელი კაცისთვის ეს ხელობა, ეს ოხარო, რომ მოვტყუვდით და გავბითურდითო. შენ გებევნებით ოთხივე, რამენაირად ნამუსი მოგვწმინდე გვიხსთან. დაარწმუნე, რომ არ ვართ გლახა ხალხი ჩვენ, საჩხებლებო.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ზურაბი

შერეუდას ცეკვა არ იცის

არც ისე გრძელია კაცის ცხოვრება და არც ისე ძნელი, მოფილოსოფოსო მწერლები რომ ხატავენ. თუ შაბათობებს, დემონსტრაციებს და დასასვენებელ სახლებში გატარებულ დღეებს გამოაკლებს, შერეულ აბესაძეს შეუძლია ხატზე დაიფიცოს, რომ ამ ოთახიდან არც გასულა. ტექნიკულდამთავრებული, უღვაწლინლა ბიჭი მოვიდა სანვეტსადგურში და ისე დაბერდა, არც კი გაუგია. ცხოვრებამ მისთვის დიდი ჭიდილ-ჭაჭგური არ შეუთავაზებია, თორემ უფრო დაამახსოვრდებოდა დრო. ათიდან ექვსამდე ზის სამორიგეოში. საქმე თავზე საყრელი აქვს მეთქი, რომ ვითხრათ, არ ვიქნები მართალი. გამოძახებებზე ეჭიმები დადიან. გაციოფების მანიით შეპყრობილი ნევრასტენიცი თუ შემოადებს ათასში ერთხელ კარს და ვინმე მართხელა ბებე-

თვალს მარიდებდა, თავის მარჯვენა ხელისგულს დასცქეროდა და მისი ხელების ამომხედავდა, ყურადღებით მისი ხელების ჩემი სატყვიარი თუ არაო.

ბევრი ვებევნე, შინ შემოსულიყვხენ და დამშვიდობების თითო ჭიკა დაგველია. ზურასთან რომ ვერაფერი გავაწყვე, დევთა სამეულს ვუბმე. იმათაც შორს დაიჭირეს ჩემი თხოვნა. გვიანია, აღარ შეგაწუხებთ, საჩიხის მატარებელს უნდა ჩაეუსწროთო.

სათითაოდ მომიახლოვდნენ. ხელი ისე მოწიწებით ჩამომართვეს, თითქოს ახლა სწავლობდნენ ხელის ჩამორთმევასაც.

ღმერთმა სიკეთე მოგცეთ, თქვენი საქმე თქვენ იცით, აქაურობის ფიჭორი ნუ გაქვთ, გვიც მუ ვეტყვი ყველაფერს, რაც საჭიროა მეთქი.

სხვა არაფერი მითქვამს. ისინი ჩემთან ჩჩვეის მისაღებად არ მოსულან, დასამშვიდობებლად მოვიდნენ.

ჩჩვეაც რომ ეკითხათ, ბევრს ვერაფერს შევეწეოდი.

რა ჩჩვეა უნდა მიმეცა?

რი მადადაკარგულ ძალს თუ შემოიყვანს. ესეც იშვიათად ხდება. დაბა სოფელში კატებისა და ძაღლების მოშენებით მიანცდამინც თავს არ იწუხებენ. მოსაწყვენ საქმედ ეჩვენებათ, მოქალაქენი სხვა, უფრო ნაღდი, საქმეებით არიან დაკავებული. ხოლო, ვისაც ჰყავს, ღმერთმა კარგად უმყოფოთ, ავად იშვიათად ხდება. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ისევე ძაღლებზე და კატებზეა ლაპარაკი. სიყმაწვილადან პირდაპირ სიბერის მშვიდ ყურეებს მიაცურა შერეული ცხოვრებამ და ამიტომაც, რაც ახსოვს, თითქმის ყველაფერი ამ ოთახთანაა დაკავშირებული. სამსახურის გარეთა ცხოვრება ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. ორი შვილი გაზარდა. ორივენი ახალჩერკვამსკის საავტომობილო გიგანტის მშენებლობაზე მუშაობენ და ორი წელია ამოხვრებით საესე წერი-

ლებს იწერებთან. სამსახურიდან მობრუნებული, ქვემოთ გარაყების ებიდემისგან სასწაულებრივად გადაარჩენილ ერთ ფიორ მიწაზე მეზობლებთან ნარდს ამღერებს. ამასობაში ღამდება კიდევ. თავის საქმეებში ჩაფლულ ცოლს გაელაპარაკება და სასთუმალს მოძებნის. ასე მიდის შერეულდის დღეები. არც ახალგაზრდობაში უყვარდა სამსახურის მერე ქუჩაში ყოფილი. მოვიდოდა, ზოლებიან ფლანელის პიჯამოს ჩაიცვამდა და ნარდ-დომინოს მოტრფიალეებში გაერეოდა. ეს იყო მისი გართობა. არაფერი გრძელიც არ ყოფილა მისთვის წუთისოფელი. სულ რაღაც ოთხი პეჯაკი ვაცვითა (სხვათაშორის ოცდაათი წლის წინათ ნაყიდი ახლაც ერგება ყველაფერი), შვიდამდე ფეხსაცმელი, ორი პალტო... ფულის სამჭერ გამოცვლას და ფასების რამდენიმე მომატებას მოესწრო. ეს იყო და ეს. არც ემდურის ცხოვრებას და არც ემადლიერება, კაცმა რომ თქვას. არც იცის, უკეთესად და სხვანაირად როგორ უნდა ეცხოვრა. აქამდე კიბო და ქლეჭი რომ არ დამართა გამჩენმა, ინფარქტს რომ არ დაურტყამს, მადლობელია და სწორადაც ფიქრობს. რამდენი მისი ასაკის კაცია უდროოდ გამოსული მწყობრიდან და შერყეული ჯანმრთელობის გამო სამუდამოდ გამწარებული. იმ სკამმა, ახლა რომ თამარიკო ზის, მარტო შერეულდის მახსოვრობაში, სამი ექთანის გამოიცივალა. პირველი ხანში შესული ქალი იყო, ებრასია, საწყალი და შერეულდის მოსვლის მესამე წელს გარდაიცვალა. მეორემ — ლუბა ემხვიაიმ კარგა ხანს იმუშავა, მერე თბილისში წაიყვანეს შეილებმა და თბილისშიც, მგონი, სანეცტადგურში მუშაობს. მესამე, მშვენიერი გოგო ხათუნა, აქვე, სამსახურიდან გასული მოიტაცეს. ოცი არც კი შესრულებოდა. მერე, მგონი, ცუდად წაუვიდა საქმე. ვერ დადიოდა კარგი ხმები მაინცდამაინც. ახლა თამარიკო დანიშნეს ეს მესამე თვეა. არაა ურიგო გოგო. სამედიცინო სასწავლებელი დაუმთავრებია შარშანწინ, მეანობის განხრით. მთლად პროფილით არ

მუშაობს, მაგრამ რა უჭირს. ინსტიტუტში მინდა სწავლის გაგრძელება, ამბობს. თუ არ გათხოვდა მანამდე, ვახვარძელებს, რა შეუშლის ხელს.

თამარიკოს დილით ყოველთვის აგვიანდება და ყოველთვის ბოდიშს იხდის. თავის გრძელსახელოურიან, რაღაც-რაღაცეებით პირთამდე გატენილ ჩანთას ლურსმანზე ჩამოკიდებს, მოსახამს და კეცავს და ფანჯრის რაფაზე დიდებს. თეთრ ხალათს ჩაიცვამს, მუჭის სარკეში წარბებს შეათვალიერებს, მოიკეცება სკამზე და ზის. არც წიგნს კითხულობს, არც ქსოვს. თავისი ფიქრებით, როგორც ეტყობა, მშვენიერად ერთობა. თორმეტამდე წელში ღამაზად გამართული ზის, მერე მოიღლებს, მოიღვენება, ხან იდაყვებით ჩამოიხვენებს, ხან მარჯვენა მკლავს დააყრდნობს თავს და კედელს შესცქერის, ხანდახან ჩილიმებს, ხან პირიქით — ამოობრებს. რას ფიქრობს, ვინ იცის, ოცი წლის გოგოს ფიქრებს ეშმაკი ვერ გაიგებს.

— ბატონო შერეულდ, ცეკვა იცით? შერეულდს ჯერ ეგონა ჩამესმაო, რომ მოიხედა და თამარიკოს თვალებს წააწყდა, ამ გარემოებამ უფრო დააბნია.

— ბატონო?
— ცეკვა თუ იცით, მეტყი.

— მე შეკითხვით? — შერეულდს სურდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ნამდვილად ეკითხებოდა ექთანი, თუ ეხუმრებოდა. სერიოზულად დასმული ეს შეკითხვა ხომ უცნაურად ედერდა, არც ხუმრობით ნათქვამი იყო მთლად მისაღები, რადგანაც ექთანი და ვეტფერშალი ერთმანეთთან შეხუმრებული არ იყვნენ. ამის საშუალებას არც მათ შორის არსებული ასაკობრივი ბარიერი იძლეოდა და, ჯერჯერობით, არც ერთად მუშაობდნენ სტაეი.

— არა ბატონო.
დიდი, დამღლეილი პაუზის შემდეგ უბასუბა შერეულდმა და ხალათის ჯიბეში მარჯვენა რომ ჩაიყო, რაღაც ცივ საგანს მოხვდა ხელი და გაუჟვირდა. წინან შეკითხვა რომ მისცეს თურმე ძველიძეველი მაკრატელი ჩაედო ჯიბეში.

ვერ გეტყვი, დააკმაყოფილა თუ არა პასუხმა თამრიკო. გოგონამ თითქოს გაუღიმა კიდევ უფროს კოლეგას, მერე ცოტა ხანს მკლავზე ყურდაყრდნობილი კედელზე მენდღეღვის სურათს შესცქეროდა. წამოდგა, შერეუდისკენ არც გაუხედავს, ჩანთიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, ასანთი გააჩხარუნა და გავიდა.

ხომ უმტყვიენულო შეკითხვა იყო. თამრიკოს, იქნებ, დაავიწყდა კიდევ, რატომ დაინტერესდა შერეუდის ქორეოგრაფიული შესაძლებლობით, მაგრამ ხანში შესულ ფერშალს კი წონასწორობა დააქარგვინა.

აბესაძემ ვერ გაიხსენა, მიუძმართავს თუ არა ვინმეს მისთვის ასეთი შეკითხვით. „რა მოხდა ვითომ, რაშია საქმე? შემეშალა რამე ამ გოგოსთან? მივიღე მამაშვილურად. აუფხსენი ჩვენი მუშაობის სპეციფიკა. უბატონოდ ხმა არ გამოიცია. დაგვიანებდითვის საყვედური არ მიკადრებია და შპრიცის ხელში დაკავებაც კი მე ვასწავლე. უზრდელი გოგოც არ ჩანს. არც ავყოფა შემომჩინევია; დაუფიქრებლად რომ ისერის ზოგი სიტყვებს. რა მოხდა აბა, რამ უბიძგა ამ შეკითხვისკენ?“ — ფიქრობდა შერეუდი და ერთი სული ჰქონდა, სანამ თამრიკო სიგარეტს მოსწევდა და შემობრუნდებოდა.

ქალიშვილს ოთახში სიგარეტის არც თუ უსიამოვნო სუნის შემოჰყვია. შერეუდისკენ არც ახლა გაუხედავს, თავის მაგიდას მიამურა, დაჯდა, ასანთი უჯრამში ჩადო.

— რატომ შეკითხე, თამრიკო, საერთოდ...

— რა ბატონო?

— აი, ცეკვის შესახებ წელან.

თამრიკოს გავიცინა და ამ სიცილმა უფრო დააეჭვა შერეუდი.

— ისე... უბრალოდ, მაინტერესებდა. ხომ არ გეწყინათ, ბატონო შერეუდი?

— საწყენი რა არის, მაგრამ საერთოდ... რა ცეკვაზე იყო ლაპარაკი?

— ვერ გავიგე?

— რომელ ცეკვას გულისხმობდით.

ცეკვა ბევრნაირია; ჩვენებური, ევროპული, აღმოსავლური, აუტოქტონული... გეკვას რომ ეძახიან. ბიბლიონიშენა თამრიკოს ისევ გავიცინა.

— სულ ერთია... რომელიმე მეთქი, უბრალოდ ვიციოთ.

— ააა... ჰოოო... გასაგებია, — ხახვასმით, გაგრძელებულად, ჩამარცვლით თქვა ფერშალმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა, სინამდვილეში რაც მეტს ფიქრობდა, უფრო ბურუსით მოცული ეჩვენებოდა თამრიკოს წელანდელი შეკითხვა.

სასადილო შესვენების დროს შერეუდი უჯრიდან სუფთა პირსახოცს ამოიღებდა, ხელს იჭვე დაიბანდა, ტაბურეტს ახალ გაზეთს გადააფარებდა და შინიდან წამოდებულ ხახვ-პურ-ყველს, მინის ქილაში ჩადებულ ბადრიჯანს, ან კატლეტს შეეჭკეოდა. რამდენჯერმე შესთავაზა გოგონას ერთად ვისადილოთო, მაგრამ ექთანმა ზრდილობიანი უარი მოახსენა. თამრიკო შესვენებისას მოპირდაპირე ქუჩაზე საქალაქო არქივის ბუფეტს ეწვეოდა და ყავას მიირთმევდა.

დღეს კი სადილს გული ვერ დაუღო შერეუდმა. შეკითხვა ტენის უხერცტდა. ორიოდღე ლუკმა გადაყლაპა, მეთი ვერა. ყველაფერს (ხახვსაც) ჩაღის გემო ჰქონდა. შეახვია სადილი გაზეთში, ჩანთაში ჩადო, ხალათი გაიხადა და კარი გამოიხურა.

თამრიკოს წინ ძეხვის ბუტერბროდი და ფინჯანი ყავა ედო. ლამაზ ორ თითში მხოლოდ სიგარეტი ეჭირა.

შერეუდი სკამზე ჩამოჯდა და თავის ახალგაზრდა თანამშრომელს ისე შეხედა, თითქოს რაღაც სასწრაფო და თანაც საიდუმლო უნდა ეცნობებინა.

— თამრიკო, რომ მეთქვა წელან ცეკვა ვიცი მეთქი, დავუშვათ, მაგალითად, მერე?

— რა მერე, ბატონო შერეუდი?

— იცეკვეო, მეტყოდით?

— როგორ გეკადრებათ, მე, ბატონო შერეუდი, თუ გაწყენინეთ, ათას ბოდიშს ვიხდი, ვფიქრობდი რაღაცაზე და



ზუსტად კი ვერ გეტყვით, შეიძლება წამომცდა კიდეც.

— საბოლოოდ კი არ მიტევამს. ცეკვა, საერთოდ, იმაზეა დამოკიდებული, გეცეკვება თუ არა ადამიანს. ჩემ დროს არ იყო მაინცდამაინც ასე გავრცელებული ცეკვა, ახლა რომაა. არ ჩამეგარდნია მომენტი, თორემ ვინ იცის, შეიძლება მეცეკვა კიდეც.

თამარიკომ ფინჯანი მიიტანა ლამაზ ტუჩებთან. მოსვა, ფინჯანი რატომღაც სიგარეტის კოლოფზე დადო, მკლავები ჩაიხვია და შერეულს ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს ამ სათვალისიანი, თხელჭალარა, ფერმკრთალი კაცის ცქერით ვული არ ჰქონდა გაწყალებული სამი თვის განმავლობაში.

— კაცმა ცეკვა რომ არ იცოდეს, მე მგონი სასაცილო და საძრახისი სულაც არ უნდა იყოს. — ნელა, მოთოკილი ნერვიულობით ლაპარაკობდა შერეული და შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. — ცეკვა, ვთქვი მისი არ იყოს, თავისი ხასიათი უნდა. მე, მაგალითად, რომ შევხედავ ადამიანს, გარეგნობაზეც ვატყობ, ვინ იცეკვებს შესაფერის სიტუაციაში და ვინ არა. ზოგი, საერთოდ, ცეკვა-ცეკვით დადის.

თამარიკოს არაფერი უთქვამს. იგი გულწრფელად ნანობდა, რომ ღვაწლმოსილი ფერშალს ასეთი არასერთიზული შეკითხვა მისცა.

დამღურებულენივით უხმოდ დაბრუნდნენ ვეტბუნქტში. კარებთან ტყავის სერთუქში გამოწყობილი, თავებურძგლა კაცი იდგა. გულთან ღონივრად ეჭირა ცელოფანის პარკში გახვეული ძუძუთა გოჭი. გოჭს დინგი მალა აეშვირა და ჰყვიროდა. თამარიკომ ყურადღება მიაქცია, შინაურ ცხოველს თეთრი წამწამები, საყვარლად სუფთა დაბაბი ჰქონდა და ძალიან ლამაზი იყო.

შერეულმა კარი გააღო. ჯერ თამარიკო გაატარა და მერე გოჭის პატრონი.

— რა ჰქვია, ბიჭო, მავ გოჭს? — სანამ სკამს გამოსწევდა და დაჯდებოდა, ღიმილით ჰკითხა თავებურძგლას.

— ჰყვირის, წეილო ყურები.

— ნეძვიანად გყავთ?

— კი.

— რამდენი გოჭი გაქვთ?

— ცხრა.

— ძუძუს წოვს?

— რა ვიცი, ქე ებღღვენება დედამისს და.

— თუ დაკვირვებობართ, დედამისს ყველა ძუძუ დამუშავებული აქვს?

თამარიკოს გაეცინა და ორი მამაკაცის გაკვირვებული მზერა რომ დაიჭირა, თითქოს აქ არაფერიო, ფანჯარაში გაიხედა.

— ვერ გევიგე, ბატონო? — თავებურძგლამ გაჩუმებული გოჭს თავი შეუბრუნა და მარჯვენა მკლავზე ჩამოადებინა.

— ძუძუს ხომ ეტყობა, რომელშია რძე და რომელში არა. ერთი სიტყვით ზოგი ძუძუ გამშრალია. ჩვენ განუვითარებელს ვეძახით.

— არა ბატონო, ცხრავე გატიკინებულია მშვენიერ, კარგად.

— სიდიდით ერთი ზომისაა ყველა გოჭი? ეს, ჰყვიტინა, მომცრო ხვარაა ტანად.

— არა ბატონო, ერთ თარგზე მოჭრილივითაა ყველა.

— აბა, ნუ გეშინია, ჯამრთელია შენი გოჭი, წაიყვანე და მიუსვი დედამისს.

— რო ჰყვირის, ეს ბალანამოსაწყვეტი?

— გოჭი იყვირებს ბიძია, აბა რას იზამს, ლექსს ხომ არ წაგიკითხავს სცენიდან. გამეერევა ხანდახან ასეთიც. ყველა ერთი ხარტ თქვენ, დედამისს შეილები?

ეს ბოლო არგუმენტი, ჩანს, სარწმუნო აღმოჩნდა გოჭის ჰყვირილით თავმობეზრებული ტყავისსერთუქიანისთვის, ფერშალს მადლობა გადაუხადა, ჩვილივით წააფარა გოჭს ცელოფანი და გავიდა.

გოჭოსანი მოქალაქის წასვლის შემდეგ ოთახში კარგა ხნით ჩამოწვა სიჩუმე. ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივი კედელზე დიდხანს და სხვადასხვანაირად აჩრდილებდა თამარიკოს ლა-

მახ კისერს და მხრებზე ჩამოდვრილ თმებს. სიჩუმე შერეულმა დაარღვია.

— ცეკვა, თამრიკო, მე რომ ტელევიზორს ვუკვირდები, ნამეტანი ჩქარა იცვლის მოდას. ცეკვას რომ მიყვებოდა, ერთი კაცი მაგას მოუწოდებდა. ერთს რომ ისწავლი კარგად, მოიხედავ და სხვანაირი ცეკვა მოდაში. ასე არ არის?

თამრიკომ ამოიხარა.

— დიახ, ბატონო შერეულ.

— ჩვენ მიგვაჩნია, რალაც დიდ აზრად, თვარა რომ დააცივრდეს, კაცი, რა არი სასიხრცხვილო. თუ დადგება მომენტით, კიდევ უნდა იცეკო ადამიანმა და ყველაფერი. სიხრცხვილმა შეშტამა მთელი ცხოვრება. ბავშვი ვიყავი და რა დროს ჩემი ცეკვაა მეთქი, ჯეელი ვიყავი და კარგად რომ ვერ ვიცეკვო, ხომ წავხვდი კაცი მეთქი. ახლა ხანში შევედი და რა დროს ჩემი ცეკვაა მეთქი. არ

უნდა იყო ამნაირი გაუბედურება დღისი-ნიშვილი. ასე არაა თამრიკო!

— დიახ, ბატონო შერეულ, მთელი ცხოვრება დანდაც შორიდან, იღუმალის ხმით უკანსება თამრიკომ და შერეულს მოეჩვენა, რომ გოგონა ისე, გაუბრებლად ეთახხმებოდა, ამ დროულ კაცთან კამათის გამართვა რომ არ სურდა, იმიტომ.

— იმისი არ იყოს, ახლანდელი ცეკვა სულ არაა ძნელი. გაბედვია საქმე, თორემ მე რე აყვივი რიტმს და აქანავე ტანი, როგორც გაგებარდებო. რიტმის გრძობა ქე უნდა გქონდეს. ისე გობრაგუნებს თავში ახლანდელი ჯახი, რომ კამეჩიც ააყოლებს ფეხს. ასე არ არის თამრიკო?

თამრიკოს არაფერი უთქვამს. წაშოდგა, შერეულს ღიმილით შეხედა, თმაზე ხელი ჩამოსვა და ამტირებლად, საყვარლად, ტანის რალაცნაირი რხევით გააბიჯა გარეთ.

შერეული კი იჭდა და ფიქრობდა: „რატომ მკითხა, რაშია ვითომ საქმე?“

ქორაზმა არ დაგვტოვოს

წვიმა. წვიმა ალაგ-ალაგ, შესვენებებით, ავტობუსის მინებს ხახვბად აჩნდებოდა წვეთები. წვიმა სადღაც გზაში წამოიწვიათ. ერთხანს გადაიღო მზგრამ, ნასაუზმევს ტყვიისფერი გამეფდა ცაზე და ისე წამოიწვინა, რომ ბოლო სიჩქარეში ჩაგდებული ჩოთქ-მკლავები ძლივს ასწრებდნენ პარპრიზზე წვეთების გადაწმენდას.

მალე ერთი გამოიჭვრიტა მზემ და ისევე მიიშალა. ერთი სიტყვით, ავტობუსი შედიოდა წვიმაში და გამოდიოდა.

ხომ შესწრებინართ ისეთ წვიმასაც, როცა გეჩვენებთ, რომ მთელ ქვეყანაზე წვიმს.

გზაჯვარებს მოსწყენოდით სველი ტყეების ცქერა და თვლემდნენ. ვიღი თუ გადაუგდებდა მძღოლს ზოგჯერ თითო სიტყვას, ისიც, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ჩასძინებოდა. თორემ რა უნდა ჰქონოდა, კაცმა რომ თქვას,

ამ ცოცხლევამება, როზროზა მძღოლთან გასარკვევი.

გიდის მხარეს წინ ჯგუფის ხელმძღვანელი ტულავიჩოვიჩი იჭდა. იგი ამ დღეებში, მისი ჯანმრთელობისთვის საზიანოდ, დაძაბული და აღზნებული იყო. წამდაუწყებ ნიკას ისრესდა და თითქოს მოპარსულ უღვასს დაეძებნო, საულევამეზე თითებს ათამაშებდა. შეხედრებზე მარტოდმარტო აქტიურობდა. შესავალ სიტყვასაც ამბობდა, შეკითხვებზე პასუხობდა და გამოსამშვიდობებელ სიტყვასაც თვითონვე აცირისტებდა. სხვა თუ ხმას ამოიღებდა, შუბლს შეიკმუხვნიდა, აშკარად ჩანდა, რომ სხვისი ლაპარაკი არ მოსწონდა. თავის გამოჩენის მსურველი ჯგუფის წევრები ჩუმად, გადალაპარაკებულად მოლაპარაკებინას უკმაყოფილება-საც კი გამოთქვამდნენ, მაგრამ პირადად ვინ გაუბედურდა. ტულავიჩოვიჩი თავის საათნახვერიან, მონოლითურ გამოსვლას ბოლოს რატომღაც

ყოველთვის საკავშირო მამასახლისის კალმინის სიტყვებით ამთავრებდა. ხომ არაფერს აშავებდა, მაგრამ ზედმეტად სერიოზული გამომეტყველებისა და პათეტიური სიტყვების გამო, იგი თავიდანვე შეიძულა ჯგუფმა და ავტორიტეტი საბოლოოდ მაშინ დაკარგა, როცა პროფკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პროფკავშირულ ლიდერს ჰკითხა: ჩვენთან, ხანდახან, ტელევიზორში თქვენს მიერ ორგანიზებულ გაფიცვებს და დემონსტრაციებს უჩვენებენ. მაგრამ დემონსტრანტები ძალიან მოდურად, კურტკა-ბანანებით არიან გამოწყობილი და მოდების მაჩვენებელ პირებს უფრო ჰგვანანო. რატომ არ ჩანან დემონსტრაციაში მუშებიო. ლიდერმა ჯერ შეკითხვა ვერ გაიგო და რომ აუხსნეს, ამას გეკითხებაო, პირდაპირ ვიტყვი, პასუხი ვერც თვითონ მოზომა; სწორედ ისინი არიან თანამედროვე მუშები, ვისაც თქვენ ტელევიზორის ეკრანზე ხედავთო, რატომ გგონიათ, რომ მუშა აუცილებლად მახუთით განხატული ბლუზა-შარვლით და ჩაქუჩით ხელში უნდა გამოდიოდეს დემონსტრაციაზეო.

მე ეგ არ მითქვამსო, იბტიბარი არ გაიტება ტულავიჩოვიჩმა, მაგრამ ახარხარებულ ჯგუფს რომ გადახედა, მიხვდა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალს ვეღარ იპოვიდა. თვითონ ხომ გადაწყვიტა და გადაწყვიტა მსგავსი სულელური შეკითხვა აღარ მიეცა მასპინძელთათვის, იმავე საღამოს შეკითხვებს საკითხზე თათბირი ჩაატარა და გრძელი, მომქანცველი სიტყვა წარმოსთქვა. დელეგაციის ზოგი წევრიო, მოუფიქრებელ, წინასწარ აუწონ-დაუწონავ შეკითხვას იძლევა შეხვედრებზეო. თუ არაფერი გვაქვს შესაკითხი, მარაქაში გარევისათვის ნუ გამოვიგონებთ შეკითხვასო. თქვენ არც კი იცით, რა ინფორმაციას აძლევთ მოწინააღმდეგე ბანაკს თქვენი შეკითხვით და როგორ იქნება იგი გამოყენებული ბურჟუაზიული, ყვითელი პრესის მიერო.

წახვერადტურისტები (სანახევროდ ამ ჯგუფს დელეგაცია ერქვა) ესმდნენ და

ყურადღებით უსმენდნენ. თუმცა ნელ-ნელად სალიმილოს არაფერს ამბობდა, ისინი ერთმანეთს უჩვენებდნენ და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილიმებდნენ. თუ მე ადამიანისა რამე გამეგება საერთოდ, მგონი წარმოიდგენდნენ დემონსტრაციაზე მტკიცე ნაბიჯით მომავალ ჩაქუჩ და ნამგალშემართულ, მკლავებდაძარღვეულ, პერანგშემოცრეცილ მუშას (ტულავიჩოვიჩის შეკითხვის პირშოს) და იმაზე ელიძებოდათ. ხოლო იყო თუ არა ეს ამბავი სალიმილო, მე ამის დასტურს ვერავის მივცემ, შარის თავი არა მაქვს.

ამ სხდომამ შედეგი მაინც გამოიღო. დაგეგმილ შეხვედრებზე, სადაც დამგეგმეთა ვარაუდით სტუმრებს თავიანთი მონოლითურობა და იდეური(1) უპირატესობა უნდა დაემტკიცებინათ მასპინძლებისთვის, დელეგაციის წევრი ხშირად გადაუჩურჩულებდა მეორეს: ეს შეკითხვა მინდა მიეცე და რას იტყვი შენო. თუ ორჭოფობას შეატყობდა, სიფხიზლეს თავი არა სტკივოა, გაჩუქებას ამჯობინებდა. და ისმდნენ სტუმრები შეხვედრებზე ხმაამოუღებლად, მუმიებივით. თავის წილ განიან წყალს რომ გამოწრუპავდნენ, შეხვედრის მიმართ ყოველგვარ ინტერესს ჰკარგავდნენ და წამდაუწუმ საათზე იხედებოდნენ. მხოლოდ ხელმძღვანელს გადასდიოდა შუბლზე ხეითქი, შეკითხვებს მხოლოდ მასპინძლები სვამდნენ და პასუხის გაცემას, როგორც ზემოთ მივანიშნეთ, ტულავიჩოვიჩი ვერავის ანდობდა.

ყოველ ჯგუფში გამოერევა ერთი ირონიულად მოაზროვნე წევრი. იგი თავიდანვე მოგზაურობის პირობების გამცნობ და ტურისტთა დასამოძღვრ სხდომაზე მიიქცევს ხოლმე საყოველთაო ყურადღებას დაახლოებით ამგვარი შეკითხვებით: „ავტობუსში სიმღერა შეიძლება?“ ან „დილით საუზმეზე ტყემლის ჯემს ჩამოგვირიგებენ, თუ მარწყვისას?“ რაკი ამ შეკითხვებს ირონიის კაცი სერიოზული სახით სვამს, ჯგუფის ერთი (შედარებით ჯანსაღი) ნაწილი ხედება, ვისთანაც აქვს საქმე. მეორე

ნაწილს იგი ბრიყვი ჰგონია, მაგრამ მეორე ნაწილს აზრი, ღმერთო შემინდე, როგორც ირკვევა, არც თვითონ აინტერესებს მაინცდამაინც. ამ მოგზაურობაში ასეთ კაცად ეკოლოგი ჰუპია ჩამოყალიბდა. ჰუპია გაუთავებლად ხუმრობს ზოგჯერ მხოლოდ მისთვის და რამდენიმე კაცისთვის გასაგები ხუმრობით. მას შეუძლია ერთბაშად განმუხტოს ხოლმე დაძაბული სიტუაცია ფულის დარჩევებისას, ან სამკაცოან ნომრებში განაწილებებისას რომ შეიქმნება. იგი გულის სიღრმეში ყველას უყვარს, მაგრამ ერთდებიან. არ უნდათ ჯგუფის უპრეტენზიო წევრებს ჰუპიას ირონიულ მზერაში ხშირად მოხვედრა, და ეს გასაგებიც არის. იუმორის გრძნობას მოკლებულნი მას თავხედად თვლიან და ჰუპიას ხუმრობებს აღშფოთებით ხედებიან. იუმორის გრძნობის მქონენი ნიჟა და ჰუპიას ირგვლივ ფუსფუსებენ. ავტობუსშიც უკან მის სიახლოვეს სხდებიან და სახეზეხელშიფარებულნი გულიანად ხითხითებენ. თავიდანვე ჰუპიას ერთი შეკითხვა ჰქონდა ამოჩემებული; როცა ქერათმიანი, თეთრყურბანი მომხიბლავი გიდი გოგონა აღშფოთებით ჰყვებოდა; ომის დროს მტრებმა ეს ისტორიული შენობა დაბომბესო, ჰუპია მოხდენილად ჩაურთავდა — რომელი ომის დროს? ყველანი, გიდიანად, ერთბაშად ახარხარდებოდნენ. იცინოდნენ ისინიც, ვინც არ იცოდა, რა იყო აქ სასაცილო; ხომ ისედაც ყველასთვის ცნობილი ვახლდათ, როდის დაიბომბა და რისთვის დაიბომბა მასპინძელი ქვეყანა. საქმე იმით დამთავრდა, რომ მეოთხე თუ მეხუთე დღეს ტულაეიჩოვიჩმა აუტრიალა ჰუპიას ამ გულუბრყვილო შეკითხვის დასმა. მართალია, ომი თვითონ დაიწყეს, მაგრამ ეს გიდი სრულიადაც არ ეკუთვნის იმ თაობას, რომელსაც დაბომბვის გამო აღშფოთების მორალური უფლება არ უნდა ჰქონდესო. ამ შეკითხვას მოეშვა, მაგრამ ჰუპიამ მალე მეორე შეკითხვა ამოიჩემა, ლამაზ შენობას ან ისტორიულ უბანს რომ ჩაუვლიდნენ, გიდს ხმაალა ჰკითხავდა: „ჩვენ ბოდიში,

ეს რაიონი ომის დროს არ დაუბომბავთო?“ და როცა გიდი მხარულხარულად სახით უპასუხებდა, ჰუპიამ წყალს გადაასხამდა „რატომ?“ ჯგუფის ერთი ნაწილი თავაწყვეტილად ხარხარებდა, მეორე ნაწილს კი მრისხანება ედგა თვალბეში და შესაფერის მომენტს ეძებდნენ, რათა ისედაც აღრენილი ტულაეიჩოვიჩისთვის ერთიანად ჰუპიას გამაჩუქებლად უფრო კმედითი აღმზრდელობითი ღონისძიებებისთვის მიემართა.

ერთი ჰუპია აუცილებელია ყველა ჯგუფისთვის, ძვირფასო მკითხველო. ჯერ ერთი იგი იუმორის მაგიური ძალით აფხიზლებს სხვებს და საცუღლუტოდ ქუთამოწყობილ ზოგ ტურისტს უღირს საქციელს გადააფიქრებინებს, მეორეც იგი ყურადღების მუდმივი მიპყრობით საშუალებას აძლევს სხვებს თავიანთი საშხაზურებრივი დავალებანი დაუბრკოლებლად შეასრულონ და მესამეც; იგი ჯგუფში უმეტესწილად ხალისიან განწყობილებას ჰქმნის და ეს კი დიდი საჩუქარია ყველასათვის. მაგალითად, ტულაეიჩოვიჩის შეკითხვათაშემშლულდავო, ცნობილი თათბირის შემდეგ, შეხვედრაზე მიმავალ ჯგუფს ჰუპია გამოუცხადებდა: „სამი უნიკალური შეკითხვა მქვს და ვინც კარგად მოიტყვევა, ვაჩუქებო“. კიდევ ვიშეორებ, ზოგი ამ ნათქვამში ვერაფერს სახუმაროს ვერ ამჩნევდა, მე კი მეციანება და კიდევ კარგი ეს ჩემი უცხაური საქციელი სანამართლოს კოდექსის მიხედვით დანაშაულად რომ არ ითვლება.

მძლოლის უკან, ფანჯარასთან აღბინოსი ბლატარბლრტაი მოკალაბეთულიყო. იგი დღეუგაციის ყველაზე ჩუმი წევრი ვახლდათ. ავტობუსში მარტო იჯდა და ან თვლემდა, ან დაბალ ხმანე რომელიდაც სტეპურ სიმღერა-პოემას რილინებდა. იგი მარტო სიმღერით კი არა, ოცნებითაც მუდამ იქ იყო, თავის ქარსიცხიან, ტრამალებიან სამშობლოში. ამიტომაც, როცა ავტობუსი გაჩერდებოდა და ტურისტები შემაღლებულ ადგილზე საფოტოო პოზიციის დაკავე-

ბას (თითქოს ფოტოგადაღება ამ ადგილას ხუთი წუთის შემდეგ აღარ შეიძლება) ერთმანეთს ასწრებდნენ, ბლატარბლრტაი ბოლოს, დინჯად გადმოვიდოდა, მარტო მიადგებოდა რკინის მოაჯირს, ერთს გადახედავდა და ავტობუსში მობრუნებული, თავისივე სტეპის რომელიღაც აულის დიალექტზე მძლოლს უმტკიცებდა, რომ ეს ადგილი ზედმიწევნით აგონებდა მისი მშობლიური ოლქის პეიზაჟებს. მძლოლი, რასაკვირველია, ვერაფერს ხედებოდა, მაგრამ ყველაფერზე თავს უჭნევდა და ბლატარბლრტაიც თავისი აღმოჩენით ფრიად კმაყოფილი, ფანჯარასთან ძველ ადგილს მოძებნიდა სათვლემად, საღიღინოდ. ალბინოსმა ჩამოსვლის მეორე დღესვე, ამ ოცდათვრამეტი წლის წინათ მოდიდან საბოლოოდ გამოსული, ფართოკასეტისანი, ჩემოდნისხელა მაგნიტოფონი იყიდა. მაგნიტოფონი, მართალია, ჩამოფასებულ ნივთთა მაღაზიაში შეიძინა, მაგრამ არც ისე იაფად, რომ ტურისტის მოკრძალებული თანხა პირმინდად არ მიეხარჯა. ჯიბეში, რომ იტყვიან, კაპიკი აღარ დარჩა, მაგრამ სხვებთან ერთად ყველა მაღაზიაში შედიოდა და პირველად რადიომანგიტოფონოტექნიკის დახლს მიაშურებდა. დინჯი ნაბიჯით და ტურქებაყოლილი ფიქრით. ვინ იცის, იქნებ იმის გარკვევა სურდა, ხომ არ შეეცდი, აჰ, ასეთი მაგნიტოფონი უფრო იაფად ხომ არ იყიდებოდა. მაგრამ არა თუ იმ ფირმის (პირველი ექსპერიმენტული გამოშვება, 1931 წლისა) მაგნიტოფონს, მსგავსადაც კი ვერსად წააწყდა და მთელი სარფრუტის მხარე რომ შემოეველო, ვერ იპოვიდა; რადგანაც მაგნიტოფონთა მუზეუმის დათვალიერება ტურისტულ დელეგაციურ გენერალური გეგმით არ იყო გათვალისწინებული. დიან, მუყაითი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა ბლატარბლრტაი. იმდენად მუყაითი კაცისას, რომ თავის გრძელ, ყვითელყდიან უბის წიგნაკში გიდისა თუ ექსკურსიათმძღოლის თვითიველ სიტყვას იწერდა და როცა გიდი, დროის მოგების მიზნით, ხანდახან, შაშვივით აქა-

კახდებოდა, ალბინოსი ბოდიშობილდით შეაჩერებდა; თუ შეიძლება, ცოტა ნელი ტემპით ილაპარაკებდა და ვასწრებო. სკურპულოზური კეთილსინდისიერებით იწერდა იგი მარქსისა და ლენინის დაბადების წლებს, ოქტომბრის რევოლუციის მომზადება-ჩატარების თარიღს, ნახევარუნძულსა და კუნძულს შორის განსხვავების პრინციპებს და ა. შ. ისე გაფაციცებით და ზრუნვით ავსებდა უბისწიგნაკის ფურცლებს, თითქოს ამ ძვირფას ცნობებს თავისი უკიდვანო ქვეყნის ბიბლიოთეკა-უნივერსიტეტებში ვერსად წააწყდებოდა. ჩანს უბის წიგნაკები ბლომად ჰქონდა შინიდან წამოღებული, რადგან დღეში ერთს რომ გაავსებდა, მეორე დღეს ისევ ახალი ბლოკოტი ჰქონდა მომარჯვებული. შემეცნების წყურვილით სახანთებულ ბლატარბლრტაის ერთხელ ჰუჰია ამოუდგა გვერდით და მოკრძალებით სთხოვა: თუ ძმა ხარ, საღამომით ეგ ბლოკოტი მათხოვე ხოლმე, გადავიწერო. ალბინოსმა ამოიხედა და ისე კეთილად და ალაღად უპასუხა: იცით რა, აჩქარებული ხელით ვწერ, იქნებ გარჩევა გაგიჭირდეთ, არ დაგზარდებით, გვერდით მოგიჯდებით და მე თვითონ გიკარანახებთო, რომ ჰუჰიამ საბოლოოდ დაკარგა სტეპების ლალ შვილთან ირონიული დამოკიდებულების გაბმის სურვილი.

ბლატარბლრტაის უკან მემედი და ვასილისა ისხდნენ. დელეგაციის ამ ორ უწყინარ წევრს ერთმანეთი ისე მზურველად შეყვარებოდათ, რომ თითქმის აღარც კი აინტერესებდათ, რა ხდებოდა ირგვლივ. მათს ფანჯარასთან ავტობუსში ფარდაც კი ნიდავ დაშვებული იყო, ჩურჩულებდნენ ტკბილად, ნაზიღმილით და შიგა და შიგ იმგვარი ჩაცინება-ჩაკრუსუნებით როგორი ჩაცინება-ჩაკრუსუნებაც მარტო შეყვარებულებმა იციან. საღიღის დროსაც ერთად ისხდნენ და საღამოს თავისუფალ ტურისტებს ერთსაათიანი ჭკუფური გასეირნების ნებას რომ დართავდნენ, ისინი ცალ-ცალკე მიდიოდნენ ტულავიჩოვიჩთან და მოკრძალებით, რატომღაც

ისე, რომ სხვებს არ გაეგოთ, შინ დარჩენის ნებართვას სთხოვდნენ, უჭიფობის მომზადებით. ტულავიზაციის, რომელიც ზოგჯერ დემოკრატი ხელშეწყობის მანტიას მოიხრებდა, დიდსულოვნად თანხმდებოდა „ავადმყოფებს“ თავთავიანთ ნომრებში დარჩენაზე, მაგრამ მეორე დღეს ორივეს ცალ-ცალკე გულს უწყალებდა ხაზგასმული შეკითხვებით: „ხომ კარგად ბრძანდებით, ქამის მადა როგორი გაქვთ, თუ საჭიროა ჩვენს საკონსულტო შევატყობინებ და ექიმს გამოვუძახებო“. მეშვიდე და ვასილისა მორცხვი დიმილით მადლობას მოახსენებდნენ მათს ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის, მთელი დღე მხნედ იყვნენ, საღამოს კი ისევ „შეუძლოდ“ ხდებოდნენ. ვასილისა დელეგაციის სხვა წევრ ქალებს, ღმერთო მაპატიე, დამნაშავესავით, ჩუმად თავდახრით, სინანულგარევეთ ელაპარაკებოდა, ხოლო შემდგომ ნიადაგ მოთამამ-მოუტიფრო დიმილი აღბეჭდვოდა სახეზე. იგი მხოლოდ წუთიერად გაერეოდა კაცების ჯგუფში, ჩანს აღუღებ-მომზადების მისეულ მეთოდზე წაიტრაბახებდა, მერე უცებ მოიწყენდა, თვალებით ვასილისას მოჰმბინდა და გვერდით აეწებებოდა.

შეყვარებული წყვილის გასწვრივ მოსამზადებელი ფაქულტეტის ყოფილი დეკანი გუბკო იჯდა. გუბკოს გვერდით დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერაინ დაჯდებოდა. ფოტოაპარატებით (და კიდევ ვინ იცის რით) საცხე ჩანთას დებდა მგზავრისთვის განკუთვნილ სავარძელზე. ეკვი არ არის, ამას იმითმ აცეთებდა, რომ გვერდით არაინ მოჯდომოდა, ხოლო რატომ სურდა რომ მარტო მჯდარიყო, ამაზე ვერას გაპასუხებო.

საერთოდ, გუბკო ურიგო და გულჩახვეული კაცი არ იყო. იქნებ მზიარული კაცის შთაბეჭდილებასაც კი სტოვებდა თავის წრეში, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: სანამ, იქნებ მართლა სასაცილო რამეს თქმას დააპირებდა, თვითონვე, წინასწარ იწყებდა სიცილს და გაოგნებული მსმენელის თვალწინ

ყოველი ნახევრადპირიანი ფრაზის შემდეგ ისე გულიანად იციხუნდა, რომ კუკარად ჩანდა, ისედაც ვერაინ დაჯდებოდა კუბაეს კარგა ხანს ვერ დასარულებდა, ხოლო ათასი საზრუნავით დატვირთულ მის მოსაუბრეს სად ჰქონდა იმის დრო, მთელი საათი გუბკოს მოღებული ხახისათვის ეცქირა. საერთოდ, შემჩნეულია, სასაცილოს რაც უფრო სერიოზულად იტყვი, მით უფრო აღწევს ხოლმე მიზანს. რაკი, ბოლოსდაბოლოს, შეატყო გუბკომ, რომ თხრობის მისეულ მეთოდს ამ დელეგაციის წევრებს შორის დიდი გასავალი არ ჰქონდა (ბოლო დღეებში თითქმის გაურბოდნენ), გადაწყვიტა ინტელექტუალი კაცის სახელი დაეგდო. თუ ვინმე იტყოდა, ეს ქუჩა ქალაქის ჩრდილო ნაწილშიაო, — უფრო ზუსტად ჩრდილო-აღმოსავლეთითო, დაზუსტებდა გუბკო. ბოლოს გიდის ნათქვამსაც დაუწყო შესწორება. თუ გიდი ჩასძახებდა მიკროფონს; ტაძრის სიმაღლე სამოც მეტრამდევო, — უფრო ზუსტად ორმოცდაჩვიდმეტი! დასძინდა გუბკო და განზე გაიხედავდა. საოცარი ის გახლდათ, რომ ყოფილი დეკანი ამ შესწორებებში ხშირად მართალი იყო. ერთი პირობა ეს საგანმანათლებლო საქმიანობაც მოსწყინდა გუბკოს და თავისი არსებობის დამტკიცების ისეთ მარტივ და ელემენტარულ გამოვლინებაზე გადავიდა, როგორც გახლავთ ავტობუსის დამფრის დროს კითხვის დასმა: „მაშ, წავედით?“ ან ავტობუსის გაჩერებისას შესაბამისად — „მოვედით?“ ერთს ვერ დაუტყარგავ, თუ რაიმეს ერთგული დარჩა გუბკო, ეს გახლდათ ამოჩემებული შეკითხვა: უნივერსიტეტების თუ კოლეჯ-გიმნაზიების მესვეურებს მუდამ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა; თქვენთან განთესვის შემთხვევები თუ არისო და, ვიღას დავუშალო, მასპინძლებს ვერასოდეს აგებინებდა, რას ერქვა „განთესვა“.

სათადარიგო გასასვლელის პირდაპირ მარტოხელა დედა ქალბატონი რაისა იჯდა. რაისა ხშირად უსცამდა ხაზს თავის სოციალურ მდგომარეობას; ქმარმა



ადრე მიმატოვა და ერთადერთი ვაჟი წვითა და დაგვით გამოვზარდეთ. მართალია, ვაჟი, როგორც ერთხელ წამოცდა, უკვე ჯარმოვლილი იყო და, მგონი, ერთი წყება ცოლშვილის მიტოვებაც კი მოესწრო, მაგრამ, ჩანს, რაისას ხელს აძლევდა მარტოხელა დედის ღირსი და ოჯახსმოშორებული მამაკაცების გულში იმედისაღმძვრელი მდგომარეობა. ვასილისასაგან განსხვავებით, რაისა ხან ერთ მამაკაც-ტურისტთან იჯდა და ხან მეორესთან, მაგრამ მორალურად მდგრადი ტურისტ-მამაკაცების გულში ჯერ სასურველი შედეგი ვერ გამოეღო რაისას თავგანწირულ კვეთებას. ქალბატონ რაისას დღის განმავლობაში ისეთი საათებიც ჰქონდა, როცა რომანტიკულ აღტიწებებზე ერთბაშად აშბობდა უარს და პრაქტიკული საზრუნავით აღიჭურვებოდა. მაშინ იგი დელეგაციის წევრებს შორის საქმიან იერით მიმოდიოდა და მორცხვობაგაშვებით ეხუროხულებოდა: კოლექტიურად უარი ვთქვათ ვახშამზე, ორჯერად კვებაზე გადავიდეთ და გიღს ვახშმის ფული ჩამოვარიგებინოთო. გარეგნულად თითქოს ყველა თანახმა იყო, მაგრამ ხელმძღვანელისთვის ამ საჩოთირო წინადადების მიცემას ვერაინ ბედავდა. რაისა, რომელსაც ბავშვობიდანვე მდიდრების მიმართ სიძულვილით ზრდიდნენ, დღე-დღეზე სიმპათიით იმსკველებოდა სარფრუტის ზოგიერთ უბანში მიჯრით მიწყობილი ულაშახეს ვილლებისა და იმ ვილლების თეთრ აივნებზე გადმომდგარი ელგანტური სარფრუტელებისადმი. კიდევ კარგი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა თორემ, ვინ იცის, მარტოხელა დედა რა მრწამსის პიროვნებად დაუბრუნდებოდა თავის გრძელ რიგებსა და უაღკაპოლო სასმელებზე დახარბებულ ქალაქს.

ზოგჯერ რაისას გვერდით ცხენსაშენის ღამის მორიგე აპრებილულვაშება და ცხვირკაუჭა მთიელი ბერბეჭი იჯდა. ბერბეჭი იერით ამ ავტობუსის მძღოლს ჩამოჰკავდა და, იქნებ, ესეც იყო შიზენი, რომ მიუხედავად მძღოლის ნენ-

რგიული პროტესტისა, ყოველწელე აძლევდა საბუქრად „ფოტოტექნიკურებს“ კრემლის გამოსახულენგულს. იქნებ, დღეში ბერბეჭმა ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, რომლის გამოსწორებასაც დარჩენილ ოთხ დღეში კი არა, იქნებ, დარჩენილი დღეგრძელი სიცოცხლის მანძილზეც ვერ შეძლებდა. ჯერ იყო დე ქალაქ კრააპულჰაგენში შარვალი შეიძინა, მაგრამ ორი საათის შემდეგ უკახ დააბრუნა, წვივებზე ვიწრო მაქვსო. გიღი გაჰყვა მალაზია-სალონში და როგორც იქნა, დააბრუნებინა. მეორე დღეს ბერბეჭმა ახლა უკვე კერძო უნივერსიტეტში იყიდა მწვანე ხავერდის შარვალი. ჯერ იქვე ირგებდა დიდხანს, სარკესთან, ტანზე, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, იყიდა და მეორე დღით გიღს აუწყა — თუ შეიძლება კიდევ ერთხელ გამყევით, უნდა დაეაბრუნო შარვალი, აღარ მომწონს, ჩვენში სხვანაირი შარვლები აცვიათო. გიღი ამკარად უკმაყოფილოდ, ოღონდ ბუზლუნის გარეშე, გაჰყვა შარვლის დასაბრუნებლად ბერბეჭს. საჩინბოს თანაშრომელს მესამე შარვალი არ უყიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შარვლისათვის შემონახული საკმაოდ არასოლიდური თანხა ერთ იტალიურ რესტორანში მუხანათურად დააბარჯინეს.

აი, რა მოხდა: სადილზე თითო ჭიქა წითელი ღვინო რომ ჩამოურთიგეს, წითელი ღვინის მოყვარულმა ბერბეჭმა ოფიციანტს მადლობა გადაუხადა, ღვინო სულმოუთქმელად გადაჰკრა და სახეგაბადრულ იტალიელს „იმშოს“ წარჩინებულის სამკერდე ნიშანი უსახსოვრა. ოფიციანტმა თეთრტილოშემოხვეული ბოთლი მოიტანა და ბერბეჭს კვლავ გაუღსო ჭიქა. ბერბეჭმა ისევ გაუღიმა, უანგარო იტალიელს აცხანცურენაზე ღამაზი სადღეგრძელო უთხრა და ჭიქა ყლურწვა-რაცრაკით რომ ჩაიპირქვა, უტხოვლს კიდევ ერთი სამკერდე ნიშანი აჩუქა, ამჯერად მთამსვლელის წერაქვის გამოსახულებით. გალაღებული ოფიციანტი შორიახლო, კედელთან დადგა და ბერბეჭს თვალს არ აცილებდა. პირველი კერძი რომ ჩა-

მოთავედა, ცხენოსანების მორიგე მსაწვენებელი თითის მოხრით უხმო იტალიელს და როცა თავისი საქმის მცოდნე ოფიციალტი ორიოდ ნახტომით კეთილ კლიენტთან გაჩნდა, როგორც იქნა გააგებინა; ორი ბოთლი წითელი ღვინო მოგვართვი, ამ მაგიდაზე ურიგო ბიჭები როდი ვზივართო. ორი ბოთლი წითელი ღვინოს მოტანისათვის ოფიციალტი ოთხი სამკერდე ნიშანი მიიღო (მათ შორის ერთი დედოზარის გამოსახულებით). სადილმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ ბოლო წუთები დამახსოვრდა ბერბექს ცუდად. დამშვიდობების გულთბილი ცერემონიალის შემდეგ იტალიელმა ლაქიამ საბუთთა ტურისტს — ბერბექს ანგარიში გაუწოდა. გულუბრყვილო კლიენტს თვალები აუღამაყრდა და სახე მოემგელა. დამშობილებული რესტორნის კაცი ბერბექისაგან წითელ ღვინოში უმოწყალოდ დიდ ფულს ითხოვდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ბერბექს ხომ ერთბაშად დაუცარიელდა ჯიბე, უკმაყოფილო გიღმა თავისი ჯიბიდან შეიდი დოლარი გადაიხადა. ვის იცის, საიდან აინაზღაურებდა ანგარიშის გიდი უანგარიშო ტურისტის უაზრო ხელგამლილობის მსხვერპლადქცეულ თავის შვიდ დოლარს.

ამის შემდეგ ბერბექი გულჩათხრობილი გახდა. აღებ-მიცემობაში თითქმის აღარ მონაწილეობდა და რესტორნის თანამშრომლებსაც უნდოდ, სევდიანად შესტკეროდა. ეგ იყო, თეატრში ყოფნისას, რატომღაც, სულ უკან და მალა, იარუსებისკენ იქირებოდა და ყოველ შემხვედრს ეკითხებოდა: „თქვენს ქალაქში მოსამსახურის საშუალო ხელფასი რამდენიაო“. ამით რისი გარკვევა სურდა, ეშმაკმა იცის.

დელეგაციის დანარჩენი შვიდი წევრის დახასიათებას აქ აღარ გამოვუდგები. თითო ახირება რომ დაეუმატოთ და გამოვაკლოთ დაახლოებით ერთმანეთს ჰგვანან იპის საზღვარგარეთ ტურისტად გამგზავრებული მოქალაქენი. ან, იქნებ, ძალაუნებურად ემსგავსებიან. ყოველშემთხვევაში ადგილობ-

რივ მცხოვრებთ იბიელნი ლოს-ანჯელესიდან ჩამოსულებში უარყოფილურად არევათ. პირველთ ოცდობით: მტკიცედ ნაც კი სცნობენ მტკიცე მორალგარეული თმის ვარცხნილობით, ნეილონის პალსტუხებით (კაცები), მწვანე კოფტებით (ქალები) და ცოტა არ იყოს გატანჯული, შემკრთალ-გაფაციცებული სახეებით.

ავტობუსი სამხრეთ სარფრუტის შეღვინების ფირმა „სანტავაინისკენ“ მიიქარის. იქ დელეგაციის წევრები მიწისქვეშა მარანს დაათვალიერებენ და სადეგუსტაციო დარბაზში იქაურ ღვინოსაც დაჰაშნიკებენ.

კაცმა არ იცის, რატომ გადაწყვიტა მასპინძელმა ფირმამ მიინცდამაინც ამ ტურისტებს მისცეს სამხრეთული ღვინოების დეგუსტაციის საშუალება. იქნებ სტუმართა კომპეტენტური აზრი აინტერესებს აქაური მეღვინეების ნახელაგზე, იქნებ სარეკლამო მოსაზრებით აკეთებს ამას (იბიელი დეგუსტატორები „სანტავაინის“ მარანში!) ან იქნებ უფრო მერკანტელური მიზანი აქვს და სრულიად სხვა რამეში სურს დარწმუნდეს? რას გაუგებ „თვალთმაქც იმპერილისტებს“.

კიდევ ერთი წვიმა გამოიარა ავტობუსმა და კლდეში შედგმული, სვეტბიანი შენობის წინ გაჩერდა.

— მე მგონი, აქ სერიოზული ხალხი ვართ და წესრიგისკენ მოწოდება არ დაგვირდება. ვახსოვდეთ, დეგუსტაცია პირველადაა შეტანილი იბიელი ტურისტების პროგრამაში და ჩვენზე დამოკიდებული ეს ღონისძიება გაგრძელდება თუ არა. დეგუსტაციის პრინციპი მოგეხსენებათ: ჭიქას ოდნავ მოსვამთ. თავს მალა ასწევთ, დაფიქრდებით, ერთხელ კიდევ ოდნავ გაისველებთ ენის წვერს და შემდეგ პირში მოჩერებულ მასპინძლებს მოახსენებთ თქვენს აზრს ღვინის ვარგისიანობის შესახებ. განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება ღვინის ბუკეტზე, შაქრიანობაზე, სპირტშემცველობაზე, ტანინზე და ტრანსპორტირებადობაზე. კატეგორიული ტონით გააფრთხილა



ტულაეიზმი იქნა ჯგუფის წევრები და ენერგიულად ცდილობდა გიდს არ გაეგონა. ყურფიხელ ექსკურსიათმძღოლს ყველაფერი მშვენიერად ესმოდა და იმ შემთხვევაში-შიშსაც ხედებოდა დედეგაციის ხელმძღვანელი რომ განიცდიდა.

გიდმა, თავის მხრივ, საჭიროდ ჩათვალა ეთქვა, რომ დედეგაციისთვის განკუთვნილი იყო ორმოცი წუთი. ზუსტად სამ საათზე სასადილოდ უნდა წასულიყვნენ.

დედეგაცია მოსალოდნელზე დააბლოებით ოთხჯერ მეტ ხანს გაგრძელდა და დედეგატორთა რეპუტაციისთვის საავალალო შედეგით დამთავრდა. ექვსის ნახევარზე მხოლოდ ჰუპია იჭდა ავტობუსში და მწარე ფიქრებს მისცემოდა. იგი ამკარად ნანობდა, რომ მოწყენილობისაგან გასაქცევად დათანხმდა სარფრუტს წამოსვლაზე. ვერა თუ ვერ მოიშორა ბოლო წლებში შემოჩვეული კაეშანი, პირიქით, რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო უწყავდა გულმუცელს დაახლოებით ის განცდა მოტყუებულს, მიზანმიუღწეველ კაცს რომ ეწვევა ხოლმე სიცოცხლის რომელიც მონაკვეთზე.

პირველი ყოფილი დეკანი გუბკო გამოიყვანეს სადედეგაციო დარბაზიდან. იგი „სანაინის“ ლურჯხალათიან მოხელეს მხარზე ჩამოკიდებოდა და მარჯვენა ხელის მალაშემართვით პავერში ინტერნაციონალურ ლოზუნგებს ისროდა. მხარზეგადადებული განუყრელი ჩანთიდან ორი ვერცხლისქაღალდიანი ბოთლის თავი მოჩანდა.

მემედი და ვასილისა ტულაეიზმი მისი მოჰყავდა. ხელმძღვანელი შეყვარებული წყვილის შუაში ჩამდგარიყო. ორივესთვის ხელკავი გაეყარა და ისე ჩქარა მოაბიჯებდნენ ავტობუსისკენ, როგორც სამ შეზარხოშებულ ადამიანს შეუძლია ავტობუსისკენ გამობიჯება.

ბლატარბლრტი ყველაზე მეტად გაჭირვებულა. იგი ზედ ავტობუსის კარებთან დაუსხლტა გამომოცილებელს და სადედეგაციო დარბაზისაკენ რწევით გაიქცა,

მაგრამ კარებამდე ვერ მიალწია. რადაცას წამოდო და მშვანე მოტყუებულ იშოტა. მხარზე შედგმული ავტობუსის ავტობუსში.

ბერბექს თავზე ღვინით სავსე ბოთლი ეღო და კისერგაჩიკინებული ცეკვა-ცეკვით მოხტუნავდა ავტობუსისკენ. გვერდით ორი ჯანიანი სარფრუტელი მოჰყვებოდა. ბერბექი დროდადრო გაქვავდებოდა, თავიდან ბოთლს ჩამოიღებდა, ახალშექმნილ მეგობრებს რიგრიგობით გადაეხვეოდა, ტურ-მეკრდს დაუკოცნიდა, მერე ცრემლმორეული ისევ დაიდგამდა. თავზე ბოთლს, „ჰეიო!“ დაიძახებდა და ლეზგინკის რომელიც აულის მოტივზე ნახევრად-ცერზე შემდგარი ბუქნაობდა.


ფირმა „სანაინის“ წარმომადგენელი დიდხანს მოღუშული ესაუბრებოდა გიდს. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და შუაზე გახია. ამ დროის განმავლობაში ტულაეიზმი იქნა ავტობუსის ღია კარებში იდგა და სადედეგაციო დარბაზში შებრუნების მსურველთ აკავებდა.

ღრმად ჩაფიქრებული გიდი ავტობუსში რომ შემობრუნდა, მერე ვაიჩქვა, რომ რაისა არ ჩანდა. მალე რაისაც მიადგა სადედეგაციო დარბაზის საპარადო გამოსასვლელს. იგი ღიპიანმა მასპინძელმა მოაცილა, დამშვიდობებისას დიდხანს ჰკოცნიდა ხელზე და რაღაცას გრძნობამორევით ელულულულებოდა. სამი ადამიანი იყო ამ ავტობუსში ფხიზელი: რობროხა მძღოლი, გიდი და ჰუპია.

როცა ავტობუსი დაიძრა, ჰუპიამ ტყის თავზე მორიალე ქორს ჰკიდა თავი. მოეჩვენა რომ ამ შორეთში ყველა ფრინველი შეიძლება ყოფილიყო ქორის გარდა. ყვავებს, მტრედებს და ბელურებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედებოდა, ქორი პირველად ნახა. მალაღი ტყის თავზე მართოს ჰკრავდა აყალოსფერი ფრინველი.

„მთავრია ქორები არ გადაშენდნენ. ქორები არ შემოგვწყრნენ... ქორებმა არ დაგვეტოვონ, თორემ მერე ყველაფერი გვიან იქნება. ჩვენ რა, ჩვენ ში-

წაზე დავლოდავთ, ქვეყნის მეუფენი ძინი არიან. ნახეთ, რა დინჯად და ამყად უჭირავს თავი. ყველაზე სრულყოფილი ქმნილებები ამ დედამიწაზე სწორედ რომ ფრინველებია. ღმერთო, რა საცოდავები ვართ ჩვენ, ყველანი

მათთან "შედარებით"  ფიქრობდა პუკია და ხანდაზან მზერაქვეყნავე მომოატარებდა, რომ უცნაურესი და უღვრესი ღვინის ფხიზელ წვერთავან ვინმესთვის გაეზიარებინა.

ხიზათი

ემმაქს არ ძინავს, ბატონო. მართალია, ყველაფერს ვერ განჭვრეტ კაცი და წინასწარ ვერ გაპლანავ, მაგრამ რაც შეგიძლია, უნდა იფრთხილო. წუთისოფლის აღმა-დაღმა ბრუნვას ისე უნდა ააყოლო ტანი, რომ ზვირთს ქვეშ არ მოექცე. შენი ცდა-ქიჩმაჩი არ უნდა დააკლო შენს წილ ცხოვრებას, მეჩე, ჩემი ხნის რომ მოიყრები, სანანებლად რომ არ დაგჩრეს; ნეტავ, ასე მექნა და ამ გზით წავსულიყავიო. კი, მაშინ სხვა დრო იყო და ახლა სხვა დროა, მაშინ უფრო ადვილი იყო კაცის გაფუჭება, ავ სიტყვას და ენატანიობას მაშინ მეტი გასაგალი ჰქონდა, მაგრამ არც ახლა უნდა დარჩე შენს დღეებს ბრძად მანაღილი. შენი ორთაყვირი შენ უნდა გეჭიროს და შენი ცხოვრების ტივის შენ უნდა უმარჯვო. ასეა ეს. ჭკუა უნდა დააყოლო კაცმა შენს ნამოქმედარს, თუმცა ხიფათს იქნებ მაინც გადაეყარო, როგორც მე დამემართა. ერთი წელი ვხეხე. ათას ცხრას ორმოცდახუთი წლის იანვარში დამიჭირეს და ორმოცდაექვსის თებერვალში გამოძიშვეს. ახლაც მოგიყვები, რაც მოხდა ჩემს თავს. ამას რატომ გეუბნები, თუ იცი, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. უცებ შეიძლება შავი ღრუბლები დაგროვდეს შენს თავზე ისე, რომ ბაიბურშიც არ იყო. შენი გულუბრყვილობით, შენი სიბეცით რომ ვაგებები კაცი მახეში, უფრო მწარეა თვითგვემას იწყებ და საკუთარი თავის რწმენას კარგავ. თუ სინდისი სუფთა გაქვს და უბრალო ხარ, როგორიც მე ვიყავი მაშინ, იმედს არ იწურავ, იცი რომ ადრე თუ გვიან მიხვდებიან შენს სიმართლეს იმედი დიდი რამეა. იმედი აძლებინებს კაცს გასაჭირში. იმედდაკარგულ, სასოწარ-

კვეთილ კაცზე უფრო საცოდავი არავინაა ამ ქვეყანაზე.

მწვანეყვავილაზე მაქვს მე ბავშვობა გატარებული. მამაჩემი ასტრონომიის მასწავლებელი იყო და რაკი ხელფასი არ გვეყოფნიდა (ოთხი შვილი ვყავდით), მეორე ადგილზეც მუშაობდა. ასობის გამოყვანა ეხერხებოდა და აღმასკომის მხატვრად იყო გაფორმებული. ლოზუნგებს წერდა. ჩვენი ეზოს კოინდარზე, შუშბანდში კიბეზე გადაფენილი დიდი წითელი ჩითის ნაჭრები და იმ ნაჭრებზე ფუნჯით ხელში დახრილი მამაჩემი ახლაც თვალწინ მიდგას. მეცხრე კლასში ვიყავი ჩვენს მეზობლად გერმანელი რომ ჩამოსახლდა. რა ვიცი, საიდან გაჩნდა ქუთაისში გერმანელი, ამბობდნენ პირველი მსოფლიო ომიდან დარჩენილიო. თურქმენი ცოლი და ერთი გოგო ჰყავდა — კლარა ერქვა იმ გოგოს, რა დამავიწყებს. სვანაძეების სახლი იყიდეს თუ დაივიწყეს. ჩვენგან მეოთხე მოსახლე იყო სვანაძე. ტფმა ამოწყვიტა მთელი ოჯახი და იმ სახლში დიდხამს არავინ ცხოვრობდა. ბიძაშვილი აციტხავდა ხანდაზან გოდოგნიდან. დიდი ბოქლომი ედო ჭიშკარს. ამომწყდარი ოჯახი რომ იყო, ალბათ იმიტომ, ბავშვები შიშით და რიდიტ ჩვილიდით. ხილის მოსაპარავადაც არავინ ჩადიოდა ეზოში. ეკალბარდს მიქონდა მთელი ეზო. ის ბიძაშვილი, წულა-მესტებიანი კოჭლი კაცი, ჩამოვილოდა წელიწადში ერთხელ, ვალებდა კარს, გამოიტანდა აივანზე სკამს, იჯდა და საღამოს გაუყვებოდა თავის გზას. წყირი რაა, წყირს არ გადაადგილებდა ეზოში. თოხს არ აიღებდა და ბეებს სარეველას არ შემოაცლიდა. რაში იყო საქმე, ვერ გეტყვი.



ჩამოსახლდა გერმანელი და დაემგვანა სახლი — სახლს, ეზო — ეზოს. დააწყრიალეს ყველაფერი. სახლი სამფერად შეღებეს. შენ ხარ ჩემი ბატონი ცინკით გადახურეს. ხეებს შემოუბარეს, კირით შეათეთრეს, გასხვლა და გადაბეღვა, მყნობა და გაღწინდვა არ დაუკლიათ, აყვავეს და გააღამაზეს იქაურობა. მე რომ არ გითხრა, გერმანელის მუყაითობის ამბავი, შენ არ გეცოდინება? ცოტა ხანში არაფერი სჯობდა სენამძებების ეზოში გადახედვას. მერე რავარი სამეზობლო და ტბილი ხალხი. ქართულს, მგონია, ჩემზე უკეთ ლაპარაკობდნენ. კლარა, რასაკვირველია, სკოლაში მიიბარეს, ჩემზე ერთი კლასით უკან იყო. მე მეცხრეში ვიყავი, კლარა მერვეში. ათას ცხრას ოცდაცხრა წელი გახლდათ. მაინც რა მოკლეა კაცის ცხოვრება, გუშინდელი დღესავით მახსოვს და რამდენი წელია გასული, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხომ? დამანებე ერთი, თუ კაცი ხარ თავი, არაფერი არა ვართ, არაფერი.

კაი თვალთ შემხედეს, გითხრა სიმართლე, გერმანელემა. რა ვიცი რატომ. წყნარი ბავშვი ვიყავი, უფროსის დამჯერე. მყავდა, როგორ არ მყავდა თავში ახალგაზრდობის ოფოფები, მაგრამ ჭვას არ ვისროდი და აცენილი არ ვიყავი ზოგიერთივით. უფროსს თვალეში შევეყურებდი, ჭკვიანური რა გამეგონა და რა საქციელი გადაშელო, იმაზე ვიყავი გამეცადინებული. კლარას ნამეტანი მკაცრად ზრდიდნენ, ნაბიჯს და წუთს უზომავდნენ, მაგრამ მე ისე მენდობოდნენ, რომ მეტყვა, შუალამისას გამოუშვით ჩემთან ერთად ღურღუთ ტყეში მეთქი, გამოუშვებდნენ. მოხდენილი გოგო იყო, ცოდვას ვერ ვიტყვი. კიპარისივით სწორი ტანი, ქერა, სწორი თმები და შავი თვალები ჰქონდა. ერთად დავდიოდით სკოლაში. გაკვეთილი რომ ვაუტლებოდა, სიკვდილს იღირებდა და სხვას არ დამგზავებოდა, იჭდა ცაცხვის ძირში და მიცდიდა. რა დავიძალო და თავიდან ცოტა არ იყოს, მებაძუშებოდა ეს ამბავი. მაშინ ქუთაისში ჩვენხელა

ბიჭების გოგოს გვერდით ქუთაისში გავლა ქალაქნობად ითქვამდა. მერე და მერე შევეჩვიე კლარასთან მსაბრულებს და, თუ ჩემს გვერდით არ იყო, წონასწორობას ვკარგავდი. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება მე უნდა ვუპატრონო და ავი თვალისგან დაეცივა მეთქი. ლამაზი გოგო იყო და, რასაკვირველია, იყო უფროსკლასელ ბიჭებში კლარას გულისთვის დიდი მოძრაობა გამართული. კლარა რომ სალაპარაკოდ არავის უჩერდებოდა, მე მჩრდიდნენ ხელში წერილებს და მე მბაბრებდნენ სიყვარულს გამოცხადების რთულ წიხადადებებს. მერე და მერე, ხე ხომ არ ვიყავი და, როგორც იმ ასაკში მოსალოდნელია, მე თვითონ შემეყვარდა კლარა. ვერც თვითონ ვატყობდი ამ მხრივ გულგრილობას ჩემს მიმართ და ერთ დღეს სკოლიდან წამოსვლისას, არც ვაციე არც ვაცხელი, გავუტყდი; მიყვარხარ მეთქი. სიტყვა არ უთქვამს. ელოდა, არ ელოდა, გოგოს შენ გაუგებ? გულზე ორივე ხელებით მიიხუტა ჩანთა, თავი დახარა და ნაბიჯს მოუჩქარა. მეც დამუნჯებული მივეყვებოდი გვერდით. „ეს რა სისულელე ვქვნი მეთქი“, ჩემს თავს ვტუქსავდი, „ვკაი თუ ხეალოდან ხმა აღარ გამცეს, ვაი თუ საშუალოდ დავაფეთე ეს შეჩვეული გოგო მეთქი“. მეთერთმეტეში ვიყავი მე მაშინ და კლარა მეათეში იყო. ოცდაცხრა ოქტომბერს მოხდა ეს ამბავი. სამშაბათი დღე იყო. მთელი ღამე ძილი არ მომეკარებია. ვერ წარმომიდგენია კლარას სახლთან ჩამეგლო და ჰიშკართან არ დამხვედროდა, თავისი ორსაკეტანი, ყვითელი ჩანთით ხელში. იდგა, მელოდა. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო იმ დღით. ასევე ისე, როგორც გუშინ გამშორდა, გულზე ჩანთააბუტებული და თავჩაქინდარული რომ მომიხლოვდა, თავისი უძირო, შავი თვალები რომ მომანათა და „დილა მშვიდობისაო“, მითხრა. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. სხვა პასუხი მე რად მინდოდა. რა ძვირფასი იყო კლარა ჩემთვის იმ საათიდან, ამის თქმა შეიძლება? რა ასაკია მაინც დალოცვილი თხუთმეტ-

ჩემი მშობელი წელი. უეცრად დაედინა ჩემი
ორივენი თითქოს. კლარაც უფრო ფი-
ჭრისანი და წყნარი გახდა. მე რაინდად
ვიგრძენი თავი. აბა ვინმეს უბატონოდ
სიტყვა ვაბედა გერმანელის გოგოსთ-
ვის? მშობლებს არ გაუგიათ ჩვენი ამ-
ბავი. რა ვიცი, იქნებ ხედებოდნენ, მა-
გრამ არაფერს გვეუბნებოდნენ. გავფ-
რქელი ახლა პირველი სიყვარულის ეს
ლამაზი ამბავი? ახალი რა უნდა ვით-
ხრა, თქვენც გამოცდილი გექნებათ. ერ-
თმანეთის ნახვას არაფერი გვერჩინა,
მომავლის გეგმებს ვაწყობდით, თუ სა-
დმე მოფარებულში მოვიხელთებდი,
გულზე მივიხუტებდი და ვკოცნიდი.
ნეტაი იმ დროს, იმ კოცნის გემო, ხომ
არავითარ სიტყვაში არ ეტევა. კი, ნამ-
დვილად, უძლურია სიტყვა ყველანაო-
რი გრძნობის გამოხატვაში.

სკოლა რომ დაემთავრე, ჯარში გა-
მიწვიეს. მახსოვს იმ საღამოს მეზობ-
ლები და ახლობლები რომ მაცილებდ-
ნენ, კლარამ რომ მამამისის პორტსიგა-
რი მომიტანა საჩუქრად და გერმანუ-
ლად ჩემსახელამოკარგული ცხვირსახო-
ცი. რომ ვეღარ მოვითმინე ყველას
თვალწინ გულში რომ ჩავიხუტე და
ორივეს ღვარღვალით ჩამოგვდიოდა
ცრემლი, დამალვას აზრი აღარ ჰქონ-
და და ჩემს მშობლებს განვუცხადე —
„ეს გოგო მიყვარს და რომ მოვბრუნ-
დები, უნდა შევიერთო მეტი“. „კაი
შვილო, როგორც შენ გაგხარდებ, კაი
გოგოა, ჩვენც ნამეტანი მოგვწონსო, მა-
მაჩემმა. დედაჩემმა, ცხონებულმა, არა-
ფერი მითხრა გულზე მიიკრა ატირე-
ბული გოგო და თვითონაც ცრემლი
მოერია. ასე დარჩა ჩემს მახსოვრობაში
ბოლოს კლარა დედაჩემთან ჩახუტე-
ბული.

როსტოვთან იდგა ჩვენი ნაწილი. პი-
რველ სამ თვეს ყველაფერი კარგად
მიდიოდა. ერთ წერილს რომ შინ ვაგ-
ზავნიდი, ორს კლარასთან, თვითონაც
დაუყოვნებლივ მპასუხობდა. რა სია-
მოვნებით გადაცხედავდი ახლა იმ წე-
რილებს, მაგრამ სადაა. რომ დამიჯი-
რეს, ჩემებს სასწრაფოდ დაუწვავთ.

გამიგრძელდა სიტყვა ხომ? მოგაფ-

ყინე ალბათ თავი. ჩემო მამაო, ახლაც
დავამთავრებ. ჯარში ჩემი ყოფნა: მუ-
თხე თვეს კლარას წერს: მამაჩემო.
„გერმანიაში ვბრუნდებით საცხოვრებ-
ლადო. ყველაფერი ვცადე, რაც შემი-
ძლო მაგრამ არ გამივიდაო. დაწერი-
ლებით დედაშენი მოგწერსო. შენი ნა-
ხვის იმედით ვიცოცხლებო. ფეხზე უფ-
რო მყარად რომ დავდგები, ჩამოვალ
და სიყვდილამდე შენი ერთგული ცო-
ლი ვიქნებიო!“ თავხარი დამეცა, მაგ-
რამ რას ვიზამდი. მერე დედაჩემის წე-
რილი მივიღე. თავს იკლავდა თურმე
წასვლის წინ კლარა. ეხვეწებოდა და
ელმერთებოდა მამამისს: „ნუ წამიყ-
ვანთ, დამტოვეთო“. წასვლის წინა სა-
ღამოს ჩემს სახლში მოსულა. ჩემი
ოთახი დაულაგებია, ჩემს ძველ წიგ-
ნებს, ჩანთას ყველაფერს გულში იყ-
რავდა თურმე. დაიწვიით მისი საცო-
დავობითო, დედაჩემი მწერდა. ერთი
პირობა შეყოყმანებულა მამამისი, დავ-
ტოვებო უთქვამს, ჩემი მშობლებიც,
რა თქმა უნდა დათანხმებულან, მეორე
დილითვე გავარდნილან სადაც საჭირო
იყო, მაგრამ ვინ დატოვებდა კლარას.
ჯვარდაწერილი რომ იყოს, შეიძლებო-
და, ახლა კი ამაზე ლაპარაკიც ზედმე-
ტიაო.

წავიდა და წავიდა, დაიკარგა და და-
იკარგა ჩემთვის კლარა. არც ამბავი და
არც ხაზარი. ვინ იცის. იქნებ მომწერა
კიდევ, მაგრამ იმ წლებში საზღვარგა-
რეთული ფოსტა, ყოველ შემთხვევაში
ჩვენნიერი უბრალო ხალხისთვის, არ
მუშაობდა. ჯარიდან რომ დავბრუნდი,
უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულ-
ტეტი დავამთავრე, კვებურში გამამ-
წესეს სკოლის დირექტორად, ორიოდ
წელიც ველოდე კლარას ჩემი ჭკუით,
და ბოლოს, ზედ ომის დაწყების წინ
ცოლი შევიერთე.

ომში არ წამიყვანეს. სკოლის დირე-
ქტორებს, მოგესხენება, ჯავშანი გვქო-
ნდა. ზურგში ვმუშაობდი, რაც შემეძ-
ლო. დღედაღამს ვასწორებდი. სკოლის
გარდა, რაიკომშიც ემორიგობდი, გამ-
წვევი პუნქტის ორგანიზატორიც ვიყა-
ვი, ომში დაღუპულთა ოჯახების მიმ-

ხედავთ კომისიის თავმჯდომარეც, დამზადების აგენტებსაც დავეყვებოდი, ფრონტზე გასაგზავნი სურსათ-ნივთების შემგროვებლად. ერთი-სიტყვით, როგორც ყველა შინ დარჩენილი, ჩართული ვიყავი საქმეში.

ორმოცდახუთი წლის იანვარში დამპატიმრეს მეთქი, უკვე გითხარი თევიდანვე. შეიძლება კაცი არაფერში არ იყო დამაწმენვე და ვინც დაგაპატიმრა, ისინიც მართლები იყვნენ? ასე იყო ჩემი ამბავი. თავს ვიშართლებდი რაც შემეძლო, მაგრამ რომ გამასამართლეს, იოტის ოდენადაც გული არ დამწყვეტია იმათზე, ვინც ციხე მომისაჯა. დამპატიმრების მეორე დღესვე გამოძიებულმა ჯერ პიტლერის გერმანიის ქალაქი დაიძლია შინაარსში ჩემით გავრკვეულიყავი. ფაშისტებს საქართველო, თავიანთ ქველში, უკვე აუღიათ, გერმანიის იმპერიის ერთ პატარა გუბერნიად გამოუცხადებიათ და იმპერიის განსაკუთრებით ერთგულ პირთაგან მთავრობის კაბინეტიც შეექმნათ. იმ სიაში დასაველეთ საქართველოს სამამსახლისოს ერთერთ უფროსად ჩემი გვარიც ეწერა. მაშინ მე, რასაკვირველია, პიტლერის მწვანე საქალაქებზე არაფერი ვიცოდი. სინამდვილეში ახლა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საბურგომისტროს ფაშისტები დროებით ქმნიდა. საბოლოო მიზანი საქართველოს განახლება და ქვეყნის დასასვენებელ პუნქტად ქცევა იყო. ჰუიდან შემლას ცოტა დამაყლდა, საიდან? როგორ? რა მიხდოდა ფაშისტების ერთგულ კაცთა სიაში? ან რა შემატყვევს ერთგული ბურგომისტრის იმ ძალთაპირებში. რასაკვირველია, აღმფრთხილებით განვეუცხადე გამოძიებულს, „ეს დოკუმენტი გერმანელთა მორიგი პროვოკაციაა, რომ ერთგულ კომუნისტებთან თქვენვე ანგარიში გაგასწორებინონ მეთქი“. „არაო, ეს დოკუმენტი ვლადიკავკაზიდან გარეკილი გერმანე-

ლებს „შტაბში აღმოჩნდაო“ „ეს ვითარებას არ ცვლის შეტყობის შედეგად. მაშინ გამოძიებულმა საქმეში შტაბში ნაპოვნი მეორე ქალაქი დაიძლია შინ. ეს გახლდათ კლარას მიერ ჩემთვის ქართულად მოწერილი ბარათი. „ჩემი ცხოვრება ძე წარიმართა, რომ ამეამად პიტლერის გენერლის მეუღლე ვარო, კლარა მწერდა: „არ გეგონოს, ერთი წუთით დამავიწყდით შენ და ქუთაისიო. რომ იცოდე, როგორ მიხდა, თუნდაც ერთხელ თვალი შეგავლოო. არ ვიცი, მიიღებ თუ არა ამ ბარათს, გჯეროდეს, მე შენთვის ვლოცულობო. პოლიტიკის გარეშე მდგარ ქალს აქედან რა შემიძლია გაგიკეთო, მაგრამ ჩემს ქმარს ვთხოვე და ყოველივე შემწეობას აღმოგიჩენნო. ძალიან ვთხოვ, არ გაუძალიანდე შენებურად და შემოთავაზებულ სკამზე უარი არ თქვაო. იცოდე, არ არსებობს ახლა დედამიწაზე გერმანიის მომრევი ძალა და წინააღმდეგობას ნუ შეეცდებიო. შენ რომ ამ ომში დაიღუპო, ჩემზე უბედური ქალი ამ ქვეყანად არ იქნებაო. იმედი მაქვს, შევხვდებით ერთმანეთსო“.

ამას რომ ვკითხულობდი, გერმანელები უკვე განდევნილი იყვნენ ჩვენი ქვეყნიდან და კანიბალთა დარჩენილ ურდოებს ჩვენი ჯარები საკუთარ ბუნაგში მოსამთობლად მიერეკებოდნენ.

...მასწავლია რომ მოვიხადე, მადლობა ღმერთს საშუალება მომცეს ჩემი გარჯით დამემტკიცებინა, რა სულის კაცი ვიყავი და რა თვლებით ვუცქერდი ამ ქვეყანას.

ახლა, ალბათ, ფრთხილ კლარას და მისი გერმანელი ქმრის (უფრო ქმრის) ძვლები იქნება მიწაში, მაგრამ რომ გაეხსენებ, შიში გამკრავს გულში, მართლა რომ გამწყარალიყო ღმერთი, უკუღმა დატრიალებულიყო დედამიწა და კლარას მფარველობით ბურგომისტრობა შემოეთავაზებინათ, ხომ უნდა მომეკლა თავი?

ალარც მახსოვს, რატომ მოგიყვები ეს ამბავი. პო, ალბათ იმის სათქმელად, რომ კაცმა არ იცის, სად ჩავისაფრდება ზიფათი და რანაირად შეგიტრია-

ლებს შენგან დამოუკიდებელი მიზეზი ცხოვრებას.

ერთი გენიალური ანდაზაც გვაქვს

ქართველებს: „კაცი ბეობდა და ღმერთი იცინოდაო“.

ქართველნი
ნიმუშინი

ლიოპინი

სამსახურში ადრე მოსვლა შემანქანე ვარდენ მამაკაიშვილს წესად ჰქონდა მეთქი რომ ვითხრათ, არ ვიქნები მართალი. ჩიხიდან ხშირად მოწაფე-ქემანქანეს გამოჰყავდა შემადგენლობა (ოდონდ ამ ხელოვნურ სიტყვას უფრო მოხუჭური ტერმინით შემოიკვლიდეს რედაქტორი და კარგა ხანს არაფერს ვინატრებ). ჩასწდომა რომ დამთავრდებოდა და სადგურის დიქტორი მიწაზეხული ხმით გამოაცხადებდა — „მატარებელი ნომერი ორას სამოცდახუთი ქაქუჩეთი-სალიხე ხუთი წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდანო“, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა ბაქანზე ჩქარი ნაბიჯით მომავალი ვარდენი, გზადაგზა ვაგონის გამცილებლებს შეეხმინა-შეეღლაბუცებოდა, ცალფეხგაჩიკინებულევით აფორთხდებოდა ლოკომოტივზე, გულგახეთქილ თანაშემწეს ცხვირს მოუსრესდა — „რავა აჩიკო საქმეო“, ქუდს უკუღმა შეაბრუნებდა და საყვირის სახელურს მიწვედებოდა.

დღეს საათმა მოატყუა და ჩვეულებრივზე ათი წუთით ადრე მოუწია მოსვლამ. ლოკომოტივის სარკმელზე ნიკამ-ჩამოდებულმა ბაქანს ზარმაცად გაბედა და მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალ ხუთიოდე კაცს ჰკიდა თვალი. სადგურის უფროსი რობაქიძე და მისი ორი მოადგილე მაშინვე იცნო, მდივანი გოგონას გვერდით მართონული ნაბიჯით მომავალი ადგილკომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო (და არც შემცდარა), პროცესიას ხუთიოდე ნაბიჯით ჩამორჩენილ შავკოსტუმთან, სათვლიან, ტანშიმე ახალგაზრდას პირველად ხედავდა. ვარდენი კიბეზე დაეშვა და სტუმრებს შეეგება.

მომილოცავსო, სადგურის ოფროსმა, გვასახლე ნამდვილად, ჩემო ვარდენო, ასე გამარჯვებული გველოს ყოველთ-

ვისო. ასანთის კოლოფზე ოდნავ დიდი, თეთრ ქაღალდში შეხვეული რაღაც და გაზეთი „ინდუსტრიული ქაქუჩეთი“ გადასცა. ყველამ სათითაოდ ჩამოართვა ხელი, კოცნით მართო უფროსის მომხიბვლელმა მდივანმა აკოცა. ის იყო სახეიმო ცერემონილის შემდგომი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დიქტორის გამტყნარებელი ხმაც გაისმა და ხელმძღვანელი ამხანაგები ჰაეროვანი კოცნებითა და უკანსვლათა-ვისკანტურით დაადგნენ ბაქანს, შემანქანე კი ლოკომოტივის სახელურს დაეპორწიალა.

ასვლისთანავე ყუთი გახსნა და საბატიო რკინიგზელის ნიშანი მაშინვე გაიკეთა, გაზეთი კი აჩიკოს წააქითხა, „ინდუსტრიული ქაქუჩეთი“ იტყობინებოდა: „— ლიანდაგზე კაცი! — შესძახა მამაკაიშვილმა და სასწრაფო დამუხრუჭების ონკანის სახელურს მძლავრად მოსწია. გაისმა ღრქილი მავრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ლოკომოტივს დროზე ვერ შეაჩერებდა. სწრაფად გახსნა კარი და ლიანდაგზე გადახტა. მატარებელი ნელ-ნელა უახლოვდებოდა იდამიანს. შემანქანემ ლოკომოტივს გაუსწრო. რამდენიმე წამიც და წაქცეულ კაცს საყულოში ხელი სტაცა და პირდაპირ თვლებიდან გამოათრია.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი დიდი სიფხიზლისათვის გზათა მინისტრმა მამაცი შემანქანე „საბატიო რკინიგზელის“ ნიშნით დააჩილდოვა“. ცნობას სათაურად „შემთხვევა“ ჰქონდა, ხელს კორესპონდენტი ბუცბრიკიძე აწერდა.

მატარებელი მცხეთას რომ გაცდა, ვარდენმა გაზეთი დაკეცა და გულისჯიბეში შეინახა, „ბორჯომი“ ალუმინის ჩარჩოს ჩამოასხლიტა, აჩიკოს გადასცა და სანამ შეუბღზეთმებამოსული ყმაწვილი ბორჯომს ყლურწავდა, სიამოვნებით



გაიხიჯა, „ამ ერთი თვის წინ რომ მხსნიდნენ ვახსოვს? უყურებ როგორ შეიცვალა საქმე?“ თანამემწე ემოციების კაცი არ იყო, „ბორჯომი“ ეთიკეტის ქალღალამდე ჩაათავა, ოდნავ გადაღვარა და ვარდენს უთქმელად დაუბრუნა.

მატარებელი „ქაქუჩეთი-სალიხე“ ქაქუჩეთიდან სალხინოში ჩასვლას განრიგით გათვალისწინებული ხუთი საათის ნაცვლად შვიდ საათს ანდომებდა, ხოლო უკან დაბრუნებისას მხოლოდ საათნახევრით იგვიანებდა. გამოჩვეულების, რატომღაც უნდა, არც ეს რეისი აღმოჩნდა, მაგრამ, სადგურის მორიგეებს ვარდენისთვის უბატონოდ ხმა არ გაუციათ. ჩვენს შორის დარჩეს და, მორიგეებს ისიც ვერ ებატონებინათ თავისთვის, რომ საბატიო რკინიგზელს, პრესის გმირს, აქამდე ასე აგდებულად ელაპარაკებოდნენ. დაგვიანებისთვის ხშირად საყვედურობდნენ და ზოგჯერ მოხსნიათ კი ემუქრებოდნენ, თუმცა მემანქანეების მოხსნა მათს კომპეტენციაში სრულიადაც არ შედიოდა.

ვისთვისაც ეს ნოველა იწერება, იმ მკითხველმა იცის, რომ მატარებელთა დაგვიანება ყველაზე ნაკლებადაა მემანქანის ბრალი. კაცმარომ თქვას, იგი არც სადგურის მორიგის, მვისრე-მეთვალყურის და მეგანრიგ-დისპეტჩერის ბრალია. გაუთვალისწინებელ საგზაო შემთხვევას დაიხვევთ ხოლმე ხელზე, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მატარებლები მაშინაც მშვენივრად იგვიანებენ, როცა ტრასაზე საგზაო შემთხვევა არ ხდება — ხიდი არ ინგრევა და ზეავებიც საიმედოდ არიან შეკრული რკინაბეტონით რკინიგზისპირა კლდეებს თავზე. მატარებლის დაგვიანების მიზეზებზე ჩემგან ამოდ ელით კომპეტენტურ პასუხს, მითუმეტეს, რომ ამ მიზეზთა ამოსახსნელად მე რომ ვიცი, ამ წუთში ოცდაცხრამეტი საქმიანი კომისია ამოდ მუშაობს.

თერთმეტს აღარაფერი აყლდა, მხარზე რკინიგზელის პიჯაკგადაადგებული ვარდენი ფიზიოლოგ ბერტიტაშვილის ქუჩაზე თვის კონსერვს რომ მიიღვა.

ივლისის ცხელი საღამო იყო.

დაიღალა დღეს ვარდენს, კარსაკლი-ხეში ჩასვლისას შეხვდნენ ჩინოვნიკ-ფანდურით რკინიგზელები. ლოკომოტივის კობიდანვე ხელში აიყვანეს და მალა უნდა გასროლოთო, იმდენი აჯანჯლარეს, ნაღველი კინაღამ გაუხეთქეს. არ ვიცი, წესიერად კაცის მალა სროლა, რაც მართალია, მართალია. მერე ქაქუჩეთში ჩამოსვლისას ისევ ისინი დახვდნენ, ვინც გააცილა.

წყალწითელაზე უაღკაპოლო ბახეტი გაუმართეს. ისე მოეფერნენ და იმდენი ტკბილი სიტყვა უთხრეს, რომ მემანქანეს წამდაუწუმ ყურები უწითლდებოდა. სახელიც კი ტვირთი ყოფილა, ასე თუ გაგრძელდა, მარტო მუდმივი ღომილი და წალმიაუკულმა თავის კანტური მომიღებს ბოლოსო, გაიფიქრა ბახეტის დასასრულს ვარდენ მამაკაიშვილმა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფიქრი ხამაღლა. არ გამოუთქვამს და კარგადაც მოიქცა — უმადურობაში ჩამოართმევდნენ.

ძალი აუშვა და გაუკვირდა, რომ ყურში ჩვეულებისამებრ სიხარულის ყეფა-წიკუტუნით ეზოს არ შემოუბრინა და ტრიფოლიატის ღობის ხერცხლეში არ გაძვრა დილამდე დასაკარგავად, ყელსაბმელი რომ შეხსნეს, ძალმა ერთი გაუბათქუნა კუდი მიწას, მერე თავი წინათათებშუა ჩაიღო და ასე გაყოლილმა პატრონს ამოხედა.

— რა მოგივიდა, ყურში?

ძალმა რამდენჯერმე კვლავ დაუბათქუნა მიწას კუდი, რითაც ვარდენს აგრძნობინა, აჟად არა ვარ, მაგრამ, ხომ შეიძლება, ამ ერთხელ ასევეთი გახარება დიდი ალიაქოთით არ გამოვხატო, ქუჩაში გასვლის ხასიათზე მაინც დამაინც არ გახლავარ, დიდად საიხტერესო არაფერი ხდება და მომწყინდაო.

მემანქანემ მოიშლილფა. ცბელ წყალში ფეხები ჩაყარა და შუშაბანდის ფანჯრიდან ცას ააჩერდა. ვარსკვლავებით მოჭედული ცა არც ამდამ იძლეოდა იმის იმედს, რომ წვიმა თუ არ მოვიდოდა, ცვარი მაინც მოასველებდა კონინდას.

მამაკაიშვილი მარტო ცხოვრობდა. ცოლი ამ თვრამეტოდე წლის წინათ გაექცა. ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც დედამ გაზარდა, სალიხეში ჰყავდა გათხოვილი. სიძე ურიგო ბიჭი არ იყო, მაგრამ ყოფილი მეუღლის ჰკუთრწმენაზე მდგარი ქალიშვილი მამის მიმართ დიდ სიყვარულს არ ამჟღავნებდა და ვარდენიც ათასში ერთხელ, შვილიშვილების მოსანახულებლად, თუ ჩაკითხავდა მათ, ხელში საზამთროთი და ჭიბეში ფოჩიანი კამფეტებით.

ჭიშკარს ვიღაც მოადგა.

მანძელოვო რომ დაიძახა, ვარდენს ხა ეცნაურა, მაგრამ მინც ვერ გაარკვია, ვინ ესტუმრა ამ შუალამისას.

— რომელი ხარ, შემობრძანდი, — გაეხშიანა მასპინძელი, ტაშტიდან ფეხები ამოიღო, გაუმშრალებლად ფოსტლებში წაჰყო და ჭიშკარისკენ წაფლატუნდა.

— მე ვარ, გოგიტა ვარ, — შშვილად თქვა მოსულმა.

„ვიღაცა ნამეტანი ახლობელია, დავბერდი-ნამდვილად“, ამ ფიქრით მიიბრინა ვარდენმა ჭიშკართან და სტუმარს ფანარი რომ მიანათა, გულმა რეჩბი უყო, წინ ხელგასული ედგა ის კაცი, ვის მოსვლასაც, გითხრათ სიძმართლე, მამაკაიშვილი აქამდე ელოდა— გოგიტა ჩიტაია. ამ ორი კვირის წინათ სწორედ, დღესწორ ოთხშაბათს, რელსებზე გარდიგარდმო გაშლართულ გოგიტას მემანქანის თევგანწირულმა ნაბტომმა სიცოცხლე აჩუქა, ხოლო ჩიტაიას გადარჩენამ კი, თავის მხრივ, ფხიველ მემანქანეს სახელი და დიდება მოუტანა.

მამინ ვერც კი მოასწრეს გამოლაპარაკება, შემკრთალი გოგიტა სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა, ვარდენმა თავისი ვინაობა აღწერა რკინიგზაზე შეგროვილ ცნობისმოყვარე მოქალაქეებს და ლოკომოტივის კობიდან ჩამოშვებულ აჩიკოს მარჯვენას ხელი შეაგება. ეგონა გადარჩენილი თვითონ მოძებნიდა და ლაზათიან მადლობას მანც ეტყოდა, მაგრამ დღემეს მისდევდა და გოგიტა არ ჩანდა.

ამ ბოლო დროს, ჩვენს შორის დარჩეს და მემანქანემ დაიწყეყვედუცეს ამბავი და აი, დღეს რწმენაწმენაწმენის მალაყების შედეგი — ჭილდო და პატივი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სასურველი სტუმარი — უეჭველ სიკვდილს გადარჩენილი გოგიტა ჩიტაია. ეს სახელი და გვარიც იმიტომ დაამახსოვრდა, რომ გოგიტა მის ცხონებულ უფროს ძმას ერქვა, ხოლო ჩიტაიების გვარი ქაქუჩეთში სახელოვანი თერძების თაობებს უყავიწორდებოდა და ფრიად გავრცელებული გვარი იყო.

— სად ხარ, გოგიტა ბატონო, რავა მომანატრე თავი, — ასე შინაურული მოკითხვა მხოლოდ იმერელმა მასპინძლებმა იციან, რომ სტუმარს უცხოობის უხერხულობა ჩამოაცილონ, თორემ რა მონატრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გოგიტას საპატიო რკინიგზელი იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ პირველად ხედავდა.

— მეკუთენის საყვედური, ვარდენ ბატონო, გადაყვევი ხელს და ვერ მოვიცალე, — სტუმარმა ხელი ჩამოართვა და გულთ მოულოცა დღევანდელი დღე.

— ნამეტანი ვიცი, თავი ნუ მომიკვდება, — დაიმორცხვა მასპინძელმა და სტუმარს ეზოში შემოუძღვა, — მრცხენია პირდაპირ, ეს გაზეთი, ეს ჭილდოვო. ბანკეტიც გამიმართეს, რა გქენი ამნაირი, სხვაც ამას არ იზამდა? — გოგიტას პასუხი არ დააცალა, — შუშაბანდში ინებებთ, თუ ეზოში დაბრძანებას? რაი და, ლამეა მანც არ დაგიბეროსთქვა.

— თქვენ საითაც გირჩევენით, ბევრ დროს არ წაგართმევთ, პატარა წვევიშუსაიფოთ და გეახლებით, თუ არ შეგაწუხებთ, — ბოდიშობდა სტუმარი.

— აბა, რაღაი ასეა, შუშაბანდში ამობრძანდით, მეც ნამგზავრი ვარ დღეს და მეშინია არ დამგრილოს.

მასპინძელი დაფაცურდა. შუშაბანდში ტაბლას თეთრი სუფრის ტილო გადააფარა, ხმელი ხილი და ფქვილწაყრილი ჩურჩხელები ამოალაგა სკივრიდან, მაცივარში დიდხანს შენახული,



დაცვარული არყის ბოთლი დაუკაეუნა მაგიდას, სარდაფიდან პატარა ღოჭით იზაბელა ამოიტანა და კველაზე მუხლი რომ ჩაბარა, გოგიტას მუდარით საფსე თვალუბით შეხედა: — არ დამძრახო, გოგიტა ბატონო, არ გელოდი. ხომ იცი, მარტონხელა კაცი ამბავი. ხან აგერ წვევიკამ, ხან ეგერ და მაცივარი სულ გამოფხვკილი მაქვს.

— რავე გეკადრებათ, ბატონო, ყველაფერი ბევრია. რომ შეგაწუხე და ძილი გაგიტეხე ამ შულამისას, ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

— არ თქვა ეგ ამბავი. პირიქით. რომ იცოდე, როგორ გამახარე. რას ვაკეთებ მეტს. ზვალ მე არ ვმუშაობ და უნდა გამოვყარებულყოფი მთელი დამე. გულით საყვარელს გაფიცებ, რა ვარც მოგიხერხდეს, არ წახვიდე. ვიქუსკუკოთ, სანამ არ მოგვწყინდება. წლის დამე ჩამოდის.

დიღხანს ისხდნენ გაჩახჩახებულ შუშაბანდში. ფარვანებმა და კოლოებმა რომ შეაწუხეს, სინათლე ჩააქრეს და მთვარის შუტზე ვანაგრძეს საუბარი. თითქმის თანატოლები იყვნენ — ორმოცდაათს ახალგადაშორებულლები. გოგიტა ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა, ფარმაკევტული მაქვს დამთავრებული და სკოლებში სანპიგიენას ვასწავლიო. სოლიზეში დაბადებულია და ამჟამად იქვე ცხოვრობს, თურმე, ელექტრონის წისკვილთან, ურიცკის შესახვევში.

რას ილაპარაკებდნენ, რა დარდასა და წუხილს და საზრუნავს და საჩირთიფირთოს შეეხებოდნენ ღვინოშეპარული ჩვენი გმირები, იმის გადმოცემით თავს როგორ შეგაწყენთ. მე მხოლოდ იმას ვიამბობთ, რისი წარმოდგენაც ალლოიან მკითხველსაც გაუჭირდება და რისთვისაც ეს ნოველა იწერება;

მამლებმა მეორედ რომ იყვილეს, გოგიტამ თავი აიღო, აბურდულ ჭაღარაზე ხელი გადაისვა, სათვალე მოიხსნა, დაკეცა, ფუტლიარში ჩადო და თეთრი კიტელის ჯიბეში შეინახა. ფეხი ფეხზე გადაიკვანტოდა, მიტყუებულ თითები ბარძაყებშია ჩაიღო და მასპინძელს მიაჩერდა:

— ესეც ასე, ჩემო ვარდენ, ვარდენს ეგონა, წასვლას ჩერებულ და თადარიგი დაიჭირა:

— ცოტა ხანიც და გათენდება, გოგიტა ბატონო, ახლა მაინც სად ივლი ამ სიბნელეში. ინათებს და გაყვები რამეს. არ იჩქარო, თუ გიყვარდე.

— არ მოგწყინდი, ვარდენ ბატონო?

— თუ გულით არ გელაპარაკებოდე, შეხედე, ე, იმ ცისკრის ვარსკვლავის მადლი გამიწყრეს, — თქვა მასპინძელმა.

— აბა, ერთ რამეს გეტყვი და კარგად დამიგდე ყური. თუ გაგეცინოს, გამცინე, თუ სისულელედ მოგეჩვენოს ჩემი საქციელი, მითხარი — სულელი ყოფილხარათქვა. მარა, შეწყვეტით არ შემაწყვეტინო, ამას ვთხოვ ძალიან. სხვას არ გაფუშებელი ამ ამბავს, მაგრამ შენ სხვა კაცი ხარ და უნდა გითხრა. სიმართლე შენ მაინც უნდა იცოდე. თუ გახსოვს, რომ გადაამარჩინე და რელსებს გამომარიდე, პირველი ეს მკითხე: თავს რაზე იღუპავდი, აქ რა გინდოდა შე კაცოვო. მე ვიპასუხე, ფეხი ვიღრძე, გული შემიღონდა და რელსებზე წავიქეცი მეთქი. ეს შენ დამეჩერე, მე მგონი, მაშინ და სასწრაფოშიც ასე ირწმუნეს. ჭირურგია, თუ ტრავმატოლოგი — არ ყავდათ, ფეხი შემიხვიეს და გამომიშვეს. სინამდვილეში მე ვიცურე — ფეხიც საღ-საღამათი მქონდა და გულიც, ჭერჭერობით, არ ვიცი სადა მაქვს.

— აბა, თავს იკლავდი კაციო? — ცნობისმოყვარეობა ვერ დაიოკა ვარდენმა.

გოგიტამ ცალი თვალი მოქუტა და ნათქვამს ირონია გაურია:

— თავის მომკვლელს და საწყალს ვგავარ მეე? დამიგდე ყური მეთქი, ხომ გითხარი. ორი წელი გახდება მალე, რაც ამ საქმეს ვეწევი. არაა გლახა საქმე, შენ რომ იცოდე. ზოგი, შე კაცო, მარკებს აგროვებს და ზოგი, რას ეძახიან, პობიო და რალაცა, სხვადასხვა მარკის ზაეგალკებს და ცარიელ ბოთლებს აგროვებს, მარა დამრახვით მათაც არავენ ძრახავს. მე საპობავოთ და

სადაღაოდ არ მცალია, კაცურ საქმეს ვაკეთებ. აჩემებული კი არ მაქვს, კი არ დამიბრალებია ჩემი თავისთვის — მოდი, ახლა ამას ვიზამ მეთქი. შენ არ მომიცვდე, დავიძინე ერთ ღამეს და ასეთ კაცად გავიღვიძე. ჯერჯერობით დაშლითაც არავენ მიშლის. შენ გიტყვდები პირველად, ჯერ, ორი წელი სრულდებამეთქი, არაფრისთვის გამომხელოია. თუ გამიგებს, მე მგონი მადლობას არავენ მერტყვის. შენ რატომ გიტყვდები იცი? სხვა კაცი ჩანხარ, — სუფთა და გამრჩელი. თუ გამცემ, ალალი იყოს შენზე. ბოლოსდაბოლოს ათასი ჯურის თვალთმაქცი დაღის ამ ქვეყანაზე და იმ ყალბაბანდობებში ამ ჩემსას ყველაზე უმტყვიანელო აფიორას დაარქმევენ. ბოლოს, ალბათ, მეც მომწყინდება და თავს გავანებებ. ჯერ კი ძალიან გამიტაცა, ვითხრა სიმართლე, ნამეტანი გავერთე. ვერ ხვდები რაშია საქმე?

— ვერა, — შეაგება ვარდენმა. ორივე მუშტზე ყბები ჩამოადო და სძენად იქცა.

— გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატრივისცემას ადამიანები, ჩემო ვარდენ. არ ვიცი, რამ მოიტანა ეს ამბავი, მარა, ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. მთელი ცხოვრება ვასწავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ წავუტურთ ყელში ხელს. ვინ გასწავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო. რა თქმა უნდა, გაქსულებულს და სინდისგარეცხილს რაც ეკუთვნის, უნდა მივუზლოთ, მაგრამ, რაც დრო ვადის, უფროდაუფრო ძნელი რომ ხდება ავი კაცის კარგისაგან გამოქვანა? რა დახვეწილი მანერებით, რა ანგლოზის ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხოვართა შორის. შენ არ იცი, რა ცუდ გუნებაზე მაყენებს, აგერ, ჩემს გვერდით რომ კაცი ცხოვრობს და ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოგვიცხადებენ — ეულიკი აღმოჩნდაო. ძალიან ბევრი დამნაშავე ხომ არ დავგროვდით მეთქი, ხანდახან ვეტყვი ჩემს თავს. გუშინ ის იმას იქერდა და ასამართლებდა, იმ გამსამართლე-

ბელს კი დღეს, სრულიად კანონიერად, თვით ასამართლებენ. ეს რატომ უნდა იცი? ბევრმა დაიფიქრა რომ ეს მანგარიშის ჩაბარება, სამსჯავროზე ერთი წარდგომა, თუ გინდა ერთი განკითხვის დღე — ყველას ელის. ყოველდღე იმდენი უსამართლო ამბავი მესმის, იმდენი ავანაჯი ტრიალებს ქვეყანაზე, რომ წესიერი ხალხი სანთლით საძებარი გახდა. რაილა ბრძნული თვალი დაადგა ქვეყანას, მე გადავწყვიტე მართალი ადამიანების ღამეები შევქმნა და მათს აღმოსაჩენად ასეთ მუღამს მივავაგინე: რალა ქურდობაზე და სივლახეზე იყოს, ეწეროს ქაქუჩეთელი კაცი კვი საქმეზე გაზეთში მეთქი. ასეთი ამოცანა დავუსვი ჩემს თავს. რას ჩავდივარ, თუ იცი, ახლაც ვერ მიხვდი?

— ვერა, — თვალგამტარებით თქვა ვარდენმა, თუმცა გონების ერთ კუნტულში, რალაცას ხვდებოდა.

— რას ვაკეთებ და კვი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ. ჩემი ფანარი ასეთია: დავდივარ ამ ქვეყანაზე მიამიტი კაცის ნიღბით და ხალხს საგმირო საქმეების ჩადენის პირობებს ვუქმნი. ძნელი არ არის, მარა არც მთლად იოლი საქმეა. რამდენჯერმე ტაქსში განზრახ ჩავტოვე ფული და საბუთები, მაგრამ ამ ხერხმა ბოლომდე ვერ გაამართლა; ორმა ტაქსის შოფერმა გარაქვი მიიტანა „დარჩენილი“ ნივთები და მადლობა მიიღო, მესამემ ქე მიითვისა მშვენიერად ჩემი ხუთი თუმანი, საბუთები კი ფოსტით შინ გამომიგზავნა. ახლა უფრო მარტივ იღეთებზე ვარ გადასული. დავდგები წყლის პირას და რომ გამოსწორდება კაცი, ვისკუბებ ტანსაცმლიანად. ზოგს არც უნდა საშველად მოხმობა, დაუფიქრებლად გადმოწყვება ზოგი, თუ შეეშინდა, ყვირილს მაინც ატეხავს. ერთმა, ამასწინათ, კვი ხანს მაყურყუმალავა რიონში. თეთრი ხიდიდან გადავბტი, ამოვყავი თავი და მოშველეთ მეთქი შევბლავლე. დგას და ჩამომჩერებია ზემოდან. შენ არ მომიცვდე, არც ინძრევა, ხმასაც არ იღებს. ბოლოსწინა ჩაყვინთვის დროს მიიხედ-

მოიხედა, ხელი ჩაიჭინა და წავიდა. კაცია მაგი?

— შერე; შენ?

— რა შერე. გამოვცურე და გამოვვდი, რაც იმას ვაგინე გულში, რომ იყოლე. ერთხანს ხანძარზე ვაპირებდი დასპეციალებას, მარა ჯერ ერთი, ხანძარი იშვიათადაა და მეორეც — ხანძარში მუშაობა ჭირს. მოგეხსენება, ცეცხლში უნდა შევარდე, რომ კაცს გადაარჩინოო თავი. წარბების და უღვაშების შეტრუსვას თავი დაანებე, ვაი თუ ვერ გადაგარჩინოს, სად მიდინარ მაშინ? რკინიგზაზე, შენს თავს ვფიცავარ, პირველად გავედი იმ დღეს ამ საქმისთვის და გააძარტლა. რით გეთდა ცუდი საქმე? ჯერ ერთი შე და შენ ვიპოვეთ ერთმანეთი, მეორეც — უფროსობა სხვა თვალთ დაგწყევბს ყურებას და მესამეც, აწი, შენ თვითონაც არ ჩაიდენ გლახა საქმეს — საპატიო რკინიგზელი ხარ.

ვარდენი ერთბაშად გამოფხიზლდა. ყურებმა გუგუნი დაუწყეს. თითქოს გაუნათებელ გვირაბში შევიდა ძველი, ქშეტუნა ორთქლმავლით. არ იცოდა რა სახე მიეღო. წყენას ერეოდა ამ უცნაური კაცის, თითქოსდა, კეთილი სურვილი და ძნელად დამაჯერებელი, ლამის მოუხელთებელი თვალთმაქცობა.

— კი მარა, რომ არ ჩამოვმხტარიყავი, მაშინ?

— ცალი თვალი შენსკენ მქონდა, როგორც კი მომიახლოვდებოდა ლოკომოტივი, გავგორდებოდი განზე, აბა შენ მოგაკლევინებდი თავს? — გაიციინა გოგიტამ.

სენული

ვასილ ჯუფთაძეს ჯანმრთელობის ცნობა დასჭირდა, სამსახურში (რკინიკაველის ძველის ლაბორატორიაში მუშაობდა) ბულგარეთის ღირსშესანიშნაობათა დამთვალეირებელი ტურისტული ჯგუფის წევრობა შესთავაზეს. იმ ლაბორატორიის ყველა თანამშრომელი სამსამჯერ მაინც იყო ბულგარეთში და ბოლოს ვასილის ჯერიც დადგა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ აქამდე რატომ არ მოთხოვნილი პაუზის შემდეგ, გულდაწყვეტილი კაცის კილოთი თქვა ვარდენმა.

— არ გიცნობდი. შენი იმედი არ მქონდა, შეიძლება გაფხუკიანებულყავი და ყველაფერი წყალში ჩაგეყარა. ახლაც რომ გაგიტყდი, შენი მიმნდობი ხასიათის და იზაბელას ბრალია. რომ ვუფიქრდები, მაინც არ უნდა მეთქვა.

— თქმა რა შუაშია, არ უნდა გეჭხა. ხომ გავმასხარავდი კაცი.

— რატომ, შე კაცო?

— აბა, არაფრისთვის, მაიმუნობისთვის მივილე ეს ჭილდოც და სახელიც? რათ მიწოდდა, თვარა კი.

— რატომ, ჩემო ვარდენ? შენ შენი საქმე ხომ გულით გააკეთე. შენ კაი კაცი ხარ და გეკუთვნოდა, ასე არ არის? ჩემი საქმე მედლის მეორე მხარეა, ეგ ამბავი შენ. სულ არ გეხება. მე ჩემი მოწყენა მაქვს და ჩემი ფუნქცია მაქვს ამ ქვეყანაზე. ჩათვალე, რომ მე შენთვის არაფერი მოთქვამს.

კარგა ხანს თავჩაქინდრულნი ისხდნენ.

რას ფიქრობდნენ, ღმერთმა უწყის.

ბაგრატიის ტაძარს ღვთიური ციაგი რომ დაადგა და გრილ ცისკამარას ტორილები დაეპატრონენ, გოგიტა უხშოდ წამოდგა, მასპინძელს ხელი ჩამოართვა და ჭიშკრისკენ გააბიჯა.

პიჯაკ-ზურული მემანქანე გაუხშორველად იდგა ჭიშკართან და მიძივალს შეპყურებდა.

რა აღარ ხდება აღამიანის თავს, ძვირფასო მკითხველო.

რკინიკაველის ლაბორატორიას წლების განმავლობაში მხოლოდ ბულგარეთის ტურისტულ საგზურს სთავაზობდნენ. სემირამიდას დაკიდებულ ბალებს და ფაჯის კუნძულების ეგზოტიკას სხვა ლაბორატორიათა თანამშრომლები ეცნობოდნენ.

ვასილი ჯანმრთელი კაცი იყო. ბიულეტენზე მონადირე მოქალაქეთა



რიცხვს არ ეკუთვნოდა. ორმოცდახუთი წელი მოათია და ავად (სერიოზულ, ავადმყოფობას ვგულისხმობ), თითქმის არ გამხდარა. სურდოსთვის და თავის წამოტყევებებისთვის ექიმს ხომ არ შეაწყუბებდა, ამიტომაც პოლიკლინიკაში თითქმის არ დადიოდა და კაცმა რომ თქვას, არც პოლიკლინიკიდან აწყუბებდნენ მაინცდამაინც.

— ასე ექნათ ახლა ჩვენ — პოლიკლინიკის გამგემ, არაელამმა, ბოხხშიანმა, ასაკოვანმა ქალმა ვასილის ანკეტა განზე გასწია, შავი ხაზებით აჭრელეზულ ფურცელს თავზე ავადმყოფის სახელი და გვარი დააწერა და მავთულის სამაგრიტით („სკრეპს“ რომ ეძახიან), შევიდოდე პატარ-პატარა ქალაღლიც ზედ მიაკრა — დღეს ჩამოვლა გვაგვეთოთ, რასაც მოასწრებთ, რასაკვირველია. ხვალ ანალიზებს მოიტანთ და გავეშუქებით, — საათზე დაიხედა, — რენტგენოლოგი ჩვენთან თორმეტამდეა.

— მე... ისაა... არაფერი მაწუხებს და... ხომ არ შეიძლებოდა, რასაკვირველია, — განახლება-გარდაქმნამდე ვასილ ჟუფთაძის ეს სიტყვები სრულიად ბუნებრივად ეღერდა, ახლა კი პოლიკლინიკის გამგეს სასაცილოდაც არ ეყო.

— როგორ გეკადრებათ, ათი თავი მაქვს? დამთავრდა ის დრო ჯამბრთელ კაცს სიტყვაზე რომ ვენდობოდით. შეილი რომ იყოთ ჩემი, ვერაფერს დაგვხმარებთ.

ბოხხშიანმა ქალმა ვასილი მოწყენილად ერთხელ კიდევ შეათვალიერა. „ძალიან ხომ არ ვიბერებ თავს. მართალია ჩემზე უმცროსია, მაგრამ, რა ადრეც უნდა გაეთხოვილიყავი, ამხელა შეილი მაინც არ მეყოლებოდაო“.

ჟუფთაძემ მადლობა გადაუხადა გამგეს. ანკეტა-მიმართებები ჩაბლუჯა, დერეფანში გამოვიდა, პირველივე კარებთან გრძელ სკამზე მჯდომ, ბერეტის ქალიშვილს დამთქნარება აცალა და მერე მოკრძალებით ჰკითხა:

— ექიმს ელოდებით?
— არა, — მიუგო გოგონამ და გახზე გაიხედა.

— შეიძლება აბა შევიდეთ? ჩამოვლავარქვენსაქვე.

— შებრძანდით, ხმის მქონე ქალიშვილები მხრები აჩეჩა, ერთხელ კიდევ დაამთქნარა, ფეხები გამართა, უქუსლო, შინდისფერი მოკლეყელიანი ჩექმა-ფაჩუჩების წვერები ერთმანეთს გაუსვა და თავის ქალიშვილურ ფიჭრებს დაუბრუნდა.

კედელთან ბრონხეს ასოებით ეწერა „სტომატოლოგი“.

ვასომ კარი შეაღო და გაქვავდა. სავარძელში კაცი იჯდა და ყელგამოღარულივით ბლაოდა. აქედან მხოლოდ მისი უიმედოდ მოტყევილი თავი და მუხის ფოთლებივით შეჭრილ-შემოჭრილი ყურები ჩანდა. მკერდზე სათვალედაკიდებული, სანდომიანი სახის ექიმი ქალი მშვიდად, დაღლილი ხმით ეუბნებოდა.

— უნდა მოითმინოთ, ბატონო, უხდა მაკალოთ მუშაობა. ფესვამდე ხომ უნდა ჩავიდე.

— მმმ... უუუ... მმმ... — პრესტორიულ ხმებს გამოსცემდა პაციენტი და თვითნასწავლი მუნჯური ესტიკულაციით ცდილობდა მიეხვედრებინა ექიმს, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო.

— გადააფურთხეთ, — სანდომიანი სახის ქალბატონმა ხელში კალამივით მომარჯვებული ელექტრო-ბურღი თავის ადგილს დაუბრუნა და ჟუფთაძეს გამოხედა.

მუხისყურებამ გადანერწყვა. ყელსაფრით ცარემლი მოიწმინდა და ახლა იმანაც ვაწწირული მზერა ესროლა შემოსულს.

— ჩამოვლავარქვენს ვარ. ბოდიშს ვიხდი.

— ხომ ხედავთ, ბატონო. ავადმყოფი მყავს უნდა მოითმინოთ ცოტა ხანს.

— კი ბატონო, ჩვენ ბოდიში.

ვასომ უკან გადადგა ნაბიჯი, კარი გამოიხურა და ის იყო ფანჯარას მიადგა, რომ სტომატოლოგის ოთახიდან ისევ მოესმა ბურღის წუილის მოდევნებულო, დაგუდული ბღღილი. ასეთ ხმას ცხენები პირველქედვაზე, ხოლო კამეჩები დადაღვის დროს გამოსცემენ.

ქალაქის იმ ნაწილს, რომელსაც აბ-

ლა ვასილ ჭუფთაძე უმზერდა, სრულიადაც არ ეტყობოდა, რომ მარტის შუა რიცხვები იყო; ხეებს წვენი რომ ჩადგომოდათ, იგები და ყოჩივარდები რომ მოსდებოდნენ თბილისის ირგვლივ ჭერ კიდევ შერჩენილ დაბალ ტყეებს და ძეძვნარებს, ხოლო ჩრდილიანებში ძველი თოვლი თვალდახელშეშა რომ მიიპარებოდა. ქალაქში ჭერ კიდევ პალტოები ეცვათ. ქვემოთ, ვინაჲსკართან ბრუნენისჭულაბიანი მუშა ცეცხლზე შედგმულ შავ კასრს შავი კეტით ურევდა და სახეზე ხელაფარებული თავის უზარმაზარ ჩეკმებს დასცქეროდა. აქეთ, ტელეფონის ჭიხურთან, ავტონისპექტორი დახრილიყო და „გრა 39-67“ თეთრ ყივულზე ნომრებს ხსნიდა.

უეცრად კარი თვითნაკეთი ბოძბის გასკდომსავით გამაყრუებლად გამოიგლიჯა და თავკოტორა პაციენტი გულზემჭილდადებული გამოვარდა პოლში. ენგურუს სამიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, სამხედრო მეცადინეობის ბეჯითი კურსანტივით სწრაფად შემოტრიალდა და სხვა მხარეს გაიქცა. ისევ შეჩერდა, ისევ ასრთხმოცი გრადუსით შემობრუნდა, ყელ-მკერდზე ჩამოპოწიალებული. ხილაბანდი მოიგლიჯა, სტომატოლოგს კაბინეტში შეუგდო და ისე შეუვალად გააბიჯა, რომ ამკარად ჩანდა, ამ ხუთწლედში უკან მომბრუნებელი არ იყო.

— თქვენ მე მელოდებით? — ისე მშვიდად ჰკითხა სტომატოლოგმა სავარძელზე ლამაზად ფეხებგაჭიმულ გოგონას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— არა, — ქალიშვილი არ წამოწეულა. იგი დაღლილი გახლდათ და წამდაუწუმ ამოქნარებდა.

— შემობრძანდით, — ნახევრადმომღურალი მუზობელივით შეხედა ექიმმა ვასილ ჭუფთაძეს.

ბულგარეთის ტურისტული ჯგუფის მომავალმა წევრმა კარი შეიხურა და ქალაღდების ჭგრო მავიდაზე დააწყო.

— მოთხარით, არ არის ახლა ის სულელი? — ექიმმა ხელი შეიმშრალა და მავიდას მიუჯდა.

— აბა რა არის, — ვასილს გაუხარ-

და, რომ ქალმა რალაც ჰკითხა. მისთვის სრულიად ნეიტრალურ მანერაზე ნეიტრალურზე იმიტომ, რომ ამ აქცენტსა ბუღასავით დერეფანში გაჭრილი მუხისყურება კაცის ფსიქიკური წონასწორობა, ამ შემთხვევაში, ჭუფთაძეს ნაკლებად აინტერესებდა. მას თავისი დარდ-საფიქრალი ყოფნიდა.

— კბილები გაწუხებთ? — ქალმა ანკეტას ის ფურცელი გამოაჩინა, რომელშიც სტომატოლოგს დასკვნა უნდა ჩაეწერა.

— არა, — დაბეჯითებით უპასუხა ვასილმა.

— ებ თქვენი აზრია, მობრძანდით. ჰერისკენ ყბაშვერილ ვასილს კარგა ხანს უკაუნა კბილებზე პაწაწინტელა ჩაქუჩი, მერე ჩაქუჩზე უფრო პატარა სარკე უტრიალა კბილის ღრუში და განუცხადა, რომ საღეჭი მეოთხე და ზედა, წინა, საკბეჩი მეორე კბილის „კარისი“ უკვე დაწყებული იყო და სასწრაფო საექიმო ჩარევას საჭიროებდა. უკანა ქვედა სიბრძნის კბილის აქეთა, არასიბრძნის კბილი ჩამოტეხილი იყო და ჭერ ამოშენებას, მერე კი გადაკვრას ითხოვდა. რატომღაც ექიმმა მარცხენა ყბის პირველი ქვედა საღეჭი კბილი გაუბურდა, გაბურღულში ბამბა შეუქუჭა, დააკვირდით შინ, ცივზე, ან ცხელზე თუ გეტყინებათო, დააბარა და ზეგ, სამის შემდეგ დაიბარა.

დერეფანში გამოსულ ვასილს ქალიშვილისთვის რალაც უნდა ეკითხა, მაგრამ ეუხერხულა. სტომატოლოგის კაბინეტის წინ სავარძელში მიყუჩულ გოგონას თუ არ ეძინა, თვლემით ნამდვილად თვლემდა, ყოველშემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა.

თუ გასინჯვის ბარბაროსულ ვითარებას მხედველობაში არ მივიღებთ, ვასილ ჭუფთაძე უროლოგთან არ დაყოვნებულა. შარვაღს რომ იცვამდა, მორცხვი ღმილით შეჰყურებდა ორფასათვლიან, ფოცხვერისულავაშება ექიმს, რომელსაც უსვირინგო მკლავებზე თეთრი ხალათი იდაყვამდე აეკაბიწებინა და წერისას, ხანდაზან, ქვედა ყბას წინ კონტრუზიანივით წამოწედა.

— გაყენებს ლამამობით?

- ვერ გავიგე?
- ლამე თუ შარდავ მეთქი.
- კი ხანდახან.
- ერთჯერ?
- ნამდვილად.
- აწი მოგიმატებს. პაციენტები მყავს — ექვეყნურად კი დგებიან საწოლიდან. ჯერ შენთან საგანგაშო არაფერია, მაგრამ დროული ჩარევა მაინც სჭობია. შარდმდენს დაგინიშნავ და კვირაში ორჯერ მასაქს.

— მასაქე აუცილებელია? — შიშით ჰკითხა ჟუფთაძემ.

— აუცილებელი, ახლა... კი არ დაგვიჭერენ ამაზე. შენთვის იცუბნები, ახლა თუ არ მიხედავ, ორმოცდაათის რომ გახდები, საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა მოგიწევს. პროსტატას ნუ ეხუმრები. ხომ იცი, როგორი მკრძნობიარეა. რა მოხელე ბრძანდები?

— ლაბორატორიაში ვმუშაობ.

— ეტყობა კიდევ შენს პროსტატას. ხანდახან არც ღვინოზე იტყვი უარს, ისე, ზომიერად, ხომ ასეა?

— ისე, ზომიერად, იშვიათად რასაკვირველია.

— ჰოდა, თუ ჯანმრთელობა გინდა, პროფესიის შეცვლაზეც უნდა იფიქრო. რამე უფრო მოძრავი სამუშაო არ გწყევნდა.

ვასილმა მადლობა გადაუხადა. მასაქე მოსვლის დღეებად სამშაბათი და შაბათი აირჩია (ორშაბათს კბილის ექიმთან უნდა მისულიყო) და, ცოტა არ იყოს, შეფიქრანებული დაშორდა უროლოგს. პროფესიის შეცვლის მოთხოვნამ დაადარდიანა.

ნევროპათოლოგის კაბინეტთან ორი გრძელი სავარძელი სავსე იყო ავადმყოფებით და რამდენიმე კაცი წინდაუკან, მხოლოდ მისთვის გასაგები ბუტბუტით მიმოდრიდა. ჟუფთაძემ ქალადღებთან მარჯვენა გულზე მიიღო და პაციენტებს თხოვნა შეჰკადრა — თუ შეიძლება, გამოწავლისს წესით, ერთწამიანი საქმე მაქვს, ძალიან მეჩქარებაო. გაიკვია, რომ ორსკამეიყანახევი ავადმყოფებსაც ერთწამიანი საქმე ჰქონდათ და ყველას ძალიან ეჩქარებოდა. — ავადმყოფი არ გახლავართ, ცნობა

დამჭირდა ეს ოხერი, ხელს მომიწერს და ამ წუთში გამოვალტორქანსკერებელი ხმით და საწყის სისიქსისკით თქვა ვასილმა. გაიკვია, რომ ნევროპათოლოგთან ყველა ჩამოვლავ იყო და ყველა ცნობაზე ხელმოწერის ერთ ფიორ საქმეს შეეწუხებინა. ვასილმა ეშმაკობას მიმართა, ნევროპათოლოგის და თერაპევტის კაბინეტთან ცოცხალი რიგი დაიკავა და შედარებით თავისუფალი ლარინგოლოგის სადად მორთულ სამუშაო ოთახში ამოჰყო თავი.

ლარინგოლოგი დიდხანს და, ვერ დაუკარგავ, ერთვულად სინჯავდა ჯგუფთაძეს. იგი წონაში სპილოსგამოდევნებული, შუახანსგადაცილებული მამაკაცი იყო და მიძიმედ, ხვნეშით სუნთქავდა. სამოცდაათი კილოგრამი მაინც უნდა დაეკლო, რომ საშუალოდ შესუქებული მამაკაცის იერი დასდებოდა. ამისთვის შეიძლება, სამოცდახუთი კილოგრამის დაკლებაც საკმარისი ყოფილიყო, დანამდელებით ვერ მოგახსენებთ, შარის თავი არა მაქვს.

ჯერ ცხვირის ბრტილზე ხელი დონიერად მიაჭირა ჟუფთაძეს და ნესტოებზე სარკე მიანათა. ხელის მიჭერა, ცოტა არ იყოს, მაგრად მოუვიდა, ბრტილმა „ტკამ“ დაიძახა, მაგრამ ავადმყოფის წამოყვარებაზე ექიმს ხელი არ აუღია. „იცი ალბათ, ასეთი უბრალო დაწოლით ბრტილი რომ არ ტყდებო“ გაიფიქრა ჟუფთაძემ. შერე ყურში პატარა, მონიკელებული ლამაზი, ძაბრი ჩაუღო და მანამ უტრიალა, სანამ ხიციანთ აღელვებულმა პაციენტმა ნერვიული ხითხითი დაიწყო. გასინჯვის ბოლო ეტაპი უფრო ძნელი აღმოჩნდა: პირი დააღებინა, „ააა“ დაამახებინა, კიდევ ერთხელ დაამახებინა „ააააა“ და შესაფერისი მომენტი რომ შეუტრიალა, ისე ენერგიულად თბარა ყელში ლარინგოსკოპი (ფოლადის გრძელ ლეროზე დამაგრებული სარკე) რომ რკინა-ყავილის ლამორატორიის თანამშრომელს თვალები კინალამ ბუდიდან გადმოუცვივდა და ქუთუთოები ყელშიწაჭერილივით დაებერა. აქამდე თუ ჩემად იყო, გასინჯვის შერე ბეჭემოთისწონიანი ლარინგოლოგი გამო-



ცოცხლა. „თქვენი სენებიდან ორი მკურნალობას ემორჩილება, ერთი არაო — მიახარა ვასილს — ყელში სიმშრალე გაქვთ, ყურის ბარაბნის შესქელება და ცხვირში ქრონიკული სურდო — ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთებაში გადასულიო. ყველასთვის ყოველდღე ინგალაციას გინიშნავთ, ყურისთვის გამორეცხვას და ფიზიოთერაპიას ცხვირში დღეში სამჯერ ნაფტიზინი ჩაიწვეთეთ და ამ კურსს რომ მოჩვენებით, მომაკითხეთ, იქნებ მერე სხვა კურსი გახდეს საპიროვო“.

ვასილის ანკეტა-მიმართვებს სამი ქალაქი დაემატა: რეკეტი და ორი დანიშნულების ფურცელი. საინგალაციო მესამე საათულზე აღმოჩნდა საქარდიოგრამო ლაბორატორიის გვერდით, ხოლო ფიზიოთერაპიის კაბინეტი მეორე კორპუსში გადაეტანათ და იქ რა ადგილას იყო, ზუსტად ვერავინ უთხრა. გადადით მეორე კორპუსში და იქ მიგასწავლიან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არ დაგიმალავენ. კეთილი ადამიანები ყველგან არიანო, უთხრა ლურჯხალათიანმა, მკლავზე წითელჯვრიანმა სანიტარმა ქალმა, რომელსაც ხელთ ცოცხი და ვედრო ეჭირა და, ვინ იცის, გარემოების გამო, იქნებ, დამლაგებლის თანამდებობასაც ითავსებდა.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, მოკლედ მოგახსენებთ; ოჯელისტმა თვალის გარსის ანთება, თვალის წნევა და მხედველობის მსუბუქი დაქვეითება აღმოუჩინა. წვეთები და სათვალე გამოუწერა, ხოლო აკრძალვით წყალში ყვინთვა, დიდხანს კითხვა და ტელევიზორის ერთ საათზე მეტ ხანს ყურება აუკრძალა. ყვინთვას იოლად შეელია ჩვენი გმირი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არა თუ ყვინთვა, ცურვაც არ იცოდა და ზღვაში მხოლოდ წელამდე შედიოდა, ისიც იშვიათად; კარტის თამაშით და მალაფეხება სვერდლოვსკელი გოგონების ცქერით რომ დაიღლებოდა. წიგნთან და ტელევიზორთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, რომ არ დაგიმალოთ, აშკარად შეაშფოთა. წიგნის კითხვა და ტელევიზორი (განსაკუ-

თრებით ტელევიზორი) ჯუფთად დალიან უყვარდა.

ვერც თერაპევტს დამოუკიდებელი ბიანად. ვასილს მუცლის პერიოდული შებერილობა, ყაბზობა და კოლიტის დასაწყისი სტადია აღმოაჩნდა. დიეტა, სადამოზობით ფეხით სიარული და სასაქმებელი ზეთი დაუნიშნა. თუ ამან ვერ გიშველაო, კვირაში ერთხელ ნაწლავების გამორეცხვას მიმართეთო, სთხოვა ახალგაზრდა, ბროლისთითება ფერფლისფეროშიანმა თერაპევტმა, რომელიც ისე მსუბუქად და დიდხანს სწავლობდა ვასილის მუცლის შებერილობას, თითქოს როიალზე უკრავსო.

ნევროპათოლოგთან შესვლამდე კამათის მეთოდით მოუწია ვასილს ავადმყოფთა შორის იმის დამტკიცებამ, რომ მან ამ ორმოცი წუთის წინათ რიგი დაიკავა. კამათმა კატეგორიული ფორმა მაშინ მიიღო, როდესაც ჯუფთაძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის შემდეგ მოსულ პაციენტს ცდა მოსწყენოდა და წასულიყო, ხოლო წინ მდგომ, ხელჯოხიან მოხუცს რკინა-ყავეულის ლაბორატორიის თანამშრომელი აღარ ახსოვდა. ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა; ვინც ვასილამდე იდგა რიგში კამათის შედეგი სულ არ ანაღვლებდა, ხოლო ვინც შოლოში იყო ფიქრობდა: მაინც კარგა ხანს მოწყვეს ლოდინი, რაზე ავიწყო კიდევ უფრო, ეს ისედაც აშლილი ნერვებით. ახლომახლო მდგომ ორ-სამ კაცს, როგორც იქნა, მოუარა ვასილმა: ზოგს ლოგიკის რკინის კანონით, ზოგს ექვმიუტანელი საბუთებით და ზოგს უბრალოდ დაშინებით (რაკი სხვა გამოსავალი ვერ იბოვა).

ულვამ-ცხვირიანად გაბარსულმა, გამხდარმა ქალაქაშეურეველმა, ხუჭუჭთმოსანმა ჭარბაგმა ნევროპათოლოგმა იმდენ ხანს ატარებინა თვალები იქეთ-აქეთ (შესაბამისად ზემოთ და ქვემოთ) და იმდენ ხანს ურტყა ჩაქუჩი მუხლებზე ვასილს, სანამ ნევროსთენიის მსუბუქი ფორმა და გადატანილი ვეგეტონერგოზი აღმოუჩინა. დღეგამოშვებით ანაზანის პროცედურები, სარაჯიშვილის მიქსტურა და დაწოლის წინ ტა-

ზეპამი“ დაუნისა ავადმყოფს, რომელმაც თავისი საინტერესო ავადმყოფობის შესახებ ესესაა შეიტყო და ექიმს მოწოდებდა გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა.

მეორე დღის თავგადასავლებით და სანაღრო-ლაბორატორიული დაკვირვებების ჩამოთვლით მკითხველს აღარ გადავლლი და ზოგი რამის წარმოდგენას. მის მდიდარ ფანტაზიას მივანდობ.

• • •

ამასწინათ შემხვდა ვასილ ჭუფთაძე. ძლივს ვიცანი. ყელი შეეხვია, ყურებში ბაზმა გაერქო, ხელჯონი ექირა და ფერდაკარგული ჩანდა. პოლიკლინიკის შესასვლელთან ხალხი ირეოდა და დიდხანს ველარ გავუჩერდით ერთმან-

ნეთს სალაპარაკოდ. მეჩქარებოდი. სამსახურში ჯანმრთელობის კარგად მოქმედობას და სასწრაფოდ უნდა მიმავდი. რამ შეგაწუხა მეთქი, ვკითხე.

შენ ის მითხარი, რამ აღარ შემაწუხაო. სერიოზული ავადმყოფი ვარ, მესამე თვეა პოლიკლინიკაში ვალაგებ, მაგრამ უკეთესობას, ჭერჭერობით, ვერაფერს ვატყობ თავსო. რა მეზულგარეთება ავადმყოფ კაცსო.

სამსახური მეთქი?

სამსახურისთვის ჭერ თავი არ გამოვინებებია, ბიულეტენზე ვარ, მაგრამ სანამ შეგინახავს ბიულეტენი, გამოთავისუფლებენ ალბათ, ამ დღეებში, და სტაციონალურ მკურნალობაზე გადავივლო.

პაციენტი

ჩემს-მერე ერთი კაცია და მერე შენ იქნები. ჭოხიანი კაცი არ შეგხვედრია კვივით? თქვენს მერე მე ვიქნებო, მითხრა და ჩაბრუნდა კიბეზე, ეგებ აღარც ქე მოვიდეს. დაჯექი, მოიცადე. მე მალე გამოვალ. ხუთწუთიანი საქმე მაქვს. გამსინჯავს და თუ გამოიგო რამე, ხომ კარგი, თუ არა და დავიხებრავ ქუდს და გამოვბრუნდები. რას ვუცდი, აბა, მაგენის მკითხავობის თავი არა მაქვს.

წვერიც ველარ გავიპარსე დღეს. ოჩოკოჩს ვგავარ. ვერ მოვასწარი, შეიღსათიან ავტობუსს გამოვეყვი. მეორე ავტობუსი ნაშუადღევს ჩამოვიღის და ნასადილევს შენ დაიჭერ ექიმს ადგილზე? „გამომახებანება“ მოგახლიან იმწუთში. არის, არ არის გამომახებანებაზე, ეშმაკმა იცის. რაღაცნაირი, ახალი ავადმყოფობა გაჩნდა ამ ქალაქში; სამსახურში ჯდომა არავის უნდა ოლონდ თავის საქმეს ნუ გააკეთებინებ კაცს და თუ გინდა, დირიჟაბლით ავა მალლა, არ შეეშინდება. დადიან წითელკნინკ-შებმული, საქმეს მოცდენილები. ჰყოფენ ცხვირის სხვის დავთარში. „ვინ ხართ?“ „კომისია ვართ“. რაის კომისია, ბატონო? აღარ გათავდა ეს კო-

მისიობა? თუ მენდე და თუ მომეცი პატარა გასაქანი, მაკალე ცოტა ხანს. მეკოპერატორე კაცს ყელში თუ წაუჭირე და წამდაუწუმ ნაბიჯი უზომე, იშვლიბავს ქუდს და გაგეკცევა აბა რას იზამს. ამგენს ისიც უნდათ, პატარა საროკიკო — წსაგებელი გაიჩინოს კაცმა და ისიც უნდათ, ძველებურად მუშაში ყავდეთ მომწყვდეული. ასე სადაა. სახლში თუ კონტროლად და რევიზიად მიუხტი, რაზე აიტკივებს თავს? დაიწყებს ისევე შენთან მუშაობას და მოიპარავს, როგორც აღრე იპარავდა. სახელმწიფოს ფართო ჭიბე აქვს და ყველანაირი ზომის ხელი ეტევა, ნუ გეშინია.

თვე გათავდება ახლა იმ ოთხშაბათს, რაც ექიმების კარზე ვარ აღოღებული. ისე მოვიყარე ორმოცდაათობმეტი წლის, ექიმი და წამალი არ ვიცოდი. ოყნა რომ ოყნაა, ისიც მიდღემჩი არ გამოიკეთებია. არ დამჭირებია და ტყვილად, ისე, ფასონად ხომ არ გავიკეთებდი. მეზუთე ექიმთან ვარ ახლა ამ კვირაში. ამაზე მითხრეს კი ექიმიო. ენახოთ, გავიგებ, რაცხა ხვითო ჰყავს გამჩენს. ამანაც თუ ვერაფერი გამოიგო, თბილისში წავალ. მინდა, ერ-



თი, ჩემთვის გაგარკვიო, სათქმელად და დასაფიცებლად მჭირდება; იციან ამ ჩვენმა ექიმებმა რამე, თუ ბაბუერში არ არიან ავადმყოფობის და ტყვიად გვაქვს მაგენის იმედი.

მოვიწამლე მე ამ თვეწახვერის წინ. ჩამყვა ალბათ რაღაცა. ცოტა ნერვიულობაც შემხვდა სამსახურში, ეს მოწამვლაც დაერთო და კინალამ წავიღე წერილი. ძლივს გამომგლიჯეს სიკვდილს. რაც მე შრატები მისხეს და წვეთოვანები მიერთეს, გულაპარაკები მეშინოდა სისხლი არ გამოწყალდეს-მეთქი. მაინც თავის დღემდე არ მონაკვდომა ადამიანიშვილი. გამოვედი, როგორც იქნა, მდგომარეობიდან, მარა მოწამვლამ ფხანა დამიტოვა. ესაა სულ ჩემი ავადმყოფობა. მეტი კი არაფერი მჭირს. ჩვენის რაიონის პოლიკლინიკაში მივედი თავიდან. საღ წახვალ აბა. რა გაწუხებესო, მორიგე ექიმმა. მე ავადმყოფი ვარ, მე ვუთხარის და რაცხა მაწუხებს, თუ ექიმები ხართ, უნდა მიხვდეთ თქვენ მეთქი. აბა რისი, ექიმები ხართ, რას მიკეთებთ მეტს აქანათქვა

იმან იმასთან გამგზავნა, იმან იმასთან, არ ვეუბნები განზრახ, რაც მაწუხებს. გაგიგონია? ავადმყოფობის ინჩინინჩი არ იცის არცერთმა. ყველამ თვისი წამალი გამომიწერა. ერთი უჭრა რეცეპტი მიყრია სახლში. არც მივსულვარ აფთიაქში, არც გამომოტანია. მაგენის წამალს მოვაკვლევიანებ თავს?

ორი კვირაა ახლა რაც აქ ვარ. ნათესაეთან ვარ გაჩერებული, მაგერ, გოქოურთანზე. ვიყავი გუშინწინ ერთთან, კაი სპეციალისტიყო. ახალგაზრდა ბიჭია, სათვალაინი. მაგერ ცხოვრობს მწვანეყვავილაზე, სასაფლაოს ასახვევთან. „რა გაწუხებესო“, „ფხანვა მაწუ-

ხებსმეთქი“. მსინჯა კი ხანს, „რაისი მიზეზია, ბიბია, თუ იცხარ ეს მსხვერუს მე მეკითხები?“ მე ვუპასუხე: „მე შენ ხარ და მიზეზი შენ უნდა მითხრა მეთქი. მე ქე ვიცი, რისი მიზეზით მეფხანება, მარა ამას რავა ვეტყვი. ექიმია და მიხვდეს გაანძროს თავი პატარა.

მიტრიალა თვალთან თითებო, მიკაკუნა მუხლებზე ჩაქუჩი და ვითომ ბევრს მიხვდა, სარაჯიშვილის მიქსტურა გამომიწერა. მიქსტურა მინდა მეე?

ა ბატონო ესაა ჩვენი ექიმობა. ეგენია შიღას და კიბოს რომ მოარჩენენ? მევიწამლე კაცი და მოწამლვამ დამიტოვა ქავილი. ამაზე ადვილი ავადმყოფობა და ჩემზე ადვილი მოსარჩენი, არ მგონია, ვინმე ყავდეთ მაგენს, მარა მე არ ვიტყვი. მე რაზე ვეტყვი მოვიწამლეთქვა. თვითონ უნდა მკითხონ, ზომ არ მოწამლულხარო, არ ვარ სწორი?

მინდა ერთი გავერკვიო, რა ექიმები გვყავს. რომ მეუბნებოდნენ, არ მჯეროდა. ახლა ამას გავესინჯები და ამაინაც თუ მიქსტურა გამომიწერა, თბილისში წავალ. იქაურ ექიმებსაც შემოვივლი.

ჯერაჯერობით ქე ვუძღვებ ამ ქავილს. ყოველთვის კი არ მეფხანება, ხანდახან იცის. ახლა მაგალითად არაფერი. ამის მოარჩენა სულ არ მეჩქარება მე. სიმართლე გითხრა, ახლა იმის გაგება უფრო მინდა, მართლა ტყვილა აქვს ნახევარზე მეტს დიპლომი მიღებული თუ არა.

მე არ ვეტყვი, მოწამვლამ დამიტოვა ქავილითქვა, თუ კი ექიმია, მიხვდეს თვითონ. ჩქარა გამოვალ, ნახავ აგერ. დიდხანს არ გავუჩერდები. რომ გოვუჩერდე, რაი მერე. რას მიმიხვდება.

ბულისთქმა

ნიკუშას დამყოლი ხასიათი ჰქონდა. დამყოლი და რბილი ხასიათისა რომ არ ყოფილიყო, რა უნდოდა ორმოცი წლის კაცს ამ გადარეულების გვერდით სამიათას ოთხასი მეტრის სიმაღლეზე,

თოვლისა და ყინულის საბრძანებელში. მთელს საპროექტორ ინსტიტუტში სამი ადამიანი იყო სათხილამურო სპორტით დაავადებული და იბღლად სამივე ნიკუშას შეახვედრა გამჩენმა. ერთ ოთა-

ხში ისხდნენ: ქალიშვილობა-გახანგრძლივებული, ცხვირპაჭუა და იისფერთმიანი, ასაკთან შედარებით საექვოდ გამხდარი ზემფირა, სამცხლშვილოსანი, სპორტის ოთხ სახეობაში ყოფილი სპორტის ოსტატი, მალალი და კაფანდარა, ზანგისთმება და გოქისთვალემა მათე, ენციკლოპედიურად განათლებული, სულ მომღიმარი და განზე გამყურე, ქილიკოსი და მოჭარაგმე, ყოფილი კოჭლი-იურა და თვითონ ნიკუშა. თუ რამ სიტყვები ისმოდა ამ ოთახში ყველაზე უფრო ხშირად ეს გახლდათ „ფიშერი“ და „როსიგნოლი“, „ელანი“ და „ენეისლი“, „მარკერი“ და „სალომინი“, „უვექსი“ და „კოლტი“. რაზეც უნდა დაეწყოთ სამაიას საუბარი, ბოლოს მაინც თხილამურებით ამთავრებდნენ. ნიკუშა მდუმარედ და მოწყენილად ისმენდა ამ საუბრებს, რადგანაც წელიწადის დროებიდან ყველაზე ნაკლებად ზამთარი უყვარდა, სწორედ თოვლისა და სიცივის გამო.

— ვთქვათ ჩამოსრილდით, მერე? — ნერვებმა უმტყუნეს ერთხელ ნიკუშას და კამათში ჩაება.

— რა მერე? ახვალ და ხელმეორედ ჩამოსრილდები — განუმარტა იურამ.

— რა არი მერე, ესაა სულ? ამაზე ეფეთებით ბავშვებივით? ბავშვს რომ ჩამოსრილება უხაროდეს, მესმის, ვსაგებია. თქვენ? სერიოზულ ხალხს? ვთქვათ, ერთხელ ჩამოსრილდი, შარშან, შარშანწინ, წელს, გაისად? რა სიამოვნებაა ერთი და იგივე გზაზე სრიალი. არ მოგწყინდათ?

— შენ არ იცი ეს რა გრძნობაა! — თითები თითებში გაუყარა და კულტსახლის მსახიობის რომანტიულობით ჭერს ახედა ზემფირამ.

რა იცოდა ნიკუშამ, რომ იმ დღეს სამი მეგობრის საუბარში ჩარევით საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მომდევნო კვირებში სათხილამურო სპორტის მომხიბველობასა და სარგებლიანობაზე დეკლარაციულ ლაღადისში ჩაიარა, ბოლოს ნიკუშას ცოლსათხოვი დანაზოგის ყულაბას თავი უწყევს და ერთმანეთის მიყოლებით შეაქნინეს

ცხრანახევარი ზომის „ალპინიტი“ / და პოლსპორტის თხილამურებზე დადგური პატენტის „მარკებითუხმს“ შექმნის, ბორჯომის მატარებელში რომ სხდებოდნენ, ნიკუშამ ნაღვლიანად მიმოიხედა და ამ კვირაში ოცდამეჩვიტმეტეჯერ „განაცხადა: „იციოდეთ, ფებს მოვიტეხავ“. სამეულმა გადაიხარხარა. იმგვარი ხარხარით წარმოუდგენელ და დაუჭერებელ ნათქვამზე რომ იცინიან ნახევრადდარბაისელი ადამიანები.

თხილამურებზე პირველად რომ შედგა და ოდნავ დაქანებულზე დაეშვა, შიშისაგან ყვირილი შორთო. ეგონა თოვლიან მიწიანად მოწყდა ქვეყანას და ეს თეთრი მეწყერი სადღაც უფსკრულში მიაქანებდა.

რა უბრალოდ და ლამაზად სრიალებდნენ ეკრანზე და სინამდვილეში, რა ჯოჯოხეთი ყოფილა თხილამურებით სრიალი.

გუშინ მთელი დღე „პლუგში“ ავარჯიშებდნენ. სამივენი ალტინებულნი და აკეტებულნი ჩანდნენ. ერთმანეთს არ აცილდნენ. ტყვიამფრქვევით აყრიდნენ ჯოხებს საექვოდდაყრდნობილ, დამწყებ მოთხილამურებს.

— „პლუგი“ ფრანგების მოგონილია, ყველაზე სიამელო სრიალია! — გაპყვიროდა იურა.

— თხილამურები სამკუთხედისებურად გაშალე და კანტებზე დადექი! — ბუხუნებდა მათე.

— მუხლები ახლოს, ჯოხები მეკრდთან გუპიროს! — კაკანებდა ზემფირა.

— „პლუგით“ ერთ დროს ტონი ზაილერიც დადიოდა. — იგონებდა იურა.

— როცა მარჯნივ უხვევ, სიმბიძე მარცხენა ფეხზე გადაიტანე და მარჯვენა ფეხი გამოინთავისუფლე! — კატეგორიულად ურჩევდა მათე.

— წინ გადაიხარე. სამკუთხედი არ დაჯარგო. ხელები უკან ნუ გრჩება! — იკაჭებოდა ზემფირა.

სხვა რა გზა ჰქონდა; ნიკუშა მორჩილად, მაგრამ მოუხეშავად და ზოგჯერ სასაცილოდაც სარულებდა მწვრთნელთა მითითებებს. დროდადრო შეჩერდებოდა, ლურჯი ციდან დამევე-



ბულ ქათქათა კობტაგორას გახედავდა, ამოიოხრებდა და სრულიად დაჭერებით იტყუადა:

— იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ.

მწვრთნელები გულიანად იცინოდნენ.

ამ დილით ნიკუშა სპორტბაზის უჯან, საბაგიროზე დასვეს და მთაზე აიყვანეს. სკამიდან რომ ჩამოხტა ჩვენი გმირი უჯან გასრიალდა, განზე გადაიქანჯა და ჩაიკეცა. მხარებში შეუღგნენ, წამოაყენეს და ე. წ. სასტარტო ადგილამდე მიაჩოჩეს. იქ ნიკუშამ ღონივრად გაფარჩხა ფეხები, ჯოხები ორივე მხარეს შეიბიჯა და დადგა.

რანაირად არ სთხოვეს, რა სიტყვები არ აკადრეს, რა მეთოდებით არ დაანამუსეს, ბოლოს მუქარაზეც გადავიდნენ, მაგრამ ნიკუშამ ფეხი არ მოიცივლა. თითქოს შუბლის ძარღვი გაიწყვიტა, დამამცირებელ ხუმრობებსაც არად დაგიღვედათ. ეშინოდა, მორჩა და გათავდა. მწვრთნელთა ქაქანი ფუტკრის ბზულიად ჩაესმოდა, ბოლოს სიტყვებსაც ვეღარ არჩევდა. ფრაზათა კორიანტელში თუ მცირე დერეფანს მოიხეტობდა, მაშინვე ჩაურთავდა:

— იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ.

ნაძვთა თეთრ კენწეროებს სიო არხევდა. ნერვებისმოშლელად მშვიდსახეებიანი, პეპელასფრად გამოწყობილი მოთხილამურენი, თითქოს თეთრი წყვდიადიდან გამოიჩეკენო, სკამიდან ჩამოხტებოდნენ, თხილამურს ყინულს გადაუტყაპუნებდნენ, ხელთათმანებს გაისწორებდნენ, ჩაიხრებოდნენ და ფეხთა მიმოსროლით თვალისდახამამებაში უჩინარდებოდნენ. ოთხმოცდაათიანი ტრამპლინიდან დაშვებულ მფრინავთა გიგანტური თხილამურების წუილქშული აქამდე აღწევდა.

— არ გამოვა ჩემგან კამიკაძე, მეშინია, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფეხს მოვიტეხავ! — თვალეზში აციმციმებული ცრემლით, ყელგამშრალი ეუბნებოდა ნიკუშა მის წინ ავად მოხტუნავე მეგობრებს.

მწვრთნელებს გაგონებაც კი არ სულდათ.

— ცნობილი შემთხვევაა, თქვენი გიური შოკის მდგომარეობაში მდებარეობითი კატასტროფა, სწინაგონიერება უნდა დაძლიო და ყველაფერი კარგად იქნება, — ფილოსოფოსობდა იურა.

— რატომ არ გჯერა ჩვენი. ბოლოსდაბოლოს მშვენივრად იცი, რომ შენი მტრები არა ვართ და ამ სპორტში საკმაო ავტორიტეტებსაც წარმოვადგენთ. შენ „პლუგს“ უკვე დაუფლებული ხარ. თავისუფლად შეგიძლია დაეშვა! — გაფუჭებული მაგნიტოფონივით იმეორებდა მათე.

— რა შეგვიკალი, შე კაცო, ხელში გაბედე, ვაეკაცი არა ხარ? — წყრებოდა ზემფირა.

ნიკუშამ ჯოხს იღლია დააყრდნო და ქალიშვილს შეხედა.

— როდის ვთქვი მე, ზემფირა, ვაეკაცი ვარ მეთქი. არ ვარ ე ვაეკაცი, ბატონო, და ძალაა?!

განა თვითონ არ გრძნობდა ნიკუშა, რომ მისი სამომავლო ავტორიტეტი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ რა ექნა, სხვანაირად არ შეეძლო. ყინულის უფსკრულს გულისფანქვალთ ჩასცქეროდა და იმ წუთში მარტო აქ ამოსვლას კი არ ნანობდა, საერთოდ თავის გაჩენას ამ ქვეყანაზე.

— რაც დრო გადის, უფროდაუფრო შეგეშინდება. თავს უნდა მოერიო. შიში ბუნებრივი მოვლენაა. ესკიმოსებსაც კი ეშინიათ, — არ იშლიდა დამოძღვრას იურა.

— სამივენი აქა ვართ, შენს გვერდით. ბოლოსდაბოლოს თავმოყვარობის ამბავია. ხომ ხედავ, თითის სიგრძე ბავშვები სრიალებენ, — მაგალითის ძალას იშველიებდა მათე.

— რატომ გვჭრი თავს, ქვეყანა ჩვენ შემოგვცქერის, ნამეტანს ნუ იზამ, მართლადმართლა, — ქაქანებდა ზემფირა.

საქვეყნოდ შერცხვენას ნიკუშამ რისკი არჩია.

თუმცა გული ამხედრებით ეურჩებოდა, მაინც დააწვა ჯოხებს და სანამ გასრიალდებოდა, მოასწრო ერთხელ

კიდევ ზიზღნარევი სიჭრეტით ეთქვა სამეულისთვის:

— იცოდეთ, ფებს მოვიტეხავ.

წამიჯ არ იყო გასული, იგრძნო როგორ აყირავდა თეთრი უფსკრული, ღონივრად. აისტიტა თხილამურები საგულდაგულოდ დაუთავებელმა თოვლმა, ყურში ღრჭიალი ჩაესმა და სადღაც, წვივის ქვემოთ, საშინელი ტყვილი იგრძნო.

ასე რომ, შორს ჩასრიალება არც კი დასჭირვებია, იქვე სამიოდე მეტროში მოიტეხა ფეხი ნიკუშამ.

...მშველელნი დროზე მოვიდნენ. გა-

დმობრუნებული კუ რომ თავის ბეკანზე წევს და ფეხებს ტუფსაფეხუკისე იწვა საცაყეზე ნიკუშამ მშველელნი ფებს არ ამობრავებდა. ხმასაც არ იღებდა. პრისხანებით აღსავსე თვალებით ათვალეობდა შესხვაფერებულ გარემოს და მშველელთა გვერდით თავდახრით მოძავალ მეგობრებს.

მათეს, იურას და ზემფირას სიკეთის მეტი რა სურდათ ნიკუშასათვის, მაგრამ როცა გული უგრძნობს კაცს, ნუ აუხიბრლებით, თქვე კიი ხალხო, ზოგა რამ გულისთქმასაც დაეჭერება.

ჩაიმი ღარდის ლაგაზი

რამ დაუმძიმა ასე გუნება, რამ მოუშხამა ხასიათი, ვერა და ვერ გამიგია გულჩახვეული გახდა. ველარ ეცნობ. თითქოს გარეგნულადაც გამოიცვალა. ის სუნიც აღარა აქვს, ხუთ საყენზე რომ მცემდა და ჭიხვიანს დანალს წყარუნს რომ ამატებინებდა. ის დრო ხომ წავიდა და წავიდა; დილით ზურგზე რომ მარჯვენას გადამისვამდა და ხელისგულით შაქრის ნატებს გამოიწვდიდა. ჯერ მადლობის ნიშნად რომ დავაუხუთქავდი ხელისგულზე და მერე ლაშებით ფრთხილად, ფრთხილად ავიღებდი შაქრს. ბოლო დროს დილაადრიან თველში შემოსული ერთს მაინც შემეხმინებოდა: „როგორა ხარ შე ბებეროვო“, ახლა ესეც მიმიტოვია. ალბათ ჩემი ბრალია, ეტყობა ხანმა თავისი გაიტანა, ძველებურად ველარ ვემსახურები მეთქი. ასე რომ იყოს, გასაყიდად გამოიტეხება. ღმერთმა ნუ ქნას! რალა დროს ჩემი ახალი პატრონია. მართლაც რამ შეუბრუნოს ღმერთმა ჭკუა და ბაზარზე გამოყვანოს, ხომ დავიღუპე და ეგ არი. არა, არა ისევე შეჩვეული ჭირი მიჩვევია, შენი გულისა. რაც არი, არი. ამის ხელში ის კარგი დღეები მაინც მახსოვს და იმედის ლაგამს მაინც ვხრავ, იქნებ კიდევ მოუბრუნდეს მეთქი გული.

რაც მე თოვლი, ზამთარი მეჭაერება. კვიციობიდანვე მძულდა. მაინც რა

გრძელი ზამთარი იცის ჩვენს სოფელში. ერთ სიკვდილს ვათავებ რომ ჩამოთოვს და ორთვალას მარხილით შემიცვლიან. ორთვალა სატარებლადაც უფრო მოხერხებულია და თავდაღმართში გავაზეც არ გაწვება მარხილივით. გადატყავებული მაქვს უკანა ფეხები. ესეც არ იყოს, ეს დასაწყვეი მარხილი მოხვევისას ცალკერძ გასრიალდება და მაინცდამაინც ჩასაყარდნს მოძებნის. გავიხნიქები წელში, რაც შემოდლია, მოვეჭიდები ფლოქვებით ღორღს, „ოღონდ ახლა არ მომიქნევდეს მათრახს და არ დამახებდეს — პაიტ, შე სამგლეფ, შენაო“, და რა უნდა გამჩენს. მაგრამ ცხენის იღბალი არ იცი? მომინაცვლებს და მომინაცვლებს ფერდებზე, მოალებს პირს და მთათხავს. თითქოსდა, რამეში მშველოდეს ან მათრახი ან ჩემი პატრონის ბეწვისამშლედი ყვირილი, თითქოსდა უამისოდაც არ ვეწეოდე, რაც ილაჯი და არაქათი გამაჩნია.

მთელი დღე ხომ ციბრუტივით მატრიალებს აღმა-დაღმა, შებინდებულზე გასაყავებულს შემავდებს თველში, ერთ კონა თოვას დამიყრის და კარს გაიკეტავს. რა გაათენებს ზამთრის გრძელ ღამეს. თოვის ჭამის თავიც აღარა მაქვს, ისე ვარ დაღლილი. ხანდახან თვლუმა მომერევა და ჩემი ყბების ხმავე გამომაღვიძებს. საფეთქელთან

ყრუდ მიკაქუნებენ ბებერი ყბები. თივის ხრამუნს ვწყვეტ და შემკრთალი ღამეს დაეყურადებ. რას დავინახავ ხარხაზე გადადებული უნაგირის, კედელზე აყუდებული აჩახული ორთველისა და მიწაზე წიანგვივით გაწოლილი მარბილის მეტს. ხანდახან თავვის წრიპინი თუ შემაკანკალებს და ძირს დავიხედავ. თავვის უნდა მემინოდეს ამხელა ცხენს?

როგორ გინდა გააგებინო, რომ ჩემთვის ამ უგემურ ჩალა-თივაზე და თავწყარულ ერთ ვედრო წყალზე უფრო საჭირო ერთი თბილი სიტყვაა ქანცაწყვეტილს მალამოსავით რომ დამედება გულზე და განთიადამდე მაინც გამაძლებინებს. თუნდაც ცალყბად ნათქვამი: „აბა დაისვენე ბებერო. არა უშავს ვიშრომეთ დღეს. ჯერ კიდევ ვაჭობებთ ჩვენზე გლახებს, ასე არ არი?“

ამ ბოლო დროს ავი სიზმრები მომძალა. ხშირად მესიზმრება ის ყველაზე საშინელი დღე დიდი ხნის ჩაძირული რომ მეგონა მესხიერების უფსკრულში. ურაკვიცი ვიყავი, ლალი და თავნება, რემას რომ გამომარიდეს, ყელზე ბაწარი შემამბეს და ამ ეზოში შემომიყვანეს. ორი დღე გადაუბმელად ვბოტენ აბლამოწვერილი ბალახი. შიმშილისგან ლამის ჭკუიდან შევიშალე. ისე გადავბოკე ჩემი თოკის გაწვდენაზე ბალახი, როგორც ჩემს პატრონს აქვს ხოლმე სახე სადალაქოდან გამოსვლისას. თურმე უფრო დიდი განსაცდელი წინ მელიოდა. მესამე დღეს დრუნჩზე ბაწარი მომიჭირეს და სასაფლაოს გვერდით, გამლილ მიწნოვრზე გამიყვანეს. ჯოჯოხეთი თურამეა. სწორედ ის იყო. ორი კაცი ისე გამეტებით მცემდა გრძელ მათრახს, მეგონა კანი ჩემი აღარ იყო. გაცოფებული წინ რომ გავვარდებოდი, ისე ღონიერად მომიღრეჯდნენ კისურს, რომ ძვლებს ორჭილი გაქონდა. ჩემი ჭიხვინი ზეცას წვდებოდა და ლამებზე მოდგარი ქაფი ცხვირში ისე მიწვებოდა. რომ ერთი-ორჯერ სასულეშიც გადამცდა და კინალამ დამაღრჩო. გავსავათი. თვალბში სინათლე აღარ მქო-

ნდა, გაქრუებულ ტანზე შაითრას უკვე ველარ ვგრძნობდი, ნელა მოკრწერილი წრეზე და სადაცაა წვეტიანი უფელში გახვითქული გამაჩერეს, დრუნჩიდან სისხლში დასვრილი თოკი მომხსნეს, პირში ლაგამი ჩამარგს და უნაგირი დამადგეს. ის დღე მესიზმრება ამ სიბერეში ხშირად და „რას მერჩით, რაღა დროს ჩემი გახედვანა, ერთხელ ხომ გამხედნეთ მეტქი!“ — ყელისგამგლეჯად დავიკობინე შეღალამისას. შემრცხვება ჩემი ჭიხვინის. ყურებს დავწკურავ, მგონია მთელი სოფელი გავალვითქემთქი. ხომ ჩემს თავზე მომდის გული, რაღა დროს სიყმაწვილის სიზმრებია, მაგრამ გულში ბედნიერი ვარ, რომ ყოველივე სიზმარი იყო და ჩემი უმიზეზოდ განკითხვის საშინელი დღე, ალბათ, აღარ გამეორდება. მათრახით ამწვარ ზურგზე უფრო იმ დღისა პირში არაჩხუნებული ლაგამი მახსოვს და ჩემი ტანჯვის თავილიდან დანახული დიდი, შავი მზე.

წლები გავიდა მას შემდეგ, თითქოსდა შევეურიგდი ჩემს ბედს. მგონი ბედნიერიც არაერთხელ ცყოფილვარ, თუ ბედნიერება ის არი, რომ ანგარიშს გიწვევენ, სათვალავში გაგდებენ, ხანდახან კაცოვით გესაუბრებიან და წარამარა, უპრაგონოდ მათრახს არ გიტყაბუნებენ, ისე, ყოველშემთხვევისთვის, გასაფრთხილებლად.

ამ ორი კვირის წინათ კიდევ ერთხელ დავკარგე წონასწორობა და კინალამ უკადრისი საქციელი ჩავიღინე. მრცხვენია მოყოლა, მაგრამ მაინც გამბობ. შენზე ახლობელი ვინა მყავს, ვის გავენდობი უკეთესს შემოვიდა დილით თავლაში ჩემი პატრონი, ხელში სამუნელი უჭირავს; ერიპაა, რა ბზიკმა უჭინა, ნეტა რა ჩაიფიქრა მეტქი. გული შემქიანდა. ერთი ორჯერ ჩამომისვა გავაფერღზე სამუნელი. მერე უნაგირი გამოიტანა და შეკაზმვა დამიწყო. რა ბედნიერი ვიყავი, ვერ წარმოიდგენ. რახანია უნაგირი არ დუღვამთ ჩემთვის და ფერდებში პატრონის მოჭერილი მუხლები არ მიგრძენია. ამზინდები ამომიჭირა, უზანგი

დამიგრძელა და არ ამხედრებულა, ისე ალვირ-ალვირ გამიყვანა საბჭოს მოედანზე. სიბრაზისაგან ლაგამი კინალამ გავტყვირე, მანეთად გაჭირავება და უნაგირზე პეტუქუნა ბალებების შესმა რომ დამიწყო. მსხლამდე უნდა მიმესიერნა პატარა მხედარი, ფრთხილად უნდა შემოვბრუნებულყოვეი და უკან მომეყვანა. მთელი დღე ამ ყოფაში გავატარე. რომ იტყვიან, კრუხის დღე დამადგა. ზოგი ისეთი ონავარი შემასკუპდებოდა ზურგზე, რომ წამდაუწყუმ წკნელს შორტყამდა და „აჰუ, აჰუს“ ძაბილით იქაურობას იკლებდა. ჭერ ფეხს ავუჩქარებდი, მერე მოსაჩვენებლად ავითობარიკებდი, მეშინოდა უნაგირზე აცეკვებული ყმაწვილი არ გადმოვარდნილიყო ოთხზე რომ გადავსულიყავ, შეიძლებოდა თავი ვერ შეემაგრებინა და ბავშვის ცოდვაში ჩავმდგარიყავ. დავიტანჯე. რა სიფრთხილით და მოთმინებით ვურტყავდი მსხალს წრეს, რა ჭყვილით და გუნდის სროლით დამსდევდნენ მანეთიანი მუშტრები.

სალამოს უნაგირი რომ ამაცალა და გასაგრილებლად ეზოში გამიშვა, ოლაგზე გადავხტი და ტყეს მივეც თავი. რაც მომივა, მომივიდეს, ასე დამცირებულ ყოფას სიკვდილი შირჩვენია, უკან მომბრტუნებელი არა ვარ მეთქი. შორს არ წავსულვარ, ხევში ჩავედი, ჩემს პატრონს კვალი რომ არ შეემჩნინა, წყალ-წყალ ვიარე და სათავესთან

არჩევების ნადგომ გამოქვაბულს შევეფარე. არა, არა, არ ვყოფილვარ, კაცი-სუფლებსთვის დაბადებული ვიქნები ლამე შიშის ძიგძიგში გავატარე. მგლების ყმული, ტურების ჩხველი ყურისძირში ჩამესმოდა და წელში მწყვეტდა. ოლონდ ამელამ გადავრჩე და პირს აქეთ აღარ ვიზამ, ვათრევე ჩემი დარდის უნაგირს ამ დარჩენილ ორ პარასკევსაც, როგორც აქამდე ვათრევედი მეთქი.

დილით მივადექი კიშკარს დარცხენილი და გათოშილი. გაუბედავად დავიკებხვინე, თითქოს იმხელა დანაშაული ჩამედინოს, რომლის გამოსყიდვასაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ მოვახერხებ. დაბამულმაზარიანი ჩემი პატრონი კალოშების ფართხუნით და მოქნარებით გამომეგება. არც კი გაკვირვებია ჩემი დანახვა, გაბარებას რომ თავი დავანებოთ. მე მგონი არც შეუშინევია ჩემი გაპარვა და აღბათ ამიტომ არ ვუძებნივარ.

ასეა ჩემი საქმე. მე კარგად ვიცი, რაც მჭირს და საშველსაც ძალიან ბუნდოვნად ვხედავ. მე ძალა აღარ მეყოფა სხვა ცხოვრების დასაწყებად. ახლები თუ რამეს სასიკეთოს მოიფიქრებენ, ღმერთმა უშველოთ.

მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ნაწყენი ვიყო იმ ჩემს სულეურთხეულ წინაპარზე პირველად რომ მივიდა კაცთან და ზურავი შეუშვირა.

დაბრუნება

თვალეში ვიქვრთ ცოცხალ კალმახებს,
მდინარის პირას გაუშალეთ სუფრა,
უერთმანეთოდ რაც კი რამ ენახეთ
უნდა დავსხდეთ და ერთმანეთს
ვუთხრათ.

როგორ გაეძელით აქამდე უწყლოდ,
სად, ანდა რატომ ვიყავით წინათ,
ყოვრს კვირტიდან რა ძალა უხმობს
გარეთ, მზეა თუ შხაპუნა წვიმა.

სისრულისაყენ ყველა მიიღტვის,
და თევზაობა ჩვენი ხვედრია:

დღეს სიყვარული ზეცას მიწისთვის
გუბებშიც კი გაუმხელია.

შევჩერდეთ წუთით, მაინც წინ წავა
ჩვენი სიცოცხლის ლურჯი დინება,
ბონდის ბიდივით დაქნულ წამწამს
შენსკენ მოვყვები და მელიძება.

თვალეში ვიქვრთ ცოცხალ კალმახებს,
მდელოზე ისევ გაუშალეთ სუფრა,
უერთმანეთოდ თუ რამე ენახეთ,
დროა, დავსხდეთ და ერთმანეთს
ვუთხრათ.

მოლოდინი

აქ სიჩუმეა და დაბალ სახლებს
დედაბრებივით
მოუხვევიათ სახურავები
და ეზო-ეზო სოფლის კორბები,
გაბერილები,
დასეირნობენ ყავრის ნაევებით.
წვიმს.

ნედლი შეშა ბუხარში ისევ
დასაფერფლია:
კვერს ელოდება ბალღი ობოლი,
გახუნებული და დაკემსილი
თავსაფრებიდან
გამოსწეწიათ ძველ სახლებს ბოლი.

• • •

დაფრინავს კოლო
იმ შიშვე დიდი,
ამ ღამით რომ
უნდა მიკბინოს.



ქართველი
წიგლისმოყვარეები

• • •

გახმა ნადვის ხე —
რომ ამწვანებდა,

გაუფრინდა,
თურმე, ის ჩიტი.

• • •

შუალამისას
ნეტაე რატომ
გამომალეოდა
მამლის ყვირილმა,
თუ არცინ იყო

გვერდით...
რომ შეთქვა:
— გამოიღვიძე,
გათენებულა!

სავსამთვაროვა

ეს თვეც გადის და მნათობი ცვილის
იღვავა, მაგრამ კვლავ ველი სითბოს,
და თეთრი ბალიც ისე მიცინის,
მთვარის აესების დრო იყოს თითქოს.

მიწას დაზნექილს, მბრწყინავთოვლიანს,
ცა ეფერება, გადაწმენდილი...
სანაპიროზე ფრინავს თოლბა —
გაუგზავნელი ჩემი წერილი.

• • •

მ-საბაძი გამბედაობით
ერთი
უბრალო აბლაბუდის
ასაშენებლად

ჭერის კუნჭულში
ობობა
იყრობს
სივრცის სამივე განზომილებას.

ფარიცვალება

გაფრინდნენ. ბალში დარჩათ წეროებს
ხმელი ფოთლები და ხე მდუმარებს,
ახლა ყვავებიც კენწეროებზე
დაგვიტოვებენ მფრინავ სუდარებს.

ცაში გავემართავთ ფიჭვის მარულებს,
გავიმეორებთ გაზაფხულს ისევ...
იმ გზას, რომელსაც ვერ დაეასრულებთ,
მატარებელი წივილით მისდევს.

• • •

მუდამ ერთი გზით მავალ ავტობუსს
დაჰყავდა ხალხი, რომლებიც მერე
სულ სხვადასხვა ბოლქს ირჩევდნენ...

არ ვიცი, რატომ წარმოვიდგინე
ერთი თოფიდან გასროლილი
ათასი ტყვიის ბოლო წერტილი.

ირაკლი ციგროვილი

• • •

მოწყენილობა —
როგორც ყვეელი
დამკვნარი. მხოლოდ სიკაჩილე...
შორს ჩანს მხოლოდღა წყალი ჩაელილი,
შორით მხოლოდღა ზეცა იელეებს...

აიმ ქარებში
აიმ წვიმებში,
თუმც გაფრენილა სთველის ფრინველი,
სადღაცა მაინც ბეუტავს იმედის
სხივი საამო მოსახილველი...

• • •

თქვენთან რომ მოვსულიყავი —
არ დამჭირვებია ცხრა მთის
გადმოვლა.

მხოლოდ ეს იყო:
მარტოობის ოთხივე კედელს
სუყველა მხრიდან შეეხსენი კარი
და უხილავის ხმა გავიგონე.

ახლა მზადა ვარ,
ორიოდე სიტყვა რომ გითხრათ.

• • •

შუადღის ზეატში,
შუაღამის კირხლიან ველზე,
იღუმალუბას გამოყავართ
ერთმანეთისკენ
და დაღვრემილებს გვიმასპინძლდება
ნაცნობ ადგილში.

მივიწყებულ ცეცხლს
რომ მოგვანატრებს,
მივიწყებულ გზას
რომ გვაძებნიანებს,
მივიწყებულ საფლავებზე
რომ მივეყავართ,
ო, ეს ძალა — სწორედ ის არის.

სამზეო ვნახე



ქართველი
მწიგნობრები

ჩემი სათქმელი,
დაღლილმა მგზავრმა
გიოზარ, განგებამ ამის უფლება
მომცა. სამზეო, წუთით რომ ვნახე,
ბევრ რამეს მიმხელს და მეუბნება.

ვით მომეახლა
სინათლე, ანდა
ცას როგორ ვწყდები წვიმის
წვეთით.
ან ხვალ-ზეგ როგორ ვიშვებ, სად
წავალ,
უსიერ ტყეში გამოკეტილი.

რას მოასწავებს მდინარის ზათქი,
ან რას მპირდება ესე ღუმილი...

სოფელი,
მე რომ თვალი მოვავლე —
მიდის თავისი ნება-სურვილით.

აღმა და დაღმა მიეჩქარება,
იქით და აქით —
მშვიდიც, ვნებულიც...
და გეჭადნება ნიაღვარებით
ქამის ღრუბელი აღზევებული.

ღრო მიმჭროლავი არ აგვიანებს,
მოსალოდნელი მოდის ზმანება.
ილიმის ცრემლი ველის იაზე,
მზე ელამება დასაჯანებლად.

• • •

მოგონებები ფურცლე ბუხართან,
გათენდა,
მაგრამ რაა შეცვლილი.
უფრორე დაჩნდა ჭალა მწუხარე,
მთები — რთვილისგან
თმებშევერცხლილი.

ვინ გამოგიბო ველებზე წამით,
მიღიბარ საით,
ან სად იწყები...
ეს დღეც ლამდება,
მომსვლელი ღამის
ბუხარს უფრორე მიეფიცები.

— — —

და იქნება პერი*

რომანო

წიგნი კირველი

დაცემა

მთვარის ალვისების ღამეს მიიცვალა დიდი ქურუმი აღონი. შეიძინა დღე იმარბულა მანამდე. ჰამაც შეწყვიტა და ლაპარაკიც. ისედაც ასაკოვანი და გამბდარი, მთლად ჩონჩხად იქცა. მხოლოდ ჩაცვნილი უბეებიდან გამოშვითალი ორი შავი თვალი გამოსცემდა სიცოცხლის ნიშანს.

ერთგულ უნოსთან ლაპარაკი მარხვის დაწყების წინ მოათავა, სათქმელიც უთხრა და დასაბარებელიც დაუბარა.

და, ახლა იწვა მაღალი ტაძრის გუმბათის ღია შეერილზე, ცასა და მიწას შორის ასე გამოკიდებული, ჭერარგანციდილ სიმსუბუქეს ნაზიარევი, და სიზმარეული ზმანების აღსრულებას ელოდებოდა.

მოუახლოვდა კიდევ მნათობი, გაუსწორდა, ტაძრის გუმბათს ზედ გადაეშო, სათუთად აიტაცა, გაანაზავა, მზრუნველ დედასავით მოეფერა, დაუამა სულის ამოსვლის ტკივილი და მერე მედიდურად შემოჭდა თავის ეტლზე.

ცვილისფერი სხეულიდან გათავისუფლებული სული ნელა გაეშურა ღვთაებისაკენ, ჭერ უფორმო ნისლად დაეკიდა

თვალსაწიერს, მერე თანდათან შეერწყა სიმაღლეს და უსასრულო სამყაროს ნაწილად იქცა. და, განიცადა დიდმა ქურუმმა უნეტარესი წამი არსთან ერთობისა. მარადისობას შენივთებული, ღვთაების ირგვლივ დატრიალდა და შეამჩნია მთვარის ვეება მკერდზე წითლად დაწინწყლული სამკუთხედი.

— კიდევ ბევრჯერ იქნება სისხლის ღვრა ამ მიწაზე! — ერთად ამოიგმინეს სულმა და სამყარომ.

მერე გაირინდა ყოველივე. თითქოს მნათობის სარბოლაც შეწყდა და გულისწამლებ უძრაობაში ცეცხლისფრად განილო ცარგვალი. ასრულდა სიზმარეული ჩვენება — უხილავი და უმაღლესი მოადგა ცის თაღს. ხელთ გადაშლილი ეტრათი ეპყრა, რომელზეც აღონის სათაყვანო და ერისთვის ჭერაც უცნობი ანბანი გამოეხატა.

და, ნეტარების სიმსუბუქეს უცებ შეერია კაცთათვის ასე ახლობელი სინანულის გრძნობა. მისდა განსაცვიფრებლად დაენანა მიწასთან და ტკივილებთან განშორება.

ახლა განვლილი ცხოვრების ზმანებები მიჰყვნენ ერთმანეთს... დამძიმდა სული, დაღმასვლა იწყო. ისევ დაეკიდა უფორმო თეთრ ნისლად თვალსაწიერს, ნელ-ნელა დაეშვა და ტაძ-

რის გუმბათის შვერილს მიუახლოვდა, რათა საბოლოოდ განშორებოდა კაცთა ამქვეყნიურ სადგომს.

სანთელივით ლოყაზე ცხელი ცრემლი ჩამოუვარდა დიდ ქურუმს. ამ ცრემლმა სხეულის უკანასკნელი სითბოც გამოიტანა.

* * *

გუმბათის თავზე წამომდგარმა მნათობმა მლოცველ ერს ჰკიდა თვალი. მის მტრალ სხივებზე აირეკლა ტაძრის განიერი გალავანი, დაღმართი ეზო, ზედ შეფენილი უთვალავი მლოცველი. სანთლის მკრთალი ალი ციციანთელეზივით ენთო აქა-იქ.

სანახაობას მალღობის თავზე წამოშართული დიდებული მრგვალი ტაძარი აგვირგვინებდა, რომლის ქვის ტანი, მჭრქალ ვარდისფრად გაშუქებული, მთელ ამ დიდებულ სურათთან ერთად, თითქოს ზეცისკენ მიისწრაფვოდა.

მლოცველმა ერმა უკვე შეიძვერ გარს შემოუარა გალავანს. დასავლეთის კართან ქალთა გუნდის დაწყებულ საგალობელს — „დიდება და დიდება ღვთაებას, მთვარევე ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“ — მამაკაცები აიტაცებდნენ ხოლმე და მნათობისკენ თვალაპყრობილნი ტაბათით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს.

სამჭერ აღავლინა ლოცვა ქურუმმა და მლოცველი ერი ტაძრის მთავარ კარს ზრიალით მიაწყდა. კიბის თავზე აღმართულმა ითანე ქურუმმა მნათობისაკენ ხელები აღაპყრო და სალამურის უტკბილესმა ბგერამ უკებ დაამკვიდრა სიჩუმე. სამჭერ მსუბუქად შემოჰკრეს დოღს. ქვის მოედანზე მთლად გამჭვირვალე სელის ქსოვილში გახვეული ქალი შედგა. შავი თმა მხრებამდე სწვდებოდა. ერთხანს თავჩაღუნული იდგა, სალამურის ჰანგზე ყურმიდებული, მერე ზეცისკენ აღაპყრო მხერა და ნელა დაიძრა.

ვარდისფერმა ფეხისგულეებმა ყერ გაუბედავად შემოწერეს პირველი წრე. მერე ჩაიწნა, ჩაეხვია სალამური და ქალიც გაჰყვა ხშიათა ამ ხვეულს. თრთო-

ლვა თანდათან გადაედო ვიწრო წელს, გაიტაცა და დაიმორჩილა. ვიწრო წელს, პარა სალამურს, სიყვარულითა და სავით მოკრძალებულად მიეახლა გულს, ააფორიქა. ნელი როცა თავებრუდამხვევ რიტში გადაიზარდა, სხეულის ყოველი ნაკეთი წალეკა ამ რიტმა, ახლა გაცხადებული სიყვარული ზემობდა. მერე მიწყდა სალამურის ხმა, დოღის რაცუნიც მიუწნა, ხელები ზეილაპყრო ქალმა და თითქოს სატრფოს დასტურს ელისო, გაინაბა. ისევ გაფიცხდა დოღი, ისევ გაისმა სიყვარულის საგალობელი და მლოცველმა მიუძღვნა თავი ღვთაებას. ასაფრენი ფრინველივით ხელებგაშლილი დაეფულა სივრცეს. ნაზი, გამჭვირვალე ქსოვილი ფეხებთან ჩაიკეცა.

„აღტაცების ოხერა აღმოხდა მლოცველ ერს.“

— ანათა! ანათა! ანათა! — გაისმა ირგვლივ.

ცეკვა თანდათან გასცდა ქვის მოედანს და ხალხში გადავიდა. ახლა არავინ უყურებდა მთვარის რჩეულს, ითანე ქურუმის გარდა. ერი ღვთაების ცეკვას ასრულებდა.

თვალეზადქცეული ითანე მონუსხული შესცქეროდა მთვარის შუქში გახვეული ქალის შიშველ სხეულს და ნერწყვს ყლამავდა დედათმოყვარე და ბილწი.

— უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე მეგონა... უფრო ლამაზი, ბევრად ლამაზი.

— ულე... — დაიგუგუნა მლოცველმა ერმა და თვალი ტაძრის მთავარ კარებს მიაპყრო.

კარებში არავინ იდგა. დიდი ქურუმში იგვიანებდა. „შეშფოთების ჩურჩულმა გადაურბინა მიდამოს და გაისმა კიდევ ხმა შემაზრუნენი, უფრო დაჭრილი ცხოველის ყმთილის მსგავსი, ვიდრე ადამიანური: ეს უენო ღმუროდა აღონის გაციებულ სხეულთან დაჩოქილი.“

ქურუმში ითანე ახლდა გამოერკვა და კიდევ მოუახლოვდა ტაძრის მსახური, რაღაც წასჩურჩულა. ითანეს სიხარუ-

ლის ღიმილმა გადაურბინა კუმტ სიხეზე.

— უენოს უდარაჯეთ! ახლავე მოვალ! — მიუგდო მსახურს, ჩამოიარა კიბე და ტაძრის მთავარ კარებში გაჩერდა.

— დიდი ქურუმი წინასწარმეტყველებას მოგვიანებით გვამცნობს, გამთენიის ხანს. ასე ინება ღვთაებამ! შესაწირავი მოასხით!

ცოტა ხნის შემდეგ ჰაერში შეტრუსული ბაღის უსიამო სუნი ავარდა.

ახლა ითანეს ტაძრის ახალგაზრდა მსახური ამოუდგა გვერდით.

— კარს არ გვიღებს უენო, — აუწყა. მკაცრად მოკუმბა ტუჩები ითანემ, თეთრებში გახვეულ მთვარის მონებს გადახედა, შეწირულთათვის ჯაჭვის ახსნა ახალგაზრდას დაავალა და ტაძარში შევიდა. სწრაფად გაიარა მარმარილოთი მოფენილი დერეფანი, განიერი კიბე აათავა, მერე ხვეულ ფიცარნაგს შეუდგა და გუმბათის შეერილზე მოექცა. მიმოიხედა. ქვის ამაღლებულ საწოლზე უდრტყინველად იწვა დიდი ქურუმი. მიუახლოვდა, ხელიც წაიღო შუბლზე შესახებად, მაგრამ შეშინებული უკუდგა. როგორც ყოველთვის, ახლაც შეაკრთო მისმა ღვთაებრივმა დიდებულებამ. ფეხს ხმა შემოესმა. ლეკა მიიმედ ამოდიოდა კიბეზე. გაუხარდა. შიში დასძლია და მიანც შეამოწმა, ხომ მართლა გათავდა აღონო.

— მოკვდა? მართლა მოკვდა? — თითქოს არ სჯეროდა ლეკას.

— ძლივს, ასე მეგონა, არც არასოდეს განუტყეებდა სულს. გულსაკიდი მოხსენი! — უბრძანა მეგობარს და თვითონ ტაძრის ეზოს გადახედა, საოცრად დაპატარავებული მოეჩვენა გუმბათზე ამაღლებულ და იმედმოცემულ ითანეს, ტაძრის ეზოც, მისი შემოგარენიც, მლოცველი ერიც და საღვთო კრებულიც.

ახლა ლეკამ დასძლია შიში და გულსაკიდს დაუწყო ძებნა.

— არა აქვს! — გამოაცხადა კარგა ხნის შემდეგ.

ითანე მკვეთრად შემოტრიალდა და გვამს გაშმაგებული ეცა. საღდა იყო

წელანდელი შიში და მოკრალბა?! გულდასმით გაჩხრიკა. სანქციონით რომ ვერ იპოვა, უდრტყინველად მიცვალბული და შლეგივით დაეშვა კიბეზე. დიდი აღონის საცხოვრის კარი ჩქიქურ შეუღო. მაღალი მორწმუნის სენაჟში მისთვის ჩვეული უბრალოება და სიმყუდროვე შემოიპხვდა. მარჯვენა კედელში ჩასმულ ხის კარადს ეცა, ხელი ჩასჭიდა ვერცხლის სახელურს და ძლიერად გამოსწია ყველა თარო ცარიელი დაუხვდა. ახლა მარმარილოს სავიდას უტრიალა, საიდუმლო სამალავს ეძებდა რასმეს, მერე საწოლი ააყირავა და ვერაფერი რომ ვერ იპოვა სულ გაცოფდა.

მარტო გულსაკიდის ჯავრი როდი აწუხებდა ახლა ითანეს. იგი ეძებდა წიგნს, რომელსაც დღედაღამ ჩაკირკიტებდა დიდი ქურუმი, აგრეთვე, ძვირფას თვლებსა და ოქროს, რომელიც თვალთ არ უნახავს, მაგრამ რომლის არსებობასაც გუმანით გრძნობდა.

ამ წუთში გულსაკიდი სკორდებოდა მორწმუნეთა თვლის ასახვევად, ხვალ — ოქრო და ძვირფასი თვლები მდგომარეობის შესანარჩუნებლად. იცოდა, წიგნისას ვერაფერს გაიგებდა, რადგან არც ცოდნა ჰქონდა და არც მისი შეძენის სურვილი, მაგრამ გრძნობდა, რომ რაკი აღონი მას ასე დაჰკანკალებდა და ტანსაცმელში ჩაკერებულს ატარებდა, მომავალში დიდი ფასი დაედებოდა, შეიძლება მეტიც, ვიდრე პირველ ორს.

ეშმაკი იყო ითანე ქურუმი. ეშმაკობაში ბაღალი არ ჰყავდა... გუნებაში უკვე შედგენილი ჰქონდა კიდევ სამოქმედო გეგმა, რომლის სრულყოფა დიდი ქურუმის სიკვდილის შემდეგ შეიძლებოდა. და აი, კიდევ დადგა ეს წუთი. უმჯობეს დროს თავისი მიზნის აღსასრულებლად ვერც ინატრებდა ითანე, — ახლა ჩემს აღზევებაში თვით ღვთაება და ხალხი მიიღებს მონაწილეობასო, — უხაროდა. სიხარული კვლავ ჩააშხამა უენოს მოგონებამ.

— ორი მონა სდარაჯობს უტყვის სა-

მყოფელს, სად გაიქცევა. ჯერ სხვა საქმეებს მივხედოთ და, როცა დაგვეჩრდება, მაშინ შევლევოთ კარები. ეტყობა რკინით გაამაგრა შესასვლელი უენომ. — თითქოს მიუხედა ფიქრს ლეკა. — გულსაკიდც თავისთან ექნება, ხომ არ ჩაყლაპავდა.

— ლეთაებას უნდა შეეწიროს უენო! რაც აღამაინის მსხვერპლად შეწირვა მოშალა იმ ბებერმა, სულ მთლად გათამამდა ერი. შესაწირმაჲ იკლო და ხატის მამულში ქურდობამაც იმატა. ყველაფერს ჩვენი ხელი უნდა დავატყუოთ.

— ჭკვიანი კი იყო, რომ არ გენდობოდა ბოლო დროს! — გაუღიმა ლეკამ.

— ჭკუა არაფერია, კაცთან ერთად კვდება.

— სხვა რაღა რჩება?

— მიტომაჲ, რომ არ რჩება, ოჭროა საქირო, ბევრი ოჭრო, მბრძანებლობა და...

— ლეთაების სამსახური! — ეშმაკურად მოჭუტა ლეკამ თვალი. — ნელ-ნელა ძველ კერპებს აღადგენ და ერს დაკარგულ რწმენას დაუბრუნებ, ასე არ არის?

ითანემ თავი დაუქნია.

— კარგი და კეთილი, — გააგრძელა ლეკამ, — მაგრამ თუ წესის მიხედვით დაიკავებ დიდი ქურუმის ადგილს, ქურუმთა სათათბირომ უნდა აღგახეოს, ხოლო მათ შორის ბევრი მტერი გყავს, მარტო მცხეთის ქვეყნის უფროსი ქურუმი და თავხედისბერი გეყოფა. არც მთავრებს ეხატები გულზე. ჭკვიანი ხარ და მოფიქრებული გექნება კიდევ, რით აჭობო ყველას.

— ჭკვიანი და გამოცდილი მონადირე არასოდეს პირდაპირი, სხვებისთვისაც ნაცნობი გზით არ მიდის მსხვერპლის საძოვნელად. უჩუმრად, გვერდოდან მოუვლის ნადირს, მოიმწყვდევს და გასაქცევს არ მისცემს. ჩემს მიერ მოფიქრებული ნაბიჯი ასევე, უჩუმრად მიგეყვანს სასურველ მიზნამდე. გამთენიისას მლოცველ ერს დიდი ქურუმის ვადადგომას და მის მაგივრად ჩემს აღზევებას თვით ბებერი აღონი აღუწ-

ყებს, თვითონვე დამკიდებს გულსაკიდ-საც.

— როგორ?

— ახლა ტაძრის მესანთლე ბიჩო მომგვარე, მახსოვს, ძლიერ ბაძავდა გარდაცვლილს. ბევრჯერ მეც კი შევმცდარეარ. სიმაღლითაც ტოლები არიან და მსუნაგობის მიუხედავად, ისიც უზორცოა და გამომხმარო.

— მერე, სამარა?

— სამარა ვერაფერს იტყვის ძლიერ სჯერა მოხუცის, ხოლო თუ მის მაგივრად სხვა ილაპარაკებს, ამას ვერც წარმოიდგენს. რაც შეეხება გულსაკიდს, მაგის დარდი ახლა არცა მაქვს, გუმბათის სიმაღლიდან ყველა მრგვალი ოჭრო ერთნაირად ბრწყინავს, როცა უენოს მსხვერპლად შეეწირავთ, ეპოვით გულსაკიდსაც, თუ არა და, ტაძრის მომავალი ჩვენს ხელშია და მოვახერხებთ რამეს.

ლეკა განცვიფრებული და აღტაცებული შესცქეროდა ითანეს. სწორედაც არ მოელოდა მისგან ამდენ ჭკუასა და გამჭირაობას.

— კარგად ვიფიქრია, — დაუდასტურა ბოლოს.

— მისანმა გაჩხრიკა გუშინ ჩემი ბედი, ამალღები და მერე დაეცემო, მიწინასწარმეტყველა, — გააგრძელა ითანემ, — ამაღლება სწორედ ამ ღამეს მოხდება, დაცემა კი სიკვდილით მოვა უთუოდ, როცა მოვა, ხოლო სიკვდილს ვერაფერი დაუდგება წინ.

ახლავა გაახსენდა ლეკას, სპარსი მსტოვარი რომ ელოდებოდა ითანე ქურუმს, კარგა ხანია.

სულ რამდენიმე წუთი ისაუბრეს მოსულმა და ითანემ. სპარსმა ამბავი მოუტანა, რომ ბერძენთა ჯარი იბერი-აში ამ შემოდგომაზე აპირებდა შემოსვლას. აზონი, რომელიც ქართლოსიანთა მეფობაზე ოცნებობდა, ტაძრის უფროსს ქურუმს ითანეს, უმაღლეს საღმთო თანამდებობას კპირდებოდა და მოითხოვდა მისგან, რომ ხალხი ბერძენებისადმი კეთილად განეწყო. სთხოვდა, აგრეთვე, სპარსელების მომხრე საერო და საღმრთო მსახურთა დასა-

ხელებას: ერთი სიტყვით, აზონს სურდა იბერიაში შემოსვლამდე სცოდნოდა, ვინ იყო მისი მტერი და ვინ — მოყვარე. სიამოვნებით შეუსრულა ეს თხოვნა ქურუმმა ითანე ბერძენ მხედართმთავარს. გრძელი სია გადასცა სპარსს, რომელშიც მისი მტრებიც არ გამოჩენია. ისიც შეუთვალა, — განსაკუთრებით მცხეთის ქვეყნის მთავარს, სპარსელების მიერ იბერიის მამასახლისად დანიშნულ სამარას და მცხეთის უფროს ქურუმს ერთდღე, სამარა, თავისი ლაშქრით სპარსელების მხარდამხარ, თქვენს წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდა დაიოსის ქარში.

ამ წუთში ბერძენების საქმეებისთვის როდი სცხელოდა ითანეს, მაგრამ გრძნობდა, მათი მომდურება არ ღირდა; ქვეყნიერებაზე გაბატონდნენ და შეიძლება ხვალ-ზეგ იბერიაზე მართლაც გამოილაშქრონო, — იფიქრა და თაღარიგი დაიჭრა.

— ხასიათით და რწმენით ნამდვილი პონტოელია აზონი, — უთხრა სპარსმა ითანეს, — შშობლიური კერპები და ჩვენი აპურამაზნდა ძლიერ სწამს, ბერძნებთან თავს იკატუნებს მხოლოდ, ზურგს უკან დასციინის კიდევ მათ აღმთან-ღმერთებს, ამბობს: დაისჯებიან ბერძნები როცა იქნება, საცოდავ მოკვდავთა სახეები რომ დაურჩევს თავიანთ ღმერთებსო. ალექსანდრეს მეგობარია გრანიკოს ბრძოლის მერე, მაგრამ არც ის მოსწონს, უბრალო ჯარისკაცებთან რომ ქეიფობს და დროს ატარებს იმპერატორი. ამიტომაც გაუთამამდნენ მეგობრები და უდიერად ეპყრობიან ქვეყნიერების დამპყრობელსო. თვითონ აზონს კი, მეფის შეილს და აღმოსავლურ ყაიდაზე გაწვრთნილს, ქვეშევრდომებთან მედიდურობა სისხლში აქვს გამჭდარი, მაგრამ ერთგულების დაფასებაც იცის და მეც პატივში ვყავარ, თუმცა კი სპარსი ვარ და მის მონად ვითვლები, როგორც ნადავლიო.

სისხლიანი კაცი რომ იყო პონტოელი აზონი, ეს კი დაუმალა სპარსმა ითანეს. არც ის უთხრა, რომ ალექსანდრეს ბევრი მეგობრის სიკვდილში

მისი მრუდე ხელი და იბერიის ენაც ერია... სხვა ბევრი ტყუილიც დაეჭვა მოგზაენილმა, მაგრამ მისი მტერი ითანეს, რადგან ლალატსა და იბერიობაში თვითონაც გვარიანად გახლდათ გაწაფული.

ტაძრის ქვედა გალავნის მთავარ შესავლელს მცხეთის უფროსი ქურუმი და მთავარი მოსდგომოდნენ თავიანთი მხლებლებით. ქურუმი დინჯად გადმოვიდა ურმიდან, მოსასხამი გაისწორა და მედროშეს ანიშნა, გაავიძებო.

მცხეთის ქვეყნის ქურუმთა ამაღლია დაიძრა თუ არა, მხარბეჭიანი ვაყკაცი მსუბუქად გადმოხდა შალაწვევიანი თეთრონიდან და ქალებს დაელოდა.

გალავნის შესასვლელში მცხეთის უფროსი ქურუმს ტაძრის მსახურები გამოეგებნენ. სამარა უსიამოვნოდ შეიშმუნა, აღონ ქურუმის ნაცვლად, მათკენ მომავალი ითანე რომ დინახა. არ უყვარდა ეს კაცი მცხეთის გამგებელს.

— შეუძლოდ ხომ არ არის დიდი აღონი? — ვერ მოითმინა, ისე იკითხა ქურუმთა წესისამებრ მისალმებას არც დაელოდა.

ითანემ პასუხი არ აღირსა და აუჩქარებლად შეუდგა მისალმების წესის შესრულებას. ტური მოიციენტა სამარამ.

— ოცი კურატი და 100 ცხვარი შემოსწირა მცხეთის სასახლემ უმაღლეს ტაძარს, ხუთი საუკეთესო ცხენი და ამდენივე სახედარი გაახლათ სამარას ძმამ დუდემ, მოიბოდოშა, მეშვეიდრე შეუძლოდ მყავს და ვერ წამოვედლიო. გთხოვა, პატარა მთავრის ჩანმრთელობა შევედრო ღვთაებას და მის სახელზე ერთი კურატი და სამი ცხვარი შესწირო, ვინძლო, მოკეთდეს ბიჭიო, — დინჯად უბნობდა მცხეთის უფროსი ქურუმი.

— იმედია, მძიმე არ არის ავადობა.

— სახადი შეხვდა ძლიერი ყმაწველია, იოლადაც მოიხადა, მაგრამ თავს დაჰფიქრებენ მამა და ბიძა ერ-

თადრთ მემკვიდრეს... შიშს კი დიდი თვალეში აქვს, გაგვეგონება.

— სპარსეთის მეფის ჯარში გალია თავისი უმაწილეკაცობა სამარამ, მაინც ვერ უშველეს იბერებმა დარქოსს, ვერც თავისთავს არც მცხეთის მთავარმა, უშვილოდ გადაეგება ალბათ. დიხაჯ, სწუხდა ამაზე ბიძამისი, დიდი აღონი.

შეაქროთ ბოლო სიტყვებმა მცხეთის უფროსი ქურუმი.

— სწუხდაო, რატომ ბრძანე, ახლაც აწუხებს უთუოდ, — ერთხანს პასუხს დაელოდა, რომ ვერ მიიღო, განაგრძო, — რაც შეეხება სამარას, ღვთაების ნებით, ალბათ მალე დაქორწინდება. დიდხანს ავიანურა უფლისციხელმა ქალიშვილის მითხოვება მისთვის, მაგრამ ბოლოს მგონი დათანხმდა. უყვარს სამარას ეს ქალი, თორემ საცოლეს რომელი ქვეყნის მბრძანებელი დაუკავებს სახელგანთქმულ, ბრძენ და გამორჩეულ მებრძოლს, მცხეთის დიდი ქვეყნის გამგებელს.

ერთხანს ჩუმად მიდიოდა მცხეთის უფროსი ქურუმი ითანეს გვერდით, ბოლოს იკითხა: — ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა დიდ ქურუმს?

— არავინ იცის, რა სჭირს. უკვე მესამე დღე-ღამეა ტაძრის გუმბათზე განმარტოვდა. მისვლა აგვიკრძალა და კიბის თავში მუნჯი დაიყენა დარაჯად. უკვე მეორედ დაარისხეს ზარები და არ ინება გამობრძანება. — განთიადისას გამცნობთ ღვთაების ნებასო, — ბრძანა. სიბერემ ფრიად უცნაური გახადა. ერთი წელია უმცროსი აღონისთვის გადასაცემ წიგნს ჩაპირკიტებს და საქურუმო საქმეებში აღარ ერევა. დრო კი მიდის და მე ჩემს დიდ ოცნებას — გაუღაბნობასა და ღვთაებასთან განმარტოებას ვერ ვახორციელებ. ახალი ქურუმის მოსვლამდე არცა მაქვს უფლება, საკუთარ თავზე ვიზრუნო, ამიტომაც ვიტანჯები ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი...

ისედაც წერილი, უსიამოვნო ხმა ჰქონდა ითანეს, მაგრამ ახლა მგზავრობით დაქანცულ და დასვენებამონატრე-

ბულ მცხეთის უფროსი ქურუმს მისი ლაპარაკი გველის სისიამოვნო-და. დამხედური კი გაჩუმდებოდა. ახლა უენოს გადასწვდა: — ერთი ჰქუათხელი და უყვარისი კაცია უენო, ზარმაცი და არაფრის მაქნისი, საქურუმოსათვის გამოსადეგი საქმე მისი ხელიდან არ გამოსულა, მაინც ყველაზე მეტად იგი უყვარს დიდ აღონს და ვგრანობ, რომ საიქიომიც წაიყოლებს, რადგან უმისობას ეტყობა აქაც ვერ აიტანს. მთელი დღეები ქვაზე უცნაურ ანბანს კრიდა, მერე სადღაც გააქრო ის ნამუშევარი, შეიძლება დამსხვრია კიდეც, ისე, როგორც ანათას ქანდაკი. ჯერ იყო და სოფლიდან საქურუმოში მოიყვანა ანათა, თურმე გზაზე დახვედრია და მოუტაცნია, ხუთი თვე ჩაკეტილი ჰყავდა და ქვაში უნდოდა მისი სულის მომწყვეტვა. ღვთაების ნებით, ეს რომ ვერ მოახერხა, მოსპო ნაცოდვილარი და გოგოც დაითხოვა. გოგო სახლში არ წავიდა, ბინა მუნჯის კარებთან დაიდო: ბოლოს, როცა დიდმა აღონმა ანათას ოჯახს მუშახელის დაკლების საფასურად, ორმოცი ცხარი და თეთრი ფული გაუგზავნა, ბოლო ანათა დედათა ქურუმთან განაწესა, გოგომ უენოს უყუარდღებობა ვერ აიტანა და მდინარეს მისცა თავი...

— ცოდვია საკუთარ სიცოცხლეზე ხელის აღმართვა, რადგან ჩვენ არ გვეკუთვნის იგი.

— ვინ აცალა დახრჩობა. საიდან გაჩნდა არავინ იცის, მაგრამ მდინარეში მუნჯი გადაიჭრა და ამოათრია წყლით განსივებული. სამჯერ დასტეკა ვობიშ ნიშნად იმისა, რომ მსხვერპლად მიარსომევედა წყალთა ქალღმერთს ანათას თავს და ჩვენ კარგ ამინდებს მოგველენდა, მაგრამ შეებრძოლა კერპს უვიცი უენო და მსხვერპლი გამოსტაცა. თუმცა შენ აღარ გწამს ძველი კერპებისა, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ შარშან წყალდიდობამ სეტყვისაგან გადარჩენილი მოსავალი სულმთლად რომ მოგვიოსრა, სწორედ ამ მკრეხელობის ბრალი იყო. მსხვერპლის წართმევა განა შეიძლება კერპისთვის?

ახლა ის გოგო ტაძარშია დამკვიდრებული. დედათა ქურუმმა სამლოცველო ცეკვები შეასწავლა. კარგი მასწავლებელი გამოდგა. მშვენივრად ვაუწყვრთნია ანათა, დასანანია, რომ ვერ იხილე მისი ლოცვა... ამ ბოლო დროს, ნაკლებ პატივს სდებს მცხეთის სასახლე იბერიის უპირველეს ტაძარს, რატომღაც შესაწირსაც მცირეს აგზავნის და დღესასწაულებზეც მხოლოდ ბოლო ღამეს მობრძანდება. არ ეკადრება იბერიის უპირველეს მთავარს ასეთი საქციელი. მოწყალეა დიდი ღვთაება, მაგრამ ურჩობისათვის სამაგიეროს ვადახდაც იცის.

ეპვით შეხვდა მცხეთის უფროსმა ქურუმმა ქადაგად დავარდნილი ითანეს კუშტ სახეს, — მე და მცხეთის ქვეყნის გამგებელი თვითონ მოვახსენებთ ამის მიზეზს ქურუმ ადონსო, — მკაცრად მიუტო და სწრაფად გასცილდა.

თავისი თავით უადრესად კმაყოფილმა ითანემ, დამკინავი მზერა დაადევნა მცხეთის პირველ ღვთისკაცს.

* * *

იბერიელთა უმთავრესი ღვთაების — მთვარის დიდი დღესასწაული წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ფერისცვალობის თვის შუა რიცხვებში. ზაფხულის პაპანაქებაში, ჰერეთ-კახეთის საზღვარზე, ალაზნისა და იორის ხეობაში წამომართულ ტაძარში დიდი სამზადისი იწყებოდა. საგანგებოდ სუფთავდებოდა სალოცავის კუთხე-კუნძული, ახებებოდა უზარმაზარი სამსხვერპლო ქვაბი, იცვლებოდა სისხლის საღინარი მილი, გულდასმით მოწმდებოდა სასანთლეები, მზადდებოდა ცვილის სანთლები. აღირიცხებოდა ქვევრებში ღვინის მარაგი, იკერებოდა ქურუმთა სადღესასწაულო მოსასხამები, იფურებოდა გულსაკიდები და სამსხვერპლო დანები...

ზეიმის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, სხვა სალოცავების ქურუმები საღვთო შესაწირს მოართმევდნენ ხოლმე მთვარის ტაძარს. უხვად მოზიდავ-

დნენ პურსა და ღვინოს, ხორცსა და თაფლს, მოასხამდნენ ცხენსა და ცხვარს, მოაბრძანებდნენ შესაწირს ხაჩიყსა და სხვ. თელ მამალს...

ტაძრის მომსახურენი, მემსხვერპლენი, მეგინიბენი, მეჭაშნიკენი, მესანთლენი და მონები საქმეს ძლივს აუდიოდნენ. დღესასწაულის წინა დღეებში ყველაზე მეტად მაინც ტაძრის საქურჭლეთა გამგებელი ქურუმი ირჭებოდა: შემოსაწირს დაბინავება, განაწილება უნდოდა, ბელელ-მარანს ყურისგდება, საქონელს მოვლა და პატრონობა.

ზეიმის დაწყების დღეს ყველა სამუშაო დასრულებული უნდა ყოფილიყო და საცავისა და საქაშნიკოს გასაღებები — საქურჭლეთამგებლის წელის ზონარზე ჩამოკიდებული. ტაძარში შემოტანილი უნდა ჰქონოდათ ზეიმზე გასახარჯი ღვინო და სანთელი.

შორიდან შემყურეს, ვინც კარგად არ იცნობდა ტაძრის საქურველთა გამგებელს, დიალაე შეებრალეზოდა სიმსუქნის მიუხედავად ციბრუტივით მოტრიალე, სიმწრის ოფლში გაწუწული ლეკა. მაგრამ ტაძრის მომსახურებმა და მონებმა კარგად იცოდნენ, რომ მის ქაპანწყვეტაში ხარბისა და მომხვეჭლის გახლებლა უფრო მეტი იყო, ვიდრე მორწმუნის რუდუნება. გვერდიდან არ იცილებდა საკუთარი მამულის მამასახლის-სეევარისა და ტაძრის მესანთლე ბიჩოს, რომელთა დახმარებით ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა თავისი ბელლისა და მარნის, ჯოვისა და ფარის შესაყებად.

ამ ხუთიოდე წლის წინ მოვიდა ლეკა ტაძარში, მაშინ შედარებით გამხდარი გახლდათ. ჯერ ტაძრის ბერად განემწყესა და შესაშური გულმოდგინებით დაათრევდა მხარზეგადაკიდებულ ჭაჭვს, მარხულობდა და, როგორც ღვთაებისათვის თავმიძღვნილ მორწმუნეს ეკადრება, მონდომებით ეუფლებოდა საღვთო ცოდნას. ადონის ყურადღება იმდენად დაიმსახურა, რომ დიდი ქურუმი ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე მასთან და უძველეს ღვთაებრივ სიბრ-

ძნესაც ასწავლიდა. მოსწონდა მისი გამკრიახობა და, რაც მთავარია, გულმოდგინება. ოთხი წლის ბერობის შემდეგ, როცა ღვთაების ნებით ლეკამ ჯაჭვი აიხსნა, თვითონვე სთხოვა დიდ აღონს, პატივი და დიდება არ მსურს, შენს სიახლოვეს მამყოფე და მიმსახურეო. ერთი წელი გვერდიდან არ მოსცილებია მოხუცს.

აღონის დაყენებით, ტაძრის ეზოსთან ახლოს, პატარა მამული შემოიღობა, რადგან ძმამ და ძმისშვილებმა მასთან ცხოვრება იწყეს.

ასე რომ, მცხეთის ყოფილი უფროსი ქურუმის, ითანეს გამოჩენამდე, რომელიც გარდაცვლილი ბიძის მაგიერად მოვიდა ტაძარში, ლეკა თვით სიწმინდის, სიბეჯითისა და ერთგულების განსახიერება გახლდათ.

ითანეს მოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ, დიდ ქურუმს პირველად დაეცა წვეთი და რამდენიმე თვით ლოგინს მიეჩაჭვა. ტაძრისა და საქურუმოს გამგებლობა ძალაუფლებურად ახალმოსულს დარჩა, რომელმაც აღონის გამოჯანმრთელების მერეც მთლიანად იტვირთა ტაძრის საქმეები, ვითომცდა შავ სამუშაოს მე შეეასრულებ, ოღონდ შენი ღვთაებრივი სიბრძნე დიდხანს არ მოგვაკლდესო, თანაც შეჰფიცა ერთგულად ვემსახურები ტაძარში დაბრუნების მერე აღონ უმცროსს, შენს ერთადერთ მემკვიდრეს და ნათესავსო.

დიდმა აღონმა ტაძრის ამქვეყნიური საქმეები კი გადააბარა ითანეს, მაგრამ არც დაიხლოვა და არც პირველ ქურუმად აღაზევა.

ითანე გრძნობდა მისდამი დიდი აღონის ორჭოფულ დამოკიდებულებას და გადაწყვიტა, ლეკას დაახლოებოდა. თავდაპირველი მათი საუბრების, საღმთო და საერო საქმეზე დარბაისლური მსჯელობების გახსენება ახლაც გულზე ხეთქავდა ტაძრის უფროს ქურუმს, რადგან ტყუილად დრო დაკარგა და სანამ ქრთამი არ გაიღო, ლეკა თავისკენ ვერ გადმოიბირა. ამასობაში აღონი ფაზისს გაემგზავრა, იქ შვილიშვილს შეხვდა და აკურთხა კიდევ მთავარ ქურუმად ტი-

მოზის, ეგრისის, კოლხეთისა და მცხეთის უფროს ქურუმთა ერთგულად.

მას შემდეგ ერთი წელიწადი არაფერი შეცვლილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ლეკა მისი განუყრელი თანამზრახველი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღონმა ლეკა საქურუმოს მექურჭლეოთა გამგებლად განაწესა. ამ ცოტა ხნის წინ ერთმა ინდოელმა ვაჭარმა საბერძნეთიდან ამბავი ჩამოიტანა, — აღონ უმცროსი ისე ძლიერ დაშავდა, რომ შეძლება სამუდამოდ ხეიბარი დარჩესო. გაიხარა ითანემ, რადგან იცოდა, მთავრის ღვთაების მთავარ ქურუმად ხეიბარს არავინ გააჩერებდა, ამას მოითხოვდა წესი; მაგრამ ლეკამ ვარსკვლავთა სტოლანზე უმცროსი აღონის ბედი განჩხრიკა და ცივი წყალი გადაასხა მეგობარს: კვლავ უნაკლო დარჩენილა ახალგაზრდაო, ოღონდ დაამწვიდა კიდევ, — ამის მიუხედავად, დიდხანს ვერ დამკვიდრდება ტაძარშიო. ასე კი უთხრა ლეკამ, მაგრამ ბოლომდე მიიწვი არ ენდობოდა ითანე, ალბათ ცრუობს და მეტოქის დასახიჩრების ამბავს არ მეუბნება, რადგან ეშინია მასზე ხელი უცებ არ ავიღო და საქურუმოდან არ დავითხოვოო. ეღიმებოდა ითანეს ამის გაფიქრებისას: გამარჯვების მერე ლეკას დათხოვნა კი არა, საერთოდ თავიდან მოცილება ჰქონდა გადაწყვეტილი. ძალიან ბევრი იცოდა უკვე მისი ბინძური საქმეებისა ლეკამ, ხოლო მექურჭლეოთა გამგებელი როგორი სანდო და ერთგულიც იყო, თვალნათლივ ხედავდა დიდი აღონისადმი ერთგულების მაგალითზე, — მამასავით გადაგებული მოხუცი ისე გასწირა, არც ღვთაებისა და არც ამქვეყნიური სინდის-ნამუსის არ შერცხვენია.

არც ლეკას ეხატებოდა გულზე უფროსი ქურუმი, მაგრამ სიხარბით შეპყრობილი, აქამდე მოთმინებით იტანდა მის სიბრიყვესა და ამპარტავნობას, ხოლო, როცა მთავარი ქურუმის ადგილზე ითანემ თავისი თავი ასე აშკარად ინდომა, გაიფიქრა, თუ ყველაფერი ისე წარიმართა როგორც დაუსახავს, ჩემს

ბედს ძალი არ დაჰყვას, რადგან ითანეს თვითონ მოვუღებ ბოლოს ამალმვე, აქი თქვა სპარსმა, — საწამლავე ისე მოქმედებს, რომ ყველანი გულის გაგლეჯას დააბრალებენ სიკვდილსო. მერე კი თავის გამამართლებლად ისიც მეყოფა, მთავარი ქურუმის გულსაყიდი რომ არ ჰქონდა მკერდზეო.

იცოდა, ლეკამ, რომ ნიშნინი გულსაყიდი ერთი წლის წინ ფაზისში წაიღო დიდმა აღონმა და შვილიშვილს გადასცა, თავად ოქროზე ამოტვიფრულ ხარის თავის გამოსახულებას ატარებდა, არაფერი შეატყობინა ითანეს ამის შესახებ. ახლა, ის უბრალო გულსაყიდიც გაიტაცა უენომ, მაგრამ მოწმედ ბიჩოს დაიყენებს, ათქმევინებს, როგორ გაახვეტინა ოქროს მრგვალი ფული გულზე ჩამოსაკიდად იმ ღამეს. ითანემ და იტყვის, რომ ღვთაებამ დასაჯა უფროსი ქურუმი, საშუალება არ მისცა წმინდა ადგილი უსინდისოდ დაეკავებინაო. — მერე კი, ქურუმების გადმობირებას და მოსყიდვას რაღა უნდაო, — ფიქრობდა ლეკა. მცხეთის ქვეყნის დიდ მთავართან შეხვედრებიც მოიგონა და კმაყოფილი დარჩა, რადგან დარწმუნდა, რომ მოთმინებისა და დიდი ქურუმის გულმხურვალე მსახურობის წყალობით, სამარა კარგი თვალით უყურებდა. პირველად აღონმა წარუდგინა იგი მცხეთის მთავარს, შეაქო, ყმაწვილივით ეტანება ცოდნასო.

მეორედ, სამარამ მაშინ ნახა, როცა წვეთდაცემულ აღონს დასტრიალებდა თავს და „შვილივით“ უვლიდა. — შენი იმედით და ღვთაების შეწევნით ეტოვებ ჩემს უსაყვარლეს ადამიანსო, — დაუბარა, მაშინ მცხეთის მთავარმა.

მესამედ, ამ ცოტა ხნის წინ შეხვდა სამარას, როცა აღონმა გაგზავნა და წიგნი გაატანა: — უენოს გავუშვებდი, შენ არ მოგაცდენდი, მაგრამ მსურს სიტყვიერი დანაბარებიც მოიძინოს ჩემგან მცხეთის ქვეყნის დიდმა მთავარმაო, — უთხრა მაშინ დიდმა ქურუმმა, დანაბარები სწორედ ითანეს ეხებოდა. თვალყური ადევნე, თუ აღონ უმცროსის ჩამოსვლამდე მივიცვალაო,

მცხეთის ქურუმი, ჩემი უმცროსი ძმა გამოგზავნე ტაძარში, ლეკას დავეტოვებ მისი დროებითი მკურნალობის აღედგინაო. სამარამ ლეკა პატივით მიიღო და გაუყვირდა, წიგნის ჩამოსატანად შენ რატომ გაგსაჯა დიდმა აღონმა, უენო რად არ გამოგზავნაო. ლეკამ თავი დახარა, ვითომც — მისი ერთგული მონა ვარ და როგორც საჭიროდ მიიჩნია, ისე მიმსახურაო, რა თქმა უნდა დანაბარები, არ მოახსენია. არც ისე სულელი იყო, ტაძარში ახალი უფროსი თავისი ნებით მოებრძანებინა. ითანეს კი ორიოდე სიტყვა თვითონ „შევიწია“ სამარასთან.

გაეღიმა ლეკას, რადგან კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სამარა მისი წინააღმდეგი არ წავიდოდა და უმცროსი აღონის ჩამოსვლამდე სწორედ მას ინდომებდა საქურუმის გამგებლად. მაგრამ ახლა უენო, მისი გამჭოლავი მზერა მოაგონდა და ღვთაებას, ჭერ ითანეს, მერე კი თავისი განზრახვის ბოლომდე ასრულება სთხოვა.

ბიჩო ღვთაების შესაწირი ხარის რქებზე ანთებულ სანთლებს ამაგრებდა და მის ახლოს მდგარ ღვთათა ქურუმს ეუბნებოდა: სწორედ რომ კეთილად გადმოგვხედავს ღვთაება ამ მსხვერპლისთვის, შარშანდელს არ ჰგავს, ვერაფრით რომ ვერ შევაჩვიე სანთლის აღს და გაცოფებულმა ორი კაცი რქებზე ააცვა, ამიტომაც გაგვიწყრა შარშან ღვთაება და სეტყვა და ქარბუქი არ მოგვაკლოო.

ლეკა რომ დაინახა, სანთლები მონას გადასცა და მიუახლოვდა.

— მახსოვს ნანობდი, საბერძნეთში რატომ არ დავიბადე, პირველი მიმბაძველი ვიქნებოდიო, მეხვეწებოდი, უფლისციხელს გამოსთხოვე თეატრონში მიიღოსო.

ბიჩომ თვალები ქუცია.

— ჩემგან შენთვის გაწეული სიკეთეც გახსოვს ალბათ; თუ ამალამ მთელს შენს ნიჭს მოუხმობ და ითანეს დავა-

ლებას კარგად შეასრულებ, მომავალშიც არ მოგაკლდება ყურადღება.

— თუ შენ იტყვი, შევასრულებ კიდევ, რაც არ უნდა იყოს. მიმბაძველობა ახსენე, ვის უნდა მივბაძო და სად?

— ბიზოს არაფერი უყვირდა ამ ქვეყნად და ლეკას უყუყმანოდ ემორჩილებოდა, რადგან, როგორც თვითონ იტყვოდა ხოლმე, მისით ედგა სული.

— ერთი თხუთმეტი წუთით დიდ აღონად უნდა იქცე...

— სად და ვის წინ?

— ყველაფერს გეტყვის ითანე. იგი ნახე და, როცა საქმეს მორჩები, სპარსის მიერ ჩამოტანილი საწამლავი მომიტანე.

— ახლავე მოგცემ!

— როგორც გითხარი, ისე მოიქეცი; ვინძლო, ხვალინდელი დღე ჩვენთვის უფრო კეთილად გასასტივისნოს ღვთაებამ.

— იდიდოს მისი სახელი! — თქვა ბიზომ და ითანე ქურუმისაკენ გაეშურა.

ლეკამ ტაძრის მოედანზე დიდებულებით გარშემორტყმული მცხეთის ქვეყნის დიდი მთავარი შენიშნა. წარსაღვა კიდევ ფეხი მისკენ, მისასალმებლად, მაგრამ, როცა სამარას მზერას თვალი გააყოლა და უფლისციხელის ასული დაინახა, გაიღიმა, მიხვდა, ამ ქალის მეტს ვერაფერს ხედავდა ახლა იბერიის უპირველესი ერისკაცი და კმაყოფილი ტაძარში შევიდა.

* * *

დიდი, ვაყკაუური სიყვარულით უყვარდა უფლისციხის მთავრის ასული სამარას. ისიც უთანაგრძობდა გამოჩენულს. ქალის მამა რომ არა, მემკვიდრეებიც ეყოლებოდა ახლა მცხეთის დიდ მთავარს.

თავდაპირველად ათენელი სტრატეგოსისთვის სურდა ქალიშვილის მითხოვება უფლისციხელს; ის რომ სპარსელებმა მოკლეს ბრძოლაში, მერე სომხეთის მთავრის ვაჟი არჩია სასიძოდ ისიც შეეწირა ალექსანდრესა და დარიოსის ქიდილს... ახლა თვალი პონტოელ აზონს დაადგა, რადგან გაიგო,

ალექსანდრე იბერიაზე გამოლაშქრებს და მის გამგებლად, ანუ მეფედ პონტოელს დასტოვებსო. მაგრამ მისი ერთადერთი ვაჟი სპარსელებმა მოუკლეს და ქვეყანაში გაბატონების შესაძლებლობა მოუსპეს, მთელი იმედი ქალიშვილზე გადაიტანა. მისი გონივრული გათხოვებით ცდილობდა უფლისციხის დაკარგული პირველობის აღდგენას და მცხეთის სასახლის შევიწროებას, მოსპობასაც კი მაგრამ სამარას გადაჭრილ უარს მაინც არ ეუბნებოდა, არც მოყვრად იკიდებდა, არც მტრად. დროს ელოდა. ახლა ის შეუთვალა მცხეთის დიდ მთავარს, რომ უფლისციხის ქვეყნის უპირველესი ღვთაების — მორიგეს ნებას დაველოდები და როგორც იგი მიბრძანებს, ამ ზამთრის მიწურულს, დღესასწაულის შემდეგ, ისე მოვიქცევიო. ეჭვით შეხედა ამ შემონათვალს სამარამ, მაგრამ უფლისციხის უფროსმა ქურუმმა, მთავრის ბიძამ და ცაროს გამზრდელმა, დაამშვიდა: „ვიცი, წინააღმდეგი არ წავა ხმელთაგამრიგე შენი და ცაროს ქორწინებისა!“ სამარას იმედი მიეცა.

იმის თქმაღა სურდა სატრფოსთვის, რომ სადედოფლო სამყოფელი ახლებურად მოაწყო, ბერბეროს მოახატვინა, ძვირად ფასეული ფიანდაზებით დაამშვენა, ოქროს, ვერცხლისა და მინის ჭურჭლით გაახალისა და ასე გაბლებული ელოდება მომავალ დედოფალსო, მაგრამ ცაროსთან მისვლას ერიდებოდა, მსუბუქი შურით უცქერდა ახალგაზრდა გლეხის ქალებთან მოლაზნანდარე ყმაწვილებს. რაც ბოგანოს შეეფერება, განა მთავრისათვისაცაა დასაშვები?!

ცაროსაც ჰქონდა სათქმელი სამარასთვის. მამამისმა ამასწინებებზე უთხრა: — ვიცი, მცხეთის მთავარი გულში გყავს ამოჭრილი, თუ სპარსელებს მოეშვება, რომლებსაც შენი ძმის სისხლს ვერასოდეს ვაპატიებ, და თუ უმტროსი ძმის, დუდეს სახლობას — სპარს ცოლსა და მის შვილებს განუტყეებს, სიძედაც ვინდომებ და მეფობასაც მივალებინებ იბერიაშიო.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ დაარწმუნეს ცარი, რომ ნებით არ მოხდებოდა მისი და სამარას შეუღლება. მცხეთის დიდი მთავარი ერთადერთ ძმას და უსაყვარლეს ძმისწულს ვერ მოიცილებდა. იცნობდა ცარი თავის რჩეულს, იცოდა — სამარა უკადრისს არაფერს ჩაიდენდა და უნდოდა ეთქვა, რომ მზად იყო მამის ნების წინააღმდეგ გამხდარიყო მისი ცალი.

სპარსელების გადაჭარბებულ სიყვარულს სულ ტყუილად სწამებდა უფლისციხელი სამარას. უბრალოდ, ორი ბოროტებიდან უმცირესი რომ აირჩია, განა დანაშაულად უნდა ჩათვლოდა? ბერძნებისაგან შევიწროებული და აფორიაქებული სპარსელები იბერიისთვის საშიშ მტრად აღარ მიაჩნდა; თინაც საბერძნეთი შორსაა და მუდამ ასე იქნება, ხოლო სპარსელებთან ახლანდელი ქიშპობა შეიძლებოდა შემდგომ გამუდმებული სისხლის ფასად დაჯდომოდა მის ქვეყანას...

რაც შეეხება მეფობას, კიდევ სწავდა და კიდევ საჭიროდ მიაჩნდა, იბერიის ერთი მტკიცე ნების ქვეშ გაერთიანება. სამომავლო წადილიც კჳონდა: კოლხეთთან და ეგრისთან დიდი მეგობრობა და საერთო ინტერესები აყვავირებდა, თავისიანად, ღვიძლად მიაჩნდა ისინი. შორსაც იყურებოდა: იქნებ ჩემს შემდეგ მაინც გახდეს შესაძლებელი ქართლოსიანთა მთელი ქვეყნის გაერთიანებაც, ოცნებობდა და ამ საქმეში იბერიის ერთიანობა პირველ სეფეხურად ესახებოდა. მშვიდობიანი დრო, რაც სპარსეთის და მისი დაპყრობილ ქვეყნების საბერძნეთთან ომმა მოიტანა, ხანმოკლე აღმოჩნდა ქვეყნის გასაძლიერებლად, გასაერთიანებლად და შინაური ქიშპობით დაუსტებელი იბერიის ასაღორძინებლად. ახლა კი, თანდათან შევიწროვდა ბრძოლის ხაზი და გამარჯვებული ბერძნები სრულიად ახლოს დამკვიდრდნენ ქვეყნის საზღვრებთან, ხმებიც დაიარსა, ალექსანდრე თავად აპირებს იბერიის დალაშქვრას, დარიოსისთვის გაწეული დახმარებისთვის სამავიერო უნდა გადაუხადოს ქა-

რთლოსიანებსო. ქვეყნის ავტარებზე მზრუნველი ერისშვილები, სწავლულნი, უკავშირდნენ, და აღონათს წინააღმდეგ რაკებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გამოგზავნეს. მანამდე ქვეყნის უბრძნესმა მამამ, ძმისწულს თავად შესთავაზა — საგვარეულო განმს მოგახმარ, ოღონდ ბერძნებთან მოსალაპარაკებლად სანდო და ტკვიანი კაცი აიჩინე, დიდი ძღვენი გავუგზავნოთ, ერთგულება და ყოველწლიური ხარკი აღვუთქვათ. ოქროს მოყვარულნი არიან ბერძნები და შეიძლება კიდევ ავაცილოთ ქვეყანას საფრთხეო. ასეთი კაცი უკვე გამოძებნა სამარამ. ეგრისის ქვეყნის დიდმა მთავარმა იკოსრა მოციქულობა.

ახლა საჭირო იმის გადაწყვეტა იყო, ალექსანდრესთან წასულოყო ეგრისის მთავარი თუ აზონთან. სამარა ალექსანდრეს ერჩევდა, გადმოცემით იცოდა. იმპერატორთან ყველაზე მეტად პირდაპირობა და სიბრძნე სჭირდა; ხოლო აზონი ძნელი დასაყოლიებელი იქნებოდა უსაზღვრო სიხარბისა და ამპარტაუნობის გამო. ყველაფერი ხვალ დილით უნდა გადაწყვეტილიყო იმ თათბირზე, რომელსაც დიდი აღონი, ეგრისის მთავარი, კუთხა ერისთავი, თავხევისბერი, მცხეთის ქურუმი და სამარა უნდა დასწრებოდნენ.

მამალმაც დაიცივლა და ქალები საქალებოსკენ დაიძრნენ, რათა დედათა ქურუმის ლოცვა მოესმინათ, ხოლო სამარა სამისნოს დაბალ კარებთან შეჩერდა, შესაწირის გასაღებად და იმის გასაგებად, თუ რას უმზადებდა ბედისწერა ამ მოკლე ხანში. პეშვით მოაბნია ოქრო ჭვის იატაკზე, ძვირფასი თვლებით მოჭედული ვერცხლის ქამარი მოიხსნა, მისნის ფეხთან დადო და დაელოდა. ქალმა მოიხედა და მისი ჭროლა თვალების გამჭოლავმა მზერამ თითქოს შუბლი გაუხვრიტა. მისნის გაყვითლებული, გამხდარი ხელი ფრთხილად შეეხო სამარას თმას, შუბლს, ნიკაპს, მუხლებს და ულონოდ დაეშვა ღრუბელი

ვით მოცურავე ნისლში, რომელიც დიდი ათუბთუხებელი ქვაბის თავზე წარმოქმნილიყო. ქალმა თვალები დახუჭა და ყური მოუგდო ბედისწერის ხმას. სამარა ქალის ხელს მისჩერებოდა, იცოდა, თუ მის ირგვლივ თავისით არ გაიშლებოდა ორთქლის თეთრი ღრუბელი და ხელი არ გამოჩნდებოდა, კარგს არაფერს უნდა დალოდებოდა ამ წელიწადს.

— უკვდავი იქნებით შენც და შენი იბერიაც! — მტკიცედ წარმოთქვა ქალმა, — ბედნიერი იქნები უკვდავებაში გარდასვლის წინ...

— სიმათლე მითხარი! ვხედავ, რომ ორთქლი კვლავ მძიმედ გეხვევა ხელზე. დედაკაცი არა ვარ, თანაგრძნობის არ ვსაჭიროებ!

— ბედნიერება და უბედურება წამიერია, უკვდავება მარადიული, ხოლო სიმათლე მხოლოდ ბედისწერის ღვთაებამ იცის. იგი თვითონ არჩევს ადამიანის ცხოვრების ხაზს, თვალწინ მოგვიტანს, დაგვანახებს ხოლმე და ჩვენს კლავნილებს ვხსნით და ვჩხრიკავთ შეძლებისდაგვარად. ბედისწერის ვარსკვლავი ხიფათიან გზაზე გიდვას. ერთდემნათობის ახალ მსაზურს, რადგან შენი ამქვეყნიური მფარველი ზეცაშია უკვე და თავისკენ გიხმობს.

— დიდი აღონი?

— მოკვდავმა როდი იცის, ვინ არის მისი მფარველი!

— მაშ, მოისპობა ჩემი გვარი? ასე უბრალოდ დამთავრდება ჩემი სიცოცხლე? — იკითხა მცირე დუმილის შემდეგ სამარამ.

— არც არასდროს უწერია შენს გვარს მოსპობა, ბრალიანადაც დაამთავრებ ამქვეყნიურ ცხოვრებას, მხოლოდ საიდუმლოს გაიყოლებ ზეცისკენ მიმავალ გზაზე... იმ საიდუმლოს შესწირავ თავს. შენი გვარის გამგრძელებელს ებება სწორედ ის ამბავი. აქ ვინცა ვართ, ყველას სახელი მოისპობა, შენი და შენი გვარის გამგრძელებლისა დარჩება მუდამ. დიდ ვალს უტოვებ გადასახდელად, ძნელ გზას — გასაფლვლად, მაგრამ სისხლსაც აიღებს და ღვთაებათა

მსახურების წესსაც შეტყობი რადგან შენზე ახლოს იქნება ამქვეყნუბებასთან.

ზინბლინიონიან

— როდის მოხდება ეს ყოველივე? ქალმა არაფერი უპასუხა, სივრცეს მიაპყრო მზერა.

ეტყობა ცაროს შევირთავ, ვაჟი გამიჩნდება... — გაიფიქრა, გადმოაბიჯა ზღურბლს, და ისევ დაინახა უფლისციხელის ასული.

მთვარის შუქი ციაგებდა ცაროს ლავარდოვან თვალებში, ფოქალ მკერდზე უხვად ბრწყინავდა ოქრო, ვერცხლი, საფირონი და ზურმუხტი. მოწითალო თმას, სიბნელეში რომ ჩალისფერი გადაჰკრავდა, მარგალიტებით მოქედული დიადემა იმაგრებდა. ლერწამივით მოქნილს შვეწოდა ცისფერი ქიტონი.

სასურველთან მიახლოება ეწადა სამარას, მაგრამ დაინახა — დედა მივიდა ცაროსთან. თავი მდებლად დაუქრა მანდილოსანს და ერთი წამით კიდევ შეაჩერა მზერა სატრფოს საბეზე.

* * *

ტაძრის განიერი ბაღის მარცხენა მხარეს, მდინარის პირას, სრულნაკეთიანი, მაღალი კაცი წამოიშართა; ყურადღებით მიმოიხედა; აქამდე ძლივს და ისმოდა ტაძრის ეზოში შეგროვილი ხალხის ზუზუნი, ძებოროციელის ჰაჭუნება არ ჩანდა, კაცი ერთი წუთით თვალს მიეფარა, მიწაში წარგო თავი და მოზრდილი ზერელიდან მძიმე ყუთი გამოათრია. ხმალი წაიძრო, ზედა ტანისამოსი გაიხადა, ზერელში მიმალა, ფონი მოძებნა და მდინარეში შევიდა. ჯერ გამართული მიდიოდა, მერე ტვირთი მარცხენა ხელში გადაიტანა და სწრაფად გადასცურა წყალი. სიბზილით გაუყვა ქალს. ხეზე მიბმულ შინდისფერ ბედაურს მიუახლოვდა, ქედზე ხელი გადაუსვა, მარდად მოეგლო ზურგზე და გააქენა. გამოცდილი მხედარი ჩანდა. სწრაფად განვლო მუხიანი, მთელი ტყე გადაიარა და გორაკს შეუდგა. გორაკის წვერთან ერთხელ მოიხედა, ისევ მიათვალეირა მიდამო და გზა გა-

ნაგრძო. გეზი ერთმანეთის გვერდ-გვერდ წამომართული მთებისკენ აიღო, პირველივე მთის შუაწელთან ცხენიდან გადმოხდა და სირბილით აჰყვა საცალ-ფეხო ბილიკს. ბილიკი მეორე, უფრო მაღალი მთის ძირში მთავრდებოდა. ახლა მარჯვნივ შეუხვია და ბუჩქნარში გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოქვაბულის შავი ხახა დალანდა მთვარის შუქზე. ყუთი მიწაზე დადო, სანთელი ამოიღო და გამოქვაბულში შევიდა.

გამოქვაბული დიდი და ღრმა იყო. ხერხელით თავდებოდა. კაცი ხერხელში გაძვრა და კედელთან ორმოს თხრა დაიწყო... სათუთად მოათავსა ყუთი, ზედ ცხერის ტყავი წააფარა და საგულდა-გულოდ მიაყარა მიწა. დატკეპნა და ქვები მოაფინა ზევიდან. ოფლი მოიწმინდა სახიდან, სულ ორიოდ წუთს ჩამოკადა.

— შესრულდა შენი უკანასკნელი ნებაც, დიდო ადონ, — გაიფიქრა მან, — უმალესი ღვთაება ინებებს და შენს ხალხს მოხმარდება შენი ნაგროვები სიმდიდრე, ბილწი ხელი ვერ შეეხება მას, რადგან ბილწი კაცი მშინაარა და დაწყევლილ ადგილს არ მიეკარება.

ეს ადგილი მთვარის მეოცე ქურუმს დაუწყევლია მას მერე, რაც აქ ნადირი დასხმია თავს და მარჯვენა მოუგლეჯია მისთვის. აგერ, უკვე საუკუნეზე მეტია, ადამიანი სიახლოვეს არ ეკარება ამ ტყეს. ვისაც კი შემოუბედავს, ცოცხალიც ვერ გასულა აქედან. მხოლოდ უენოზე არ მოქმედებდა, რატომღაც, შორეული წინაპრის წყევლა. უყვარდა აქ ხეტიალი, ნადირობა; საიდუმლო ხერხელით, რომელიც პირდაპირ მის საცხოვრისთან იწყებოდა, ბევრჯერ გადმოსულა მდინარის აქეთა მხარეს, ცხენის ჭენებით და ნადირობით მოქანცულა, გამოქვაბულისთვის შეუფარებია თავი უამინდობის დროს, ზოგჯერ უძინია კიდევ აქ, მთელი ღამე გაუთენებია. ადამიანებზე უფრო ბუნებასთან და ცხოველთან ეადვილებოდა საერთოს გამონახვა, რადგან მხეცი გუმბანი-თაც გწვდება, ხოლო ადამიანი სიტყვის უფრო უსმენს, სიტყვა კი ოცი

წელია არ ამოსულა უენოს პირობან. მარტო ერთმა, დიდმა ადამიანმა, რა ცეცხლი ენთო ამ ღრმა გამოქვაბულში. იმტომაც საყვე-ღური არ დასცდენია არასდროს. რამდენიმე დღით დაკარგულს ისე შეხვდებოდა, თითქოს ერთი საათის წინ გასცილდაო. ოღონდ ესაა, ამ ერთი თვის წინ სთხოვა: — ნუ დამტოვებ, შენებურად ნუ დამეკარგები, ვგრძნობ, სიცოცხლის გზა მიმთავრდება და ითანესა და მისი მომხრეების ხელში ნუ მომკლავო.

ახლა ტაძრის გუმბათზე მიტოვებული ადონის გაციებული გვამი მოაგონდა, წამოდგა და სწრაფად დაუყვა გზას.

შინდისფერი ბედაური ნაცნობ მუხასთან შეაჩერა, ჩამოქვეითდა, თავი თავზე მიადო და დიდ, ჭკვიან თვალბში ჩახედა ცხოველს. ერთხანს ასე იყო, მერე მოტრიალდა და უკანმოუხედავად გასცილდა. ცხენმა საცოდავად დაიფრუტუნა.

მდინარე რომ გადმოცურა, იქითვე გაძებდა, სადაც ტანსაცმელი ეგულეოდა და შეკრთა, ადამიანის ზურგი რომ დალანდა. ქამარში გარჭობილ დანაზე დაიდო ხელი, უჩუმრად მიეპარა. ქალი იყო.

უენო რომ მიუახლოვდა, ანათა წამოდგა.

— ვიცოდი, აქ იქნებოდი, პირველად კი არ გხედავ ამ ხერხელიდან გამოძქვრალს. ბევრჯერ დამინახავხარ შინდისფერ ბედაურზე ამხედრებული და მოჭირითე. ვიცი, სადაც იყარგები ხოლმე... ახლაც, ტაძარში რომ ვერ დაგლანდე, აქეთ წამოვედი! — ქალი უცებ მობრუნდა.

— ნუთუ შეიძლება ქალს ცრემლები აგრე შეენოდეს? — გაიფიქრა უენომ და მიხვდა, თუ რა დააკლო ანათას ქანდაკს, — მწუხარების სილამაზე არ ახლდა ქვეში ნაკვეთ მისეულ ქმნილებას.

— არ წახვიდე ტაძარში. ამბობენ, დიდი ქურუმი კვდებაო; ითანე ყველაფერს დაეპატრონა უკვე. შენ გეძებენ. ვიცი, კარგი საქმისთვის არ მოგძებნის

ბილწი ითანე. ვერას უშველი ადონს, ხოლო უბრალოდ თავის გაწირვა რა ვაჯცაობაა.

უენოს პანგივით ჩაესმოდა ანათას ხმა, ამიტომაც დაქარგეს სიტყვებმა აზრი. ეს მუსიკა ავსებდა, ხორცს ასხამდა, აცოცხლებდა მის მიერ შექმნილ ქანდაკს, ხოლო გაცოცხლებული ხატება არა მწყობრი ხაზების პარმონით, არამედ მათში გაცხადებული გრძნობების სიღრმადით იზიდავდა და თითქმის მივიწყებულ, ტბილ ქრეოლას ჰგვრიდა. შეშინებული უკედლა.

— შეეფიცე ღვთაებას, ამ ღამეს ქალწულობას შემოგწირავ და შეილს ტაძრის ბერად გავზრდი-მეთქი, აღმასრულებინე ფიცი! — ცრემლი დაგორდა წუშის თვალთაგან. მუხლებზე დაეცა უენო. სასოებით დაუკონა ფეხები...

შესამედ შემოჰკრეს ზარს. გამოერკვა, ფრთხილად გაინთავისუფლა თავი ქალის მკლავებისაგან. ერთხანს სიყვარულით დააქწერდა, დაიბარა. ისევ შეიგრძნო მისი ტუჩების სიტბო და წამოდგა;

უკან არც მოუხედავს, ისე გადაჭრა გზა და ტაძრის ეზოსკენ მიშავალ ბილკს აპყვა.

უფრო გრძნობდა, ვიდრე ესმოდა, როგორ ეძახდა ქალი, ევედრებოდა დაბრუნებას, მაგრამ არ შეეძლო დაბრუნება. მას დიდი ადონის გაციებულნი გვაძი უხმობდა.

მიუახლოვდა კიდევ ტაძარს. დიდ მუხასთან შეჩერდა. სული მოითქვა. მოათვალიერა მიდამო.

ღვთაების ხეზე აქა-იქ ბეუტავდა სანთელი, აღარ ისმოდა შესაწირი ცხოველის ბლავილი: დალილი, ღამენათევი სახეები ერთმანეთს დამგვანებოდნენ. უცნაურად გარინდულიყო ტაძრის ეზო. ცუდად ენიშნა ეს სიჩუმე უენოს და კიდევ მოესმა მისთვის ასე ახლობელი ხმა ადონ ქურუმისა. აიხედა, მთვარის სინათლეზე იკვეთებოდა გუმბათის შვერილზე გადმომდგარი დიდი მორწმუნის სილუეტი. მარჯვენა ხელი ღვთაებისკენ აღეშართა, სწორედ ისე, როგორც არაერთხელ უნახავს უენოს,

და დინჯად მოძღვრავდა სალოცავად მოსულ ერს. შეშინებულეუ მუხარდონო ღვთაების ხეს, თვალში დახტუნიყვდავ გაახილა და ადონის ხმაც გაიგონა; — სწორედ ესაა ალბათ უმაღლესი ღვთაების სასწაული, რომ გარდაცვლილი ცოცხლად, წარმოგვიდგინოსო, — დაასკვნა.

— ამიერიდან ჩემს ადგილს ითანე ქურუმი დაიჭერს, ენდეთ და დაუჭერეთ ღვთაების რჩეულს, — ისმოდა ადონის ხმა, — ამ გულსაკიდსაც იგი ატარებს, ჩემი ნებით, ადონ უმცროსის დაბრუნებამდე. ღვთაება უხვ მოსავალს დაგბირდათ, თქვენგან მორთმეული შესაწირი მიიღო და შეწირულ ბერთა გათავისუფლება უბრძანა ტაძარს. იბერიელთა მტრის, სპარსელების საბოლოო განდევნა ქვეყნიდან უცხო ტომის გამარჯვებულ ხალხს დაავალა. ენდეთ და მიჰყევით გადასარჩენად მოსულ კაცს... ადამიანის სისხლს მოითხოვს ღვთაება ერის ცოდვათა შესამსუბუქებლად. მსურს უენო შეეწიროს, როგორც გამორჩეული სიწმინდითა და პატიოსნებით, სწორედ ასე მიბრძანა უმაღლესის უპირველესმა ხატებამ — მთოვარემ. გარდუვალია მისი ნება...

დიდი ქურუმის ხმა მიწყდა. მიწას განთხზულმა მლოცველმა ერმა მადლი შესწირა ღვთაების ძალას და ნელ-ნელა წამოიშალა.

ტაძრის კართან მიდგა სამარა. გაკვირვებულმა და დაბნეულმა კიბეზე დააპირა ასვლა. ახალგაზრდა მსახური დაუხვდა კიბის თავთან, — უკანასკნელ წამებს ითვლის დიდი ადონი და არავის ხილვა არ სურსო, — მოახსენა. წარბი შეჰყარა მცხეთის დიდმა მთავარმა, მაგრამ თავს არ აკადრა თვითნებობა და კიბის თავზე გადმომდგარ ლეკას დაელოდა. — ღვთაებამ მიიბარა მისი უბრძნესი სულიო, — აუწყა სამარას ლეკამ და მწუხარე თვალეები ზეცისკენ აღაპყრო, — ღვთაების რჩეულმა კიდევ ნახა ათას ორასჯერ მნათობის სავსე სახე. ოთხმოცდაცხრამეტი ზაფხული, ცხრა თვე და ცხრა დღე მოითვალა... დიდი პატივით გემართებს



მისი გაცილება. ითანეს ბრძანებით, მე-
შვიდედ დღის დადგომისას აღვასრულებთ
მისი ამაღლების წესს, ძვირფას
ფერფლს ტაძარში შევიწინაბავთ, ხოლო
სამოსს, შეწირულ უენოსთან ერთად,
დაგვრძალავთ უწმინდეს სამარხში...
დედა ღვთაების რჩეულის, ცხრათვალა
მზირას გამოჩენის შემდეგ ვაუწყებთ
ერს ამ სამწუხარო ამბავს. ხოლო
ღვთის მსახურთა დამშვიდობება და გა-
ნდობა ხვალ დაიწყება, სწორედ იმ
დროს, როცა ღვთაებები ეტლებს გა-
ცლიან...

დამწუხრებული და შეფიქრიანებუ-
ლი მცხეთის დიდი მთავარი სასწრა-
ფოდ გაეცალა ტაძარს. საერო მზღე-
ბლებთან ერთად გაუყვა სასახლისაკენ
მიმავალ გზას.

უენო მოიკითხა ლეკამ. ბიჩო იხმო,
რალაც გადაულაპარაკა და ტაძრის მო-
ნები გაუშვა უტყვის მოსაძებნად. ღვთა-
ების ხესთან ნახეს დაყუდებული. ორი
კაცი მისწვდა მკლავში, მესამემ გულ-
დასმით გაჩხრკია. წმინდა მსხვერპლის
წინ მოწიწებას კი არა, ძალადობას უფ-
რო წააგავდა მათი საქციელი და უცებ
მიხვდა უენო, რომ დიდი აღონის წმი-
ნდა ნივთებს ეძებდნენ მომხედურები,
ისიც გაიაზრა, ერთი წლის წინ უმც-
როსი აღონისთვის ფაზისში გადაცე-
მულ გულსაკიდს რომ ვერ დაუტოვებ-
და ითანეს მისი პატრონი. ცოტა მო-
შორებით მომღიშარი ბიჩოც დალანდა
და ყველაფერს მიხვდა.

არასოდეს უნანია თავისი სიმუნჯე
ასე ძალიან. მაინც გაეხარდა, რომ სიკ-
ვდილის წინ კიდევ ერთხელ იწამა პა-
ტრონის, მეგობრისა და მოძღვრის სი-
წმინდე და უმწიკველობა. დარტყმის
ტკივილი არ განუცდია, მაგრამ იგრძნო,
როგორ თანდათან ელეოდა ძალა, ფეხ-
ზე დგომა აღარ შეეძლო.

დაეცა. არაჩვეულებრივი სიმშვიდეც
დაეუფლა. ამ ქვეყნად ყველა საქმე
მოთავებული ჰქონდა ერთის გარდა,
აღონ უმცროსს ვერ დახედებოდა და

ვერ გადასცემდა წიგნსა და სიმღერ-
რეს.

ამ ფიქრით დასცილდა მკვლევარსა
გაიგონა თითქოს — დაბრუნდი, არ
დამტოვო, — ეძახის ანათა. არ სურს
დაბრუნება უენოს, მაგრამ უარსაც ვერ
ეუბნება სასურველს. ესმის ანათას სა-
ოცარი ხმა, თითქოს მის ყურთან ჩურ-
ჩულებს ქალი, შეუძლებელს სთხოვს.
თვალი გააბილა და იგრძნო მის მკერ-
დზე გადადიოდა მლოცველი ერი. ცო-
ლდებისგან იწმინდებოდა და ისე შედი-
ოდა ტაძარში.

განთიადი ახლოვდებოდა. საღვთო
მამულის ღვინით მთვრალი მეკაშნიკე-
ნი მთელი ხმით გაჟყვიროდნენ სიმღე-
რას. შეზარხოშებული კაბუკები უფ-
რო თამამად ელაციცებოდნენ ქალიშ-
ვილებს, საცეკვაოდ და სასიმღეროდ
იწვევდნენ. ცხოვრება გრძელდებოდა.

სავარძელში ნებიერად მისვენებული
ითანე, უძილობით მოთენთილ სხეულს
ასვენებდა და ფიქრით ხვალინდელ
დღეს ეხალისებოდა.

ცარიელ დერეფანში ლეკა გამოჩნ-
და. ჩვეულებრივზე ფრთხილად მოიპა-
რებოდა ითანეს სენაკისაკენ. მარჯვენა
ხელში საწამლაკიან პატარა შუშას მა-
ლავდა...

ითანემ თავი ასწია და „მეგობარს“
შეპლძიძია, მაგრამ ლეკას სახემ ღიმი-
ლის ხალისი დაუქარგა...

დიდი აღონის ცვილისფერი გვამი კი
კვლავინდებურად ტაძრის გუმბათის
შვერილზე ესვენა, გამპატროსნებელს
ქლოდა.

პანტიკაპეიონის ნავსადგურში ჩვეუ-
ლებრივად ხალხმრავლობა იყო. აღრი-
ანი შემოდგომის მზიან დღეებში ზე-
დიზედ გადიოდნენ და შემოდდიოდნენ
გემები. ქვეყნის რომელი კუთხის
მკვიდრს არ ნახავდით აქ. ირეოდნენ

ვაჭრები და ხელოსნები, ხელოვანი და ფილოსოფოსნი, მოგზაურობის მოტრფილენი თუ დაქირავებული, ომგადახდილი მეომრები, ადგილობრივი მოქალაქენი. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მდიდარი თუ უჭონელი.

გემის მფლობელები და ვაჭრები ერთმანეთს სარფიანად ურიგდებოდნენ, გადაჰქონდათ და შემოჰქონდათ: მარცვალი, ბეწვი და ტყავი, სელო, თაფლი და ღვინო, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, მინისა და თიხის ჭურჭელი, ნელსაცხებლებით სავსე ქვევრები, მონები, საქონელი, ცხენები, გალიებში გამომწყვდეული უცხო ნადირნი... აქ ყველაფერი იყიდებოდა, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, რასაც კი მოისურვებდა ადამიანის გული და თვალი.

ხალხისგან მოშორებით, ზღვის ნაპირთან, ახალგაზრდა კაცი ჩაფიქრებული იდგა. სიერცეს გასცქეროდა. ზღვაური შუბლს უგრილებდა და გრძელი ტანსაცმლის ბოლოს უფრიალებდა.

— ათი დღეა დარჩა, — ... ფიქრობდა, — ათ დღეში ფაზისში ვიქნები, ხოლო ერთ თვეში იბერიაში. — სამშობლოში დაბრუნებამდე დარჩენილი ეს მცირე დროც საუკუნედ ეჩვენებოდა. როგორც კი დიდი ადონის გარდაცვალების და მთავარ საქურუმოში დატრიალებული ამბავი გაიგო, მყისვე გამოემგზავრა ათენიდან. რიგინადაც ვერ დაემშვიდობა მეგობრებს. ყური არ უგდო თავისი ბერძენი მასწავლებლის არისტოფანეს ვედრებას, ფეხმოტეხილს გაგიჭირდება მგზავრობა, სინამ ძვალი კარგად გაგიმრთელდება, უგუნურობაა შენი წასვლა, სამუდამოდ ხეიბარი დარჩები. ვერავენ წაგართმევს ჭურუმობას, თუ მაგაზე ნაღვლობ. ბაბუაშენის — ადონის ნებას ვერავენ გადაუვა, ხოლო ერთი კვირით გვიან წასვლა შევარდნოვით ფეხმარდს დაგტოვებს მოხუცობაშიცო.

სცდებოდა არისტოფანე. ჭერჯერობით ფეხის ტყვილიც არ უგრძენია, არც ზღვას უწყენია და არც ჰავის სინოტივეს უმოქმედია მოტეხილობაზე,

როგორც მასწავლებელი ვარუდობდა, მხოლოდ ეს იყო, ერთხელეუფალოქებული სული ვერ დაწყნარდებოდა უფრო დიდ საშინელებას მელისო. ახლა სამშობლოდან მოშორებით გატარებული ყოველი წუთი მიიმე ლოდინით აწევებოდა გულზე და ეგონა, ფაზისისკენ მიმავალ გემში ასვლა და პონტოს განიერი მყერდის გადაცურვა დაუამებდა სულს. არც ხალხმრავალი ნომალდით შეეძლო მგზავრობა, ადამიანთა სიმრავლე და ფუსფუსი გონებას უმღვრევდა, განმარტოებისა და საკუთარ თავთან დარჩენის საშუალებას არ აძლევდა.

ბედად, ერთი ნაცნობი შეხვდა, ფაზისიდან ჩამოსული, — მე რომ მოეყვი, იმ გემზე მოგაწყობ, მხოლოდ რამდენიმე კაცი და ცნობილი პეტერა მოკყავს თავისი სახლობით და ცხენებითო, — უთხრა იმ ფაზისელმა. — კაცები ათენელები არიან, ალექსანდრეს არმიაში ნამსახური დიდგვაროვნები, იმპერატორის პონტოელ მხედართმთავართან, აზონთან მიდიან ალბანიაში... ოჯახების მოსანახულებლად, დასაჩუქრებული გამოუშვია ისინი იმპერატორს ათენში, ახლა ალექსანდრესთან შესახვედრად პონტოს ზღვით ამჯობინეს გამგზავრებაო. პეტერა კი კალმით ნახატია, ხოლო გონების სიღრმითა და ცოდნით ფილოსოფოსებს არ უდებს ტოლსო. წინასწარმეტყველიცაა და კაცის ნაფიქრალის გაგების საიდუმლოებასაცაა დაუფლებულიო. ერთი წლის წინ ჩამოსულა და დასახლებულა პანტეკაპეიონში, ამბობენ, ეთიოპელი მეფის ქალიშვილია, მამას გამოჰქცევია, თავისუფალი ცხოვრება უმჯობინებია. ამ ერთ წელიწადში ძლიერ გამდიდრებულა და დიდგვაროვანი მამაკაცების ოცნების საგნად ქცეულა, ხოლო ქალაქის უფროსის ვაჟს ისე შეჰყვარებია, რომ უკან დასდევს მოუცილებლად, ახლა კი ფაზისში მიჰყვება, რადგან ქალს ფაზისის მონახულება სურსო.

პონტოს ზღვას ბერძნები, ძველი ჩვეულების მიხედვით, ხშირად არა-



სტუმართმოყვარეს ეძახდნენ, თუმცა კი ამ ბოლო დროს მის ნაპირებს ძალუმად მოედნენ და რიგიანი კოლონიებიც დააარსეს. მათ ახლა პონტოც თავის საკუთრებად მიაჩნდათ და მისი სანაპიროს მბრძანებლებადაც მოქმენდათ თავი, რადგან, ალექსანდრეს აღზევებისა და გამარჯვებების წყალობით, ქვეყნიერების თვალსაწიერს მოეპოტინენ. მათ შორის ყოველი მეორე მეომარი გახდა ან მონათა მფლობელი. გაამარტივეს კიდევ მსოფლიოს მრავალფეროვნება, რაკი ხალხები მხოლოდ ბერძნებად და ბარბაროსებად დაჰყვეს. ახლა ყოველი ელინი წარმატებული და, ლეთის წყალობით, მბრძანებელია, ხოლო ყოველი ბარბაროსი — მონა და ბერძნის ქვეშევრდომი.

აღონ იბერიელს ბერძნული ლაპარაკი და გულიანი სიცილი ესმოდა. თხელი, ჭილით გამოცალკეებული ტიხრული, რომელშიც მისი საწოლი იდგა, სრულიად ვერ ახშობდა გემბანიდან შემოსულ ხმაურს. თვალგახელილი ელოდა ლამის სიწყინარეს. დრო კი ნელა მიდიოდა.

— დიდი არისტოტელე რომ არა, ვერც გაბედავდა ალექსანდრე ასე შორს წასვლას! — იჩემებდა ერთი.

— დარბოსმაე ხელი შეუწყო, მასავით მარდი მორბენალი თვით დიდი მართონელიც კი არ ყოფილა! — იციონოდა მეორე.

— ამბობენ დარბოსის ცოლშვილს დიდად სწყალობს იმპერატორი, რადგან მისი ქალიშვილის შერთვა სურს, სპარსეთის დედოფალიც ჩვეულ ფუფუნებაში დატოვა და არც პატივი მოაკლო. მოწყალეა გამარჯვების მერე! — პასუხობდა სხვა ხმა.

— სამაგიეროდ, მეგობრებს აღარ სწყალობს ძველებურად, რაც სპარსეთის სამეფო ჩვეულებებს გაეცნო, გაამაყდა და ვაგლახად სიტყვის შებრუნებასაც ვერ უბედავენ, მლოქვენლებმა კი ისიც მოახერხეს, რომ არისტოტელეს გადაჰკიდეს...

— ღმერთების შვილის ვანსჯა ჩვენი საქმე არ არის. ბევრჯერ მინახავს თი-

თქმის წაგებული ბრძოლა რომ მოუტია ალექსანდრეს, ჯერად უმცროსი სოფოსოვით დინჯი და მბრძანებელი იყო, არც ქალების კალთას ეპოტინებოდა პთოლემეოსით. აკი, ამბობდა არისტოტელე, — ორივე დიდი მეომარია, მაგრამ ალექსანდრე ქვეყნიერების მბრძანებლობას შესძლებს, პთოლემეოსი კი მხოლოდ მეფედ თუ გამოდგება.

— ეს უთუოდ მაკედონიიდან იქნება, — გაიფიქრა აღონ უმცროსმა, — ასე მძიმედ და ტყეპნით მხოლოდ მაკედონელები ლაპარაკობენ.

გახსენდა ვრცელი მინდორი ათენის აღმოსავლეთით, ელისეს პირას. კიბარისისა და ზეთისხილის ხეებით შემოჭარული ბაღი, მასში დინჯად მიმომავალი ფილოსოფოსი... მხარგანიერი, შუბლმალაღი, ჭალარა არისტოტელე, სივრცეს რომ მიშტერებოდა კროლა თვლებით, მისი რბილი ხმა, დინჯი მეტყველებდა...

— ყოველ ადამიანს, ჩვეულებრივ მოკვდავსაც კი, და არა ღმერთების შვილს, ისეთს, როგორც ჩემი გაზრდილია, თავისი მისია აქვს ამ ქვეყნად. განგების ნებაა ყოველი, გარდუვალა მისი ძალა. მე კი, როდესაც ფილიპემ თავისი შვილი აღსაზრდელად მომზარა, მითხრა: ვიმედოვნებ, შენი დარიგებანი მჯ ჩემი შემკვიდრეობისა და მაკედონიის მბრძანებლობის ღირსად გახდიანო... აი, რისთვის ვზრდიდი ჩემს მოწაფეს, მან კი ღმერთების წყალობით, ჯერ საბერძნეთში მოიპოვა პირველობა, მერე სპარსელები დაამარცხა და ბოლოს თითქმის მთელი მსოფლიო დააოქმა...

მაშინ შეჰკადრა აღონ უმცროსმა დიდ მოძღვარს თავისი აზრი, რაც არაერთხელ უფიქრია ალექსანდრეზე.

— მე კი ვფიქრობ, უზუნაესი ლეთაება არ დაუშვებს, რომ კაცად დაბადებული მას გაუტოლდეს, რადგან მხოლოდ ლეთაებაა სამყაროს მბრძანებელი. ალექსანდრეს მაგალითზე ზომ არ მიგვანიშნებს უზუნაესი, რომ არააობაა ყოველი ამქვეყნიური: დიდება, სიმდი-

დრე, სილაშიზე, ძლიერება და მხოლოდ სულია ჰეშმარიტებასთან მისასვლელი ერთადერთი საშუალება.

ნიკილდექ, აღონ უმცროსის ბერძენი მასწავლებლის, არისტოფანეს ძმა, რომელმაც იბერიელი არისტოტელეს წარუდგინა, მერე ამბობდა, — სიტყვა რომ შეუბრუნე და თავისი გაზრდილის საქციელისთვის გაკენწლი, მეგონა აფეთქდებოდა და გამოგვყრიდა ლიკეიონიდან, როგორც ბევრჯერ უქნია ფიცხსა და მედიდურს, ეტყობა, ძლიერ მოეწონა იბერიული თიხის ქანდაკი, შენგან მირთმეული, აღფრთოვანებაც ვერ დაჰფარა მისი ხილვისას.. სწორედ იმ პატარა თიხის ოქროსთმიან და ვერცხლის ფირფიტებით შემოსილ მედეას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ფილოსოფოსთა წინ არ შეგვარცხვინაო...

არისტოტელემ კი ესა სიტყვა მაშინ: — საინტერესო ხალხი ჩანხართ პონტოს ნაპირის მკვიდრნი. ახალგაზრდობაში, როცა სამოგზაურო დრო მქონდა, ვნანობ, შენი ქვეყანა არ ვნახე. ხალხი, რომელსაც ასეთი ხელოვნება აქვს, პატრივისცემისა და შესწავლის ღირსია. მე ვიცნობ ეგვიპტურ, სპარსულ, მოგურ სიბრძნეს, მწამს პლატონი და შვიდი დიდი ბრძენი, ვიცი ბევრი ხალხის ხელოვნებაც და ნიშუშებიც მრავლად მაქვს შეგროვილი. სხვაგვარად მოაზროვნენიც ყოფილხართ და ხელოვნებაც განსხვავებული გქონიათ. გამიგონია დიდი კოლხის შესახებაც, რომელიც პითაგორელთა მეგობარი იყო და რომელმაც მათი მოძღვრება თავისებურად გადაამუშავა...

დიდი კოლხი სწორედ ის კერპადქცეული წინაპარია, რომლის სიბრძნესა და წინასწარმეტყველებას ასერიგად აფასებდა უფროსი აღონი, იმ შორეული ბრძენკაცის ხელქმნილი ანბანი სამყაროს საიდუმლო ენაა, რომლის წვდომა მხოლოდ რჩეულს, მრავალი ქვეყნის სიბრძნით აღჭურვილ მოკვდავს თუ შეუძლიაო, ამბობდა.

— მოვა დრო და ხალხი ისწავლის ანბანს, ღმერთის ნებით იგი ერის საკუთრებად იქცევა, ისევე, როგორც

ენა, ხოლო ანბანში ჩადებული ღვთაებრივი სიბრძნე ქურუშთა ხელში უნდა დაარჩეს, რათა სწორედ წარმართოს ქვეყნის ცხოვრება. განსრუდეს, ცოდნა მუდამ რჩეულთა ხვედრი იყო და იქნება კიდევ. ბევრჯერ უთქვამს ეს სიტყვები დიდ აღონს საყვარელი შვილიშვილისათვის, რომელიც თავად გაზარდა და პატარა ბიჭობიდანვე საიდუმლო ცოდნას აზიარა.

— რა ბედი ეწია ნეტავ ღვთაებრივ წიგნს? — გაიფიქრა აღონ უმცროსმა და მხარი იცვალა. — როგორც მითხრეს, ლეკა ქურუში ეძებდა ამაოდ რაღაც ხელნაწერს და ოქროსო... უფროს მიერ ქვაზე ნაკვეთი ფიგურებიც დაუმტკრევიდა უმეცარს და ბერბეროს ნამუშევარზეც აღუშართავს ბინძური ხელი... წყლის ღვთაებისთვის შეუწირავს ცოცხალი კაცი, ძველებური წესის მიხედვით... საკვირველია, სამარა და დედე როგორ ითმენენ მის თავებდობას, ორთავე ზომ ჩემთან ერთად გაზარდა დიდმა აღონმა.

გემბანიდან ახლა ქალისა და მამაკაცის ლაპარაკი ისმოდა. ისინი წყნარად საუბრობდნენ.

— თუ ინებებ გემბანზე გამობრძანდი სადილადო, გემის მოსამსახურე ბიჭი გამოგზავნეს ორჯერ. — უთხრა მსახურმა კოხტამ.

აღონ უმცროსმა გაუღიმა და ხელით ანიშნა — არაო.

— თუ არა და, მანდ წაიღეთ სადილი, — ახლა კოხტამ გაუღიმა.

— წადი და შემოიტანე, ვიცი, შიმშილი არ გასვენებს, როგორც ყოველთვის...

კოხტა მსწრაფლ გაუჩინარდა. თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ აღონ უმცროსი და მისი მსახური, მაგრამ დაკვირვებული თვალი პატრონის თმაში ჰაღარა ძაფებს და უბებთან, ფიქრისგან გაწოლილ უწვრილეს ხაზებს შეამჩნევდა. კოხტა კი მკვირცხლი, თვალანთებული და მოძრავი იყო.

შარშან, 26 წლის რომ გახდა, პირველად აწუწუნდა აღონ უმცროსთან, — შინ დაებრუნდეთო, — სთხოვა, მე-



შინა, დალალო არ გამოთხოვდეს და უკოლმწიგოდ არ გადავეგოო...

ახლა კი იბერიაში დაბრუნების სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის არც უნაღვლია, მისი მოამაგე კეთილი ადონის სიკვდილი.

ვარსკვლავიანი ზეცა პორიზონტის ეიწრო ზოლთან მშვიდად დარწმუნულ ზღვას უერთდებოდა. ტალღების საიდუმლო ბუტბუტს გემის სწრაფი სვლა ერწყმობდა და თეთრად გაშლილი აფრით, იგი უფრო ფრთაწვეულ გედს მოგაგონებდათ. ვიდრე ხომალდს.

ადონ უმცროსი რა ხანია გემბანის კუთხიდან გაპყურებდა სივრცეს. ვარსკვლავთა ხომლი მის თვალწინ, პორიზონტის ზოლთან ერთად მოძრაობდა და ისეთ განცდას ჰგვირგია, თითქოს გემი კი არ მიცურავდა, არამედ თვითონ მიამიჯებდა ზღვის რბილ ტალღებზე. ვარსკვლავთა ციციხათელებით მხარდამშვენებული. გარინდებიდან მოწყვეტილმა ცთომილმა გამოიყვანა, კაშკაშით რომ გადაეგლო თვალსაწიერს და მსუბუქად დაეშვა ზღვაში.

და... ადონმა იგრძნო, მარტო არ იყო გემბანზე. მოპირდაპირე კუთხეში ვერცხლისფერ წამოსასხამში შებურვილი ქალი დაინახა. უნაზესი ქსოვილი წელზე სარტყლით ეკვრებოდა და უხვად ეღვრებოდა მტკი თასმებით ამობნეულ უძირკვებზე. გვირგვინივით დადგმული თმის ვარცხნილობა ძალუმად აჩენდა მოღვრებული ყელის ნატიფ ხაზებს. ბრინჯაოსფრად ეღვარებდა მისი კანი ვარსკვლავთა, შუქზე. ქალმა თავი მოაბრუნა და ადონ უმცროსს უცებ დაეუფლა ერთხელ განცდილ ბედნიერებასთან ხელახალი შეხვედრის სიხარული.

— ზღვა, ცა, ვარსკვლავები და ისევ ჩვენ ორნი. — წყნარად წაიძღვრა ქალმა სპარსული ლექსის ნაწყვეტი.

— ალდე! ნუთუ შენა ხარ და კვლავ მოჩვენება არ მათამაშებს? — ძლივს წარმოსთქვა და ახლოს მიეჭრა, თვალებში ჩახედ

ქალს გაეღიმა.

— ალდე შეიძლება, *ყოფილი* იყოს, ხოლო მე ხორცქვენი სხამა ვარ. მეგონა ფილოსოფოსი სიბრძნის მონანი იყავით. მეგონა მშვენიერება თქვენთვის მხოლოდ განსჯის. საგანო იყო და არა გრანობის სათავე, თურმე ვცდებოდი, რადგან მარტო შეყვარებული წარმოთქვამს სასურველი ქალის სახელს ასე მოწიწებით...

— ერთ შორეულ და დაკარგულ მეგობარს მიგამსგავსე. ხშირად ცთომილთა შუქზე აუხდენელი ახდენილად მოჩანს. ბოდრის გიხდი, — წარმოსთქვა ადონმა დანანებით და უაუღვამლე ჰესიონასთან პანტეკაპეიონელ თაყვანისმცემელი მივიდა, რალაც უთხრა და სიცილით გაიყოლა ქალი.

ადონ უმცროსი კი თავის ზმანებას თუ მოგონებას მიენდო... ამ ექვსწლის წინ პირველად მიემგზავრებოდა ფაზისიდან. ეძნელებოდა შეჩვეული გარემოს დატოვება, არ ეთმობოდა არც მასწავლებელი, არც მეგობრები. სწავლასაც ესწრაფოდა. გამგზავრების წინა დღეს ძლიერ დაილაღა და ტირობითან, თავის ფაზისელ მასწავლებელთან საუბრის მერე ადრიაანად გაეშურა დასაძინებლად. დიდხანს არ მიეკარა ძილი აფორიაქებულს, ბოლოს მიყუჩდა და იგრძნო კიდევ უჩვეულო სიმსუბუქე, ცხადიდან ძილში გადასვლას რომ ახლავს... და, მაშინ იხილა პირველად შორს, თითქოს ქვეყნიერების დასასრულს, შუა ზღვაში ეულად წამომართული, არც თუ მაღალი მრგვალი შენობა, თეთრი სვეტებით ზღვის გამჭვირვალე ქვიშას რომ ეყრდნობოდა... ზღვა მღეროდა და ნელა ირწყვოდა შენობის ირგვლივ. სიღრმიდან ქალი მოისწრაფვოდა ხელგამოწვდილი. ეძახდა: ადონი, ადონი... ტკიბლბოვანება ამ ძაბილისა რალაც შორეულს, დაიწყებულს ახსენებდა და როცა მხრებზე ფრთხილი შეხება იგრძნო, შეკრთა, თვალი გაახილა. ცხადშიც გარკვევით მოესმა: „ადონი... ადონი... წაიყოლია, წაიყვანა ამ ხმად.

სწრაფად, თითქმის სიბრძლით გადა-

იარა ბალი და ტყის სიღრმეში მიმავალ გზას დაუყვა. შედგა, ყური მიუგდო, მარჯვნივ იხმობდა ძაბილი. პატარა ბოლიკს მიავნო და გააყვა: შორს მოიტოვა ნაცნობი მიდამო და ახლა ზღვისკენ მიმავალი გზა გამოჩნდა. მალე ზღვასთანვე დასრულდა ყოველი. აღარც ძაბილი, აღარც ზმანება. ჩამოვდა, ერთხანს გარინდებული იყო, მერე მოსასხამი იქვე მიავდო და ფრთხილად შევიდა წყალში. ცურვის ეჩინი რომ დაიოკა, გულალმა გაიშობა წყალზე, ზეცას მიაშტერდა და იგრძნო მარტო რომ არ იყო.

სრულიად ახლოს დაინახა წყლიდან წელამდე ამოზიდული ქალი. თვალი მოსტაცა ვარსკვლავთა შუქზე ბრინჯაოსფრად მოლალაპე მკერდმა და მხრებმა... ისევ გამოჩნდა შორს, თითქმის პორჩონტის ბოლოს, თეთრსვეტებიანი, მომკრო სამლოცველო... მერე ეს სამლოცველოც ცხადად იქცა და მასში მოტრიალვით ოციოდე შიშველი ქალიც ვიწრო, თითქმის ქერთან შეერთებული სარკმლიდან გადმოჭრილი ზღვაური ერთადერთი სანთლის ალს არხევდა და ქალთა ამ სადგომს არამქვეყნიურ, საიდუმლო იერს ანიჭებდა.

— ყველამ იცით, რაც მოითხოვა წყალთა ღვთაებამ შუქისაგან. მან ეს კაცო დაგვისახლა მსხვერპლის შემოქმედად. — სწორედ სარკმლიდან გაისმა ხმა.

ქალის ციფა და შეუვალმა მეტყველებამ ისარივით გაუარა სხეულში და საბოლოოდ გამოფხიზლდა. — ტყუილი გვიტხრა შუქიამ, ყველამ ნახეთ მის წინ ამ კაცის დაუძღურება. სამაგიეროს აღსარულებს წყალთა ღვთაებმა... მსხვერპლად მიიღებს მის ოჯახს. ილოცეთ ღვთაებისათვის!

ახლაც ყურებში უდგას შუქიას განწირული „არა“ და, ქალების ლოცვამოთქმა, ამ კვირის რომ დაერთო.

შუქია ერთი კეთილი მეთევზის გოგო იყო. ხშირად მოდიოდა ის მეთევზე ფაზისის სკოლაში, თან პატარა ქალკაცი ახლდა ხოლმე. ობლები არიან და არ მკიცდებიან, კუდში დამდევენო,

— იბოდიშებდა მეთევზე. მან ხ. სამლოცველოში პირველი ქართველთა ცამეტი წლის თუ იტანა... მხრები მხრები ჩხირებივით ამოშვროდა და მისი გამხდარი სხეული მხოლოდ საცოდაობის გრძნობას იწვევდა.

მანამდეც არაერთხელ გაეგონა აღონ უმცროსს, რომ ფაზისიდან მოშორებით, ერთ პატარა, მიუვალ კუნძულზე, წყალთა უძველესი კერპის, წყლის ქალღმერთის ფარული სამსხვერპლო დგას, სადაც ახლადდაბადებულ ჩვილ ვაჟებს სწირავს მრისხანე კერპს შორეული ქვეყნიდან მოსული ქურთმით. როგორც კი ეს ქალები იხილა და ქურთმის გამყინავი ხმა მოისმინა, მიხვდა, რომ სწორედ ამ საიდუმლო სამყოფელში მოხვდა და სიმწრის ნერწყვი გადაყლაბა ტანსაცმელშემოძარცულმა, გასასყიდი საქონელივით მუშტრის თვალით შემოწმებულმა, დაბნეულმა და დათრგუნვილმა საკუთარი სიშიშველით.

ქურთმის ნიშანზე ბრინჯაოსფერი ქალი ნელი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ, ხოლო მერე, როცა მიუახლოვდა, მხრებზე ხელები დაადო და გავარკარებულ ტუჩებით, ფეხის თითებზე აწეული, მის სველ შუბლს შეეხო, იგრძნო, რომ სურვილი, რომელიც დაეუფლა, არ იყო უცნობი ქალის შეხებით გამოწვეული აღტყინება, არამედ იყო შეხვედრა დაკარგულ ნაწილთან, რომელთანაც ხელმეორედ შეერთებას თითქოს უხსოვარი დროიდან ესწრაფვოდა.

— მე გამოვიხოვე უძველეს დედან მოწყალემა სანაპიროსთვის, ვკითხე, ამ კაცის სიცოცხლის თესლი რომელ თქვენგანში იქცეოდა სამსხვერპლო ნაყოფად. აღდეზე მიმანიშნა წყალთა მბრძანებელმა. ილოცეთ, რათა აღსრულდეს მისი ნება.

აღარც ლოცვის ხმა, აღარც ქურთმის ცივი მხერა, აღარც სამლოცველო და აღარც ზღვა... იყო უსასრულო, დიდი სამყარო და მისი ტოლფარდი ორი ნაწილი — ის და აღდე. ხოლო მის შემდეგ არის ძებნა, ბედნიერების ხელმეორედ განცდის მძაფრი სურვილი.

თითქოს ახლაც ცხადად ჩაესმა სასურველი ხმა: — აღონ! იგარძო კიდევ, როგორ მოსჩერებოდა ორი ფართოდ-გახეხილი თვალი, თანაგრძნობით, სითბოთი...

— აღდე! — კვლავ გაიფიქრა, წარმოსთქვა კიდევ და ვიღაც შეიჩრა მოპირდაპირე კუთხეში. მობრუნებულიყო ჰესიონა.

ქალმა შეთქმულივით გაუღიმა და კვლავ წასასვლელად იბრუნა პირი.

თვითონაც მიატოვა გემბანი. კიდევ ერთხელ გაახსენდა თავისი ბერძენი მასწავლებლის არისტოფანეს ნათქვამი:

— ადამიანი სისხლი და ხორცი რომ იყოს მხოლოდ და მეტი არაფერი, მზეცისგან დღესაც განურჩეველი იქნებოდა. არც მხოლოდ სულთა იგი და არც მხოლოდ სულის სიბრძნით ამოძრავებული აზრი, არამედ მას ახლავს წარსული, როგორც განუყოფელი ნაწილი. უძველესი განცდა და ცოდნა, მის წინასახეში შეერთებული წარსული არ შეიძლება ახსოვდეს ხორცსა და სისხლს, არც აზრს, რომელიც მაღალია პირველ ორზე, ეს ახსოვს მხოლოდ სულს, მაშინ როდესაც იგი სხეულში იტანჯება და მაშინაც, როცა მისგან განთავისუფლებული ჰქმნა რტებისაგან მოისწრაფის. ამიტომაც, რომ უმაღლესში ჩვენი სულიც შედის და არ გვავიწყებს ჩვენს პირველ შექმნასაც და მთელ ცხოვრებას. ბედნიერთა და ამოღლებულთა ზედრია წინაცხოვრებაში გადასვლა, ჭერ კიდევ მაშინ, როცა მას მოკვდავის სახე აქვს. შენი ზმანებაც სწორედ ამის დასტურია...

არისტოფანემ ასე ახსნა აღონის მონათბრობი აღდეზე, ხოლო მას, მასწავლებლის პატივისცემის მიუხედავად, არ ეთმობოდა აღდე წარსულისათვის...

ფეხის ტკივილმა მაინც იჩინა თავი. კოხტა წინა დღიდან იძახდა — სამხრეთის ქარმა საავდრო ღრუბელი გადმოხრეკა და უცილობლად შეიცვლება ამინდიო. — ახლა არისტოფანეს

გამოტანებული მალამოთი წვივს რომ უზელდა, ტაროსის ღმერთის მსგავსად დურბოდა: — როგორც უმჯობესი, ისე უკრედ ისეა საქმეო.

აღონი სამი დღეა არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკას“ ჩაჰკირკიტებს და უგვემურად ყლაპავს კოხტას მიერ გემის სამზარეულოდან შემოტანილ კერძებს. გემბანიდან კანტიკუნტად ისმის ფეხის ხმა. მგზავრები საკუთარ კარვებში არიან შეუყუყულები.

დღის სინათლეზე პანტიკაპიონელი პეტერა ერთი ჩვეულებრივი, ლამაზი ქალი აღმოჩნდა: მოწითალო ზეული თმები, ჭანსალი, მზის სხივებით ნაპტიები სხეული, დიდი ზღვისფერი თვალები და აღმოსავლური მაღალი ყვრი-მალები... იგი არ ჰგავდა აღონის იდეალ აღდეც.

აღონი წამოწვა და კვლავ წიგნი აიღო ხელში. კოხტა ერთხანს სიყვარულით შესცქეროდა თავის ბატონს. ჰკვიანური ლაპარაკი რომ იცოდეს, ეტყოდა, თუ როგორ ენანებოდა მისი ახალგაზრდა, ცოდნის დაუფლების ჰამანწყევტაში გატარებული წლები, ფილოსოფოსებთან ერთად ზეტიალში დაკარგული დრო, გაუთავებელი მოგზაურობით დაღლილი ფეხები, კითხვით გაწყალებული თვალები, მისი სილამაზე და ნამდვილი იბერიული ვაჟკაცური ბუნება.

უკვირდა, ცხენოსნობაში, ნადირობასა და შერკინებაში პირველი, სივამკაცო საქმეებს რატომ ამჯობინებდა გაუთავებელ კამათსა და რალაც უცნაურ ხაზების პაპირუსზე გამოყვანას, რიცხვების წერასა და ანგარიშს, ღამეების თეთრად თენებას და ვარსკვლავების ჰერეტას, უჩვეულო, რკინის მრგვალი გასახედიდან.

ამაზე ფიქრმა ახლაც შეაწუხა აღონის მსახური, გემბანზე გავიდა, რათა დამპარული ხასიათი ჰესიონას მსახურ ქალთან ლაზლანდარობაში გამოეცეთებინა.

— თუმცა ჩემთვის ძვირფასია პლატონიც და ჰქმნა რტებაც, მაგრამ წმინდა მოვალეობა მიყარნახებს უპირა-

ტესობა ჭეშმარიტებას მივანიჭო. — ხმაალა წარმოსთქვა წაკითხული აზრი ადონ უმცროსმა და დაფიქრდა.

ვახსენდა მისი ბერძენი მეგობრის თეოფრასტეს ნათქვამი, — პლატონისთვის ის ვერ უპატიებია არისტოტელეს, აკადემიის უფროსად სპევიზიპე რომ დატოვა მის შემდეგო, ამიტომაც განუდგა მასწავლებელს, თუმცა კი სიბერეს მიხლოვებულნი, მის აზრებს თანდათან იზიარებდნენ.

— ჭეშმარიტების მიღწევის გზაზე ადამიანს სწორედ მისი ზორციელი საწყისი უშლის ხელს. განდიდების საცოდავ სურვილს თვით დიდი მაგისტროსიც ვერ ასცდა, — გაიფიქრა ადონ უმცროსმა, — ხოლო უბრალო მოკვდავს ისე ითრევეს ზოლმე ცხოვრების ტყბილ-მწარე შორევი, რომ ვერცა გრძნობს როდის კარგავს ჭეშმარიტებასთან კავშირს...

ბევრი ისაუბრეს ამაზე ამ ერთი წლის წინ დიდმა ადონმა. ეგრიისის მთავარმა, მცხეთის უფროსმა ქურუმმა და ატიშოზმა. ფაზისის სკოლაში მოხდა ეს შეხვედრა. ადონმა შვილიშვილი ათენიდან იხმო, რათა მისთვის საქურუმის გამგებლის ნიშანი გადაეცა. ოქროს გულსაკიდზე დიდი ოსტობით იყო ამოტიფრული ერთ ტანად შეერთებული მამა და დედა ღვთაებათა სახეები, ხოლო ზემოთ — ცეცხლის მცხუნვარე ფენა, რომელიც მარადიული ნათების რწმენას აღვივებდა მორწმუნის სულში.

დიდი წინაპარი შვილიშვილს გაესაუბრა და აყურთხა კიდევ მთავარ ქურუმად, მაგრამ ქვეყანაში მობრუნება ერთი წლის მერე უბრძანა, კვლავ უცხოეთში გაისტუმრა სწავლის განსასრულებლად.

— ერთი წლის მერე იბერიაში ჩამოხვალ, ვინძლო, მიღებული ცოდნა გონიერულად მოახმარო შენს სამშობლოს და შენს ხალხს. — ახლაც ჩაესმის სიტყვები: — გახსოვდეს, მხოლოდ ერთიან, ძლიერ ქვეყანაში ხარობს ჭეშმარიტების თესლი. სამარასა და დუდეს კედელივით ამოუღებ კვე-

რდში. ბრძოლის დროს შეიშარი ვახდი და შენების დროს მშენებელნი მოისვენო და არც სხვა მუშაობენ. შენს მისიას არ აღასრულებ, სანამ იბერებს დიდი კოლხის სიბრძნეს არ აზიარებ. — მაშინ ნათლად იგრძნო ადონ უმცროსმა, რომ უკანასკნელად ხედავდა საყვარელ მოხუცს და გაუჭირდა ამ მძიმე წუთის გაძლება.

— არ დაგავიწყდეს, რომ ჭეშმარიტების მაძიებელი და მომსახურე სულები კვლავ ერთად იქნებიან მარადისობაში, ასე რომ, ჩვენი განშორებაც დროებითია. დინჯად წარმოთქვა დიდმა ადონმა და უხერხულად მოეფერა შვილიშვილს.

გასულ შემოდგომაზე, ფაზისში ყოფნისას გაიცნო და შეიყვარა ადონ უმცროსმა ეგრიისის ქვეყნის დიდი მთავრის ვაჟი — ქუჯი. ქუჯის მოგონებამ ისევ აღდესკენ გაიტაცა ფიქრი და ერთი წლის წინანდელი შეხვედრაც მოაგონა, თუმცა დაბეჯითებით თვითონაც ვერ იტყოდა, ეს შეხვედრა იყო თუ სიზმარეული ხილვა. მაშინაც შორს გამოჩნდა თეთრი სამლოცველო და ისევ იხილა თავისი თავი აღდესთან ერთად მისკენ მოცურავე, მხოლოდ ეს იყო განსჯის სურვილი დაეუფლა და უთბრა კიდევ ქალს: — ეგვიპტეში მინახავს მამაკაცებზე მონადირე ღვთაების მსახურ ქალთა სალოცავი. ისინი ღვთაებრივ ქვეწარმავალს კვებავენ ადამიანის სხეულით, იქაც შეტყუების ცთუნებას არიან დაუფლებულნი, ისე როგორც თქვენ, მხოლოდ ახლა ძილღვიძილის ზღვარზე ვერ გამატარებ.

სანთლებით განათებულ მომცრო სალოცავში ამჯერად საზეიმო განწყობილება სუფევდა. შავ საბურველში გახვეული ქალები შთაგონებული სახეებით მიმოდრიოდნენ. ხმას არავინ იღებდა. ღამის სიმყუდროვეს მხოლოდ ზღვის ტალღების ერთფეროვანი ხმოვანება არღვევდა. იატაკიდან ორი საფეხურით ამაღლებულ კათედრაზე ქალართმიანი, ზვიადი გარეგნობის ქალი შედგა და მკაცრად მოათვალიერა სამლოცველო. აღდემ უჩუმრად შემო-

აღო კარი და აღონს გზა მისცა. ცოტა ხნის შემდეგ, ოთხმა თეთრ საბურველში გახვეულმა ქალმა ცვილის პატარა, თავახლილი კუბო შემოიტანა. მასზე მარმამებნიანი თეთრი საგებელი ეფინა. აღონს გააფრეოლა და იგრძნო კიდევ, ქურუმის მიძიმე მზერამ როგორ გასკოლა მისი არსება.

— აღდე აღასრულებს ღვთაების ნებას, სამაგიერო მსხვერპლი ჩაისახება დღეს მის სხეულში, ამიტომაც არ დაესწრება მსხვერპლის შეწირვას.

აღდე ადგილიდან არ იძვროდა. ქურუმმა ერთხანს უყურა და მერე უჩვეულოდ ხმამაღლა ბრძანა:

— შემოიყვანეთ ქალი და ჩვილი!

— მკვლელებო! სატანის მოციქულებო! არ გავატანთ, არა... — ახალგაზრდა ქალის განწირული ხმა ეცნო აღონს და დაიძრა კიდევ ნახტომისათვის.

— აღდე, გაიყვანე უცხო კაცი ღვთის სადგომიდან! განთიადისას, როცა წყლის სხივის ლოცვას დაეიმღერებთ, ღვთაების ნებით, შენვე გააცილებ ზღვაში მსხვერპლს, შენვე მოიტან მისი შეწირვის ნიშანს. — შეუვალი ხმა ჰქონდა ქურუმს.

უხმაუროდ გავიდნენ უჩვეულო სამყოფელიდან ის და აღდე.

პატარა, ოთხკუთხედ, ხის ღარიბულ სადგომში შეიყვანა ქალმა სტუმარი, ოთახში ერთი სანთელიდა ციმციმებდა. ხის მორებისგან შეუქედელ ტახტზე ქვეშაგები ეფინა. მის წინ იდგა მომცროს მაგიდა და მაგიდასთან ერთადერთი სამფეხა სკამი. აღდე უხერხულად შეიმშრუნა, ერთხანს ჩაფიქრდა, მერე სკამი გამოსწია აღონისთვის, თვითონ საწოლის კიდზე ჩამოჯდა.

— ამ სადგომს ფანჯარა რომ ჰქონდეს, დაინახავდი, რომ იგი ზღვაზეა გამოკიდებული... — დაიწურჩულა ცოტა ხნის შემდეგ, — ტახტის ქვემოთ ერთი ფიცარი ამოვაქრევიანე ქურუმის მსახურ ტარემაქეს, ჩემი სიყვარულის საფასურად... დილის ლოცვის დამწყებამდე ჩაეშვები ზღვაში და მარჯვნივ გასკურავ. იქ მოგიყვან შუქიას და ბავშვს. უნდა გაიყვანო ნაპირზე, სა-

დაც ქუჩი გელოდებათ. შუქიასაც მიშველება უნდა ცურვის დროს დასუსტებულია ფრიად... მე კარგად ვიცი ღვთაების ნიშანი მოვიტანო სამსხვერპლოში. ბავშვისთვის გამზადებული ცვილის კუბო მკვრივია. მე და ტარემაქემ გავაკეთეთ. საფენების ქვეშ სარტყელია, რათა ტალღამ არ გადმოაგდოს პატარა. ასე რომ, შეგვიძლია ცალი ხელით წაიშველო. ნავივით იტოტოვებს წყალზე, არ ჩაიძირება...

აღდემ ლოცვას მიუგდო ყური. აღონს უკვე აღარ უკვირდა, რომ მსხვერპლად ქუჩის და შუქიას ვაფიშვილი იყო გამზადებული, არც ის, რომ მის გვერდით აღდე ჩვეულებრივი ქალივით იჯდა... არც თავისი უცნაური, თითქოს მამაკაცური საწყისისაგან თავისუფალი, ამალღებული ლტოლვა ამ ქალის მიმართ. საკუთარი სიმშვიდე აკვირვებდა მხოლოდ. სულ მცირე ხანში ისიც მშვიდად აღიქვა, სამსხვერპლოს ქურუმი რომ დაინახა კარებში მდგარი.

— ეს კაციც უნდა შეეწიროს ღვთაებას, ან უნდა დარჩეს ჩვენთან მსახურად. აქ ორჯერ მოსული, ჩვენი მონა უნდა გახდეს ან მსხვერპლი. ასეთია უძველესი დედის ნება.

აღდემ შეჰკვივლა, ავაზასავით ისკუპა და ყელში მისწვდა შემოსულს. არ განძრეულა ქურუმი, მხოლოდ უზარმაზარი, შავი, უძირო თვალები მიაპყრო აღდეს და ისიც მიდგა შეშინებული.

ტახტზე ჩამოჯდა შემოსული, საკუთარ ხელებს დააცქერდა.

— ეს ხელები არც საცემრად და არც მოსაფერებლად არასოდეს შეგხებია, თუმცა კი ორივეს უფლება მქონდა... ვერც ახლა, როცა დასაღუბად გაიმეტე ყოველივე, აღმართე შენზე ხელი... მინდა ამ კაცმაც, რომელმაც შენი თავი საბოლოოდ წამართვა, იცოდეს, რომ სრულიად პატარა, სამი წლისა მოგიყვანა ჩემთან ჩემმა მოძღვარმა ამ ოკიოდე წლის წინ. მანამდეც და მის შემდეგაც შენზე ძვირფასი ჩემთვის თვით ღვთაების ნებაც არ ყოფილა. გა-



იზარდვ... ის ცოდნა, რომელიც გიბოძე ყველაზე უძლიერეს ჭაღად გაქცევდა, თუ მოისურვებდი, მაგრამ ხელს შენი საკვირველი სილამაზე ვიშლიდა, რომელიც მუდამ მამაკაცის ალტაცებულ მზერას ითხოვდა. ხუთი შვილი იმითომ შეგაწირვინე ღვთაებისათვის, მეგონა, — იმ კერპს, რომელსაც შენი სიციცხლის ხუთი ნაწილი მიუძღვენი, არასოდეს უღალატებდი. შევეციდი, თუმცა კი ვიცოდი, რომ შენთან დაშვებული შეცდომა საბედისწერო იქნებოდა ჩემთვის. ამ კაცის სიყვარულმა ჩემთან დამაკავშირებელი ყველა გზა მოგკრა. ღვთაების რწმენა დაგიკარგა. ეპიკით დაუწყე ცეკრა ამ ხუთი წლის წინ ყველაფერს, რაც ჩვენს სამსხვერპლოში ხდებოდა და შენი გონება გამუდმებით ჩემი საქციელის განსჯაში იყო. ბოლოს, საოცნებო სურვილიც — ამ კაცთან ხელმეორედ შეერთებისა, არ აღისრულე, თუმცა კი ღვთაების ნებად გამოგიტანა... არ ჩაუსახე სამსხვერპლოს შესაწირი. აუშხებდრდი, აუჯანყდი და დაიღუბა ყველაფერი...

კედელს აკრული აღდე ვერხვის ფოთლივით თრთოდა.

— ვწყველი იმ დღეს, შუქია რომ მომიყვანა ტარემაქემ, ფულიც ბევრი დამპანცლა იმ გაქნაჭულ გოგონაში და შენი ყურადღებაც სრულიად წამართვა, მისი მოყვანით. ეხედავდი, როგორ გიყვარდა გოგონა, ვგრძნობდი, რომ შენი დაკარგული შვილების სიყვარული მასზე გადაიტანე და იმითომაც მოუყვანე ნაპირიდან ის პირტიტველა ბიჭი... არ დამაფიქვდებდა შენი ბედნიერი ღიმილი, პირველი სამსხვერპლო ნაყოფი მკედარი რომ დაბადა უღლეურმა შუქიამ... სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, შენი რწმენის აღსადგენად შუქიას მამა და ძმა ჩაეძივე ზღვაში, მსურდა დამეჯერებინე, რომ ღვთაების ნება გარდუვალია და შენგან მისი სამსახურიც მისი ნებითაა დადგენილი. ახლა ეხედავ, რომ ამოად დავშვრი, ცოდვით სული დავიძლიძე.

შეჩერდა ქურუმი, თითქოს ზღვის ხმაურს მიუგდო ყური, მერე ჭაღარა

თმაზე გადაისვა ხელი და აღდგეს მიუბრუნდა...

— თუ ეს კაცი აქედან წაიქცევა, კვლავფერს იტყვის. ჩვენი სამსხვერპლოს საიდუმლოც მოიშლება.

— უწმინდურია ასეთი რწმენა, — ვერ მოითმინა აღონმა, — ხოლო, რაც შეეხება ჩემს დარჩენას, ეს არ მოხდება.

— თუ აღდგეს სურს, მოხდება კიდევ...

— აღდგეს სურს ეს კაცი თავისუფალი და ბედნიერი იყოს, — თქვა უკვე დამშვიდებულმა აღდემ შეუვალად.

— რწმენა კი, — მიუბრუნდა ქურუმი აღონს, თითქოს აღდეს პასუხი არც გაეგონოს, — არცერთნაირი, უწმინდური არ არის. ეს შენც კარგად იცი. ხოლო სხვის გონებაში წარმოქმნილი აზრების გამოცნობა და ამით მორწმუნეზე ბატონობა, ღვთის საიდუმლოების ზიარებაა, რომელიც ამაღლებს მის მსახურს.

— ახლადდაბადებული ყმაწვილების სიციცხლის ხელყოფაც უკეთური საქმეა, — წარმოსთქვა აღონმა — ეხედავ, რომ ზღვაში ჩაძირული ყმაწვილები ამ სანაპიროს მკვიდრნი არიან. ჩვენ კი ამ სანაპიროს ნადვილ მუშატრონეებს, ზღვისთვის გასატანებელი შვილები არა გყავს. თუმცა ამას შენ ვერ გაიგებ, რადგან აღარც სამშობლო გაქვს, აღარც შვილი გყავს და აღარც რწმენა გქონია მტკიცე...

— რას იტყვი, აღდე?

— იგი წავა, რადგან ძლიერია. მისი გონება ყოველდღიურ წვრილმანს, რითაც ჩვენ მამაკაცებს ვიმორჩილებთ, გულგრილად უვლის გვერდს... რომც დასტოვო, არ ვეყვარები, ხოლო მის გვერდით უსიყვარულოდ ყოფნას სიკვდილი მიკობს.

— დაგსჯის შენივე ღვთაება შენი სურვილის მის ნებად გამოცხადებისათვის — თქვა ისევ აღონმა...

— არავინ იცის, აწი დავისჯები, თუ აქამდე ვიყავ დასჯილი. ჩემი თხუთმეტი შვილი შეიწირა ევფრატის წყალმა... ხუთმეტყერ გათავდა და დაიწყო სიციცხლე ღვთაების შიშით... მეთექ-

ესმეტ გადავარჩინე და ახლა ვიცი, რომ აღსრულება მამაჩემის წყევლა, საკეთარი შეილი მოგიღებს ბოლოს და ცოცხალიც ვერ შეეწირები ღვთაებას, რადგან ფიცის გამტები და ორგული ხარო... მამაჩემმა, სალოცავის უერთგულესმა მსახურმა, ათი წლისა მიმიყვანა და იქ გამზარდა. გონიერებით მივიტყვი მოძღვრის ყურადღება და მალე თავის უპირველეს მოწაფედ მალიარა. თორმეტი წლისა ვიყავი, საიდუმლოს რომ მაზიარა და მამაკაცების მიტყუების ხელოვნება მასწავლა... ცამეტი წლისამ პირველი შეილი ევფრატში შევაკურე შესაწირად... ბოლო, მეთექვსმეტე, გადავარჩინე. ერთ მლოცველს გადავამაღინე. გამოვი მამამ, სასიკვდილოდ ვერ გამიმეტა, გამომისტუმრა პონტოს ნაპირზე და მიბრძანა, ეს სალოცავი შემექმნა და სამი წლის შემდეგ ჩემთან გამოგზავნილი ჩემი ქალიშვილი, მის ქურუმად აღმეზარდა...

უცნაური კი იყო, მაგრამ აღონს ახლა შეებრაღა კიდევ ეს მბრძანებლობას მიჩვეული ქალი, რომელიც მის ბეაღწინ თანდათან დაპატარავდა და სრულიად უმწეო გახდა. — მე კი მსურდა, აღდეს სხეულში დღეს ჩასახული ნაყოფი ცოცხალი დამეტოვებინა. ჩემი ქალიშვილის შემდეგ, მას უნდა გაეგრძელებინა საქმე. დღეს ქალი ჩაისახებოდა და არა ვაყი. — დაუმატა და გაჩუმდა.

* * *

ოცი თეთრი ნიჩაბი მწყობრად და შეთანხმებულად კვეთდა ზღვის მომწვანო-მონაცრისფრო ზედაპირს. გემბანი-სკენ გადმოხრილი ხომალდის მოჩუქურთმებულ კიჩოზე გრძელი თოკით მიბმული აფრა თეთრად ფრიალებდა.

გაზარებული მიუახლოვდა კობტა თავის ბატონს. — ფაზისის მისადგომები გამოჩნდაო, — აუწყა. აღონმა სწრაფად ჩაიკცა და გემბანზე გავიდა. შორს, ზღვაში სოლივით შექრილ ველზე, დედოფალივით მოსჩანდა ფაზისი.

მოკლე ჭიტონში გამოწყობილ ჰე-

სიონას მზღებელი ორი ბერძენი ჯაჩის-კაცი ხარბად გაპყურებდნენ, გეგმავდნენ, დარღული მიწის ამ მშენებელს ნაწილსა.

— ალბათ, ამ გზით შემოვიდნენ იაზონი და მისი მეომრები კოლხეთში, — მოუბრუნდა ერთ-ერთი აღონ უმცროსს, — ამბობენ, აქ იწონებდა თავს აიეტის ოქროთი მდიდარი სასახლეო.

— კოლხების დიდი ქალაქი, სადაც მეფე და მისი სახლობა ცხოვრობდა, არც ისე ახლოსაა ქალაქ ფაზისთან. — მიუგო აღონმა.

— ქრიზოგრაფიის საუკეთესო მცოდნენიც ყოფილხართ ძველად, კორინთოში მდიდარ ოჯახში მინახავს ძველ-კოლხური, ტყავზე ოქროთი ნაქარგი უცნაური ასოები. გემოვნება და სიფაქიზე ემჩნევა ნამუშევარს. გამოგონია, იბერიის მთებში ველური ტომი ცხოვრობსო. სოანებად წოდებული... ისინი, თურმე ზამთრის ნიაღვრის ჩამოტანილ ოქროს დაბერეტილი ვარცლებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით აფროვებენ.

— არგო და მისი მგზავრები სტუმრად მობრძანდნენ კოლხეთში, ალბათ მათაც ეგონათ ველურების ქვეყანა ფლობდა საწმისს, ისინიც ფიქრობდნენ თავიანთი ცოდნით და დარბაისლობით, ან მეომრობით გააკვირვებდნენ კოლხებს, მაგრამ გაკვირვებულები თავად დარჩენილან... ამაზე ბერძნები ჰყვებიან და არა კოლხები. მედეა და მისი სრულყოფილი ცოდნა რომ არა, ახლაც პონტოს ნაპირებზე იქნებოდა გაფანტული მათი ძვლები.

ბერძნებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ხომ გითხარით უცნაურად ამაყი ხალხია-მეთქი ქართლოსიანები, — გაიციინა ერთმა, — ამოდ ჰგონია ალექსანდრეს და მის ახალ მეგობარს — აზონს, იოლი დასაპყრობი იყვნენ ისინი. თვით დარიოს პირველმა ვერ შესძლო მათი დამორჩილება. ერთხანს გადასახადი დაუწესა, ბოლოს ისიც მოუხსნა, რადგან მათთან ბრძოლას ერიდებოდა. საუკეთესო მეზღვაურებიც არიან, ხომ გახსოვთ, თვით ალექსანდრემ გადასცურა მდინარე ისტორი მუხაში

ამოჭრილი კოლხური კამარებით, როცა გეტების დამორჩილება სურდა.

— ათენში ამბობენ, თავისი არმია იმიტომ განაახლა და გააძლიერა იმპერატორმა, რომ დაროსის დამარცხების შერე, თავისი უმთავრესი მიზანი — ინდოეთის დაპყრობა განახორციელოსო. — დინჯად წარმოთქვა აღონმა.

— ალექსანდრესას ვერაფერს გაიგებს კაცი. წინასწარ ხმას ავრცელებს ამა და ამ ქვეყნის დასაპყრობად მოვდივარო და შერე ელოდება, როდის მოვა ამ ქვეყნის მეფე და შეშინებული აღიარებს მის მბრძანებლობას.

— ფლაბიუს, რით ვერ აპატიე ალექსანდრეს შენი ხიროსოფობა? — ეშმაკურად გაუცინა გამხდარმა.

— მეგობრების ერთგულება რომ უარყო, კიდევ მალე უწევს პითიას წინასწარმეტყველება, ხოლო რადგან მკედონელივით ამაცი არა ვარ, არაფერ ვაგდებ, ათას კაცს ვუხელმძღვანელებ თუ ერთს, ჩემთვის მთავარია ოქრო მოვიპოვო. ეს ქვეყანა კი მდიდარი ყოფილა, როგორც მითხრეს.

— ტყუილად არ ვიშვიშებდნენ ეთიოპელი მოგვები ოლიმპიადას ლოგინობის დროს, მართლაც, რისხვა და უბედურება მოუტანა აღმოსავლეთს მკედონელმა. — თითქოს თავის ფიჭვს გაეპასუხა აღონ უმცროსი. — ოლიმპიადა კი უფრო სატანის თანამოზიარია, ვიდრე ღმერთების შთამომავალი...

— არა მგონია, უკუყო და ტრახაბა აზონს მიანდოს ბერძინს ბედი იმპერატორმა, უცილობელი გამარჯვების სიხარულს იგი არავის დაუთმობს! — გაეპასუხა მეგობარს ადარნასე.

— არც თუ იოლი ბრძოლა მოუწევს იბერებთან მიმხედურ მტერს! — სიწითლემ გადაუბრძინა ახლა აღონს სახეზე, თუმცა კი ბუნებით დინჯიც იყო და ადამიანური სისუსტის დაფარვის ოსტატობასაც კარგად დაუფლებული, მაინც ვერ მოითმინა და გამოამქლავნა აღმფოთება.

— ჩვენი ბჭობა და განსჯა ამაოა. შეიძლება ალექსანდრემ კიდევ შეცვალოს თავისი აზრი, ხოლო შენ რად აღმფოთ-

დი ასე? კოლხეთის დაპყრობა არც უფიქრია იმპერატორს, უარეს შემთხვევაში იმპერატორს დაეუფრებო, ზემოთხსენებული უნდა იყო, მომავალი დიდი ქურუმი და უპირველესი პირი კოლხეთისა. ალექსანდრეს ქვეყანაში გიცხოვრია, მისი იმპერიის ბრძენთა ყოველი ცოდნა შეგითვისებია და მაინც არ გიყვარს იმპერატორი... შენც ფლაბიუსივით ათასისთავობიდან ხომ არ გადგამყენა? — მეგობრულად და გულწრფელად შესცინა ადარნასემ აღონს.

აღონ უმცროსმა არაფერი თქვა, ეს გაიფიქრა ოღონდ: — ძვირად დაგიჯდებათ ბერძნებს დღევანდელი ყოყლოჩინობა, ყველაფერი ალექსანდრესთან ერთად წაგერთმევათ, რადგან ჰკვიანი არავინ გრჩებათ, მის დიდ საქმეებს რომ მოუაროს.

* * *

შუადღისას, როცა გემი ნავსადგურში შევიდა, კობტას ფუსფუსის მიუხედავად, აღონი არ აჩქარებულა. არ უყვარდა ნავსადგურში ატეხილი ხმაური, ახალი გემის შემოსვლას რომ ახლავს მუდამ. გემბანზე მოშორებით იდგა და უცდიდა, როდის ჩავიდოდნენ მგზავრები. როდის მოშორდებოდნენ ფიცარნავს დამხედურები, მებარგულები, წვრილი ვაჭრები, თავისიანების მომლოდინე ბერძნები, ცნობისმოყვარე ქალები და ახალგაზრდები.

ჰესიონა უჩუმრად ჩამორჩა მხლებლებს და აღონისაკენ გამოეშურა.

— იბერიაზე გალაშქრებას აპირებენ ბერძნები, მალალი ღვთაების ნებით მოვლენილ განსაცდელს ვაეკაცურად გაუძლებს შენი ხალხი. ვინაშო, კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს.

გაუღიმა.

— ალდე!

...რად მოეჩვენა, რომ მას წითური თმები ჰქონდა და არ ჰგავდა მის იდუმალ მეგობარს?..

აღონმა თვალები დახუჭა, სურდა აღდესა და ჰესიონას ხატება ერთმანეთისთვის შეედარებინა...

...— ხეალ ძლიერი დეღვა დანთქავს ნაპირსო, თქვა დედაშენმა, ნუ მიბრუნდები. — სთხოვა მის გვერდით მოცურავე ქალს, როცა ქუჩი და შუქია დაწინაურდნენ, ერთმანეთთან შეხვედრით გახარებულები.

— ამ პატარას აღმზრდელი შენ იქნები, — წყნარად უბასუბა აღდემ და ცვილის კუბოში მტირალ ჩვილზე მიუთითა, თითქოს აღონის თხოვნა არ გაეგონოს. — მე კი სხვა საქმე მაქვს, ვეცდები, ის უბედური ქალები გადავარჩინო, თუ შეეძელი...

მეორე ხნის შემდეგ, უკან რომ მოიხედა, რათა ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი ტალღებზე დაფენილი მისი თმებისათვის, აღარსად ჩანდა აღდე. ზღვა კი მშვიდად და უდრტყინველად მიმოიწყოდა.

თვალი გაახილა და არც გაკვირვებია, მარტო რომ იყო.

კობტას ბარგი უკვე ფიცარნავთან მიეტანა და პატრონს ელოდებოდა.

აღონმა გემის მფლობელს მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა. ნაპირზე ჩასულ მგზავრთა შორის თვალით მოსძებნა ჰესიონა.

დაინახა, როგორ შესხდნენ ცხენებზე მისი გამყოლი მამაკაცები, როგორ გაჩერდა ლამაზი ოთხცხენიანი ეტლი ქალების წინ. ჰესიონამ გრძელი კიტონის კალთები აიკეცა და ეტლის საფეხურზე შედგა ფეხი მოხედა გაუღიმა. მის გვერდით მეორე ქალი მოკალათდა. ქალს ხელში პატარა ბიჭი ეჭირა. მოერგენა — დამხვედური შუქისა ჰგავდა...

სამარამ ფანჯრიდან დაინახა, როგორ შემოაგელეფს ცხენები სასახლის უკანა ეზოში ძმამ და რძალმა. ჰენებით გაიარეს გრძელი კოინდარი და თავლასთან შეანელეს სრბოლა. დუდე სწრაფად გადმოიჭრა უნაგირიდან. თვალის-

დახამხამებაში გადმოსვა ქალი ცხენიდან და მასთან ერთად მსრუტეკასტრიალდა. მელადეს გულმანკისკაშა მზის სხივივით გაჰყვეთა შემოდგომის ღრუბლიანი მოწყენილობა. ქალი ერთხანს სიცილით ცდილობდა თავი გაენთავისუფლებია ჰმრის მკლავებისგან, მერე მიუუჩხა და მიენდო, ხოლო, როცა სასახლის ეზოში ბავშვების აღმზრდელი ქალი დაინახა, დუდეს რაღაც უჩუჩრჩულა და იმანაც ფრთხილად დასვა მიწაზე.

მელადე სწრაფად გაექანა მისკენ მორბენალი ორი პატარა გოგონასავე. უმცროსი ხელში აიტაცა და ჩაკოცა, ხოლო უფროსს ოკროსფერ თმებზე ალურსით გადაუსვა ხელი. პატარები რაღაცას აღტაცებით ეცდურტულდნენ დედას, სასახლისკენ იშვერდნენ პაწია ხელებს. მელადემ ერთი მოხედა, ცაცხვის ძირას შეჩერებულ დუდესს რომელიც სიყვარულით და ბედნიერებით აღსავეს შეჰყურებდა ცოლ-შვილის და სასახლეში შევიდა.

— დუდესთვის მელადეს შერთვა რომ დაგვეშალა, იქნებოდა აბლა ისიც ჩემსავით ცოლად დარჩენილი, — გაიფიქრა სამარამ და ფანჯარას მოსცილდა. — ბევრი ეცადნენ მამაჩემი და მცხეთის უფროსი ქურუმი კოლხთა მეფის ასული შეერთო ცოლად დუდეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. საქვეყნო საქმეზე გადავებულ მამაჩემს პირადი გრძნობების აყოლა სასაცილოდ დი უკადრისადაც კი მიაჩნდა, მით უმეტეს, ვაყკაცისთვის, ამიტომაც უკვირდა დუდესი, როცა მან განუცხადა, მელადეს გარდა სხვა ქალს ცოლად არ ვინდომებო. სამარას არჩევანი კი ფრიად მოიწონა. უფლისციხელის დამოყვება ქვეყნისთვის საჭირო საქმედ მიაჩნდა.

ისე მიიკვალა მცხეთის დიდი მთავარი, რომ მელადესთვის თვალი არ მოუჭრავს. სიცოცხლის ბოლო წუთებში, სარეკელთან საცოდავად აბუზულ დუდეს უთხრა: — ვიცი, ჩემი დასტურის გარეშე გაიჩინე ოჯახი და ის სპარსი ქალიც ცოლად დაისვი, ისიც ვიცი,

რომ ჩემი დასტურის გარეშე, მას სასახლეში არ მოიყვან და პატარებს პირველ შემგვიდრებელად არ აღიარებ. დასტური მოთქვამს! ერთი წლის მერე ქორწილი გადაიხადე და ქალი სასახლეში მოიყვანე. სამარას უღალატოდ ემსახურე და მიჰყევი მის სიტყვას. ქერის ერთობა და სიმშვიდე არ მოშალოთ!

ერთი წლის მერე, როცა მელადე ამ მოიყვანეს, უფროსი გოგონა ორი წლისა იყო უკვე.

მელადეს მოსვლამ გამოაცოცხლა თითქმის მიძინებული მცხეთის სასახლეცხოვრების სიხალისეს ფართოდ გაუხსნა კარი; ამ რვა წლის მანძილზე მისი შეკრული შუბლი არავის უნახავს და აწეული ხმა არავის გაუგონია. თვალებში შეჰყურებდა ქმარს, ხოლო სამარას ისე ექცეოდა, როგორც კერპს. მალე ისწავლა ქმრის მშობლიური ენა, იქამა იბერიული სალოცავები, დიდი დედოფლის ზვიად გულშიც შეაღწია, მისი სიყვარულიც დაემსახურა.

ახლა სასახლეში აღარავინ იხსენებდა, რომ მელადე სპარსი დიდებულის ქალიშვილი იყო. ღირსეულად იფერებდა მცხეთის ქვეყნის უმცროსი მთავრის ცოლობას.

დიდი და უბოროტო გული ჰქონდა დედეს, წმინდა და თავდადებული სიყვარულიც იცოდა, ოღონდ ეგ იყო, სამთავროს საქმეებით დიდად არ იწუხებდა თავს. სამარა მიიჩნდა ქვეყნის პატრონად და თავად, უმეტეს დროს, ნადირობაში, ქეიფსა და ცოლ-შვილთან სიტბობებაში ატარებდა. მელადე ისეთივე სიყვარულით უყვარდა, როგორც პირველ დღეს. რვა წლის მანძილზე ყოველდღიურმა სიხალისემ კი არ გაუწელა, გაუცხოველა თითქმის მისი სურვილი.

მელადემ ვაჟი რომ გააჩინა, დედეზე ნაკლებ როდი გაიხარა სამარამ, უზღავი საღეთო შესწირა ღვთაებებს, სახელიც დიდი აღონ ქურუმის რჩევით დაარქვა — ფარნავაზი. ნახვის პირველი დღიდანვე უსახლგროდ შეიყვარა ბიჭი და მართალი რომ ითქვას, ახლა

უცაროობა უჭირდა თორემ უშვილობას იმდენად არც დარდობდნენ.

ისევე ფანჯარასთან უსწავლავს, მზის საათს გახედა. იგვიანებდა ორი დღის წინ აზონთან გაგზავნილი მოციქული. დიდი იმედი ამ მოლაპარაკებისა არც ჰქონდა მცხეთის გამგებელს, მაინც დაჰყვა ერისკაცთა სურვილს. — ჩვენ ჩვენი ვცადოთო. — დიდ ძღვენსა და ყოველწლიურ გადასახადს დაჰპირდა აზონს, თუ იგი ალექსანდრეს ჩააგონებდა გვერდი აეგლო იბერიისათვის. მოციქული კი გააგზავნა, მაგრამ მაინც შეუდგა საომარ სამზადისს. — ქვეყანაში ერთობა რომ იყოს, თვით ალექსანდრეს შეებმებოდა იბერია, მაგრამ მართო მთავრები კი არა, ხალხიც გადამდგარი მყავს, რადგან ლეკას მიბაძვით ქურუმები ხალხს უბრძოლველობას და ბერძნების მორჩილებას უქადაგებენ, ხოლო სასახლის ხუთი ათასი ჯარისკაცი, რაგინდ გაწვრთნილი და მამაცი არ უნდა იყოს, ვერაფერს უშველის ქვეყნის გასაჭირს. — ფიქრობდა გულდამძიმებული.

ფიქრისგან სასახლის ეზოში ატეხილმა ჩოჩქოლმა გამოარკვია.

სარკმელი გახსნა და გადაიხედა. ეზოს შუაგულში დედეს მოკრა თვალი, მას შემოფოთება და სასოწარკვეთა ეხატა სახეზე. თმაგაშლილი მელადე იქვე უღონოდ ესვენა მიწაზე და თავზე სასახლის ქალები დასტრიალებდნენ.

— ბიჭი დაიკარგა, დიდო მთავარო, ბიჭი, პატარა მთავარზე ვამბობ, — სთქვა სამარას პირისფარეშმა და მუხლებზე დაეცა პატრონის წინ.

სამარა შეკრთა

— ვინ ბიჭი? ვინ მთავარი? — მრისხანედ მიუბრუნდა თავებდურად შემოსულს და უცბადვე გაიხარა, რომ პატარა ფარნავაზს გულსხმობდა პირისფარეში.

— როგორ დაიკარგა? — იკითხა სულმოუთქმელად.

— კარგა ხანი ვეძებო და ვერ გვიპოვნია. შენი შეწუხება არ სურდა უმცროს მთავარს, სანამ იმედი თითქმის

არ გადაეწურა, — თავი არ აღწევია, ისე ჩაიღვლეულა პირისფარეშმა.

სამარა სწრაფად შემოტრიალდა, დერეფანი სირბილით გაიარა და კიბეებზე დაეშვა.

— ვაი, თუ მტრებმა გაიტაცეს, — ეს გააფიქრა და იგრძნო, როგორ აეწვა მკერდი.

მის წინ მოწიწებით თავდაბრილ ხალხს სწრაფად ჩაუარა და დუდესთან შეჩერდა. მისი ცრემლიან თვალებს მხერა აარიდა. იკითხა: — კარგად მოჩხრიკეთ ყველაფერი? — ძლივს იცნო საჭურთარი ხმა. მოახსენეს ორი საათის ამო ძებნის ამბავი.

— ვიმედოვნებ სასახლის ჭიშკარი დაკეტილი იყო და მეთვალყურე ფიზილად დარაჯობდა შემოსასვლელს.

სწორედ ასე იყო, უთხრეს.

— გალანის მოდარაჯეებიც ამასვე ამბობენ, დიდო მთავარო, — წინ წამოდგა მცხეთის ჭვეყნის სპასალარი, სამარას უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი დიდრო. — გამდელიც ამბობს, მხოლოდ რამდენიმე წუთით შევედი სასახლეში, პატარა მთავრისათვის თავსაბურავის გამოსატანად, შემეშინდა შემოდგომის ნიავმა არ გააციოს ბავშვი მეთქი.

— თავისი სიცოცხლისთვის იშინოს ახლა, — გამოსცრა კბილებში სამარამ, თუმცა კი არ ჩვეოდა მომსახურეთა დამუქრება. — ხელშეორედ მოჩხრიკეთ ყველა ადგილი, თუ მცირე ხანში ბავშვი არ გამოჩნდა, მიფრთხილდით!

მხოლოდ დიდრომ იცოდა, რომ, როცა დიდ მთავარს ძლიერია სიბრაზე დაპრეკვა ხელს. მუდამ სამხეცისკენ მიდიოდა დასამშვიდებლად. ერთხელ უთხრა კიდეც; ადამიანებზე გაბრაზებული და ამღვრეული აქ მოვდივარ, ნადირთ ვაბრაზემ ხოლმე. როცა ისინი ერთმანეთს დაერევიან და დაუნდობლად მიმოათრევენ, თუმცა კი დამნაშავე მათი წაყიდებისა მე ვარ, თვალნათლივ ვჭკრეტ უგუნურობის შედეგსაც და დაუნდობლობის უგუნურობასაც, და უფრო გულმოწყალებ ვხდები ადამიანთა მიმართო.

სასახლის ბაღის უკან, დასავლეთის გალავანთან საცმოდ ვრცელი ადგილი ეკავა სამხეცს. ჩვენის მხარით გარშემოვლებულ საფრთხეში უთვალავი ჭიშის მხეცი იყო დატყვევებული. მცხეთის მთავარი არაფერს იშურებდა, რათა უცხო ნადირი ან ფრინველი შეეძინა, მონადირეებს გამოჩრეულად წყალობდა, თანამებრძოლებს ეძახდა. მათთან ერთად მრავალჯერ დაბრუნებულია ხელდამშვენებული, ორი ვეფხვი მისი დაჭერილი და ჩამოყვანილი იყო მთიდან, ხოლო დათვის, ჭიხვისა და კანჯარის მონადირება თითქოს არც ახარებდა, რადგან ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა.

ამოჩემება და შეყვარებაც იცოდა ტყიურს. ამ ბოლო დროს, ყველაზე მეტად ლომის ბოკვერს დასტრიალებდა თავს. იგი ეგრისის მთავარმა ჩამოუყვანა საჩუქრად ამ რამდენიმე ხნის წინ. ბოკვერი დიდად ავი და მიუჯარებელი გამოდგა. ერთხანს საქმელს არ ეკარებოდა და ღმუილით იკლებდა არემარეს. მერე სამარამ შეიჩვია. ერთხელაც იგრძნო — ბოკვერი მის ხმას უცნაურად ემორჩილებოდა და ამიტომაც ხშირად ელაპარაკებოდა მხეციც გაუწევებოდა ხოლმე ფეხებთან, მის მირთმეულ ხორცს ძიძგენდა და უსმენდა... საკვირველი სანახავი იყვნენ ლომის ბოკვერი და მასთან მოლაპარაკე მცხეთის დიდი მთავარი. სიცილით იტყოდა ხოლმე სამარა, — ამ ტყიურს უფრო მეტად ესმის ჩემი, ვიდრე ადამიანებს, ვინც მიყვარს და ვისთვისაც მხოლოდ სიკეთე მსურსო...

სწრაფი ნაბიჯით გასცილდა საფრინველს, საჩიხეს მიუახლოვდა.

— მონადირეთუხუცესი დღესაც ავადააო მითხრეს, ხოლო მის ვაჟს, მუდამ ქალებსკენ მიუბრუნის თვალი და უმეთვალყუროდ დაუგდია აქაობა, — გაბრაზებამ გაბრაზება დაემატა, — გუშინ არ დავსაჯე, დღეს კი მაინც დასაჯელად გაიხადა საქმე... მოსწონთ ალბათ ადამიანებს სასაჩუქრის მიღება, თორემ როგორ გაბედა დღეს სამხეცის მიტოვება...

ხის დიდ კომბალს, რომელიც ვეფხვების სადგომის წინ ეგდო, დაწვდა, მოიპარჯვა და კიდევ მოესმა ძუ ვეფხვის ყმული. უჩვეულო ხმას გამოსცემდა ნადირი. სამარამ ნაბიჯი შეანელა. დაინახა, რომ ორივე ვეფხვი საჩინის ბადეს მოსდგომოდა და რაღაცას უღრუნდა. თვალი გააყოლა. ჩვეულებრივად მორბენალი ბოკვერი რომ ვერ დაინახა, კომბალი მიადგო და სასწრაფოდ მის სადგომს მიაშურა. კარი ღია დახვდა...

სადგომის კუთხეში, თივაზე მიწოლილიყო ლომის ბოკვერი, ზურგზე ბალანი აბურძგნოდა, ეტყობოდა, რაღაცას მალავდა. მიუახლოვდა და იქვე გაშეშდა. ფარნავაზის ოქროსფერი ხუჭუჭით დამშვენებული პატარა თავი უდარდელად ესვენა ლომის ბოკვერის მუცელთან. ეძინა პატარას. ნადირი კი ეჭვიანად აცეცებდა თვალებს, მის სიმშვიდეს დარაჯობდა. ფეხის ხმაზე ყურები ცქციტა. თავი მოაბრუნა მხოლოდ. ელვასავით გაკვეცეს მისმა მწითურმა თვალებმა. სამარა რომ დაინახა დაწყნარდა ისევ. ის კი არა, დიდ მთავარს მოეჩვენა, გაუღიმა თითქოს ნადირთა მეფის ნაშვირმა, ისე, როგორც მეგობარი მეგობარს გაუღიმებს ხოლმე...

სამარა ფრთხილად მიუახლოვდა. დაიხარა. ხელი გადაუსვა ზურგზე და ეს ჩასაჩურჩულა მხოლოდ:

ლომის ბოკვერი თანატოლს და მეფეს ირჩევს მეგობრად. ვმადლობ პატარავ, რომ ფარნავაზის მომავალი თვალნათლივ დამახანბე.

მერე იქვე ჩამოჯდა და დაელოდა ბავშვის გამოღვიძებას.

ვეფხვები უჩუმრად მოსცილდნენ რკინის ბადეს, სამარა რომ დაინახეს ახლა აღარაფერი არღვევდა ფარნავაზის სიმშვიდეს და ეძინა ქართლოსიანთა მომავალ მეფეს უღრტვინველი ბავშვური ძილით.

მცხეთის დიდი მთავრის დავალებით სტუმრები მცირე საკრებულო დარბა-

ზში მიიწვიეს. ფუძის ღვთაებები ქურუმი და უმცროსი მთავარი დედოფალი ეგებნენ სტუმრებს.

— ფუძის ღვთაება გლოცავთ, მთავრის სასახლეში კეთილად მოაბრძანებისთვის, მხილველ თვალს მოგაპყრობთ და გიცავთ მაიკრისაგან ამ ფუძესთან ერთად, — წამღერებით წარმოსთქვა ქურუმმა და გარე მიდგა.

მცხეთის დიდი მთავარი და მე, ჩემი სახლობით, მადლობას მოგახსენებთ სტუმრობისათვის. — თავდახრით მიესალმა დედოფალს შეკრებილთ და საჯარო ძელში დაეშვა.

— გწყალობდეთ ღვთაების თვალი. კეთილი იყოს ჩვენი სტუმრობა. — გაისმა აქეთ-იქედან. მცირე ხნის შემდეგ კედელთან ჩაირიგებული ყველა საჯარო ძელი დაკავებული იყო. ქურუმთათვის განკუთვნილ მწვანე ხალიჩაზე მხოლოდ ერთადერთი ოქროსკედით ნაქარგი ბალიში იყო თავისუფალი, დიდი მთავრის ტახტთან ახლოს. ტახტის უკან, მთელი კედლის გასწვრივ ვიწრო მაგიდას ნაირნაირი ფორმისა და ზომის ოქროსა და ვერცხლის ფიალები, ჩიხვის რქის ყანწები, თიხის სიფრიფანა, მოხატული სასმისები ამშვენებდა. თიხას ოქრო ალამაზებდა, მინას — ვერცხლი. ერთმანეთის გვერდით თავს იწონებდა სპარსული, ბერძნული, ეგვიპტური, ალბანური, კოლხური, სირიული ნაკეთობა. ყველასგან გამოირჩეულად და საბატიოდ ეწყო მცხეთური ჭურჭელი, სახელგანთქმული ოსტატის ბერბეროს ნახელავი: ტანწერწეტა, მაღალყელიანი სურები, ლალის თვლებით მოჭედბილი ფუძეგანიერი საღვინეები, ღოქები: ყურიანი და უყურო, დაბალი და მაღალი, ერთი ფერისა თუ ფერადი ნახატებით დამშვენებული.

იქვე, კედელზე მიმაგრებული იყო ბერბეროს ხელოვნების გვირგვინი — ნაყოფიერების ქალღმერთის მოზრდილი ხატო. ქალწულის ხორცისფრად გამჭვირვალე თიხის ტანს ვაზის ფოთლის საშოსელი ფარავდა. ყურძნის მტევნის საყურეები ამშვენებდა, წელზე სართყულად შემოხვეული ლერწის ორი

ბოლო ლამაზად იკვრებოდა და ზეცისა და მიწისკენ მიისწრაფოდა, რათა ღვთაება მიწისა და ზეცის შუამავლად წარმოესახა. იტკირებოდა ქალი, გიღიმოდა და, თითქოს შენსკენ მოდიოდა ვაზის ფოთლების შრიალით... ზოლო ფოთოლთა შორის მოჩანდა უმშვენიერესი სხეული, რომელიც გიზიდავდა, გატყვევებდა და უჩვეულო განცდას გავიარებდა.

ჰერეთის დიდმა მთავარმა თვალი ჰკიდა და ვერც მოაცილა მზერა ბერბეროს ქმნილებას.

— ალბათ ამაზე ამბობენ, სამარას სსახლეში უძველესი ქალღმერთი ჰყავს გაცხადებული, რომელიც ვაზის საიდუმლოს ასწავლის მცხეთის დიდ მთავარს, ამიტომაც აქვს ყველაზე კარგი და მათრობელა ღვინო. — გაიფიქრა და უფლისციხის უფროს ქურუმს გადახედა, რომელიც მასზე ნაკლები ყურადღებით როდი მისჩერებოდა თიხის ქალს.

— მეგონა, მარტო ჩემთან სურდა საუბარი სამარას, მან კი ამდენი კაცი დამახველრა. კარგად ვიცი, ბევრი მათგანი ორპირი და მოღალატეა, ხან მისკენ არიან, ხან ჩემსკენ, ზშირად კი ორივეს გვეფერებიან... ამათთან მშულისნადების გამჟღავნება როგორ იქნება... ასეც არ იყოს, არავინ უწყის, რას გვიპირებს უმალესი ღვთაება... თუ ლეკას სიტყვას ვენდობი, არც ბერძნების წყენინება ვარგა, ხვალ-ზემ შეიძლება მბრძანებლადაც მოგვევლინონ... ჰერეთი მუდამ თავისუფალი იყო, სანამ სპარსელებმა სამარას სახლობა არ დაგვასვეს თავზე და მცხეთის მთავრები მამასახლისებად არ განგვიწყეს. ფიქრობდა ჰერთა მბრძანებელი და შეფარვით უთვალთვალებდა მის მეზობელს, სამარას ერთგულ მეგობარსა და თანამებრძოლს, კუხთა ახალგაზრდა გამგებელს.

— თვითონ არსად ჩანს, შეგვეკრიბა და ამ უდარდელი დუდესა და სარიცხით გამხმარი ქურუმის ამარა დაგვეყარა, გვალოდინებს. თავი ჩემზე აღმატებულად მიაჩნია. — უღვაშს იწიწკინიდა

უფლისციხელი. მისთვის, დიხაჯე, დიდად შეურაცხყოფელი ეყრუებულ-ბულოს დანარჩენ წევრებთან ერთად და მათთან ერთად ლოდინი...

მცირე დარბაზის კართან მცხეთის სასახლის ეზოსმოძღვარი მოდგა და ომახიანად აუწყა, დიდი მთავრისა და ქვეყნის უფროსი ქურუმის მობრძანება.

უჩვეულო მიღებით გაკვირვებულმა სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და ფუძის ქურუმთან ერთად, თავდაკვრით კიდეც შემოვიდა დარბაზში სამარა. ზეწამოიჭრა მცხეთის უმცროსი მთავარი და მიეგება მას. კუხთა ახალგაზრდა გამგებელმა მიწამდე დაუკრა თავი მეგობარს, სხვებიც წამოიშალნენ სავარძლებიდან, მხოლოდ უფლისციხელი არ აპირებდა თავმოდრეკას.

— სტუმარს არ შეშვენის ფეხზე ადგომით არ შეეგებოს მასპინძელს, — უჩურობდა უფლისციხის უფროსმა ქურუმმა მთავარს და დინჯად გაეშურა სამარასკენ... უფლისციხელი წამოდგა და ერთი ნაბიჯი წარსდგა მხოლოდ, ოღონდ თავდაკვრით მიესალმა მასპინძელს და ყველაზე ადრე ჩაჭდა სავარძელში.

სამარას გაეღიმა. მაღლი მოახსენა სტუმრებს მობრძანებისთვის და ტაბტიკენ გაემართა. მის მარჯვნივ, თეთრ წამოსახამს მოაფრიალებდა მცხეთის სამთავროს უფროსი ქურუმი, მარჯვნივ კი დიდრო სპასალარი მოაბიჯებდა თავაწეული. სხვაც ოთხი კაცი ახლდა სამარას, ერთ-ერთში კუხის გამგებელმა ის მელექსე შეიცნო, გასული წლის გაზაფხულზე, სანადიროდ ამოსულ სამარას რომ ახლდა დიდროსთან და მონადირეთუხუცესთან ერთად.

სამარა სამთავროს ტაბტთან შეჩერდა, კიდეც ერთხელ დაუკრა თავი შეკრებილთ და დაჭდა. ოქროს გვირისტით ნაჭარგი წითელი მოსახამის ბოლოები იატაკზე დაეფინა.

უფლისციხელმა სამარას შუბლზე ლომის თავის გამოსახულებიანი ოქროს დიადემა რომ დაინახა, ვეღარ მო-

ითმინა და ზეწამოიჭრა, მაგრამ არ და-
აცალა მასპინძელმა სიტყვის თქმა.

— ვინც მცხეთის სასახლეში დარბა-
ზობას სხვა დროსაც დასწრებია, მას
არც გაუტყვირდება ჩვენი დახვედრა, —
დინჯად წარმოთქვა და მზერა მიამყრო
უფლისციხელს, — ხოლო, ვისაც ეს
პატივი დღემდე არ ერგო, მოვახსენებ,
რომ მამამ ჩვენმა, იბერიის მამასახლი-
სმა და ქვეყნის გონიერმა გამგებელმა,
შემოიღო ეს წესი, მსოფლიოს უდიდეს
და უძველეს სამეფოთა ყაიდაზე. ხო-
ლო გვიბრძანა ჩვენ, მის შვილებს,
იბერიაში მცხეთის ქვეყნის უპირველე-
სობა და მეთაურობა არ მოვშალოთ...
მისი დანაბარები წმინდა ნებაა და მუ-
დამ შესრულდება.

დარბაზი სულგაკემნდილი ისმენდა
მცხეთის უპირველესი ვაჟაყვისა და
მეთაურის სიტყვებს.

სამარამ დღღეს გადახედა, თითქოს
თავისი სიტყვების აკარგვიანობის შე-
მოწმება სურდა, და განაგრძო:

— როცა ქვეყანას უჭირს, ყოველი
ჩვენგანი მეომარი უნდა გახდეს.
ოღონდ ისეთი მეომარი კი არა, წინას
ზურგს რომ ეფარება, ეგებძის მისი და-
ლუბვით ჩემი საცოდავი სიცოცხლე
გადავარჩინოო, არამედ ისეთი, რომე-
ლიც ბრძოლაში მკერდით მიდის და
თავის გაწირვასაც არ ერიდება. ჩვენ
ყველამ ვიცით, რომ ვაჟაყვი მტრის
სისხლში ნაწერთობი ხმლით ფასდება.

— დიახაც ვიცით ეგ ყველაფერი, —
მაინც ვერ მოითმინა უფლისციხელმა.
— შენ ის გვითხარი, რისთვის გვიხმე,
რა უნდა გვაუწყო ახალი და მნიშვნე-
ლოვანი?

— ქეიფისა და დროსტარებისას უსი-
ტყვოდაც ვუგებთ ხოლმე ერთმანეთს,
არც საქებარი სიტყვები გვენანება და
არც დაპირებმასა და ერთმანეთის სიყ-
ვარულში ვართ ძენწი. ცუდი ის არის
მხოლოდ, რომ მეორე დღესვე გვაიწი-
ყდება ყოველი და სიყვარულის ად-
გილს ასევე ხელგამოვიღებ. ვუთმობთ
სიძულვილსა და ოპირობას. დღეს,
როცა მტერი საზღვართანაა და ქვეყა-
ნას დაქცევით ემუქრება, უდარდლო-

ბის ნიღაბს ამოფარებულნი, საკუთარ,
ამქვეყნიურ, წვრილმან ჩაქვეყნულს: ევა-
ვარებთ და ერთმანეთს უნდა წყა-
ყოფილებთ პატივმოყვარობას. ისე ვი-
ქცევით, თითქოს დღეს დაქარგული
და შეგინებული სამშობლო, ხვალ სხვი-
სი სამყოფელი იყოს და არა ჩვენი.
ყველაზე აღმატებულს და ქვეიან უფ-
ლისციხელსაც რატომღაც უტყბო თეს-
ლის შემოსვლა მისთვის სასარგებლოდ
დაუსახავს და გულდამშვიდებული
ელის ხვალინდელ დღეს, ხვალემ ხვა-
ლთა იცისო...

— როცა სპარსელებს დაუმოყვარდი,
რათა მცხეთის სასახლეს დარიოსის კა-
რის პატივი არ მოჰკლებოდა და მათ-
გან ბოძებული მამასახლისობა არ და-
გეკარგა, მაშინ რად არ ფიქრობდი,
რომ ისინიც უტყბონი იყვნენ ბერთათ-
ვის? — შეეპასუხა უფლისციხის მთა-
ვარი.

— სპარსელების მიერ დაკისრებუ-
ლი გადასახადი, დიახაც არ იყო ცოტა,
მაგრამ მცხეთის ქვეყნის გამგებელი და
იბერიის მამასახლისი, ყოველთვის ახე-
რხებდა ქვეყნისთვის შეღავათის გამო-
თხოვას. ხოლო ბოლო დროს, თით-
ქმის სრულ დამოუკიდებლობასაც მი-
აღწია სპარსელებისგან. ბერძნებმა კი
მეფეც გაგვიშადას უკვე.

— ხოლო მეფობა და ქვეყნის წინა-
მძღოლობა მცხეთის სასახლეს ეკუთ-
ვნის, ასე მიაჩნია სამარამ, — წამოი-
ძახა პერეთის დიდმა მთავარმა და უფ-
ლისციხელს გადახედა.

— პირველობისა და მეფობის სა-
კითხს ერი გადაწყვეტს. ჩვენ კი ვალ-
დებულნი ვართ ქვეყანა მტრისგან და-
ვიცვათ. — მტკიცედ ჩაურთო დღღემ.

— უმთავრესი ღვთაების ქურუმმა
იწინასწარმეტყველა იბერიის წინსვლა
ახალი პატრონის ხელში.

— ცრუ და გაიძვერია ახალი ქურუ-
მი ლეკა, მას არც ქვეყნისა და არც
ღვთაებისა სწამს რაიმე. ჯერ იყო და
სპარსელებს მიჰყიდა სული, ახლა ბე-
რძნები შეიყვარეთო, გაჰყვიროს. —
დინჯად წარმოთქვა მცხეთის უფროს-
მა ქურუმმა.

— დიდი დღე არც მას უწერია, როგორც თვითონ მოაკვდინა ითანე ბილწი, ისევე მოუღებს ბოლოს თავისი თანამზრახველი რომელიმე, თუ ეს არ მოხდა, ერთი დაინახავს, რა იმალება მისი მორწმუნეობის უკან და სამაგიეროს მიუზღავს, — წამოენთო კუხის მთავარი.

— იმისთვის ვთხოვეთ მობრძანება, რომ საერო საქმეც გაგვერიგებინა და საღვთოც. მინდა გაუწყოთ, რომ ბერძნებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ჩემი კაცები, აზონმა სიკვდილით ისე დასაჯა, რომ სიტყვაც არ ათქმევინა, მე კი წიგნით მიბრძანა: — თავად მოდი და მეახელი, ქვეყნის გასაღები ჩამაბარე, თორემ იბერიაში ქვას ქვაზე არ დაეტოვებ და შენს სახლობასაც ამოვწყვიტავო...

— ძლიერი ჯარი დგას კლდეკარის კარიბჭესთან, თუ ბრძოლა იქნა, ჩემი სამთავრო მოსრება ყველაზე უწინ.. ხოლო ჩვენი ძალები, რომც გავერთიანდეთ და ხალხიც თავისი ნებით ჩაებას ომში, ვეჭვობ კმაროდეს ბერძნების დასამარცხებლად — წარმოთქვა, უკვე თავსდაუფლებულმა უფლისციხელმა.

— დურძუკების დაქირავება შეიძლება.

— არც ალანები იტყვიან უარს, თუ ფულს შეეთავაზებთ.

— გარედან მოყვანილი მებრძოლი დამხმარე ძალად თუ გამოდგება მხოლოდ, ხოლო სამშობლო მისმა შეილება უნდა დაიცვან და გადაარჩინონ, ხალხი კი ბერძნების მხარეზეა, — დაასრულა სათქმელი უფლისციხელმა.

— ერს სამშობლოს ღალატს ტყუილად სწამებთ, აღმატებულნი! — წინ წამოდგა მცხეთის სასახლის მელექსე ვაჩე. — როდის ყოფილა ჩვენი მიწა-წყლის კაცს მტერი მოყვარისგან ვერ გაერჩიოს. მხოლოდ ერთია, ლეკა ქურუმისა და სხვა ქურუმების ქადაგებამ ძლიერ იმოქმედა მორწმუნეებზე. ერი დაბნეულია, ახლა მისთვის სწორი გზის ჩვენებაა უმთავრესი, ხალხი თქვენ შე-

მოგყურებთ, თქვენგან ელის გადაწყვეტ სიტყვას.

— სამი ათასი რჩეველი ჩამოვალ: საბრძოლველად დათქმულ დროს, — გამოაცხადა თავხვეისებრმა და დუმილი დაარღვია. — იცით ყველამ, რომ ერთი ჩემი მებრძოლი ათას უტოლდება, ვაეკაცობით.

— თხუთმეტი ათასი ჯარისკაცი, ორი ათასი მხედარი და ათასი შეილდოსანი კუხეთიდან იქნება, — ჩამოთვალა კუხთა ახალგაზრდა წინამძღოლმა.

უფლისციხის მთავარი ყურადღებით ისმენდა თითოეულ სიტყვას. აქ მოსვლამდე გადაწყვეტილი ჰქონდა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღო. არც ბერძნების სისხლი დაეღვარა და არც თავისიანებია, მაგრამ ახლა ფიქრობდა: — თუ მართლა გაერთიანდნენ, როგორც აქ გაიძახიან და მასველი ჯარიც დაიქირავეს, შეიძლება დამარცხონ კიდევ აზონი, რადგან იმპერატორი დღემდე ორჭოფობს იბერიაში შემოსვლაზე. — სამარას საბრძოლო გამკრიახობა კი კარგად იყო ცნობილი უფლისციხელისთვის... — ახლა განდგომა არ შეიძლება, მოღალატედ მომნათლავენ. არავინ იცის რა უღვეს გულში მცხეთის დიდ მთავარს, შეიძლება შემეპყრონ კიდევ და ჩქედან ცოცხალი ვერ გავადლო. — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ბოლოს:

— ჯერ ჩემმა მომავალმა სასიძომ, მცხეთის დიდმა მთავარმა, გვითხრას რამდენეკაციან ლაშქარს ვგებრდება თვითონ... — მიიმედ წარმოსთქვა.

სამარა სიბრახისგან წამოწითლდა, კარგად იცოდა, აზონს რომ ცარო შესთავაზა ცოლად მამამისმა.

— მთელი ჩვენი სამთავრო მზადია ბრძოლისთვის; ჭარმაგი, მოხუცი და ახალგაზრდა, ასე განსაჯეთ ქალებიც აპირებენ გვერდში ამოგვიდგნენ — სთქვა დუღემ.

— ხოლო ჩემი დაქორწინების საქმეც ბრძოლის მერე გადაწყდება. — მიიმედ შეჰყარა წარბები სამარამ.

— ბოროტი ენები ჭარტალებენ, ბერძნების უსახურ მხედართმთავარს მეო-

თხე ცოლად შესთავაზა უფლისციხელ-
მა თავისი ასულიო... — დინჯად ჩაუ-
რთო მცხეთის უფროსმა ქურუმმა.

— კარგი იყო, როგორმე ლეკა მო-
გეწვიათ სათათბიროდ, მის სიტყვას გა-
ვლენა აქვს ხალხში, რაც ითანე გამო-
აშკარავა და ღვთაების ნებით მოაკვ-
დინა, ერი ძლიერ ენდობა მის სიტყ-
ვას, — სწრაფად ჩაერია ჰერეთის უფ-
როსი ქურუმში, სხვა საგანზე გადაიტა-
ნა საუბარი, — ამასთან, არც თუ მცი-
რერიცხოვანი ლაშქარი ჰყავს ხატის
მამულს.

— არ ინება მობრძანება. ქვეყნის
საქმეები საერო კაცებმა გაარიგეთ, მე
მხოლოდ საღვთო სამსახური მევაღე-
ბაო, შემოთვალა, — უბასუხა დიდრო
სპასალარმა, — ორი დღე ალოდინა სა-
სახლის მსტოვარი, სანამ ამ პასუხს გა-
სცემდა, — ჩემი ჯარი მხოლოდ ღვთის
ნების აღსასრულებლად არსებობს და
არცა აქვს უფლება ამქვეყნიურ ხოც-
ვა-უღელტაში გაერიოსო... თანაც გვაუ-
წყა, რომელი საღმთო მსახურიც ომში
გაერევა, დაწყველილ იქნება ღვთაები-
სგან და შერისხული ჩემგანო. ბრძოლის
დროს კი საერო და საღვთო საქმე გა-
ნუყოფელია...

— უმეცარს არ ესმის, რომ სწორედ
ერის ღალატია ღვთაების განმარისხებე-
ლი საქმე და სხვა არაფერი, — დუღემ
ფართე შუბლზე ხელი ვადაისვა, —
თუ აქ შეკრებილი ქურუმები ინებებენ
და დიდი ტაძრის ქურუმს ეწვევიან,
ყველამ ერთად შეიძლება შეაცვლიევი-
ნოს კიდევ აზრი...

— არც მთლად მასეა საქმე, ხალხი
ძლიერ ენდობა ლეკა ქურუმსო რომ
ამბობთ, — ისევ ჩაუერთო მცხეთის სა-
სახლის მელექსე ვაჩემ, — ამ დილით
დავბრუნდი საღვთო მამულიდან, ბევრს
ვესაუბრე. საბრძოლველად ისინიც
მზად არიან. სადაც მთელი ერი, იქაც
ჩვენო, — ასე ამბობენ...

სადილობამდე ბუობდნენ ერისკაცე-
ბი და მაღალი საღვთო მსახურები ერის
ბედზე... ხან ერთიანდებოდა მათი მიზ-
ნები, ხან კი ითიშებოდა, ბევრი გადა-
კრული სიტყვა ითქვა, ბევრი ვულის-

ტივილიც წარმოჩინდა, ხოლო, როცა
გვიან დამით დაღლილები დედიშენ, ნენ,
სამარა მიხვდა, სრულდა: მამულები-
დგა ეს თათბირი, ახლა უფრო ბუნდო-
ვანი და უიმედო მოჩანდა ხვალინდე-
ლი დღე.

მცხეთის დიდი მთავარი ძლიერ დაა-
მწუხრა თათბირმა. ვანა ახალი ამბავი
იყო ერისმთავართა შორის ქიშპობა და
მოთავისობა, მაგრამ ქვეყნის გასაჭირის
დროს, საკუთარი საერთოს უთმობდა
ადგილს და ერთობის სამამულე ძარღ-
ვის ფეთქვას ხელს არ უშლიდა. ახლა
სწორედ ეს შემთავაშინებელი ძარღვის
ფეთქვა ვერ იგრძნო სამარამ... თავის
არეულ ფიქრებს მიდევნებულო, უგუ-
ლოდ უსმენდა დუღესა და კახთა ერის-
მთავრის საუბარს. მიატოვა კიდევ ისი-
ნი და სადედოფლოსკენ გაეშურა. დე-
დის ნახვა სურდა, მისი ერთგული ჰკვი-
ანური სიტყვა მონატრებოდა.

დიდი დედოფლის საცხოვრისი სა-
სახლის ჩრდილოეთით ოთხ პალატას,
საპირისფარეშო და სასტუმრო დარ-
ბაზს აერთიანებდა. დედოფალს ყვე-
ლაზე მეტად კუთხის მყუდრო, მომც-
რო ოთახი უყვარდა, საწოლიც იქ ჰქო-
ნდა.

სამარას ლაპარაკი შემოესმა და შე-
დგა.

— უმცროსი ქალბატონია დედოფა-
ლთან, — უთხრა პირისფარეშმა ქალ-
მა, — მოვახსენებ შენს მობრძანებას.

სამარამ თავი გააქნია და იქვე, და-
ბალ ტახტზე ჩამოჯდა. მოპირდაპირე
კუთხეში საკმაოდ მოზრდილი, განიერ-
მუცლიანი მინის საყვავილე იდგა. ფან-
ჯრიდან ჩამოშვებულ სელის გამჭვირ-
ვალე ქსოვილზე ამოქარგული ვარდები
ფერადოვნებით და სიხასხასით თით-
ქოს ლარნაკში ჩაწყობილ თეთრ და
ვარდისფერ ვარდის კოკრებს ეჯიბრე-
ბოდნენ. დახვეწილი გემოვნება ჰქონდა
დიდ დედოფალს. მის საცხოვრისში ყო-
ველი ნივთი განსაკუთრებულ იერს
იძენდა და თითქოს მისთვის განკუთვ-
ნილ, აუცილებელ ადგილს იჭერდა

მხოლოდ... ტახტზე მწვანე ხალიჩა ეფარა, რომლის ზედაპირი ვახაფხულზე ახლად ამოხეთქილ კონინდარს ედარებოდა, გვერდით, ხის მომადლო ფეხებიანი მომცრო მაგიდა იდგა, — მზისფერი, უხაზო მარმარილოს თავით, მაგიდაზე — წყლის ქურჭელი, ფინიკური მინისა.

დიდ დედოფალს ბრინჯაოსა და ლითონის ნაკეთობები არ უყვარდა, ამბობდა, — გულს მიმიძებნენ, იარაღსა და ომს მაგონებენო...

ოთახიდან მელადე გამოვიდა. სამარას გაულიმა და მოსასაღმებლად მიუახლოვდა. ქალს თვალები დაწითლებული ჰქონდა.

სამარამ არაფერი ჰკითხა, თუმც კი შეშფოთდა.

— რა მოხდა, დედა? მომეჩვენა, რომ მელადე რაღაცით შეწუხებულია.

— არ უნდა მამას გაჰყვეს და ბავშვები წაიყვანოს.

— რად უნდა გაჰყვეს, განა დუდემ აწყენინა რაიმე?

— დუდესთან განშორება რომ ვერ აუტანია, სწორედ იმიტომ ტირის, სადაც იმაც ჩვენ ყველანო.

სამარამ მხრები აიჩეჩა.

— ახლოს მოიწიე, უნდა გაკოცო, მონათრე თავი... — დიდი დედოფალი ერთხანს დაკვირვებით მისჩერებოდა თავის უფროს ვაჟს. — უძილობის კვალი გატყვია სახეზე, ნაოკებიც გაგჩენია მძიმედ წარმოსთქვა, — ბევრი საზრუნავი მოგეძალა ამ ბოლო დროს, ვაგლახ, რომ ქალიც არა გყავს გვერდით ტკივილი დაგიამოს.

— მელადეს ამბავი მითხარ, მგონი ეგეც ახალი საზრუნავია, — სამარა დაჰქადა.

— მამამისი ჩამოვიდა წუხელ, შემფოთებულია, გავიგე, ბერძნები თქვენი ქვეყნის დასალაშქრად მოდიან და ბრძოლის დროს ქალს და ბავშვებს მოგარიდებთო.

— დარწმუნებულია ჩვენს უბედურებაში და ქალიშვილისა და შვილიშვილების გადარჩენაზე ზრუნავს? — წარბი შეჰყარა მცხეთის მთავარმა.

— რატომ ვერ მობრუნენ გული/მავკაცზე, ქვეყნის გამგებენ/მეფის/მეფის გულღვარძლიანობა/მეფის/მეფის ჰკადრა დედამ. — დუდეს შეუთვლია, ჩამოდი და წაიყვანო. დაბნეულია კაცი, ქალიშვილიც ეცოდება და უარსაც ვერ ეუბნება სიძეს. მიმამჩნია, დუდეს გადაწყვეტილება სამართლიანია. ჩვენი გვარის ერთადერთ გამგრძელებელზე ზრუნვა გვმართებს.

— მერე იბერიისი ერთგული ხალხი დაილია, რომ ფარნავაზი სპარსელებს არ ჩაუუგდოთ ხელში გასაზრდელად?

დიდი დედოფალი სიყვარულით მიაჩერდა შვილს. განა პირველად იყო, სამარა ყველაზე საჭირო და ბრძნულ გადაწყვეტილებას რომ იღებდა ხოლმე.

— შენ უკვე გადაგიწყვეტია ეს საქმე, — ჩაილაპარაკა დედოფალმა, — დუდესთვის გეთქვა მაინც, ამოდ არ ივლიდა ჩვენი მოყვარე ამხელა გზაზე... თუმცა კი, მელადესთვის არაფერი შეიცვლება, მას ხომ დუდესთან განშორება აწუხებს, ყველაზე მეტად.

— დედოფალი და ქვეყნის პატრონი ხშირად თავის თავს არ ეკუთვნიან, შენგან მაქვს ნასწავლი ეს მწარე სიბრძნე. განა ჩემთვის კი არ იქნება ძნელი დედასთან განშორება?!

— ეს არ მოხდება, სამარა! მელადეს გახიზნას მიზანი აქვს დიდი, ხოლო დედა და დედოფალი მოვალეა თავის ხალხთან და შვილებთან იყოს.

— შენი ავადობა რომ არა, არც გაკადრებდი ამ სიტყვას, — ინანა სამარამ, რად ვაწყენინე დედასო.

— დედოფალი მის ხალხთან და შვილებთან უნდა იყოს, მშვიდობისა და ბრძოლის დროსაც. — კვლავ მტკიცედ წარმოთქვა დედოფალმა.

— მინდოდა შენი მზრუნველი თვალი დიდხანს არ მოჰკლებოდა ფარნავაზს, მე და დუდეს დიდი ბრძოლა მოგვიწევს ალბათ. არავინ იცის ბედი რას გვიმზადებს...

— უიმედობას გამჩნევ. ნუთუ ისე წაგვივა საქმე, რომ მცხეთის სასახლის გახიზვნა მოგვიწევს? — შეშფოთდა დედოფალი.

— მარტო მცხეთელები ვერ უშველიან ქვეყანას, ერთობაა საჭირო... მეჩვენება, ღვთაებათა წყალობაც გვაკლდება თანდათან... ხალხის გაუცხოვების მეშინია ყველაზე მეტად. ლეკა ქურუმი მტერზე უარეს საქმეს გვიშვრება. ორი თვეა, რაც დაჭდა და მოსყიდო უკვე ერი. ვინც ბერძნებთან არ იომებთ, საღვთო გადასახადიდან გაგანთავისუფლებთო, — ჰპირდება. კარგო მისატყუარია სპარსელებისგან. გაბეზრებული ხალხისთვის. მთავრები კი ერთმანეთის მოცილებობას უნდებიან. გამოდის, მარტო შემართებალა გვრჩება, ხოლო ცარიელი შემართება ვერაფერი ბედენაა. ომის ბედს მეომარი, მისი თავგანწირვა და ქვეყნის ერთობა წყვეტს.

— ხალხი უნდა დაარწმუნო შენს სიმართლესო...

— მცირე დრო მაქვს მაგისთვის.

— ჩემს შვილს და იბერიის გამგებელს, ქვეყნის მამასახლისს და მომავალ მეფეს არ ეკადრება ერში ეჭვის შეტანა. უკეთური უნდა განიდევნოს, მზილებულიც იქნეს და მერე...

— ძლიერია ლეკა, იგი ღვთაების სახელით ელაპარაკება ერს.

— შეუძლებელი უნდა შეძლო! გაბსოვდეს სამარა, მეგობრად მოსული მტერი ასჯერ საშიშია, რადგან უბეში გიკოცდება და შიგ გულში გიწვეთებს სამსალას, გულს გაივადებს, გიჩიავებს, ხოლო თუ გული მოიშალა და დაავადდა, მთელი სხეული სასიკვდილოდ გამზადებულია უკვე... ყოველი ღონე უნდა იხმარო, რათა ბერძნების ნამდვილი ზრახვა გააცნო ერს, მეც ჩემსას ვიზამ.

სამარამ ბელები დაუყოვნა თავის ჰკვიან დედას. აქეთ რომ მოდიოდა, სწორედ ის უნდა ეთხოვა მისთვის, რომ დედოფალს წმინდა ქალწულის დღესასწაულის დღეს სალოცავად მოსული ერისთვის თავისი სიტყვა ეთქვა.

დედამ ნაადრევ ქალარაზე გადაუსვა გამჭკნარი ხელი ვაჟიშვილს და უმაღლეს ღვთაებას მისი გამარჯვება შესთხოვა.

გარიერაჟისას გამოეწივნენ ქაქიკარა და იბერიის სპასალარმა დაიჭირა მამაგრების შესამოწმებლად. ჯერ ქალაქის კარიბჭე ნახეს და გულდასმით გაჩხრიკეს მისი სიმტკიცე, მერე გალავანს დაუყვანენ... ყველა ბურჯის და კოშკის სიმაგრე, ალიზ-აგურის ზღუდე-გალავნების საიმედოება შეამოწმეს, ქალაქის წყლის სადინარი ნახეს და მის მცველებს ესაუბრნენ, მცხეთის ორი ხიდის სიმაგრე გასინჯეს და სალამო ხანს დაღლილები სარკინეთის გზას დაადგნენ.

— თუ უფლისციხელი ხიდებს, ციხის კარიბჭესა და გალავანს გაამაგრებს, საჭირო ჯარს ჩააყენებს დამცველად, მტერს დიხაც გაუჭირდება მთავარ ქალაქამდე მოსვლა, — თქვა სპასალარმა.

— მაშინ დიდი ბრძოლაც მან უნდა გადაიტანოს. ვეჭვობ, ამაზე დათანხმდეს.

— განა ჩვენ არ ვიჭნებით მის გვერდით? შიდაციხესთან ბრძოლა უკიდურესმა გასაჭირმა უნდა მოიტანოს მხოლოდ. უფლისციხესთან კი, თუ ბერძნებს მდინარეზე არ გადმოვუშვებთ, დიდად შევაფერხებთ მის წინსვლას. შეიძლება საჭირო გახდეს ხიდის დაწვაც.

ქვეყნილი ქუჩა უსიტყვოდ გაიარეს. ქალაქის დასავლეთ ნაწილში კორითბუროთა უბანი იყო მოთავსებული: რკინის, ოქროსა და ბრინჯაოს სამკედლოებით. სამარამ და დიდრომ გეზი, ეგრეთწოდებული, გრძელი მინდვრისაკენ აიღეს, რადგან იარაღის ყველაზე საუკეთესო მკედლები აქ ეგულებოდათ. სარკინეთის უბნის უფროსმა, „ოქროსხელიანმა“ სანამ, შორიდანვე დალანდა სტუმრები და გამოეგება... მიწამდე დაბარა თავი დიდი მთვარის წინაშე, დღეგრძელობა, სულისა და ტანის სიმრთელე უსურვა, მერე დიდროს მოწიწებით თაყვანი სცა და საკუთარი სახლისკენ წარუძღვა.

— ოციათასი ბუნჯი, ბუთი ათასი ცული და სამი ათასი ხმალი საწყობშია უკვე. მონა მოიტანს იარაღისმკედელთა

ნახელავის ნიმუშებს... არც სიმტიცი-
თა და არც მოსახმრისობით არ დაიწუ-
ნება, რაც შეეხება მუზარადებს, მა-
სალის უკმარისობამ შეგვიშალა ხელი.
რკინის ქვის ჩამოტანა გაძნელდა უამი-
ნდობის გამო. ებრაელთა უბანში ვიყა-
ვი გუშინ. უფროსი ვაჭარი დამპირდა
აბჯრის ნიმუშს გაჩვენებო... ვნახე და
მომეწონა. მასალა რომ მქონდეს, შეი-
ძლებოდა მისი შექმნაც, რადგან მარ-
ტივადაა ნაკვეთი, ხოლო მეომრის და-
საცავად ვფიქრობ, ბევრად სჯობს ტყა-
ვის ჩვენებურ აბჯარს...

— როდის ვარაუდობ რკინის ქვის
ჩამოტანას. დრო არ ითმენს, საშურია
ეს საქმე, ფრიალ საშურია...

— უამინდობაც რომ არ იყოს, არც
საზიდრები, ცხენები და კამეჩები
გვეოფნის... იქაური დიდვაჭარია სტუ-
მრად ებრაელთა უბანში, როგორც მი-
თხრეს, ბერძნული იარაღით ვაჭრობს
თურმე, ის კაცი. დაკავშირება შეიძლე-
ბა... ესეც ებრაელების აქტურმა უფ-
როსმა ვაჭარმა მითხრა. მონდომებუ-
ლია ფრიალ, გულით სწადიათ იბერი-
ელებს დაგვხმარონო, ასე განსაჯეთ,
ისიც კი სთქვა: — ჩვენც ვალდებულნი
ვართ ამ მიწაზე მტერს ვებრძოლოთ და
თუ მცხეთის მთავარი ინებებს, მე შე-
ვიძენ საქირო იარაღს და გამარჯვების
შემდეგ გადამიხადოს დანახარჯი სამა-
რამო.

— უთხარი, ხვალ სასახლეში მო-
ვიდეს.

წმინდა ქალწულის დღესასწაული
შემოდგომაზე იმართებოდა, მოსავლის
აღების წინ. ერი მადლს სწირავდა
ღვთაების სიუხვის ძალას წლევანდელი
მოსავლისათვის და მომავალი წლის-
თვის წყალობას სთხოვდა.

სასახლის წინ, განიერ მოედანზე,
ადრე დილიდან იწყო ხალხმა დენა.
მოედნის შუაგულში თეთრი მარმარი-
ლოს მყარ საძირკველზე ბრინჯაოში
გამოკვეთილი, მოსავლის დამცველი
ქალწული წამომართულიყო. თავთუ-
ხის ძნები ოსტატურად ჩაწნული ჰყო-

ნდა კედსთან შეკრულ თმაში, მარ-
ხენაში ვაზის მტევანი ეჭირებოდა.
მარჯვენა ხელი ხარის ფეხზე დაეხრებო-
ბინა. მარადიული სიუხვის გრძობას
აღვიძებდა მლოცველში მისი ხილვა.

მზე მკვეთრად რომ დაბრძანდა თა-
ვის ეტლზე და ძლიერი თვალი მოე-
დანს მოავლო, უკვე უთვალავ მლოც-
ველს მოეყარა თავი. შესაწირი ხილი-
სა და ყურძნის, ცხვრისა და თხის,
უშობელისა და საღვინე ჭურჭლის ტე-
ვა არ იყო, ქალღმერთის ფეხებთან
მრავლად ეწყო ვერცხლისა და ბრინ-
ჯაოს, თიხისა და მინის სასმისები, ჯი-
ხვის და ხარის რქის ყანწები, სამაჯუ-
რები, გულსაკიდები, რკინის სახნისე-
ბი, თოხები...

ეტლებით, ორთვალეებით, ურმებით
მოსულებს საზეიმო ხორავი უკვე გაე-
შალათ, ტიკიდან ღვინის სმას შესდგო-
მოდნენ. ქალაქის გარეუბნის მკვიდრ-
ნი: მეთემენი და მიწის მუშები ცოტა
მოშორებით, მინდორზე აწყობდნენ სა-
დღესასწაულო სუფრას...

შუადღისას სასახლის კიშკარი ფარ-
თოდ გაიღო და მთავრის საბლობა გა-
მოჩნდა. საბლობას დიდი დედოფალი
მიუძლოდა, ზვიადად ყელმოღერებუ-
ლი. მარჯვნივ სამარა მოაბიჯებდა, მარ-
ცხნივ დუღე, თავისი ცოლ-შვილით...
მათ უკან დიდრო სპასალარი, სასახ-
ლის დიდებულები, მსახურნი და პირის-
ფარეშნი, მერე მონები მოახამდნენ შე-
საწირს.

დიდმა დედოფალმა მარმარილოს სა-
ყრდენზე ვერცხლის ფული სავეს ფი-
ალა დადგა და ფეხებზე შემოეხვია
ღვთაებას... მცხეთის მთავარი ქურუმ-
სახელდახელო ფიცარნავზე შედგა და
ლოცვა წარმოთქვა, უხვი მოსავალი გა-
მოსთხოვა ქალღმერთს სამომავლოდ.
მერე ამინდის ღვთაების ქურუმნი წა-
მოიწია, სთხოვა ტაროსის გამგებელს,
ემოს უწმინდეს ქალწულს და ნუ და-
ატეხს რისხვას პურის ყანებს, უხვმტე-
ვნიან ზვრებს, ხილის ბაღებსა და ცხო-
ველთა საძოვრებს... მითმეული შე-
საწირის სამაგიეროდ გამოგზავნოს მი-
წის მაკურებელი და გამანოყიერებე-

ლი წვიმა, არიდოს სეტყვა და ქარიშხალი, მისცეს წყალი დედა მდინარეს უხვი და ნუ დაარღვევს მის წყნარ დინებას, ნუ მოშლის ხიდებს და ნუ დალუბავს მდინარეზე მოცურავე გემებს...

დაასრულა სიტყვა და გაისმა კიდევ დიდი დედოფლის ხმა.

— მცხეთის ფუძის მფარველო თვალო, ქალაქისა და იბერიის კეთილო დედავ, შენ დაიფარე შენნი შვილნი განსაცდელისგან... — დედოფალი წამოიმართა, თავსაბურავი გადაიძრო, ერთადერთი ქალარა ნაწნავი მკერდზე გადმოიტანა და ვერცხლის ბასრი დანით თვალისდახამხამებაში მოიკვეთა... ხალხი გაირინდა. — ასე მოკვეთე მტრის მარჯვენა იბერიისკენ მომართული, ასე ერთად შეჰკარი შენი შვილების სიყვარული მტრის რისხვად, ასე გააუფერულე ორგულობა და მის შვილთა უნდობლობა ურთიერთის მიმართ... მიეცი შენს მლოცველ ხალხს შენი მსახურების უფლება, ამრავლე მოსავალი, ძე-ქალწული, აგვაცილე შენი მრისხანება.

— დიდება ღვთაების ძალას, — დაიბუბუნა ფუძის ღვთაების უფროსმა ქურუმმა.

— დიდება ღვთაების ძალას, — გაიმერა ერმა.

— ამოძირკვე და ფუძის მაღლი მოუშალე ყველა მოღალატეს, ბრძოლაში შეშინებულ ჯაბანს და ორგულს, რომელიც იბერიის სიმტკიცის შესარყევად იღწვის...

— დიდება ღვთაების ძალას, — გაისმა მცხეთის უფროსი ქურუმის ხმა.

— დიდება ღვთაების ძალას, — გაიმერა ერმა.

— მტერს არ ეღირსოს ამ მიწაზე გაბატონება, ჩვენი სალოცავების და ხატების დამოხობა, გვიშუამდგომლე უშაღლეს ღვთაებასთან, სიყვარულის თვალით გადმოხედოს თავის შვილებს განსაცდელის ეშს.

— მოგვეცი ძალა დავიცვათ ან დავიხოცოთ ამ მიწისთვის, — მტკიცედ წარმოსთქვა სამარამ და წამოიმართა.

— დავიცვათ ან დავიხოცებოთ! —

წარმოსთქვა დიდრო სპასალარმა და მხარში ამოუდგა მცხეთის ქვეყნის დიდ მთავარს.

სიხარულით

— დავიცვათ ან დავიხოცებოთ! — ერთხმად აღმოხდა ერს...

დიდმა დედოფალმა მოჭრილი ნაწნავი ღვთაების ფეხთან დადო, ერთხელ კიდევ ემთხვია და წასასვლელად იბრუნა პირი.

სპასალარმა საომარი გაწვევა გამოაცხადა.

მცხეთობის ღამეს ცამ პირი მოიხსნა და მუშტისოდენა სეტყვა დაუშინა ქვეყანას. დასაყრდელად გამზადებული ზერები საცოდავად გასხიბა, მიწა და მტევანი ერთმანეთში აზილა, ნაყოფით დაბუნძლული ვაშლისა და მსხლის ხეები გაატიტვლა, ნათესი მიწასთან გაასწორა, საქონელი ააწიოკა, ძაღლები ააყუფა და მშრომელი კაცი უბედურების წინ თითქოს უმწყოდ დასტოვა.

სასახლის მელექსე ვაჩე და ანათა უკუნეთში ძლიეს მიიკვლევდნენ გზას. სეტყვას გამოსაწრეს, მაგრამ არაგვის ხეობაში საშინელ წვიმასა და ქარიშხალში მოჰყვნენ. ადიდებულ მდინარეს კალაპოტი გადმოეღალა, გზაზე გადმოსულიყო და ღრიალით ეხეთქებოდა ქვებს. საცალფეხო ბილიკზე ცხენებოდან ჩამოქვეითდნენ და მთას მიიმედ შეუდგნენ. მთის შუაწელზე ვაჩეს ერთი კეთილი მცხვარის ქოხი ეგულეობდა. სიცივისგან გათოშილები, დაქონილები და გზაბნეულები ალაღბედზე მიიწვედნენ წინ, რადგან მელექსეს მოეჩვენა, თითქოს მხარიც მცველა ამ სიბნელეში. ანათას ერთი კვნესაც არ დასცდენია, არ შეჩერებულა. დასვენება არ უთხოვია. ვაჩეს კი ანათას მხრებზე დაცემული წვიმის ყოველი წვეთი და ქარის დასისინება, რომელიც ქალის დასველებულ ტანს ცივი ზეწარივით ეხვეოდა, გულს უსერავდა. რომ შესძლებოდა საკუთარი სხეულის სითბოს ერთად შეკრავდა და ანათას ვიწრო მხრებზე საბურველად შემოახვევდა. რადგან ეს არ შეეძლო და ანათა

ითოშებოდა, ამიტომაც ყველაფერი სძულდა ახლა, ეს წარღვნის ღამეც, ეს მიუვალი გზაც და, რაც მთავარია, საკუთარი თავიც. იმასაც ფიქრობდა გამწარებულო, მიიღებდა კი ქალი მისგან დახმარებას?! ორი კვირაა, რაც ერთად არიან და ანათას თავი არ ატყუვია, ხმა არ გაუცია, კეთილად არ შემოუხედავს მისთვის.

— ხვალ დილით ხევისბერთან უნდა ვიყოთ, — არც შეუჩერებია ნაბიჯი, ისე დაუყვია ანათამ.

— თუ გავაღწიეთ ამ ღამეს?!

— გავაღწევთ, გამოჩნდა კიდევ მეცხვარის ქობი.

კეთილად დაუხვდათ მეცხვარე. შუა-ცეცხლი ააგიზგიზა და ანათას მიუბრუნდა, უჩრია ტანსაცმელს ტანზე ნუ შეიშრობ, საშიშია, გაცივდებიო. არ გაიგონა ქალმა, ახლოს მიუჭდა ცეცხლს. მეცხვარემ დაბალ სუფრაზე პური და ყველი დააწყო, დოქით ღვინო შემოდგა, ხორცი წამოაგო ხის შამფურზე. მალე ქობში სასიამოვნო სუნი დატრიალდა.

— ეტყობა, არ მიიღო ჩვენი შესაწირი ღვთაებამ ვობიმ, ორი დღე-ღამეა ასე ჩამოღის ძირს ზეცა, ხატობა დღესაც წვიმდა, — სთქვა მეცხვარემ და ცეცხლს შეუკეთა. — მთელი მთა საომრადაა გამოზადებული, თავხვევისბერი სწუხდა: — ბარიდან მაცნეს ელოდა, როდის უნდა წავასხა მეომრები, ხომ უნდა ვი-ცოდეო.

ვაჩემ ანათას გადახედა.

ანათა ცეცხლისკენ ზურგით შებრუნდა, პური გატეხა და უპასუხა:

— ხვალ დილით ეცოდინება დათქმული დრო მთის პატრონს.

— ივრიდან ამბავი მოვიდა, ლეკა ქურუშია ომის წინააღმდეგი, ხალხს უბრძოლველობა დააფიცა და ბერძნებთან ხლებას აპირებსო.

— მაღალი ღვთაების წყალობით, არ უნდა შერჩეს ღალატი, — თქვა ანათამ.

ვაჩეს გამგზავრების მერე, ანათას ციებ-ცხელება შეეყარა და ორი კვირა უგონოდ იყო. თავხვევისბერსა და მის

სახლობას მზრუნველობა არ დაუტოვია ქალისთვის.

მარკინული
გენერალიზაცია

• • •

გადაწყდა: მთის, კახთა, ალანთა და იბერთა ლაშქარი ერთი კვირის თავზე, არიან დღეს, შეიკრიბებოდა სევსამორას ციხესთან. აქვე დაადგენდნენ ჯარის ზელმძღვანელობისა და განლაგების საკითხებს. სპასალარი და კახთა გამგებელი უკვე გაემგზავრნენ წიწამურს, ლაშქრისთვის შეგროვებული სანოვავის დასახედად, სამარა დურძუკთა ტომის ბელადისგან ელოდა პასუხს და მიტომაც დარჩა სასახლეში. ზედციხეში დუღე გაისტუმრა ეზოს მოძღვართან ერთად. საღამოსვე ელოდა მმას, მასთან სასახლასა და მეცხეთის დედაციხის დაცვაზე სურდა მოთათბირება.

საომარმა მზადებამ და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეკრების შესაძლებლობამ ძველებური მხნეობა და რწმენა დაუბრუნა სამარას, გამარჯვებაში უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, მხოლოდ ეს იყო, ლეკა ქურუმის საქციელი უშხამავდა გუნებას. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, კაცს მივუგზავნი მოსაკლავადო, მაგრამ უკუაგდო ეს აზრი. ზოგჯერ უფლისციხელის ერთგულებაში ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ამ ეჭვის გაღვივებას ერიდებოდა. აკი, გუშინ გამოუგზავნა შიკრიკი დიდმა მთავარმა — საბრძოლველად მზად ვარ, მეცხეთისკენ მომავალი გზები უკვე შეკრული შაქვს და დანიშნულ დღეს ჩემი ჯარით სევსამორასთან ვიქნებიო.

ბალიდან მელადეს კისკისი მოესმა.

— რაც სასახლეში დარჩენის ნება-რთვა მიიღო, მელადე ძველებურად გახალისდა, — გაიფიქრა და იქითკენ გაეშურა. ეზოს მოძღვრის თხუთმეტი წლის ვაჟს, თეთრ და შავ კვიცებზე შეესვა ფარნავაზი და მისი ძუძუმტე, ბავშვები თვალბგაფართოებულები, აღტაცებულები ქღურტულებდნენ და თავიანთ კვიცებს ეხვეწებოდნენ, გაგვაქენო. მელადე და ფარნავაზის გამზ-

რდელი იქვე იდგნენ და სიყვარულით შესციციანებდნენ პატარებს.

— უბრძანე გაგვაქენონ! — შეეხვეწა ფარნავაზი ბიძას.

— ჭერ მაგათ თქვენი ჰენებაც კი არ შეუძლიათ, თქვენსავეთ პატარები არიან. — მოეფერა მძისწულს სამარა. — შენ რა გჭვია, პატარა ვაჟაკო? მიუბრუნდა მეორე ბავშვს და შეამჩნია, რომ ძლიერ ჰგავდა ბიჭი ფარნავაზს.

— ესეც იძახის ფარნავაზი მქვიაო, — მიუგო მძისწულმა, — ყველა ფარნავაზი ხომ არ იქნება?

— საკუთარი სახელის დაძახილზე არც გამოგხედავს, ძლიერ უყვარს პატარა მთავარი და მისი სახელი აიჩემა რატომღაც, აბატიე ბატონო! — მოიბოდიშა გამზრდელმა შვილის მაგიერ.

სამარას გაეცინა.

— შენც გინდა ფარნავაზი გერქვას?

— მჭვია კიდეც, ოღონდ მაგას შავი თვალები აქვს და ოქროს ხმალი, ამბობს მეფე ვიქნები და მტერს ამ ხმლით შევემუსრაყო. — უპასუხა ბავშვმა.

— ვუბრძანებ შენც მოგცენ პატარა ხმალი, ოღონდ ვერცხლისა. — მოეფერა სამარა ბიჭს. — მტერთან ბრძოლაში კი მართო ხმლები ვერ გიშველით, — გულით უნდა ბრძოლა, გულით... გაიზრდებით და ამასაც მიხვდებით. ხოლო, რომელსაც ძალა გერჩით, ჩემთან ერთად შემოაქვით თეთრონზე და გავაქენოთ.

ეზოს მოძღვრის ვაჟმა მცირე ხანში დიდ მთავართან სამარას ცნობილი ბედური მოიყვანა. ცხენი ყალბზე დგებოდა და სანავარდოდ იწევდა. გამზრდელის ბიჭს შეეშინდა, საცოდავოდ აღირდა და დედის კალთას ამოეფარა, ხოლო ფარნავაზმა აღტაცებისგან ტაში შემოკრა და სიხარულით შემოუჭდა ბიძას წინ.

როცა ჰენებით ლოყებდაბრაწული და გახარებული ფარნავაზი ცხენიდან ჩამოსვა, სამარამ თვალები დაუკოცნა მძისწულს. — მართლაც მეფის დარი უშიშრობა და გამბედაობა გაქვსო, — შეაქო.

გამზრდელმა პატარები სასახლეში წა-

ასხა. ფარნავაზი წინ გარბოდა. — დიდმა დედოფალმა ამირანის შვილებს შეუძინა და მიამბოსო.

— დუღემ დაიგვიანა, დამბირდა კი ნაშუადღევს სასახლეში ვიქნებიო, პურობას თუ შეპყვა სადმე, — წყნარად თქვა მელადემ.

— მალე დაბრუნდება. ახლა ქეიფის დრო არა გვაქვს მე და დუდეს, არც არავის...

— დიდი ბრძოლა მოველით, როგორც ვხედავ; მაღლობელი ვარ, რომ სასახლეში დამტოვე და ბავშვებით მამას არ გამაყოლე.

— ბრძოლა ძნელი და დაუნდობელი იქნება. ყოველი ჩვენგანი მოვალენი ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ, ხოლო. გამოსროლილ ისარს თვალები არა აქვს, იგი ყველას ერთნაირად ჰკლავს. ადამიანი ყოველგვარი უბედურებისთვის მზად უნდა იყოს...

— ნურც გამითენდეს უთქვენოდ დღე! — შეშფოთდა მელადე.

— დედოფლობა მძიმე ტვირთია, ჭირსაცა და ლხინსაც სიღინჯით უნდა შეხედეს ქვეყნის პატრონი... გახსოვდეს, რაც არ უნდა მოხდეს, ფარნავაზის სიცოცხლეს გაუფრთხილდი, რადგან იგი ქვეყნის მომავალი მბრძანებელია.

მელადეს თვალებში ცრემლი რომ შენიშნა, შეეცოდა რძალი და დაუყვავა: — ამას ყოველი შემთხვევისთვის ვამბობ, თორემ იცი შენ, უძლეველები რომ ვართ მე და დუდე ბრძოლაში, არ იჯავრო, ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა და გაუცინა.

• • •

სასახლის კიბეებზე ამავალ სამარას ასისთავი მიეჭრა, სირბილისაგან აქოშინებულნი.

— დიდო მთავარო, ვიდაც ყმაწვილი ითხოვს თქვენს ნახვას. ეტყოდა ჰენებით ატარა ცხენი, არც ამხელს ვინაობას და არც სცილდება ჭიშკარს. საშური და აუცილებელი საქმე მაქვს მცხეთის დიდ მთავართანო.

სამარა შედგა.

— შემოუშვი და შემოჰყევი ჩემადღე! — ბრძანა.

— კარგი მხედარი ჩანს, — გაიფიქრა სამარამ, მისკენ ზენებით მომავალ სტუმარს რომ შეხედა.

სტუმარმა ცხენი მთავართან ჯიქურ მიაგდო. მსწრაფლ აეფარა ასისთავი პატრონს.

სამარამ თვალი შეავლო მოსულს და შეკრთა:

...ცარო... როგორ ჰგავს ეს ყმაწვილი ცაროს, — გაიფიქრა და საყუთარი გულის ძვრაც გაიგონა გარკვევით.

— წადი, მე ვესაუბრები მოსულს! — უბრძანა ასისთავს და ცხენთან ისე მივიდა, თითქოს სურდა ჩამოხდომაში მიშველებოდა სტუმარს.

ყმაწვილი ეღვის სისწრაფით გადმოველო ცხენს და, როცა სამარამ წინ დადგა, უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა მთავარს, რომ მის წინ ცარო იდგა.

— შუადღის მერე მოვაქენებ ცხენს, შენს ჯარისკაცებს რომ არ შევეჩერებინე გზაზე, კარგა ხნის მოსული ვიქნებოდი. დუღეც მოვიტოვე უკან. გამოვეცალე, არ მინდოდა ვეცნე. არც თუ ადვილია ქალიშვილსგან მამის ღალატი, — ქალი სხაპასუბით ლაპარაკობდა, — აქვე გეტყვი და თვითონ განსაჯე, თუ უკან უნდა დაგებრუნდე, აქედანვე წავალ, თუ არა და...

სამარამ თავი მოუდრია.

— რით შემიძლია გემსაბურთო, უფლისციხელის ასულს? — უთხრა და თვალეში ჩაბედა.

— ვიცი, ჩემზეც გაბრაზებული და გულაყრილი იქნები, თუმცა კი უბრალო ვარ; ჩემთვის არავის უკითხავს მსურდა თუ არა უცხოელის ცოლობა, ისე გავზავნეს ძღვენი და მაცენი აზონთან...

— მაშეც მართალი ყოფილა. — კბილებში გამოსტრა მცხეთის დიდმა მთავარმა და გაახსენდა, როგორ შეჰპირდა ქალიშვილის ხელს ამასწინანდელ თათბირზე უფლისციხელი...

— ახლა ეს როდია მნიშვნელოვანი, სხვას რომ არ მივთხოვდები ბევრჯერ მითქვამს შენთვის და არც სიტყვა გამოიტეხია... უფრო საშინელი და ჩემთ-

ვის სამარცხინო სათქმელი წინა პარტენული

მაქვს... ზმზღნიმნიჰს

ქალს ენა დაება. — უფრო საშინელი და სამარცხინო შენგან ჩემი ღალატის იქეთ, რა უნდა იყოს?

— მამაჩემმა, უფლისციხის დიდმა მთავარმა გიღალატა, აზონთან წასულა ორი დღის უკან თაყვანისსაცემად, ამ დილით გავიგე ეს ამბავი.

— აკი შემოთვალა ჯარს გიგზავნიო?! — მწარედ გაეღიმა სამარამ.

— ჯარის ნაწილი გამოგზავნა, ხოლო თვითონ იქ წავიდა, სადაც გითბარი.

— ჩვენი შეკრების ადგილი იცის უფლისციხელმა, ნუთუ გავფიქრავს საბოლოოდ, — ჩაილაპარაკა სამარამ, სასწრაფოდ აირბინა კბილები და ის იყო სასახლეში უნდა შესულიყო, მოაგონდა, უკადრისად მიატოვა უფლისციხელის ასული.

ჩაბრუნდა.

— სასახლეში რომ შესულიყავი, მეტად ცოცხალს ვერც მნახავდი, — ძლივს წარმოსთქვა ქალმა და ჩაიკეცა. სამარამ დაინახა, მისი წამოყენება სცადა და დაინახა, როგორ შეერთდა ცრემლის წვეთები ქალის ნიკაბთან. სათუთად დაუკოცნა ლოყები, ხელში აიყვანა გულწასული ქალი, სწრაფად აირბინა კბილები ძვირფასი ტვირთით და დიდი დედოფლის საცხოვრისისკენ გასწია.

• • •

ლეკა ქურუმის თაგის სენაკში, უახლოეს მეგობრებთან, მესანთლე ბიჩოსთან და ახალგაზრდა, მის მიერვე აღზევებულ ბერძენ სპიანდრესთან განცალკევებულიყო.

ვერცხლის მაღალ სასანთლეში მხოლოდ ერთი სანთელილა ბეუტავდა. თრიაქის კვამლი აღს ეხვეოდა და ირგვლივ მოტბო-მომყავო სუნს აყენებდა.

შუალამე ახლოვდებოდა.

რბილ ტახტზე ნებვირად ვაგორე-
ბული ლეკა აინუნში არ აგდებდა ბი-
ჩოს თხოვნას, — თუ გინდა ხვალ მგზო-
ვრობა შეეძლო, გამიშვი, დავიძინებო.
ლეკას მარტო დარჩენა არც სურდა
და არც შეეძლო, რადგან მის მიერ მო-
კლული ითანე არ ასვენებდა. როგორც
კი მარტო დაიხელთებდა, გამოეცხადე-
ბოდა და წამებით სულს ხდიდა. პირ-
ველად ძველი მეგობარი იმ დამეს ეწ-
ვია, როცა მთავარ ქურუმად აირჩია
ქურუმთა სათათბირომ. შემოვიდა, თა-
ვზე წამოადგა ტახტზე მწოლარეს, უბ-
რძანა — აღეჭი მე უნდა წამოეწვე,
დავიღალეო. მაშინ პირველად გაათია
ღამე იატაკზე, ტახტის წინ განათხმუ-
ლმა და შიშისგან აჯანკალბულმა ლე-
კამ. ამოდ ითხოვდა შენდობას ითანეს-
გან, ითანე დაუნდობელი იყო იმ პირ-
ველ ღამესაც და მერეც. კარგად რომ
დამკვიდრდა ლეკას სენაჟში, ენაც ამო-
იღვა და ისეთ რამეებს ახსენებდა უბე-
დურს, რის დაეიწყებდასაც ცდილობდა.
ერთად ჩადენილ ცოდვებზე ლაპარა-
კობდა, სამლოცველოში შეკრებილი
ერის უმეტრებაზე გულიანად ხარხარე-
ბდა, რა მაგრად ვავაცურეთ სუყვე-
ლო, — ტრახახობდა, მერე ლეკას დას-
ცინოდა, — როგორ კანკალბედი დიდი
ადონის ვაციებულ მკერდზე გულსა-
კიდს რომ ეძებდიო. იმასაც ჰპირდებო-
და, შენს კარვ კაცობაზე დიდ ადონს
მოვახსენებ, როცა ცოდვებს მოვინა-
ნიებ და ქვესცნელიდან გამომშვებს სუ-
ლეთის მეუღეო. ხანდახან საეარქელში
ჩასკუბდებოდა ხახადღებული და თვა-
ლებდაჰყვებოდა, სწორედ ისე, როგორც
საწამლაგის დაღვეის შემდეგ დარჩა.
იყო ასე, სანამ ლეკას გული არ გადა-
ელეოდა, მერე ეტყოდა — ძლიერ მე-
ცოდებოდი, ოფლჩამომდინარე რომ
ფაციფუცობდი ჩემი გვამის გასაბატი-
ოსნებლად, ამოდ რომ ცდილობდი ჩე-
მთვის პირი მოგეკუშა და თითიდან ბე-
ჭედი წაგეძროო. შემეძლო დახმარება,
მაგრამ არ გეხმარებოდიო. განთიადისას
ითანე მიდიოდა, ხოლო შიშისგან ენა-
ჩავარდნილი და დაღლილი ლეკა, ძალ-
ღივით მიეგდებოდა ხოლმე ტახტზე.

არც ლოცვამ, არც ვედრებამ, არც შე-
საწირმა და არც ქურუმთა წინამძღვრო-
ბის ნაბიჯებმა — „ღვთაებამ მიმხმარებო-
რემ როგორ ვაგებდავდი ადამიანის
მოკვდინებასო, — არ უშველა. ქურუ-
მებმა ითანე შეაჩვენეს, ლეკასაც ავა-
ტიეს მისი სიკვდილი, მაგრამ უბედურს
უარესად წაუვიდა საქმე. მის მერე ითა-
ნე ხან ცალთვალა შოდიოდა, ხან ხელ-
ფეხდამტვრეული, ხანაც სისხლჩამო-
დინარე, მოკლედ, ამზარზენი სანახავი
გახდა.

მეტი რა გზა ჰქონდა და გამოსავალი
იმში იბოვა, რომ ღამე დღედ გადაიქ-
ცია. დღის შუქზე ეძინა, ხოლო ღამით,
თრიაქის კვამლში გახვეული, ბიჩოსა
და სპიანდრესთან ერთად ატარებდა
დროს.

ამ ცოტა ხნის წინ ერთი გასართობი
მოიგონა ითანეს ჯიბრზე და ცოტა გუ-
ლზე მოეშვა. — ბიჩოს დიდი ადონის
ხმით ალაპარაკებდა, ითანეს ალანძღვი-
ნებდა, — ურწმუნოს, ქვესცნელის მო-
ციქულს, ქვეყნის დამაქციველს აძახე-
ბინებდა, თვითონ კი, სპიანდრეს გულ-
მკერდზე თავმიდებული, კოტიტა თი-
თებით მის ჯანსად სხეულს ეფერებოდა
და მხოლოდ განთიადისას, როცა თრი-
აქედ და სპიანდრეს სიხლოვეც სასუ-
რველ შედეგს გამოიღებდა, დაითხოვ-
და ბიჩოს, რათა მარტო დარჩენილიყო
ახალგაზრდასთან.

სპიანდრე, იბერიელი ბერძნის შვი-
ლი, ხელმწიფობაში შემჩნეული და
თავის მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მო-
კვეთილი, ბიჩომ მოუყვანა ლეკას. ბი-
ჩოს კი არანაირი ცოდვა არ აკვირვებ-
და, ფულის გულისთვის თავადაც
აღუსრულებდა პატრონს საწამლაგს, მა-
გრამ ლეკას არ აღეკვებდა მესანთლე-
სახიობის გამომხმარო სხეული.

დიდი სარგებელი ნაბა ახალგაზრდა
ბერძენმა ამ მორიგებით, ორ თვეში გა-
მდიდრდა, ძვირფასი სამკაულებით და-
იმშვენა მაჯები და თითები, სახლიც
შეიძინა, უმცროს ქურუმდაც განემ-
წესა. ახლა მშვენიერი ანათას ხელში
ჩაგდებულა დარჩენოდა. ქალი ამრეზით
ეპცეოდა, მაგრამ იმედს როდი ჰკარგა-



ვდა სპიანდრე, ფიქრობდა — ჩემი სიმ-
დიდრე და მდგომარეობა, რომელსაც
სულელი ლეკას წყალობით მივაღწიე,
ამ სურვილსაც ამასრულებინებო.

ამ ღამით კი სპიანდრე ჩვეულებ-
რივზე ხალისიანი იყო, რადგან ხვალი-
ნდელ დღეს მომავალ წარმატებათა სა-
წინდრად მიიჩნევდა. ბუნებით ეშმაკსა
და მოხერხებულს, იმედი ჰქონდა, ბე-
რძენ მხედართმთავარს თავს მოაწონე-
ბდა და ვინ იცის, იქნებ უფრო მეტის-
თვისაც მიეღწია, ვიდრე ლეკას ჰქონ-
და მისთვის გამიზნული. მთავარ ქუ-
რუმს კი, ეს ერთი კვირაა სიმშვიდე
სულ დაჰკარგვოდა, მართლაც, სახიფა-
თო იყო მის მიერ გადასადგმელი ნა-
ბიჯი, — იბერთა დაყოლიება ბერძენ-
თა ბატონობაზე, მერე კი აზონთან
ხლება და მისი შემოყვანა ქვეყანაში.
ძლიერ უჭირდა ამ საქმის მოთავეობა,
ვერც გაბედვდა ალბათ, უფლისციხის
მთავარს რომ არ შემოეთვალა: — შე-
ნი ვალია ხალხს თვალი აუხილო და
უაზრო სისხლისღვრას აარიდო. უფ-
ლისციხელის სურვილის აუსრულებ-
ლობა კი არ იქნებოდა. ლეკას არ და-
ვიწყებია, თუ როგორ დაეხმარა მისი
შორეული ნათესავი საქურუმოს ხელ-
ში ჩაგდებაში. ამიტომაც სამარას ბე-
რძენი აზონი ერჩია, ორივეს ერთად
კი — უფლისციხელი. მაინც ბეწვის
ხილზე გადიოდა ეს გზა, ხოლო ლეკას
არ უყვარდა სახიფათო გზით სიარუ-
ლი, სხვის მიერ ჩადენილი ბოროტე-
ბის დაგვირგვინება და გამოყენება უფ-
რო ეხერხებოდა. მაგრამ რა ექნა, იბე-
რიაში იბერთა ბატონობა მისთვის
ხელსაყრელი, დიხაც, არ გახლდათ.

მეორე დილით მთავარის მთავარი სა-
მლოცველოს ეზოში შეკრებილი ორა-
სამდე მორწმუნე და ლეთაებრი სხვა
სალოცავთა უფროსი ქურუმები ელო-
დებოდნენ ლეკას გამოჩენას.

ლეკა ქურუმში შედროშეთა თანხლე-
ბით გამოვიდა და მისთვის გამზადე-
ბულ ბერძნულ ეტლში დაბრძანდა.
ცოტა ხნის შემდეგ შარაგზაზე ურამე-
ბის ჭრიალი და ეტლის რახარუბი გა-
ისმა. ვირებზე ამხედრებული ქურუ-

მები ეტლს კვალში უდგებოდნენ, ერთ-
მანეთს გზას უჭრიდნენ. ერთ-ერთი
სალოცავის უპირატესობას ეტლის
ბორბლებთან სიხლოვითაც და-
ემტაცებინათ.

შუადღისას გარე ჰერეთის მთავარი
სალოცავი გამოჩნდა. ეტლში თბილად
შეფუთულმა ლეკამ მიდამოს გადახედა
და გაბრაზდა, მორწმუნე ერი გამოფე-
ნილი რომ არ დახვდა სალოცავის ეზო-
ში. ქურუმის ფეხებთან მოკალათებუ-
ლმა ბიჩომ, ეტლის გვერდით მომავალ,
შავ ცხენზე ამხედრებულ სპიანდრეს
გადახედა და შეთქმულივით გაუღიმა,
თითქოს გაახსენდა თავისი წინასწარ-
მეტყველება, — გარე ჰერეთის ქურუ-
მის იმედი ამ საქმეში არ უნდა გვექონ-
დესო.

სალოცავის ქიშკართან რომ შეჩერ-
დნენ, ლეკასთან ჰერეთის ქურუმის
შსახური მოვიდა და მოახსენა: — ჩემი
უფროსი შეუძლოდ გახდა, ციებამ გა-
უხსენა და ბოდიშს გიხდის დაუხვედ-
რელობისთვისო.

ვითომც შეწუხდა ლეკა, — დრო
მაქვს და მოვიწახულებო, — დიდი პა-
ტივი დასდო ჰერეთის უფროს ქუ-
რუმს.

— გუშინ დილით მცხეთელ დასტა-
ქართან წაიყვანეს ქურუმებმაო. —
ცივი წყალი გადაასხა ლეკას სურვილს
და სანამ რაიმეს კვლავ გამოწირავდა
სიმწერისგან გამწვანებული სტუმარი,
ქიშკარიც ჩაყეტა.

ამ სალოცავთან უნდა შეხვედროდა
ლეკას თავგვეისბერიც, მთიელებთან
ერთად, მაგრამ არ ჩანდა. კარგა ხანს
ელოდა, ყური არ უგდო ახლობელთა
ჩჩევსა—ამოდ ვდგევართ, მთიელები
ჩვენთან კი არა, მცხეთას, სამარასთან წა-
ვიდოდნენო. მაინც შუადღემდე არ მოი-
ცვალა ფეხი დათქმული ადგილიდან.
შუადღის მერე, კი როცა მისი ამაღ-
ნელა დაიძრა და მიმყოლები უკვე ღა-
მის გასათევზე და საქმელზე უფრო
სწუხდნენ, ვიდრე საქვეყნო საქმეზე,
გზაზე ხუთი მხედარი გამოჩნდა. ერთ-
ერთში ლეკამ უმაღ შეიცნო კილია, გა-
რე ჰერეთის მდიდარი და მონათა ვა-

ქრობით ცნობილი კაცი. იგი პირველობას აქაურ მთავარსაც ეცილებოდა და ძლიერ სურდა დიდგვაროვნებაში გარევა.

ლუკას გაუღიმა. — გამოსადეგი ხალხი თავად მატულობს, როცა ჩემთვის საჭირო ხდებაო, — გაიფიქრა კმაყოფილმა და ბრძანა: — ლეთებამ მასპინძელი გამოგვიგზავნა, ეს ღამე მის სახლში გავათიოთ და ხვალ დილით გავუდგეთ გზასო.

• • •

უფლისციხელი თავის საზამთრო საბრძანისში გვიან ღამით დაბრუნდა, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ჩანდა. სასახლის გამგებელმა, თადარიგთან და ჰკვიანმა არანმა, იგი მოსასვენებლად ოთახამდე მიაცილა და უკუდგა. შავი თიხით მოპირკეთებულ განიერ ბუხარში უკვე ვიზგიზებდა ცეცხლი, ხოლო დაბალ გრძელ სუფრაზე მთავრის საყვარელი კერძები და წითელი ღვინო იდგა.

უფლისციხელმა არანი თავის მოსასვენებელში შეიყვანა. სასახლის გამგებელმა ბატონს სუფრა მიუჩოჩა და ღვინო მალალ სამისში ჩამოუხსა.

— უფროს ქურუმს მოვკარი თვალი სასახლის ეზოში. ძლიერ იშვიათად მწვევია ხოლმე ასეთი საპატიო სტუმარი შუაღამისას. ხომ არაფერი გასჭირვებია თუ იცი ღვთაების მსახურს? — ღიმილით ჰკითხა უფლისციხელმა.

— სასახლეშიც არ ინება შემობრძანება. რა დროც არ უნდა იყოს უნდა ვნახო, საშური საქმე მაქვს მთავართანო.

— ვიცი მე მაგის საშური საქმე. — გაიციხა უფლისციხელმა, შამო ერისთავის სახლობა განუდგა, გადასახადი და შესაწირი არ მიართვა, არც ღვინო მოუტანა და არც პური. მომავალი გაზაფხულიდან არხსაც გადაუშეკტავთო, დაიჩემა... აბა, რა ეგონა უფროს ქურუმს, განა ჩემი ერთგული ხალხი აპატიებს ვინმეს, სამარასთან კავშირის შეკერას?

— თავისი სამი ვაჟი უკვე გაუგზავ-

ნია სამარასთან, ერთი იქედან მობრუნებულა და თან ახლავს მისი დახარა არანმა.

— სულ მთლად გამოშტერებულა სიბერისგან და დაეწყებია, რომ ყოველ საქმეს ჩემს სამთავროში თავად განვაგებ. იდგეს და მელოდოს... ახლა კი სპასალარს მიხმე.

არანი გავიდა თუ არა, პირისფარეში მოადგა კარებს. სუფრის ალაგება და პატრონის მომსახურება სურდა. უფლისციხელმა სავარძელი მოაწვეინა სუფრასთან და ისიც დაითხოვა.

სხვა დროს თვით სპასალარსაც არ აღიჩნებდა უფლისციხის მთავარი მის წინ დაქდომას, მაგრამ ახლა, როცა აზონთან მტყიცე კავშირი შეკრა და ახლო მომავლის სამოქმედო გეგმაც დასახა, ჯარის უფროსის უყოყმანო ერთგულება ესაჭიროებოდა. დიდი საქმის დროს კი ის მცირე საყენეი, რაც პატივმოყვარე მხედრისთვის თავის გატოლებაში გამოიხატებოდა, დიანაც, არ ენანებოდა.

გოლიათური აღნაგობის ბათენა ძლივს შემოეტია კარებში. ნამძინარევე, წამოწითლებულ სახეზე უბერბულად ჩამოსვა ნიჩაბივით ხელისგული და უფლისციხელის წინ გაიჭია.

— დაქეპი! — სავარძელზე მიუთითა პატრონმა.

ბათენას თვალებში ჯერ გაკვირვების, მერე კი სიხარულის სხივმა გაიპყვილა.

— გავიგე, კლდეკარში ჯარის ნაწილი მიგიყვანია უკვე, იმედია, სამარას მხედართმთავრებმა ვერ შეიტყვეს ნამდვილი მიზეზი...

— ისე მოვასხენე დუდეს, როგორც მიბრძანე. კლდეკარი უნდა გავამაგრო, სწორედ იქედანაა თავდასხმა მოსალოდნელი-მეთქი.

— დაიჭერეს?

— დუდეს არ სურდა დაჭერება, მაგრამ კახეთის გამგებელი წამომეშველა, სწორად გადაუწყვეტია უფლისციხელსო, დაარწმუნა დუდე. ტირიფონის მფლობელი ოთხი დღის მერე გამოეყოფა საომრად შეკრებილთ, მცი-

რე რაზმი დარჩება მათთან, თვალის ასახვევად...

— დილას ციხეში გადაწვევას ხომ არ აპირებენ?

ამგვარად, არ სარსებობს არავითარი საფუძველი არც ძვ. წ. III საუკუნეში ქართული „წიგნი პირველის“ არსებობის უარყოფისათვის, არც აღნიშნული კულტურული ფაქტის მხოლოდ IV-V სს. მიწნაზე გაჩენის მტკიცებისათვის. მარტოდენ ვარაუდების საფუძველზე ქართული ანბანის წარმოშობის დროის პრობლემის (პრობლემისა, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურის და ქართველი ხალხის ისტორიის სწორად გაგებისათვის ძალიან დიდია) გადაწვეება არ მიგვაჩნია მართებულად. და ეს არა მარტო შემოთ მითითებულ მეცნიერულ მოსაზრებათა გამო. ჩვეულებრივ სპეციალისტთა მიერ ამ რიგის ფაქტების საკმარ დასაბუთების გარეშე უარყო მკითხველის წინაშე გამოტანა, როგორც სპასუნხო რეაქციას, იწვევს არაქანსად რადიკალიზმს — საზიანის ერთ კულტურული ცხოვრების ნორმალურად მიმდინარეობისათვის.

P. S. აკად. თ. გამყრელიძის წერილი იწ-

უება ივ. ჭავჭავაძის თვალსაზრისის მოხმობით: „XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ეს ცნობა დიდ კამათს იწვევს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში. მას მაინცდამაინც დიდი რწმენით არ ეციდებოდა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუნდამენტელი და ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფაქტიური შემქმნელი ივ. ჭავჭავაძი და ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნას ლეგენდად მიიჩნევდა“.

ქვემოთ ამას, როგორც ითქვა, მოსდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართული ანბანი ქრისტიანულ ხანაშია შექმნილი. ამის გამო საკმეში ჩაუბედავ მკითხველს, შეიძლება შეეკმნას შთაბეჭდილება, რომ ქართული დამწერლობათმცოდნეობის შემქმნელი მეცნიერი ლეონტი მროველის ცნობას კრიტიკულად ეადე-

ბოდა სწორედ ამ პოზიციებზედ. უნდა ვთქვათ ქრისტიანულ ხანაში შექმნილად ქართული ანბანი. სინამდვილეში ეს ასე არ არის. კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ივ. ჭავჭავაძი აღნიშნული ცნობის ღირებულებას ქართული დამწერლობის „ქრისტეს წინააღმდეგ აღმოჩენად“ წარმოდგენაში ხედავდა, ქართულ დამწერლობას კი წინაქრისტიანულ ხანაში წარმოშობილად თვლიდა. რაც შეეხება ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის საკითხს, აქ იგი სრულიად კატეგორიული იყო: „ეხლა უკვე საკმაოდ გამოჩვეულია, მაგრამ შემდეგში ეს გარემოება უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V საუკუნის დამდეგს შედგენაზე დაბარაჟი გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს“.



მისაკო წერეთელი

ბარათები მეუღლისადმი

გასულ წელს ფურხალ „მნათობში“ (№ 2) გამოქვეყნდა ჩემი წერილი „გიორგი წერეთელი“. ამასთან დაკავშირებით აკად. გ. წერეთლის უმცროსმა დამ ელენე წერეთელმა, რომელიც ექიმი-მიკრობიოლოგია და განაგებს მიკრობიოლოგიის განყოფილებას თბილისის ვაკე-ნებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გამაცნო ოჯახის არქივი. ამ არქივიდან, ქალბატონ ელენეს თანხმობით, შეიძველებს ვთავაზობთ, მცირეოდენი კუპირებით, მისაკო წერეთლის ბარათებს მეუღლისადმი, აგრეთვე კალიგრაფიკ სალიას სამშობრის წერილებს.

წერილებში მოხსენებული პირებია:

მ ა რ ი — მარამ ჩევაზის ასული ვახვახიშვილი — მისაკოს მეუღლე;

ო თ ა რ ა — მისაკოს და მარამის შვილი;

კ ო ნ ა — მისაკოს და, მწერალი ქალი;

გ ო გ ი, თ ი კ ო და ბ ა ბ ო — მისაკოს ძმის შვილები;

გ ო გ ი — აკად. გიორგი წერეთელი;

თ ი კ ო — თინათინ წერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

ბ ა ბ ო — ბარბაღე წერეთელი, ისტორიკოს-ფილოლოგი;

ა ლ ი ო შ ა — პროფ. ალექსანდრე წერეთელი, მისაკოს ბიძაშვილი;

ა კ ა კ ი — აკად. აკაკი შანიძე;

გ რ ი გ ო ლ ი — გრიგოლ როსაქიძე.

ბარათების დედნები ინახება ელენე ვასილის ასულ წერეთლის ოჯახში.

სარგმ დურგინიძე

მიუნხენი, მნ. VI. 1959

ძვირფასო მარო!

მივიღე შენგან გამოგზავნილი წიგნები. გმადლობ გულთ. გთხოვ, თუ შესძლებ, გამომიგზავნე ა. შანიძის მიერ გამოცემული „ძველი ალექმის“ ნაკვეთები („ახალი ალექმა“, „ოთხ-თავი“ მკვს).

ჩემიანებს მოცილობა. შენ ცოცხალი ხარ, მადლობა ღმერთს. გისურვებ კიდე დიდხანს სიცოცხლეს. მეც ცოცხალი ვარ... დაებერდი ძლიერ. 80 წელი მძიმე ტვირთად დამაწვა და სხვა უბედურებამ კიდე უარესად გაძიმწარა მოხუცება...

შენი მისაკო

მეზენი, 25. X 1955

ძვირფასო მარო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2.

შენი ორი წერილი მიდევს წინ და პასუხი რომ უნდა მოგწერო, ვნატრობ, ნეტავ არ გავჩენილიყავ ამ ოხერ ქვეყანაზედ! ხელიც მიყანკალემს, მტყევა, და გულიც მიღონდება. ჩემი ერთად-ერთი იმედი კიდე ის არის, რომ შენ ძლიერი პიროვნება იყავი ყოველთვის და ალბათ ახლაც ასეთი დარჩი. თანაც პატივისცემა ყოველთვის მქონდა შენი, სხვა სიკეთე თუ არა მიქმნია რა შენთვის, და ტყუილს ვერ გაკადრებ, და არც სოფლის დედაკაცი ხარ, რომ სიძარტლე დაგიმალონ, რაც თუ გინდ მწარე იყოს იგი: 1944 წელს ოთარი გაიწვიეს ჭარში. ცოტა ხნის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო და ჭვარი უნდა დაეწერა. მაგრამ მისი ნაწილები მოხვდნენ ბრძოლებში და 1 მარტს 1945 წელს ეს ნაწილები სრულიად დაიღუპა. ჩვენი ერთად-ერთი იმედიც იქ. ეს მოხდა ცეხენდორფსა და ნოიშტეტინის შუა, პომერანიაში, რომელიც ახლა პოლონეთის ეკუთვნის. ჭვარდაუწერელმა მისმა ცოლმა შვა ქალი (რომელსაც შენი სახელი დაეარქვით), მაგრამ ის ამიტომ დედის გვარზედ ჩაწერეს და მეც წამერთვა ყოველი უფლება ჩემ შვილის-შვილზედ. ქალმა ხუთ წელს უცადა ქმარს, სანამ მისი დაღუპვის ამბავს გაეიგებდით, მერე გათხოვდა, აბა რა უნდა ექმნა, სხვანაირად ძალიან გაუჭირდებოდა, ბავში მისმა ქმარმა იშვილა და მისცა მისი გვარი. ასე, მარო წერეთელი ჯერ იყო ვინდი (დედის გვარით) და მერე გახდა რეგენფუს-ად (მამინაცელის გვარით). ბავში დედასთან იზრდება, ახლა 15 წლის არის, ნივთიერად არ უჭირს, კაცი შეძლებულია, აქ, მიუნხენში ცხოვრობენ. მაგრამ ქართული მან არ იცის, აბა ვინ ასწავლიდა! ბავში სკოლაშია დილითგან საღამომდის და მე ერთ ან ორ კვირაში ერთხელ ვხედავ ხოლმე. ისე კი იცის, ვინ არის და სადაური. მაგრამ ეს ხომ არ ემარა. მე კი ერთმა ღვთისნიერმა ოჯახმა შემიფარა. პატივს მცემენ და მივილიან კაცი, მისი ცოლი და ქალიშვილი. შეძლება პატარა პენსია, მაგრამ მყოფნის. თუ ვითამ რაღაც მეცნიერებისათვის მაქვს ინტერესი და ამისთვის გაწუხებ ხოლმე წიგნების თხოვით, ეს მხოლოდ იმიტომ რომ სულ არ გავგეჟდე და საგეჟეთში არ დავლიო სული და არ შევრცხვე.

აი, ჩემო მარო, ჩვენი ბედნი ყოველისფერი მართალი გითხარი, რაც ვერ ვქმენი ათი წლის განმავლობაში. გარდა იმისა რომ მეცოდებოდი, მართალი მეთქვა, ცოტა იმედი მქონდა კიდე, იქნებ ჩემი შვილი დაჭრილი იყოს ტყეობაში თქო, რადგანაც „წითელმა ჭვარმა“ ვერ შემატყობინა, ნახეს თუ არა დასაფლავება ბრძოლაში დაცემულთა და სახელდობრ რომელ ადგილას დასაფლავეს. ახლა კი ეს იმედიც გაქრა და უსაფლაოდაც დამეკარგა ჩემი ერთად-ერთი იმედი.

გოგზავნი მის უკანასკნელ სურათს. დახედე რა სახე აქვს, იყო კაცი უაღრესად პატიოსანი, შრომის მოყვარე, შვენიერი სამსახური მქონდა. ყველას უყვარდა და პატივისცემდა მას, იყო მიღებული აქაურ საუკეთესო არისტოკრატთა საზოგადოებაში, ჰყავდა აუარებელი მეგობარი, ახლა აღარ არის და ვაი ჩემ შავ-ბნელ მოხუცებას და ვაი საცოდავ დედა მისს, რომელსაც მისი უკეთური ქმრის სიგლახაკით არც ოჯახი ჰყოლია და შვილთანაც რამოდენიმე წლის ბედნიერი ცხოვრებაც მოაკლდა.

რალა უნდა გითხრა ბოლოს? რაც ჩვენ უბედურება დაგვატყდა თავს, იგივე ეწია მილიონობით სხვებსაც იმ საშინელი ომის დროს. ჩვენთვის ეს

ნუგეში არ არის, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არც ერთს არ დაგვრჩენია, და არ ვიცი შენ როგორ გაატარებ უკანასკნელ დღეებს, გისურვებ მშვენიერად, რომ მაგრად შეხვედროდე მწარე ბედს. მე კი ღმერთს მხოლოდ იმას ვთხოვრები, რომ მალე მიიბაროს ჩემი სული.

მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

ჩემთვის გამოსაგზავნი წიგნებისათვის ნულარავის შეაწუხებ.

შენი მიხაკო

მაინხენი, 25. V. 1960

3

მივიღე შენი წერილი, მარო, და გმადლობ გულით გამომხმარებებისათვის. კარგად არც მე ვარ, ხელები მეც მიკანკალებს, ძლივს ვწერ, და გული არც მე მაქვს არაფრისათვის. — მართალია, ჩვენთვის ყველაფერი გათავდა, ვინ ვის უნდა ვუთხრათ ნუგეში, ან და რალა გვაქვს სანუგეშო! თუ სულ არ მისცემ თავს მწუხარებას და ნების-ყოფას გამოიჩენ, ლოგინად არ ჩავარდები, დარწმუნებული ვარ. ჩემი შვილის-შვილი მარო კარგი გოგოა, მაგრამ ნამდვილი გერმანელი, თუმცა დედა მისი უხსნის, ვინ არის, და მამისაგან დახატოვარ ყოველივე ნივთს უნახავს. სანოვაგე ამას შენზედ მეტი აქვს, ხოლო რასაც დაეტოვებ, შეინახე მისთვის. თავის დროზედ მიიღებს. — მე შეგონა, ჩემი ბიბლიოთეკა შენ თავითგანვე უნივერსიტეტს გადაეცო. თურმე შეხთან ყოფილა. მე ეგ ბიბლიოთეკა არასოდეს დამკირდება. ჩემი დღეებიც დათვლილია. ამიტომ გთხოვ, იგი მთლად უნივერსიტეტს შესწირე ჩემ მაგივრად. თუ ესეც არ მიიღონ, დაიბარე გოგია და ალიოშა და მათ გაანაწილონ ასე: ასირიოლოგიური დარგის წიგნები გოგიას, ისტორიული დარგისა ალიოშას, იურიდიული დარგისა თიკოს, და რაც სხვა არის ბაბოს, მისი სპეციალობის მიხედვით. ძალიან გთხოვ ეს ქნა. ეს არის ჩემი მკირე ანდერძი. — ცხრუკვეთის ასე გაჩანაგებამ ღრმად შემაწუხა: ძნელია მოსმენა იმ ბუღის განადგურებისა, სადაც კაცი დაბადებულა და გაზრდილა. ეჰ, სხვა რა მომავო ბედმა უკეთესი: „იყავნ ნება შენი, უფალო!“... ალიოშას გადაეცო გულითადი მოკითხვა ჩემი, ჩემი ღრმა სიხარული, რომ მშვიდობით დაბრუნებულა სამშობლოში და ჩემი დიდი მადლობა, რომ ხშირად მოგხედავენ ხოლმე. მადლობა ღმერთს, კიდე დარჩენილა თესლი შენი ერთ დროს დიდი და სავსე შესანიშნავი ოჯახისა. წადი ხოლმე თელავში. ცოტად სულს მაინც მოიბრუნებ. სულ მარტობობაც არ ვარგა, გაგიყდება კაცი და სირცხვილია.

მომოკითხე ყველანი სიყვარულით, ვისაც ვახსოვარ, შენიანები და ჩემიანები. თუ შესძლო, შენც მალე მომწერე.

მიხაკო

მაინხენი, 2. I. 1961

4

მარო, მივიღე შენი წერილი, გმადლობ. პასუხი დაგიგვიანე, რათგახაც კარგად არ ვარ. ხელიც აღარ მერჩის, წერა მიძნელდება. სექტემბერშიც მოგწერე წერილი, არ ვიცი მიიღე თუ არა, შენ არას იწერები.

ჩემი ბიბლიოთეკის გოგისათვის გადაცემა ნუ გაწუხებს. ის კარგად მოიხმარს, სხვა მეცნიერებიც. და მეც ტყვილად არ მიშრომია მისი შეძებისათვის. ესეც ქვეყნის სამსახურია. სხვა კი აბა რა უნდა გითხრა, შე საცოდავო, ბედმა ფაგვიგარა, დაგვამხო და სამარის კარამდე გლოვა და მწუხარება არ

მოგვეშლება. რა ვუყოთ, ათასობით და ათი-ათასობით სხვებსაც ასეთი ბერი
ეწერას!

ერეკლემუსი

აკაკის და გოგიას მივულოცავ გამარჯვებას: დიდი საქმე ჰგაბეგებენ, მარტინ-
თველის წამდელი სურათის პოვნა მცირე საქმე არ არის!

გამეხარდა აგრეთვე საწყალი გრიგოლ წერეთლის რეაბილიტაცია.

ხოლო საშინლად მატყინა გული საწყალი გერონტი ქიქოძის გარდაცვა-
ლებამ. თუ ნახო უბედური ტასო, გადაეცი ჩემი სამძიმარი უზომო გულის-
ტკივილით.

მომიკითხე შენიანები და ჩემიანებიც. ალიოშას განსაკუთრებული მოკით-
ხვა და მადლობა, რომ ხანდახან მოგხედავს ხოლმე. როდესაც მოვიდეს, კითხე
ჩემგან, ვინ-ღა დარჩა ჩვენი გვართგან (მოძღვრის-შვილებითგან), თუ სულ
ამოვწყდით და გადავშენდით?

მომწერე მალე, თუ შესძელ.

მიხაკო

მიუნხენი, 20. II. 1961

5

მარო,

მივიღე შენი წერილი და შენგან გამოგზავნილი გოგიას წიგნი და გაზე-
თები. გმადლობ. ძლივს გწერ ამ წერილს, და გვიანაც, რათგანაც აღარც ხე-
ლი მერჩის და აღარც თავი. შენ კიდე კითხვის უნარი და ხალისი მაინც შეგ-
რჩენია, ეს დიდი ნუგეშია. მე კი ცოტა ხნის შემდეგ აღბათ ამასაც დავ-
კარგავ. — აქ მე ჭერ კიდე ცოცხალი ვარ. გარდაიცვალა ამერიკაში ირაკლი
წერეთელი, ელიკოს ძმა (თვით ელიკო დიდი ხანია რაც უბედურად დაიღუ-
პა, საბარგო ეტლმა გადაუარა პარიზში). ამას წინათ გარდაიცვალა პარიზში
გიორგი წერეთელი, რომლის ცოლი თუ ნაცოლარი, თამარ თაქთაქიშვილის
ასული, მანდ უნდა იყოს, კიდე ერთი წერეთელი, კირილე, გარდაიცვალა
წინათ ნიცაში. აღბათ ამის გამო გააერცვლეს ჩემი გარდაცვალების ხმა.
შენც კარგად ვითქვამს: რა გამაჩნია, რომ შემკვიდრებებს გადავცე, გარდა რა-
მოდენიმე წიგნისა და ვაებისა. დავიღალე, აღარ შემძლია!..

თიკოს უთხარი — ბიძის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, აღწეროს მამა-
მისის, ჩემი ძმის ვასილის მოღვაწეობა. ის უსამართლოდ არის დავიწყებული.
თავის დროზედ კი ის ყველაზედ უფრო ნიჭიერი და მცოდნე პუბლიცისტი
იყო. სხვები მას ვერ შეედრებოდენ. მე კი მემუარები აქამდე უნდა დამე-
წერა და ვერ მოვახერხე. ახლა კი გვიან არის, აღარ მერჩის აღარც კალაში
და აღარც სხვა რამ ძალა.

ძალიან მადლობელი ვარ ჩემიანების, რომ შენ მოგხედე ხოლმე. ყვე-
ლას სიყვარულით მოკითხვა გადაეცი, და ყველას შენიანებსაც.

მოგიკითხა გულით პელო გეგელაშვილმა. ქმარი დიდი ხანია გარდაე-
ვალა. დარჩა სამი ქალიშვილი, რრი სიძე (ერთი ომში დაიღუპა) და ხუთი
შვილის შვილი, — ოთხი ბიჭი და ერთი ქალი. სიძეები (გერმანელები) შესა-
ნიშნავი კაცებია, ერთობ დიდ პატივს-სცემენ და პატრონობენ. კარგად არის
პელო.

თუ შესძლო, მალე მომწერე. ვინ იცის, იქნებ ეს წერილი ჩემი უკანასკ-
ნელიც იყოს, ისე ვარ.

ერთადერთი ჩემი სიამაყე და სიხარული კიდე ის არის, რომ გოგია დიდი
მეცნიერი გახდა. კიდე გამოიგზავნე მისი გამოკვლევანი, თუ იშოვნა.

მიხაკო

მიუნხენი, 12. IV. 1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6

მარო,

მეც დაგიგვიანე წერილი, რადგანაც მეც სწორედ იმ მდგომარეობაში ვარ როგორშიც შენ, და ხელი აღარც მე მერჩის, ძლივს ვწერ. ძალიანაც დავილაღე... სხვა, შენი მტერი არ იყოს, ჩვენ ველარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს! და თუ ჩემი სიკვდილის ამბავი გაიგონო, იცოდე, გაგებარდეს, რათგანაც აუწერელი ტანჯვისაგან ვიქმნები განთავისუფლებული.

თუცო და გოგია თუ ნახო, გადაეცი ჩემი სიყვარულით მოკითხვა და ყველაფერი, რასაც გწერდი წინა წერილში.

მოვიღე შენგან გამოგზავნილი „საბჭოთა ხელოვნება“ და „მნათობი“ც. გმადლობ გულით. ბევრი რამ იყო შიგ საინტერესო, ძალიან გთხოვ, იქხედი იშვოვ და გამომიგზავნე აკაკი შანიძის მიერ გამოცემული „ფსალმუნი“.

ირაკლი წერეთლის გარდაცვალება მეც მეწყინა. მართლა ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უცნაური: დიდი ხნითგან ქართველებს სულ აღარ ეკარებოდა, უცხოელებში იყო და მათაც დამარხეს ამერიკაში.

პელოს როდესაც ვნახავ, გადავცემ შენ მოკითხვას, გაგებარდება.

აქ უკვე გაზაფხულდა და გაზაფხულის ჰაერმა კიდე უფრო მომადუნა. სულ მძინავს და გაბრუებული ვარ, როდესაც ავდგები, სულ თავბრუს შევხვევა. და ისევ უნდა დავწვე ხოლმე.

იყავ კარგად და მომიკითხე სიყვარულით შენიანები და ჩემიანები ყველა. როდესაც შესძლო, მოიწერე.

მიხაკო

მიუნხენი, 26. VI. 1961

7

მარო, პასუხი დაგიგვიანე, მძიმედ ვიყავ ავად და დიდ-ხანს, ძლივს გადამარჩინა ორმა ქართველმა ექიმმა სიკვდილს, მაგრამ ველარ გამოვკეთდი და, როგორც ვგრძნობ, ველარც გამოვკეთდები ვერასოდეს. მაგრამ შენც არ ხარ დაღბნიებული და ესეც მტანჯავს. ძალიან მომიარა მთელმა ოჯახმა პახელბეკისა: კაცმა, მისმა ცოლმა და ქალიშვილმა. ღმერთი თუ გადაუხდის სამაგიეროს, თვარა მე რა შემიძლია.

პელო შენი ამხანაგია, დარბაზში რომ იჯექით ერთად, გეგელაშვილის ცოლი. არა თამარ გოგოლაშვილი. ეს უკანასკნელი აკაკი პაპავას ცოლია და ცხოვრობს არგენტინაში, სამხრეთ ამერიკაში.

ყველას დიდი მოკითხვა ჩემ მაგიერ და კეთილი სურვილი. თუ გამოვიდა მეორე (და შეიძლება მესამე) ნაკვეთი წიგნისა: „ვეფხვის ტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ გამომიგზავნე როგორმე, ძალიან მჭირდება.

სხვას ვერაფერს გწერ, ამასაც ძლივს ვჯღაბნი, რაც მოგწერე. შენ მოიწერე. მიხაკო.

მიუნხენი, 12. III. 1962

8

მარო,

ძლივს გწერ ამ წერილს, რომ შეგატყობინო რომ ცოცხალი ვარ. შენი ამბავი კი არა ვიცი რა, როგორ ხარ, შენ საცოდავო.

ოპერაცია გამიყეთა ცნობილმა ქირურგმა, ამასთანავე შესანიშნავმა პიროვნებამ. ამასთანავე ღვთის კაცი არ მინახავს არსად და არასოდეს ჩემს სიცოცხლეში. მერმე ჩვენმა ქართველმა ექიმებმა არ დაზოგეს არაფერი რომ

ემველათ და ბოლოს სახლის პატრონები ჰაზელბეკი და მისი ცოლშვილი თან გადამყვენ პირდაპირ და ახლაც მივილიან ძალიან დასუსტებულ მისი-თქმის უძლურს.

„ფსალმუნი“ და ყველაფერი, რაც გამომიგზავნე, დიდი ხანია რაც მივიღე.

ეს არის ჩემი ამბავი. შენც შემატყობინე შენი ამბავი.

მისაკო

მიუნხენი, 20. VII. 1962

მარო,

მარო,

მივიღე შენი წერილი. ძალიან შემაწუხა შენმა ამბებმა. ლაფი დავისხი იმ ადამიანს, რომელიც 87 წლის მოხუც ქალს შტრობს და მის სიკვდილს ელის თავის სასარგებლოდ, მაგრამ გამაგრდი და ნუ დააჩაგვრინებ თავს ნურავის. და მათაც სამართალი სამაგიეროს შიავებს. არც ისეა ქვეყანა მოწყობილი, რომ მართო ბოროტება მეფობდეს!

თუ გირჩევნია, წადი თელავში, შენიანებთან. მართალი ხარ, თუ ვისთანმე დაახლოვებული არ ხარ, ძნელია მასთან ერთად ყოფნა. ყოველ შემთხვევაში მადლობელი ვარ გოგიასი, რომ დაგპატრეა.

თიკო თუ ნახო, დიდი მადლობა გადაეცი ჩემ მაგიერ ჩემი ძმის ვასილის, მამა მისის ბიოგრაფიის დაწერისათვის. უთხარი კიდე, მამიდა კობას ნუ დაივიწყებს. ის განსაკუთრებული ნიჭისა და ხასიათის ადამიანი იყო.

თუ „ვისრამიანს“ გამომიგზავნი, ძლიერ მადლობელი ვიქნები. ექიმების ისტორია კი არ მაინტერესებს.

კორნელი კეკელიძის სიკვდილი აქაც ძალიან გვეწყინა, რას ვიზამთ. ისიც ღრმა მოხუცი იყო, მაგრამ კვალი დასტოვა დაუვიწყარი. ესეც კარგია. საყოდავი დათას სიძე მიქელაძე, ნევაში რომ დაიღუპა, თვითონაც შესანიშნავი პიროვნება იყო და დიდებული მამის, სოლომონ მიქელაძის შვილი, ღრმად განათლებულისა და უაღრესად პატიოსანი კაცისა.

მომწერე მალე, ნუ დამაგდებ უამბოდ. არც მე ვარ კარგად.

მომიკითხე ყველანი.

მისაკო

მიუნხენი, 4. X. 1926

10

მარო,

პასუხი შენ წერილზედ მეც დაგიგვიანე. მიზეზი ჩემი ცუდად ყოფნაა: სიბერე ძალიან მომერია, ლოგინად ჭერ არ ვარ ჩავარდნილი, მაგრამ გარეთ ვერ გავდივარ, ეს ორი წელიწადია მიწაზედ ფეხი არ დამიდგამს, ოთახში ვარ გამომწყვდეული.

ახალი შთაბეჭდილებები არ მაქვს, სულ ძველი მოგონებებით ვცხოვრობ და კარგი არაფერი მაქვს მოსაგონარი. ვერც დედას, ვერც დამძახს, ვერც შენ, ვერც ჩემ შვილს ვერაფრით ვასიამოვნე, არამედ ბევრი ვაწყენინე. ეს არის ჩემი ჭოჭოხეთი აქ, იქ კი რა იქმნება არ ვიცი. — აი ჩემი ამბავი.

დათა ვაჩნაძის ქალიშვილებს გადაეცი, რომ დათას აქ არაფერი დაკლებია, ცოლი პატიოსანი ქალი ჰყავდა და არც ლარიბი. გერმანელი ქალია, რაინის ქვეყანაში აქვს მამული და სახლი. ამ წლის ბოლოს იქ გადასახლდება აქეთგან და დათას ფერფლსაც იქ დაასვენებს. შვილი მასთან არ ყოლია.

გმადლობ შენიანების ამბის შეტყობინებისათვის. მადლობა, *გერტრუდის* ცოტა ხნით რომ მაინც დაგესვენა გოგისთან, კარგი იქნებოდა მისი მიულოცე ქალიშვილის გათხოვება.

გთხოვ აგრეთვე ალექსანდრე ნეიმანს გადასცე ჩემი უღრმესი მადლობა მისი შეენიერი წიგნის გამოგზავნისათვის. მე თვითონ მინდოდა მიმეწერა, მაგრამ ვერ გავებედე.

მომიკითხე ყველანი, აგრეთვე ალიოშა, როდესაც დაბრუნდეს. მომიტყვი, ცუდად ვწერ. ხელი მიკანკალებს.

მიხაკო

მონენი, 12 IX. 1968

11

მარო, მივიღე შენი წერილი, წიგნებიც ყველა, რაც გამომიგზავნე. გმადლობ.

მომიტყვე, რომ ამდენ ხანს არაფერი მომიწერია. არ ვარ კარგად. წელი მომწყდა, მუხლებიც, სიარული აღარ შემძლია. უმეტესად ვწევარ. ეს შესაძლებელია, მიწაზედ ფეხი რაც არ დამიდგამს, ოთახებშიაც სიარული უჭიბოდ აღარ შემძლია.

მიხარია რომ შენიანები და ჩემიანებიც კარგად არიან. ყველას გულითადი მოკითხვა ჩემგან.

ერთმანეთის სიცოცხლე ყველას იმედს გვაძლევს. ეს ნუ გიკვირს, ბუნებრივი მოვლენაა. მოვკვდებით და ამით ყველაფერი თავდება!

იყავ კარგად და კიდე მალე მოიწერე, გამეხარდება.

მიხაკო

7. III. 1966

ღრმად პატივცემული ქალბატონო პარიამ.

ჩემს თავს ნება მივეცი თქვენ სახელზე გამოემგზავნა ცნობა პროფ. მიხეილ წერეთლის გარდაცვალებისა ქქ. პპ. ბაბო და თინა წერეთლებისთვის გადასაცემად. გუშინ დაესაფლავეთ (დაწვეით) ჩვენი საყვარელი მიხაკო. მე ბედმა მარგუნა მისი შვილის ადგილი — ვიყავი მისი ანდერძის შემსრულებელი. კრემატორიუმში დიდძალი საზოგადოება მოვიდა. გამოთხოვება ლამაზად მოხდა. ხელმძღვანელობდა თქვენი ძმა, ჩემი მეგობარი ნიკო. ანდერძის მიხედვით სიტყვები არ იყო, მხოლოდ ნიკომ მოკლე ბიოგრაფია გააცნო დამსწრეთ განსვენებულისა. სამძიმარი მივიღეთ ჩვენ ოთხმა: მიხაკოს შვილს შვილმა, ნიკომ, ალ. ნიკურაძემ და მე. ფერფლი დროებით მიუნხენში დარჩება. ორი წლის წინათ მიხაკომ სთხოვა ჩემ ცოლს — მისი ფერფლის საქართველოში გადაგზავნა — თუ მანდედან ნებართვა მივიღეთ, ჩვენ შევასრულებთ მიხაკოს თხოვნას.

ორი დიდი მოხუცე გვყავდა: გრიგოლი და მიხაკო, ორივემ დაგეტოვა. დაობლებულად ვგრძნობთ თავს. მიხაკოს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ ყველაზედ უფრო უყვარდით მე და თქვენი ძმა. ნიკომ დაიმსახურა დიდი მოხუცის ასეთი სიყვარული. ძალიან ყოჩაღობს თქვენი ძმა. ჩვენ ერთად ვართ საქ-დან "წამოსული" — მხოლოდ მე პარიზში დავსახლდი და ნიკო გერმანიაში დარჩა.

გთხოვთ გადასცეთ ეს ცნობები მიხაკოს ნათესაებს.

ანდერძის თანახმად მთელი არქივი მიხაკოსი ხეალ მიმაქვს პარიზში. ასირიოლოგიური წიგნები და ნაწერები პ. გიოგრის უანდერძა, ქართული ხაწერები მე. წიგნები ბევრი არ ჰქონდა. რაც იყო უცხო ენებზე, მისი სურ-

ვილის თანახმად. გვეუწაწილე ოთარის ქალიშვილსა და მიხაკოს დედასა და მის გოგოს. ხოლო მიხაკოს საქორწილო ბეჭედი გადავიცემა მისი დედასა და მის ვილს, ასეთი იყო დიდი მოხუცის სურვილი. თეთრეულობა დავეტოვე მის დიასახლისს. ე. ი. ყველაფერი ისე შევასრულე, როგორც ანდერძში იყო.

მალე გამოვეცემ ქართულ ნომერს მიხაკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ — სექტემბერში კი უცხო ენებზე გამოვა მიხაკოს ნეკროლოგით პირველ გვერდზე. თქვენ ალბათ იცნობთ ჩემს ეურხალს.

სრძანდებოდეთ კარგად.

გეამბორებით ხელზე

მარად თქვენი პატივისმცემელი

ვალე სალია

P. s. გთხოვთ ბ. გიორგი წერეთელსაც აცნობოთ ზემოხსენებული ამბავი. დეპეშა გვეუგზავნე პარიზიდან როგორც კი მაცნობეს გარდაცვალება.

გარდაიცვალა 2 მარტს ღამის 00-10 წუთზე.

უტანჯველად კლინიკაში.

ხვალ ვბრუნდები პარიზში...



გაზა სიღაშელი

საბჭოთა არმიის ოფიცრის ჩანაწერები

მრისხანე წალიწაღი

წუთუ საჭირო იყო კიდევ ერთი მძლავრი შეძახილი.

— ადამიანი, ადამიანობა, რომ ადამიანებს ადამიანი ხსომებოდათ, და თუ დაავიწყდათ, ანდა გამოჩნდა მზედველობიდან, გახსენებოდათ. არა, იმ მრისხანე სისხლიან წელს ადამიანები არ დავიწყებიათ, დაავიწყდათ, რომ ისინი ადამიანები იყვნენ. ადამიანები იყვნენ ისინიც, ვინც სდევნიდა და კიდევ უფრო მეტად ისინი, ვისაც სდევნიდნენ. დაავიწყდათ სიუყარული ადამიანებისა, თანაგრძნობა და თანაღმობა მათი ბედის გამო.

ჩემი ცხოვრება კი ისე აეწყო, რომ სიუყარული გაცნობის უკვედღის სდევდა თანაღმობა, სიუყარულის გაცნობა არ არსებობდა თანაღმობის გარეშე და თანაღმობა თავად შეიკავდა სიუყარულს; ჩემი ცხოვრება საცხეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც უკვედღის თანაღმობას იწყებდნენ და „ჩემს სამყაროში“ ისინი შეადგენენ დად უმრავლესობას.

როგორც ცოცხალი წარმოსდგა ჩემს ცნობიერებაში მძალი, გამხდარი, ჭიშინი გარეგანობის პირიგება, კებიანი ცხვირით და დიდი ცისფერი თვალებით, და ებლაც ცოცხლად შედრის ხავერდოვანი ბარატონით წარმოთქმული სტრაქონები:

Гнев, богиня, воспой Ахиллеса, Пелеева сына!

ანტაქური ფილოლოგიის უდიდესი სპეციალისტი, მსოფლიოში სახელმწიფოებელი მეცნიერი, ლიტერატურის საოცრად გრუდირებული და ნატატივი გაცნობის მკვლევარი: „ლიადა და ოდისეა“... როგორც ორი მხატვრულად დამთავრებული ტაძარი დაფარულია ღვთაებრივი არქაულობის ფენით“. მათი „სიმშვენიერე კემშარტად განსუსაზღვრელია. სიმშვენიერენი,

როგორც ტალღები მისდევენ ერთი-მეორეს, თვითუღისათვის დამახასიათებელი სამკაულში და შეადგენენ ერთ უტყნობ სიღაშეს, როგორც ღვთაებრივ ღვთაებრივად დაჰყვით დრო, ღვთაებრივად დასწული საუკუნეები და ღვთაებრივად ჩვენი სიღაშისადმი საზოგადოდ გულგრილი ხანა“.

და აი ამ მეცნიერის — გრიგოლ წერეთლის შეფასება მის თანამედროვე კრიტიკაში: „ვერადერი ვერ დაარწმუნებს ამ რელიგიოტანიოზმამულ ხუცესს, რომ მეცნიერებამ უკვე დიდი ხანა განადგურა ყველა ღმერთები, ღვთაებრივი სიღაშეები, ხუცისი იმერებს სახმოდებულ აზრებს და მგონია, რომ მეცნიერულ კვლევაძიებას აწარმოებს“. ეს „ხუცისი“ — „არავითარ ორიგინალიობას არ იჩენს. ის ფაშისტური ესთეტიკის მიმდევარია“.

აი, რუსთაველის პროსპექტზე მომავალი, მრგვალი სახის მამაკაცი, ჩამოშვებული ხალათით, შუბლზე ჩამოყრილი თმებით და მკერდზე წითელი მისხაიო, აუცილებლად წითელი მისხაიო, რომლის გარეშე ის არცერთ თბილისელს არახოდებს არ უნახავს. უნახვის ხუცის პოეტი და მის მიერ მწვეველ განცდილი თვითმკვედილობა ესენინისა —

გაუბედნავი კვიცი იყავი და სისხლიანი როგორც წალთარ, დარჩები ლექსში გაურთავი, ცოლფა ამ ლექსს საფლავში გატან.

და იქვე — წინასწარმეტყველური, საბედისწერო სტრაქონები საკუთარ თავსა და მომავალზე:

არ გამოცდილია ხომ პოეზია — მუშები ცისკრის კარებს ადებენ, მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩავგაძლდებენ.

რას ხედავს მის პოეზიაში მისი თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკისი? — „პრობლემა“.



რელი რევოლუციისაგან განადგურებულ იდე-
ურ მისწრაფებებს". „სიმბოლიკურ, დაყვ-
ილობის გამოხატვით მოტივებს", „თეოლოგ-
იკობისა და ლოთობის კულტის" გამოფრ-
ხება და გაფართოებას „სამკითხველ ცხოვრების
პირობებში".

მოკონტებს მოკონტებს მოსდევს, ფაქტ-
ბი ფაქტებს. ვეღარ ვაყილებ წითელი მიხაკის
ზანახას, და მადალი პოეტური ელერაქიონის
სტრატეგიებს:

გარჩენილი ვერ ქვებზე კლამბი
და მხედრი მიქს ლეფერები,
შემართულია ფეხზე ჩამხობი
და უკიდობლოთ ვერ გაფურჩბები.

ვეღარ ვაყილებ მოკონტებს ამ ლექსის და-
წერლიდან ათი წლის შემდეგ გამოძიების
ოთახში დღევანე „გარჩენილ" პოეტზე, „ახე-
რული" კონტებით და დაფიქრებია სულთ, რ-
დენაყ მისი „უსაკვდილოთ ვერ გაღარჩენის"
წუთები კომპარულ რეალობად დადგა.

მიხედ ქავახშვილი...

„მართალი ახდულამ!" 1928 წელს გამოქვე-
ყნდა მამინ მას „უბრალო ახდულამ" ერქვა და
უფრო ზუსტად გამოხატავდა მოთხრობის ში-
ნარსსაც, მიზანსაც და ეთიკურ საფუძვლასაც.
სობრალიოლი ახდულამ — უბრალო ადამიანი
ეყო, არავის მიმართ არავითარი ბრალი არ მი-
ძღვრულა და ამაშია ტრაგედიაში მივილი სიმ-
წიკვა.

დიდსან ვეღარ ვაყილებდი ამ სულითა და
სხეულით ახოვან ეყვაცოს სახეს, —

— ქალამ ვა ბობ... ღმერთიანი შე ბრალიანი
არა ვარ, ღმერთიანი, ახდულამ არაფერი ვი-
სი თუ ბობ, ნეტ! მია ნეტ!

სამართალიდან დახრუნველი, პატივობა
მისწილი ახდულამ სასწრაფეთილი ბორგავდა.

— ათი წელიწადი გაუთავებელი და გულდა-
მღევი ათი წელიწადი ვინ შეინახავს მის ცოდ-
შვალს? ვინ მოუვლის საქონელს? ვინ მოუ-
ნავს მინდვრებს?

ფანტა მისი ბუდე, დაიღუპა უბრალო ქა-
რამი დაიღუპა მისი ახლავარდობა.

ახდულამ სამკამბროს მებრეუ სართულზე
აქრა ფანტარზე ახოზღა, ჩინის მოაქარს
მოვიდა და შენჭრდა. თავისი სოფლის გზას
გახედა, რამელედაც მის ცოდ-შვილს ურმით
უნდა გაეყო. ფანტარს მოაქარში ხელი გამ-
ეო. ზედაბოლო აფრიალა და მღაჟარი ხში
ეყარიალა დაეყო.

— ახდულამ სამართალს ვერ მიადწია, სასო-
წარკვეთილებამ მოიფეა, პატივობიდან გაიპ-
რა. დეკარტული დედა, ცოლი და შვილი მო-
გინდა, და მისი ცილისმწამებლის იჯახი აპო-
წიკვა.

— ახდულამ ხუთი კახი მოქლა, ხუთი —
და ახდულამ „ხუთი სისხლიანი თითი წითელი

კელაპტრებივით აფშაკა!"
ეს მოთხრობა ისეთივე წინასწარმეტყველური
აღმონდა, როგორც ტაცუნა და სხვა მოტივ-
ვები, ესენინის თეოლოგიკობის გამო დაწე-
რილ ლექსში.

გაიარა თორმეტმა წელიწადმა, და მიხეილ
ქავახშვილის მხატვრული გმირის, უბრალო ახ-
დულამ ამაზე, მისი უდანაშაული და უ-ბრა-
ლო ავტორის, XX ს-ის ქართული პროზის
ბრწყინვალე წარმომადგენლის თავს დატრია-
ლდა. იღონდა სხვა დრო და სხვა პირობები
ეყო. ერთი შენიობს რეაქციული მტლავით
გასრული, ის ვეღარც გაქცევის მოახერხებდა
და ვეღარც ფანტარს რაფაზე ასვლას, თავისი
ქვენიისათვის რომ კადეც ერახელ გადაეხედა.
პაოლო იაშვილი —

როგორც აფრის ტაცუნა,
მოგარდნილი ზღვიდან,
ისეთი ეყვაცური
გაქროლება მინდა!

თავისი უდანაშაული „დაეცაეური გაქროლე-
ბით", როდესაც შუბლზე სანადირო თოფის
ლულა მიიღო და ჩამახს თითი ჩამოქცა!
და აქაც აღმართიდელო ლატერატურული
კრიტიკა: „მწერალია ეკვირში მოკლავებუ-
ლი ხალხის მტრები ახლავარდა მწერლების
აღზრდის დაგვიც ეწეოდენ მკენებლურ მუ-
შაობას... ეწეოდენ უკვლად საზოგადო მუც-
ხობას და გარყვნილი ჩვევების დანერგვი-
ძის უთხრიდენ ახლავარდა კადრების აღზ-
რდის საქმეს". მაგრამ, — შენიობს ამ სტრი-
ქონების ავტორი — „ეს ნაძირალები" „უკვე
გამომღვანელებული" (ოვლისხმება დასტრე-
ტილი) არიან.

ფიქრები ააშაუნენ და ადარ სტრებიან.
ადამიანები, ადამიანები, ცნობილი და უც-
ნობნი, უცნობნი და მიანც ადამიანები და ძა-
ლიან სწორად ცნობილ ადამიანებზე უფრო მე-
ტად ადამიანები.

„სული კაილით მივირავს!"

...ფრონტზე მიმავალი მატარებელი რომ თბი-
ლისს სადგურზე ჩამოღდა, დამის მ საათი
ეყო. ქალაქი ჩამწელებულია, მაგრამ დალის
მოყვანა სადგურში მაინც მოახერხებს. თბილი
ლოგინიდან წამოყვებილები, თბილი ჩაცმული
და ქრ კადეც თბილი — ხელში მიჭირავს და
არავის, გარდა თვით დალისა, რომელიც ქრ
კადეც არ ფაქრობს ცხოვრების დუსტიკ კით-
ხვებზე, არ გვეპარება ეჭვი, რომ ეს ჩემი უკა-
ნასწენელი შეხვედრამა შელითან. ადრე თუ გვი-
ან იქამო მიიღებს პატარა, მოკლე ცნობას სო-
კვლილის, ან „უკვლად დეკარტის" შესახებ.
...ტბლა, აქ, მისიკატალი უკვეღნარად

ვსდილობ ეს ფიქრები თავიდან მოცივილო. არაა აქ მათი ადგილი, არაა საჭირო მათზე ფიქრი. აქ კი, მატარებელში, ფრონტის მიმართულებით მგზავრობის დროს, ვერ ვიპოვებდი სისხლზე ფიქრს, ვერს აქ მისიხანე წლის და ვერს მომავალ, სულ უსაღიერ სისხლის ღვრაზე და თითქოს ჩემში ვიღაც იყო აქანებული.

— არა, მე კაცს ვერ მოკვლავ. ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელი. ეს რადიც საოცარი, შინაგანი ბუნების ხმაა, შინაგანი არსების და არა გარეული შემოსული შეგნება. თითქოს შეუძლებელი შეგნებაა, შემუშავებული, უკეთ თანდაყოლილი და ჩემში არსებული ბევრად ადრე, ვიდრე კანტს, ფრანგ განმანათლებლებს და სახარებას წავიკითხავდა.

მატარებლის სარკმლიდან გაუთავებელ ტრამალებს ვუყურებ. ვუყურებ, და ტვინს ეს ფიქრები მიხვრეტს. ვის ეტყუა, ვის გაუმხელ, ვის გაუზიარებ ამ ჩვენს პირობებში ყოვლად უჩვეულო, საოცრად გაუგონარ ფიქრებს. თითქმის ნახევარი წელიწადია ფარაჯა გაცვია, იმისათვის გამოადებენ რომ სიცოცხლე უწყველად, წარბეუბრებლად ზოცო ადამიანები და რცა ამის დრო ახლოდება, ზვალ-ზეგ, უსაღიერად დღეებში რომ მოწინააღმდეგეხან პირისპირ უნდა დადგან. შენ, თურმე, კაცს მოკვლა არ შეგიძლია!

ოჰ, ღმერთო ჩემო! სად წაიშინებდა ეს ფიქრები, რომ დამასიხმრა დაღის დიდი თვალეზი, სისხლის ლაქა ხელზე, ან რატომ მესახება ჩვენი მოსახლელის ოთახი ზომილად, რომელიც ან გაირიუება, ან სულ გართუვის პირად იქნება მიმდგარი.

...ზომილად, ზომილად, სიკვდილი — აი ეხლა, ამ წუთში, რამდენიმე წუთის შემდეგ, თვითმფრინავის კიდევ ერთი პიკირება ჩვენი გემის თავზე და... გათავდა. ყველაფერი გაათავდა, აზარათხად იქცევა. ზოლო მოედება ყველას ტანჯავს, ვინც ჩემს გარშემოა და ჩემს ბედში იმყოფება.

ათი დღეა აწოვის ზღვაზე ვართ. ორ თვესაც არ ვაუღლია მას შემდეგ, თბილისის სადგურზე რომ პატარა დალი შევირა ზღვის და ვემშვიდობებოდით. ჩვენი ასრული საზღვაოსადგენატო ოპერაციებში მონაწილეობს. დივიზიას დავალებული აქვს ყირიმის ნაპირებზე გადასვლა. რა ბედაა იქ, ყირიმში და რას აკეთებენ ჩვენი დივიზიის სხვა ნაწილები — არ ვიცი, აქ კი ათი დღეა ჩვენს პატარა გემზე ერთი და იგივე სურათი მერბდება.

დაღის ათი საათიდან დღის ორ საათამდე, პედანტური სიზუსტით და გულცივი პუნქტუალობით, მტრის სამი თვითმფრინავი ტრიალებს ჩვენს თავზე, სამი ზღაპრული კოორდით. ტრიალებს და ზომილად ბუქირებს — მებრძოლებითა და ტექნიკით დატვირთულ მარცებს. ზოგჯერ ჩვენს გემსაც.

ერთი უშუბარაა საემარისი, რომ ბარცა ტაი-

ბარცა და ასრული ადამიანები და მოკლი საომარი ტექნიკა ზღვის ფსიქრზე დაეშავს. სიკვდილი უცხად მხოლოდ იმისათვის მტრებს, ვინც პირდაპირი მობედების არცა იმყოფება. სარკმელზე წელ-წელა, თანდათან ეშვება. ვერ გვგრძელ ვადიარება, მებრძოლები წყლით იფარებიან, მუხლამდე, წელამდე, მკერდამდე, ყელამდე და მიღიან იქ, რასაც ქართულ ზღაპრებში მოუხადეთო ეწოდება. ისინი ხმახმალი კვილი, წივილი, ზოგჯერ პირობების გაჯარღის ხმა — თვითმკვლელობა ათავისუფლებს ადამიანს ზედმეტი ტანჯვისგან, და თუმცა თვითმკვლელობა დამგობილია ჩვენს ქვეყანაში, ეს იმპერატორი არ მოქმედებს ასეთ წუთებში და აღბათ ეს ის წუთებია, როდესაც ის არ მოქმედებს.

მე ვდგვიარ გემბანზე, და ვუმჯერ ჩვენს ზვალმდელ დღეს, შეიძლება დღევანდელს, იქნებ უახლოეს წუთებს, და აი, აჰ, სასოწარკვეთილების ამ წუთებში პირველად ვგრძნობ თითქოს „ჩემს სამყაროს“ და მისი დაღუპვის რეალურ და, შერეება, გარდუვალი დაღუპვის მოახლოებას. ვიცი, დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი დაღუპვის შემდეგ ცხოვრება გააგრძელებს თავის არსებობას, ბუნებაც გააგრძელებს არსებობას, ცაც, დედამიწაც, დაღიცი, მისი მომავალი შვილებიც და კიდევ უფრო შორეული შვილიშვილებიც, და მაინც არა მცოდნება უცნაური განცდა, სინანული „ჩემი სამყაროს“ დაღუპვისა.

საშინელი ავადმყოფობა დამეშარათა, ჩემთვის სრულიად უჩვეულო. მას თურმე ზღვის ავადმყოფობა მჭვია. უმეტეს დროს დებლა კაიუტაში ვწევარ, აქ ნაკლებ იტრძინება ზღვის დღეა და გემის რყევა. მაგრამ არ მემუცება ხუნე. წამოვდებები საწოლიდან, ვეძებ ტოლოს, რომ იატაკი მოვწმინდო. ცოტა ხნის შემდეგ იატაკი ისევ მოსაწმინდია.

ჩემმა „ინტელიგენტობამ“ (ტილოს დაუსრულებელმა ძებამ იატაკის მოსაწმინდად) მერღვაურთა უცრადლება მიიპროდა და ერთი ახალ-გაზრდა, პოლონური წარმომავლობის მეგობარი შეშინა. ჩემზე ახალგაზრდა, მაგრამ უფრო გაიმოცდილი და „ვაყუებული“, ჩემს საწოლზე ჩამოქდა.

— დამწვიდებით, გაივლის თქვენი ავადმყოფობა, ნურც გემის დაღუპვის შიში გაქვთ. ჩვენი „კოლონი“ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, თანაც ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან გამოცდილი კაპიტანი მუყავს, მანევრირება შესანიშნავად იცი, ესაა მთავარი ბევრი გვიანახვს ასეთი დღეები, ამ დღეებსაც გადაეუარები.

მე ერთი, ერთადერთი სურვილია მაქვს — ხმელეთზე დამადგვეყინა ფეხი შემდეგ მოხდება, რაც მოსახდენია!



ზღვის ზედაპირზე მებრძოლები დინამიკით გაბრუნებული და მდინარის პირზე ამოყრილი თევზბუნივით ტვტოვებენ, რომლებიც, თუ მიუხედავად, ჩვენს მეზღაურებს ამოხეაო და დროებით მაინც უბრუნებენ სიცოცხლეს. ამოხეაო თოყებით, ნავებით, ვის როგორც შეუძლია. დაბამებული ტანსაცმელი წულით იფანათება და ადამიანი ტყვიასავით მიტყანება უწყობისაყენ.

მე დაბლა კაიუტაში ვწევარ და გემბანიდან ჩაომაველ მეზღაურებს ვუყურებ, ვუყურებ დაძაბული ყურადღებით. კიბეზე ლანძღვა-გინება ისმის. ერთი მებრძოლი ჩამოვლი, მარჯვენაში შაშხანი უტირავს, მარცხენა ხელი უკანაღში მოხვედრილი ტყვიის ჭრილობაზე უდევს და სარდლობას დედ-მამის სულს უტრიალებს.

— ისინი უახლები ავტომატებით გვარტყამენ, მე კი ჩაშხარეს ხელში პეტრე დიდის დროინდელი პისტოლეტის რას უნდა ვაჭაღდე ამ ბერკეტით დღევანდელი ომის პირობებში? — საბე მაინც უბრწყინავს, სიხარულის ნათელი გაოსტვივებს მისი თვალებიდან. ვადარჩა, ამქარად მაინც ვადარჩა იატაკზე წულის გუბე დედა, მისი ტანსაცმლიდან ჩამოწურული.

კიბეზე მეორე გამოჩნდა, დიწკად ჩამოვლი კიბეებზე, საფეხურებზე წულის ნაკადი მოგონავს. ხელში პისტოლეტს ატრიალებს — ადარ დატყობება იარაღის გამოყენება, მოუსწრათ მისი წულიდან ამოყვანა. შიში და სასოწარკვეთილება მის საბეზე სიცოცხლის სიხარულით არის შევდილი.

— დროივე დღე უნა, ია, სეგოდნია ვტორაი რაზ რადილბია ვ ზოვსკომ მორე, სეგოდნია... დეკაბრია, ტისიაჩა დევიატსოტ სორკ პეტროვო გოდა!

დაბით გემზე „წუნარი ცხოვრების“ საათები დგება. ავიაცია არ მოქმედებს, მოწინააღმდეგის მიმღე ნაპირისი ატრადირიის ქვეშეებები არ გვაწუხებენ, ყირიმის ნაპირებიდან თითო-ორილა ვასროლის ხმა ისმის. ისეთი ცეკვა, სიცილი და მხიარულება გემზე, თითქოს არც დღევანდელი დღე ყოფილიყო და არც ხვალისდელი დღე იქნება, ზვალისდელი დღე თანეს სავიაციო თავდასმებით, ათასობით ჩაძირული ადამიანებით, დაუნდობელი ხაარტიდერიო ცეცხლით, სასოწარკვეთილებით შეყრობილი ადამიანების უვირლითა და კივილით.

დაამების შემდეგ ჩვენს გემზე მხოლოდ გარშონიის, ვიტარის, ზალაიაის ხმა ისმის. უკველ მეზღაურში სიცოცხლე ჰქრფის და სიცოცხლის წურვილს ისე გამოხატავს, როგორც შეუძლია — ცეკვით, სიმღერით, მოსწრებული სიტყვით, თუ მუსიკალური ინსტრუმენტით.

მე ისევ ვწევარ და ადარ ვიცო, რა ვადრო, რომ ეს უწილოდვიორი ტანჯვა მაინც მოვიცილო თავიდან. ერთმა შეახსნი მეზღაურმა

კიბეები ჩაპირბინა, ჩემი საწოლის წინ მუხლებზე დაეცა, თავი ჩემს მკერდზე ტარჯულ და ტირილი დაიწყო, ხმადაღწევი კრედიტი უნდა-ში საკმაო სიბოხს და გულსისხმირებსას ამუღავებენ და ალბათ ამისი მიზეზი ჩემი ავადმყოფობაა, მაგრამ ტირილი ჩემთან და გულის მოხიბვას ეს შემთხვევა მაინც საკვირველად და უჩვეულოდ შეჩვენა.

...ბარტის დაბამებისა და ჩაძირვის შემდეგ ზღვაში ნავით შეუცურავს:

— ათ-თორმეტი კაცი ამოვიუყვანე ნავეტალამ ნიხბები მომტაცა. ვადარჩენის ერთ ვჯალა დამარჩა; ნავს თოკი გამოვანი, მეორე წყროს მჯალადამკეციო ტყვიით ამოვტანე გემზე და ნავი მოკვანე, ნავი სულ ახლო იყო გემთან მოზიდული, სიყვდილის პირიდან გამოგლეჩილი ქარისკაცები ღმილითა და სასოებით მიუყრებდნენ და ხელებს მიჭნევდნენ...

აქ მეზღაურმა ისეთი ძალით დაკყრა მუჭტი ჩემს საწოლის კიდეს, რომ მთელი სხეული შემერტა.

— ნავი სულ ახლო იყო გემთან... ყირიმის ნაპირებიდან ცეცხლი გახსნეს, ძლიერი ხაარტიდერიო ცეცხლი. ერთმა უფშარამ თავზე გადავიყარა, მეორე ჩვენს წინ დაეცა, მესამე რომ გემს არ მოხვედროდა, გემი უეცრად ამკვეთარად მოსწულა ადგილს და... თოკი ვაწუდა ამ გაგე ახლა, რა მოხდა? — და მეზღაურმა ერთხელ კიდევ შეანჭდრია ჩემი საწოლი. გაგე ახლა — რა მოხდა? დარჩნენ ზღვაში, მიტოვებულები სტიქიისა და უფშარების ანბრად! ჰობდა სულ არ მივშველებოდი!

შორიდან ნავში ჩარჩენილებს სასოწარკვეთილი ყვირალი ისმოდა, მათი მხსნელი ჩემს მკერდზე იშვეილებდა აშლილ გრძნობებს და აფორიაქებულ სულს.

დღეს დღიდანვე დაიწყო ძლიერი ნავიაცია თავდასმმა. ერთი საათი ბოშხადუნენ ჩვენს გემს. თვითმფრინავი „ბიკეზე“ წამოვიდა ბოშხები აგვცდა, მაგრამ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრკვევის ცეცხლმა სეტყვისავით გადაირბინა გემბანზე. მე დაბლა კაიუტაში ვწევარ და ჩვენი საწინიტო ქვეშეებისა და ტყვიამფრკვევების გამაურებელი, შემწარავი გრიალი მესმის.

ადარ შემძლია აქ წოლა! უკველ ზევითაა, გემბანზე. უკველა მონაწილეობს თავდასმის მოგვიებაში. მებრძოლთა ქაჭვია შეყრული საყრობიდან საწინიტო ქვეშეებამდე, უფშარები სწრაფად გადადის ხელიდან ხელში, რომ სროლა არ შეეძლებს. ქვეშეები სწრაფად იტენება, ვარდება, დაეღილი „გილზენი“ ცეკვა ფიკარნავზე. ცეცხლი არ ნელდება, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ზღვა დელავს და ქვეშეების ღულეები ისე ქანაობს, რომ დამიხნება შეუძლებელია, მით უმეტეს — მოხვედრება.

ავღივარ გემბანზე და ქაჭვი ვდგები —



ჩადაც მანც მინდა გავაქეთო, როგორდაც მა-
მანც ვამოქმედო. ერთი მებრძოლი სტრესის
მდგომარეობამდეა მისული; ზედები უკანა-
ლებს, ენა ებმის, ცაში მოწინააღმდეგის თვით-
მფრინავებს შეხუტურებს და ერთსა და იმავე
ფრასას იმეორებს:

— **Потопить, потопить... его мать!**

მე ვდგვიარ გემსაზე ნებისყოფის მთელი
დაძახვით, და, არ ვიცი, საიდან მოსული რწმე-
ნით.

— არა, არა, შეუძლებელია მე აქ დავიღუ-
პაი — თვალწინ დელი მიდგა, მცხეთის მიდ-
პოვში გატარებული ზაფხული, მთელი ის მრ-
სხანე წელიწადი. — ჩემი აქ დაღუპვა ამ ქვე-
ყნად არ ნახული, ვაფუიარის უსამართლობა
იქნება!

და აი, აქ, სიცოცხლისა და სიკვდილის შე-
საჯარზე, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ვწვიდე-
ბი ქართული გამოთქმის უდიდეს სიღრმეს.
— სული კბილით მიჭირავს!

სული, სიცოცხლის წყარო და ხაფოძველი
ჩემში, მიჭირავს მთელი ჩემი არსებით, სხე-
ულის ყოველი უჭრედიო, ნერვის ყოველი ძა-
ფით. მიჭირავს და არ ვუშვებ, არ ვაუშვებ!
ჩვენგან მოშორებით ხარებები იძირება. ზღვა-
ზე დაცემული უშმაარები მთასათი ტალღებს
აუწებენ და მათი მხრებში შედრევენებად ეშ-
ვება ზღვის ზედაპირზე. „სული კბილით მიჭი-
რავს!“ — ნეტავ თუ არსებობს ასეთი გამოთ-
ქმა რომელიმე სხვა ენაზე?!

ამ დღეს ორი მებრძოლი დაიღუპა ჩვენი
გემის პირადი შემადგენლობიდან.

...შეე უკვე ჩასული იყო საღამო ჩამოდგა,
მაგრამ ცის ტატნობი არ იყო მოცული სიბ-
ნელით. პორიზონტს მკრთალი ვარდისფერი გა-
დაპკრთიდა. გემსაზე ორ მწკრივად ვიდექით
— დაღუპული ამხანაგების დასამარბავად. „და-
მარბვა“ უჩვეულოდ და უცნაურად ძვრებს ჩე-
მთავს ამ შუა ზღვაში, მაგრამ ზღვის ცხოვრე-
ბას საკუთარი წესი აქვს და ომის პირობებში
ეს წესი კიდევ უფრო შემწარავად მიტევენება.

ორ ფიცარზე ტომრებში გახვეული ორი ცხე-
დარი ასვენია. ფეხებზე სიძიბეები აქვთ მო-
ბმული, ტავტვიი რომ არ დაიწყონ და უმალ
ჩაიძირონ. გემის კაპიტანა მოყლ, ძუნწი სი-
ტყვა წარმოსტყვა, ქვემების ორი ზალმა ვაის-
მა. ფიცრები ასწიებს და ცხედრები ზღვაში ჩა-
აყურებს.

ბოლო ეღება ჩვენს წამებას გემზე. ამ დამებ
უნდა ყირიმის ნაპირზე გადავსდეთ. ერთი წუ-
თითაც არ ვფიქრობ, რომ დესანტის დროს,
ან შეზღვევ უკეთეს დღეში ვიქნები, მაგრამ გე-
მზე უოფნამ და გამოვლილმა დღეებმა იმ
მდგომარეობამდე მიიყუანა, ერთი სული მაქვს
— სმელეთზე დაედა ფეხის ამას მოყენწრო
და შეზღვე — ენაბით, ერთი სიტყვით — ახალ

წელს ყირიმის მიწაზე შევებდები, ან... ვერ
შევებდები.

უცერად მაგონდება, რომ **გარკონი** შეხე-
ნასა და დაუტენავი გრანატის მეტი არაფერი
მამაღია. ზამი დღის წინ გემზე რომ უფლებით
შეშინის ტყვიების და გრანატის „ზაალები“
შემოიტანეს და იატაკზე დაჟარეს, მებრძოლე-
ბი ისე მისცივდნენ და დაიწილეს, რომ მე
მოხედვაც ვერ მოვასწარი, თითო ცალიც არ
შეხვდა. მაგრამ, საოცარია, ხმა არც მაშინ
ამოხილია და არც ახლა ვიღებ, გულტრილად
ველოდები დესანტის დაწეების დროს.

პოლიტიელი შემოვიდა, ჩვენი ოცუელის მე-
ბრძოლელი შეკრიბა, სიტყვა წარმოსტყვა, მე-
თაურთი დანიშნა (თითონ არ აპირებდა დესან-
ტში მონაწილეობას) და ჩემკენ წამოვიდა. და-
გვებდა მე და ჩემს გვერდით მწოლიარე
ავადმყოფს, ასეულის „კომსორგს“, — იბეთი
ფლანგის აქვს, არც თვავი უჩანს, აღარც სა-
ხის ნახვეარი.

— ამთ გადასმას ნაპირზე აწრი არა აქვს,
საბრძოლოდ არ გამოდგებათ, ზვალ უკან და-
აბრუნეთ და ზურგის შტაბს ჩააბარეთ!

მართი ღუკამ სიხპარული

ერთი კვირის შემდეგ კანსოდარისაკენ მი-
ვლიოდა, მარტოდმარტო, განადგურებული
ზატალიონის ერთი შემთხვევით ვადარჩენილი
მებრძოლთაგანი. სამოცი კოლომეტრი ფეხით
უნდა გამეღო, ან „ობოზით“ (აღლით), თუ
შემხვედებოდა. ორი თვის წინ ეს გზა სავსე
იყო ალაღებით, რომლებიც მაშინ აქვთ მოგმა-
რთებოდნენ, ფრონტის ზაზისაკენ, სიკვდილი-
საკენ. ეხლა აქით მივემგზავრება და იმ აწ-
რითა და ვანცლითა ვარ შეპურობილი, ეს გზა
სასიცოცხლო გზაა, ქერ-ქერობით ყოველ შე-
მთხვედებო, აი ახლა, აქ, ამ ვითარებაში.

ერთ-ერთ სტანიცაში მისვლისას ჩამოხინდ-
და. ორი თვის წინ მე და ჩემმა მეგობარმა ერ-
თი ღამე გავაოენეთ ამ სტანიცაში ახალგაზრდა
„კაზაკასთან“, რიკულუბიან, თეთრად შელე-
ნილ კობტა „ხატაში“, სადაც დაიხაბლიის მხო-
ლოდ ერთ ოთახს ათბობდა. ოქანის მამაკაცო
ქარში იყო გაწვეული, ოთახში დიხასხლას, სამ
პატარა ბავშვს და მე და ჩემს მეგობარს გვე-
ძინა.

ჩემი მეგობარი ავის მომანწავებელი ფიქრე-
ბით იყო შეპურობილი... და მთელი ღამე ცოლ-
მევილზე მელამარაკებოდა. ეხლა ის ყირიმის
მიწაზეა სამუდამოდ დარჩენილი და აქვე მი-
წას მიხარებულა. მე ვიკონებ მასთან გატარე-
ბულ თვეებს, ამ სტანიცაში გათენებულ
ღამებს და „კაზაკაზე“ ვფიქრობ. ნაცნობ
ხატას რომ მივუახლოვდი, უკვე ბნელოდა და
მისი ფანქრიდან სინათლე გამოყრთოდა.
სამხედრო წესი ზურგშიც მოქმედებს და

ცხოვრების თავისებურ წესრიგს ამყარებს. კარი დაეკარუნე და შევედი, როგორც საკუთარ სახლში.

— აქ უნდა გაეფინო, დილით ადრე გავუღებო გზას!

მასინძელში ხმას არ იღებს, ნეტავ, თუ მიცნო. ამ ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ნაივალმყოფარს, დაღლილს, სულიერად დაცლილს, მაგრამ სიცოცხლე მოწურებულს „წუნარი დონის“ აქსინიად მესახება. ალბათ ვერ მიცნო, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო. ან როგორ უნდა მიცნოს ამ აფორიაქებულ ცხოვრებაში. რამდენ ათილდე, შეიძლება ასეულ ქარხნაკს ვაუთენებია ამ სახლში უკანასკნელი თვეების მანძილზე.

ზურგტანთიდან პური, ძებვი, კონსერვები და მუხუდოს კონცენტრატი ამოვიღე, ღუმელის გვერდით ხის პატარა შეუღებავ მაგიდაზე დაველაგე და „კაზაკასა“ და ბავშვებს შეთავაზე. ბავშვებს თვალები გაუბრწყინდათ, დედამ თვალები დახარა და ბავშვებს მიუბრუნდა.

დაღლილს ძილი მომერია, ერთი ჰიკა აჩაუ გადავიარე და ფეხის მახლობლად მივეწვი.

შუალღისას გამეღვიძა. მთავარიანი ღამეა, გარეთ უნვა მჭინვარებს და ქარი ჰქრის. ოთახში თუნუქის ღუმელი გიწვინებს, სითბოს აგრძევეს და მკრთალი ნათელი გამოკრთის.

ნახევარი წელიწადია ქარში ვარ და ასეთი რბილი, ასეთი წუნარი და მშვიდი ღამე არ გამიტარებია.

მასხრებთან წვიმები შავი ზღვის სანაპიროზე. თავისმებისაგან გაუღწილილი სმოსი და სხურული, ქუდიდან ფეხსაცმელამდე და თავიდან ფეხებამდე. სამხედრო ვარკიში ფრონტზე გამგზავრების წინ, როდესაც პაპიროსის მოწვევის დრო აღარაა. გაუთბობელი, გაყინული ბარაკები შემოდგომისა და ზამთრის ცივ ღამეებში. ორკვირიანი კურსება ზღვისპირა ქალაქში, ისეთ სიცივეში, როდესაც ღამე, მთათარებისაგან მალულად, შარვლებსა და გიმნასტურტებში გვიძინა, დილით კი, ადგომისას, ვიმნასტურტები უნდა გავგებოდა და ვარკიშზე ასე გავესუღოვით.

ფიქრებმა აიწყობეს და აღარ ჩერდებოან.

...ღუმელის დატვირთვა შუალღისას, ხანგრძლივი მგზავრობა „ტელეშუტებში“ ჩრდილო კავკასიამდე. მარში გაუვალ ტალახში და უკუნეთ ღამეში საპორტო ქალაქამდე. ზურგზე — საკუთარი ბარკით და ორივე ხელში იმ ტყარით, რომელიც ცხენებმა ვეღარ ზიდეს და ჩვენზე გაანაწილეს. აუტანელი დღეები აზოვის ზღვაზე და უველგან, უველა პირობებში ფიქრი დაღლივ.

ახლა, თუნუქის ღუმელით გამოთბარ ოთახში, ხანმოკლე სიმშვიდესა და მუხუდროებაში, ფიქრები წამოიშალენ, ერთი მეორეს მისდევენ და, მიჩვენება, დასასრული აღარ ექნებათ. მაგრამ ეს არა ფიქრები მხოლოდ ფაქტებზე; ეს ფი-

ქრებზე ფიქრია, ფაქტებით განსაზღვრულ ფიქრებზე ფიქრი. ზოგად მესხობრებას და ცნობიერებაში შთაბეჭდილებები და განცდილები უფრო ღრმად, მტკიცედ და მანძილში ჩერდება, ვიდრე მათი გამოწვევა ფაქტები.

აი ახლა, ასეთი ფიქრების ტრიალებს ჩემში. მათ დასასრული არ უჩანთ და ჭერ არ დამდგარა წუთები, როდესაც ამ ფიქრებს ჩემთან ერთად მოედებათ ბოლო.

უკანასკნელი ცოცხალი სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილება ახალგაზრდა „კაზაკას“ და მისი ბავშვებია, განსაკუთრებით — უმცროსი, ავადმყოფი, ნაშინობილარი სამი წლის ბიჭი, დიდი ცისფერი თვალებით და გამხდარი ტანიო.

ახლა ამ ბავშვების და მათი ბედნიერი მოზავლის სახელით იღვრება აძენი სისხლი და მე მახსენდება „ლდეგნა და დი იკეაზიტორზე“ და ძმები კარამაზოვიების დიალოგი, სადაც წინებობავე სასწორზეა დადებული ბავშვის ცრემლები და სისხლით მოპოვებული კეთილდღეობა.

— მითხარი, აღიოზა, ოღონდ მართალი მიტხარი და არ იცულო! დათანხმდებოდი თუ არა ავეგო აღმართა ბედნიერების შენობა, თუ ამისთვის აუცილებელი იქნებოდა ერთი, ერთადერთი პატარა ბავშვის ტანჯვა და ცრემლები?

ამ ბავშვის სახემ, დოსტოვესკის სხვა სახეობთან ერთად, სულის უკანასკნელ სიღრმემდე გაატანა და ისე მყარად „ჩაქალ“ ცნობიერებაში, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ვეღარ ვიცილებ. და ჩემში თითქოს მიყურებულ ბობოქარის ხმები გაიზის.

— მითხარით, მითხარით, ოღონდ არ იცულო...

...ადამიანის ცხოვრება მწუხარებისა და სიხარულის მუდმივი ცვალებადობაა; ფრონტზე — მუდმივი ქანაობა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. აი ახლა, მოსიკატლში ეს ქვეშარჩიტება მთელი თავისი შემზარავობით წარმოხვდა ჩემს წინაშე და, მერვედა, ერთი პატარა, სულ უწინაშელო მძვინკა სპირტი, რომ ქანაობის ბოლო მოედოს... აქ კი, „აქსინიას“ გამოთბარ ოთახში სიცოცხლის რაღაც იმედი დეიოდა.

ბავშვებს უკამათ ჩემი შეთავაზებული ძღვენი და მშვიდად ჰძინავთ. „აქსინია“ იატაკზე წევს და მძიმედ სუნთქავს.

მე სულ ახლახან განცდილი კოშმარი მიშფოთავს სულსა და გრძნობებს. ახობით და ათასობით ჩაძირულები აზოვის ზღვაში; ჩემი მეგობარი, რომელიცანაც ორი თვის წინ მეძინა ამ ოთახში და რომელიც ვეღარსად და უკრავისთან ვეღარ გაათვის ღამეს; ჩემს მეტადვე აქვიითებულ მეუღლართა და მის მიერ ნავზე

ამოუვანილო და შეზღვევ კვლავ უნუფგეშოდ და-
რჩენილი მეტროლოგია.

მეორე მხრივ დალი და აქსინიას ბავშვები,
მარწყებელნი მომავლისა და სიცოცხლისა; სი-
ცოცხლისა თავის მტკიცე, ურუვეო სწრაფვის
განსახიერებაში.

— სიცოცხლე-სიკვდილი, სიკვდილი-სიცოც-
ხლე...

და კიდევ რაღაც სხვა იდეებებს, ისახება ჩე-
შვი, რაღაც ძლიერი და დაუკლებელი, რის გა-
რეშეც სიცოცხლე შეუძლებელია.

— სიყვარული. თუნდაც სულ ცოტა, პატარა,
ერთი ლექსია!

აქსინია წევს იატაკზე და მძიმედ სუნთქავს,
წევს სულ ახლოს, თითქმის ჩემს გვერდით,
ერთი გაშლილი მკლავის მანძილით დაცილებ-
ბული.

...დილით გვერდით ოთახში გამოშვებია,
ფართო, მოხარაკტებულ ხის საწოლზე. თერთად
შედუხილი სუფთა ოთახის კუთხეში ღვთის-
შვიობლის ხატი ესვენა, მოპირდაპირე კუთხე-
ში, თეთრსუფრავადაფარებულ პატარა მაგიდა-
ზე გაკრიალებული სამოვარი მოჩანდა. ქერ-
კვეშ ქვარდინად გაბმულ ჭაფებზე, ქაღალდის
პატარა ფერადი დროშება იყო ჩამოფენილი
სახალწლოდ მორთულ ოთახში. ეს სასტუმრო
ოთახია, გაუთბობელი და საცხოვრებლად ზამ-
თარში გამოუყენებელი, სადაც შუალამისას ბა-
ვშვების რიღმა გამოკვირვანა.

...ეზოს ქიშკართან დავებშვიდობეთ ერთმა-
ნეთს. უმცროსი ბავშვი ხელში ავიტაცე და
გულში ჩავაყარი, თბილი ღამის შემდეგ სი-
ცივე და საუვედური ამოკვირებ ჩემი კეთილი
მასპინძლის თვალეში, მაგრამ ბოლომდე ვერ
ჩაწვდი მის სულს, ვერც ის კვალის სიღრმეს,
რომელიც მის გულში დატკოვნი, ვინ იცის?!
ერთი რამ ვიციო ორავემ და ვიციო ძალიან
კარგად: მე უნდა წაიფე ჩემი ფარაქათ, ჩემს
გზას დაუაღებ და სიკვდილი „ვეძებო“ სადმე,
მურმანსკოდან უირიამდე ათასეულ კილომეტ-
რზე ვადაძინულ ფრონტზე. ის უნდა დარჩეს
თავის ზამი ბავშვით, შიმშილითა და გაუთბო-
ბელი ბინით, ტმუნეთითა და სასოებით მოხილი
— შეუდლის მოლოდინში.

მწუხარი

...ზურგში საყმაო ხანს მომიბდა ყოფნა. ჭერ
მსროლელ ათასეულში, შემდეგ სამეთაურო
სასწავლებელში. კარგად გავიფე ჭარისკაყული
ცხოვრების თავისებურებანი, შევთოიეთ მწუო-
ბრის ეველა წები და უფრო მეტად მისი აზ-
რი და დანიშნულება.

Die erste Kolonne marschiert,

Die zweite Kolonne marschiert!

მაგრამ მრავალმარცვლიანი ქართული სიტყ-

ვები არ შეეფერება და ვერ გამოხატავს მწუო-
ბრის არსებას. მას ლაქონიურა, ერთმარცვლი-
ვანი, მარტივი ბგერები სჭირდება.

— ახ-ღვა, ახ-ღვა, ახ-ღვა!

— ადქი! ახ-ღვა!

— დაქიქი! ახ-ღვა!

— დაწიქი! — ახ-ღვა!

— მიბრუნდი, მობრუნდი, თავი იქით მიაბ-
რუნე, აქეთ მოაბრუნე!

...და აქაც ახ-ღვა! აუცლებლად, და ეველ-
გან ახ-ღვა!

ერთი ადამიანის მართვა ადვილია, ბევრისა
— ძნელი, უნიფორმა — ბევრს ერთ-ად აქ-
ცევს, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად, გარეგანი
იერის მიხედვით. ბევრი ერთ-ად უნდა თავისი
სულის მიხედვით იქცეს, მრავალი სული ერთ
სულად გარდაიქმნეს.

მწუხარი კალაპოტია, უაღიბი, რომელშიც
ასეული და ათასეულები არიან ჩამოსხმულე-
ბი. ფეხის ერთნაირი მოძრაობა, ნაბიჯის ერთ-
ნაირი ზომა, სიარულის ერთნაირი რიტმი, თო-
ფების ერთნაირი ვანლაგება მხრებზე, ხელის
ერთნაირი და ერთ მანძილზე ქნევა — სიარუ-
ლის დროს.

მწუხარში ეველა გაკრებილი, ერთნაირ ტან-
საცმელში გამოწყობილი დგას. წესდებიოთა
რეგლამენტობული — ჩამდენი, როგორი და
რა ფერი ღილი უნდა გვეყროს შინელზე, გიმ-
ნასტურზე, ქულდა და შარვალზე, სანტიმეტ-
რებში და მილიმეტრებშია გაკრეული — რა
მანძილით უნდა იყოს დაცლებული „პოგონე-
ბი“ საუელსიდან. ზუსტბადა დადგენილი —
როგორ შემოიხვიო შიშველ ფეხზე „პორტიან-
კები“ და წვივებზე „ობმოტკები“.

მწუხარში დგომის დროს ერთ წერტილს
უნდა უყურო, არც იქით, არც აქეთ. ეს წე-
რტილი წინამდგომის კისერია. მწუხარში „რა-
ნგარის“ მიხედვით დგებიან, წინ მალდები,
უკან დაბლდები და ამიტომ წინამდგომის კისე-
რი ზუსტად შენი თვალეების დონეზე მოდის.

მწუხარში მდგომებმა ეველამ, უკლებლივ,
ერთ რიტმში, დროის ერთ უმცირეს მოწყვე-
თში უნდა გამოთქვას თავისი სულიერი მოძ-
რაობა.

— ახ, ღვა!

ეოქვათ პასუხი უფროსების მისალმებაზე.
მაერში ამ დროს ისმის სიტყვის რამდენიმე
მარცვლი, რომლებსაც ცალყე არავითარი აზ-
რი არა აქვს, მაგრამ მწუხარში მათ გარკვე-
ული მნიშვნელობა და ეღერადობა ენიჭებათ,
რაც უფრო მაღალი რანგისაა, ვინაც ესალმებიან,
უფრო მრავალრიცხოვანია მიმსალმებელი, მათ
უფრო მაღალია და შთანბეკვდავი მისალმება.

შეაყრ დისციპლინარულ სასქელს იმსახუ-
რებს არა მხოლოდ შინაგანი სამსახურის წესე-
ბის დაარღვევა, არამედ მწუხარის წესეების და-
რღვევაც. ჩვეულებრივი ადამიანური შეგნებით,
კაცი რომ მწუხარდან გამოვიდეს, ეოქვათ,



ჩამოშლილი „ობოტკების“ გასასწორებლად. ანდა თვალმა წაიხუროს და გვერდზე გაიხედოს, ვასაგები ადამიანური მოქმედებაა. ჯარში ეს დანაშაულია, რადგან დაუშვებელი ამოვარდნა უნდოდათ და მთლიანობა და, სულის თავისუფალი მოძრაობა.

ჯარში უოფნის დროს სული მხოლოდ პოსტზე დგომის დროს შეიძლება მოითქვას. უფრო მეტიც — აქ სიამაყის გრძნობა და პიროვნების თავისუფლების გრძნობაც გუფლებს, განსაკუთრებით მისიხანე წლების განცდების შემდეგ. პოსტზე რომ დგახარ, ზედმეუხებელი ხარ — ვერაიან მოგვარება. წესდებით გათვალისწინებული წესის მიხედვით, თუ არ შეჩერდა და შეწყენ სიარული განაგრძო, შევიძლება იარაღით დაიცვა პოსტიც და შენი თავიც.

...ახალ ნაწილში ჩემი სამსახურის ერთი თვის შემდეგ წერილი მომივიდა. ძალი დიდდასთან იზრდება, საბელმწიფოსაგან დაშორებას ღებულობს, როგორც უპატრონოდ დარჩენილი, ჩემი არმიაში გაწვევას შემდეგ. ორივენი კარგად არიან, განმარტვად. მაგრამ ომით გამოწვეული საყოველთაო გაკირვება მათ ცხოვრებაში უკვე დიდ როლს ითამაშებდა.

...გუშინ ჩვენს ნაწილში სახეივო ვითარება იყო. დილით სამხედრო ფიცი მიგვადებინეს, საღამოთი ახალი მიწის ვეაშლერებს, მიწის, რომელმაც ინტერნაციონალი შეცვალა.

მე ვადვიე და ზამაღლა ვიძახდი, თითქმის ვეყაროდ:

— მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, შევდივარ ჩა შეიარაღებული ძალების რიგებში, ვდებ საზეიმო ფიცს, ვაყვე პატიოსანი, გულადი, დისცილინირებული, ფიზიკური მებრძოლი, მკაცრად ვიცავდე სამხედრო და საბელმწიფოებრივ დებულებებს, აბეზაფურებრუნებლად ვასრულებდე ყველა სამხედრო წესდებს და მეთაურებისა და უფროსების ბრძანებებს“.

სამხედრო ფიცი მივადებ „ეთილისინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე“, უოველანაირად ვაუფრთხილდე სამხედრო ქონებას, „უკანასკნელ ამისუნთქვამდე ვაყო ერთგული საყოთარი ხალხისა, საყოთარი საბჭოთა სამშობლოსი“.

— მე მარად მზად ვარ — განავარძე ფიცის კითხვა — საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, დაიცვა ჩემი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, და, როგორც შეიარაღებული ძალების მებრძოლი, ვფიცავ, დაიცვა ის ვაჟაპურად... არ დაველოდო სისხლი და თვით სიცოცხლე მტრებზე სრული გამარჯვების მიხედვად“...

„თუ მე დავარდვი ეს საზეიმოდ დადებული ფიცი, დეე მეწიოს საბჭოთა მკაცრი კანონი, საყოველთაო სიძულვილი მშრომელებისა“.

...უფრო სწინისა და ხმის გამო, მე სიძულერას

უკველთვის ვერიდები, მაგრამ ჯარში აუცილებლად უნდა გააქეთო, რასაც სხვა კვირებს და მორიდების უფლება არა გეცხე, რადგან ის შეელოდა, რომ ჯარში, როგორც მანათი, უწესდებრი პიროვნული ავარტება და მათ შორის შენი ხმა და მელოდის შეცდომებიც.

„თავისუფალ რესპუბლიკათა დაურღვეველი კავშირი საბერადისოდ შემოიკრიბა და შეტყრა დიდმა რუსეთმა“

...დიდუ ჩვენო თავისუფლო სამშობლოც, ზალხთა მეგობრობის საიმედო საყრდენო“

...ლენინმა დიდმა გზა გაგვიანათა, სტალინმა ადგუზარდა ზალხის ერთგულებად“

ანაშულის კაპიტანანაშუსი, ბრავში ალტაშირბა და კაპიტანი ლონსნიკი

...გუშინ კიდევ დამომბეს ჩვენი მოსხიბალი. ფაქტის მიწეხმა ზანჯარი დაიწყო. გეროდან ბათქაშის უშველებელი ნაქერი ჩამოვარდა, ცარიელ ხაწოლს დაეცა და რამდენიმე წუთის წინ წამომდგარი და გარეთ გასული ჯარისკაცი ზედმეტ წამებასა და სიკვდილს გადაურჩა.

იმ დღეს ექთანე ტანია მორიგეობდა, ახალგაზრდა ქალიშვილი, რომლის მოხდენილი ჩაცმულობა, ნაყოფისა და ლიტერატურის სიუვარული გაოცებას იწვევდა.

ერთი კვირის წინ, მდგომარეობა რომ გამოუმჯობესდა და კითხვა შემეძლო, ტანამ ბტენდალის ორი ტომი მომიტანა, ერთ-ერთი რუსული გამოცემის ტომები, რომლებიც ლინინგარდში ცხოვრების წლებიდან მახსოვდა და მათი უღის ფერი აქამდე უაღწინ მედგა.

სტენდალი ჩემი საყვარელი მწერალი გახდა იმ დღიდან, როდესაც მისი „ვანიჩა ვანიჩი“ წაეკითხე პაულე ინგოროვას რედაქციით გამოშულ „კავკასიონში“.

აქ, მოსკოლში, კვირთულობი „ეგოტისტი“ მოვიწინებებს“ და, მერამდენად — „წითელსა და შავს“. მართლაც, გახაოცარი და, ამავე დროს, მომხიბლავი მეჩვენებოდა ამ მწერლის განცდებისა და გრძნობების გადღვევისა და სხვებზე უემოქმედების უნარი, რაზედაც ავტორი თავად მოვთხოვრობს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში. რამდენჯერ უფოლოა შემთხვევა, როდესაც სტენდალის მეგობრებს მისი საყვარელი ქალები შემეყარებოდათ მათზე აღფრთოვანებული საუბრების შედეგად, და რამდენჯერ მომხდარა „ურარის შემთხვევა“ ცნობილი მწერლის ცხოვრებაში, როდესაც მის საყვარელ ქალებს შეტყვარებოდა მწერლის მეგობრები, და აქაც თავის საყვარელ ქალებთან

აღტოვანებული საუბრების გამო საკუთარ შეგობრებზე.

მაგრამ ამ სიტუაციით აღძრული მსუბუქი დიმიდი უზად წარმოაღო მეორე ნაწარმოებში ამოკითხული დალაღვის გამო გრავ აღტამი-რი და უღლიენ ჰორელს შორის:

— რვეოლუცია, რომელსაც მე სათავეში მოკვეცი, მხოლოდ იმიტომ დამარცხდა, რომ არ მოეხსურვე სამი თავე მომკვეთა!

— ზელისუფლება რომ ჰქონოდა, სამ კაცს ჩამოვარჩობდი, რათა სიკაცხლე შემენარჩუნებინა ოთხისათვის!

...სტენდალის კითხვის დროს სხვადასხვა ასოციაციები წარმოიქმნა და რამდენიმე ეპიზოდი ამოკითხავდა ჩემს ცნობიერებაში...

...რამდენიმე თვე თბილისში ვავატარე, საგარანოონო სამხაზურას ნაწილში. თბილისში ყოფნამ შევესო ჩემი ერთდეროვანი ქარისკაცული ცხოვრება და დაღისთანაც დამახლოვდა, მომცა საშუალება დროდარო მისი ნახვისა.

ჩემს ნაწილში სამი ასეული შედიოდა და მისი პირადი შემადგენლობა ძალიან ბზირად იკვებობოდა, რაც მე, ასეულის გადამწერს, საკმაოდ მორთულედა საქმეს — ძველი ხიების გაუქმებისა და ახლების შედგენის გამო-ბოსიბტლებიდან ჩვენს ნაწილში ისეთი ქარისკაცები მოდიოდნენ, რომლებიც ქარ კიდევ უფარვისი იყვნენ მოქმედ არმიის სამხაზურისათვის, მაგრამ შექმლიდა საგარანოონო სამხაზურის შესრულება ზურგში.

...სადამოიბოთი, როდესაც უზარმაზო სიწყენარე მუარდებოდა, ჩემთან ოთახში ასეულის კაპტინარმისი შემოიკლიდა ხოლმე, ჩემზე უფროსი, ცალფეზე კოქლი ქარისკაცი, რომელიც ოპამდე სობუში გეოლოგიურ პარტიებში მუშაობდა. მისი ნამდვილი ვატაციების საგანი რუსული პოეზია იყო და ზღაპრებს შეხანაშნავად კითხულობდა. თავისუფალ დროს ილიაში პეშკინის ტომს ამოიკებდა, და თავის უშუალოდ უფროსს, ასეულის ზემდეგს დაემებდა, რათა ჩემს ოთახში შემოეყვანა და რუსული პოეზიის მშენიერება არგორმე ჩავგონებინა.

ფიჩორადა მძლიერი, დაკრთული ზემდეგო ცოცხა ხანს უსმენდა, შედეგ მოქმარებას იწყებდა და ქალაქში იპარებოდა, სადაც შინამოსამსახურე ქალები ელოდებოდნენ, რათა მასთან ტრფიილების წუთები ვატარებინათ. კაპტინარმისის „აუდიტორიად“ მე ვრჩებოდა, იდეი ყურადღებით ვუსმენდა მის სახიამოვნო ხმას, ღერის გამომეტყველებით კითხვას და ვფიქრობდი — როგორ გრძნობდა თავს ეს პოეზიისათვის დახადებული კაცი. მასზე დაკისრებული ყოველდღიური მოვალეობის შესრულების დროს.

მაღე მოედო ბაღო ჩვენს იდილიურ საღამოდესაც, ასეულის და, მგონი, შთელი ნაწი-

ლის მეთაურთა შემადგენლობის ხანშიყენებდა. ჩენი საძილე ოთახის გვერდით მოთავსებულ „წითელ კუბოში“ კედელზე, ცხინობის მხედარითმარტების სურათბრნი იყო გამოქმნილი; შუაში დიდ, წითელსფერავადფარებულ მაგიდაზე გაჭოთები და ტურნალები ეყუო. თავისუფალ დროს მებრძოლები მაგიდასთან ისხდნენ, გაზეთებს კითხულობდნენ, ტურნალებს ათვალიერებდნენ და ხზადახლა საუბრობდნენ იქვე, კედელთან საგანგებო სტენდი იდგა, რომელზედაც პოლიტიურის წერებლის ფოტოგრაფიული სურათები იყო დაკრული, ცენტრში უფრო დიდი ზომის სტალინის სურათით, ნახევარ პარტილში.

ერთ დღეს, მორიგე რომ ამ ოთახში შევიდა, წარმოუდგენელი, საშინელი სანახაობის წინაშე დადგა — სტალინის სურათზე ამოაწარული იყო ის ერთადერთი თვალი, რომელიც ნახევარ პარტილში ჩანდა. მორიგე ისეთი შიშის ზარმა შეიპურო, რომ სიტყვა ვეღარ დასძრა და საქაროდ გამოიქცა ოთახიდან: საქაროდ, სანამ ვინმე მას სტენდის წინ მარტოდ მდგარს შეუწერებდა, და მეთაურს „ჩვენს“ შესახებ მოახანა.

სურათი სტენდზე სასწრაფოდ შეცვალის — ზუსტად იმავეარიე და იმავე ზომის ფოტოსურათით. მაგრამ დღეები გადიოდა და იგეე ამავი ზღაპრული სასწრაფლის მსგავნად მუარდებოდა — სტალინი სტენდიდან თვალამოკარული გამოიჭურებოდა.

ყველა შემოეოებისა და შიშის გრძნობამ მოკლა — ნაწილის მეთაურიც, კომისარიც, და... კაბიტანი ლოსნიციც. სამხედრო ნაწილში „მრისხანე წლის“ სულიერი ატმოსფერო ჩამოწვა, რომელიც აუცილებლად უნდა დასრულებულიყო და კვანში გახსნილიყო; გახსნილიყო ყოველგვარ დაბკოლებათა გარეშე.

ლოსნიციისთან მე ურთიერთობა „გაფუქიბული“ მქონდა და ყოველნიარად ვერადებოდი მასთან შეხვედრებს. მაგრამ აქერად ვერადფერ ვიღონებდი. ის ყოველდღე ამოდიოდა ჩვენს ასეულში, ათვალიერებდა ნაწილებს, წითელ კუბოში, ავირდებოდა პოლიტიურის წერების სურათბიან სტენდს. შემოდიოდა ჩემს ოთახშიც და ფურცლავდა პირადი შემადგენლობის სიებს, თაიეული ქარისკაცის დემოგრაფიული ცნობებს. იძახებდა „საეკვო“ პირებს, აწარმოებდა დაკითხვას და კვლავ დასკითხავად მიმავდა თავის ოთახში, რომელიც სიბონის პირველი სართულის განაპირა ნაწილში იყო მოთავსებული.

ასეულის პოლიტბელის მოადგელემ სამი დღედაამე უთავლეთვლა სტენდს ვაწინიდან, რომელიც ძველი შენობის სქელ კედელში იყო მოთავსებული, მაგრამ შედეგს ვერ მოაღწია ბოლოს საკიადური ელექტროგავყვანილობა მოაწვეს — საკმარისი იყო სურათს ვინმე

შეხებოდა, რომ ოთახიდან მოშორებით შერჩეულ კუთხეში წარი ახაურდებოდა.

ამ ხერხმა გამოიღო შედეგი, ყოველ შემთხვევაში კაბიტან ლონსიციუსთვის სასურველი შედეგი. ერთ დღეს გაისმა წარის ხმა, წითელ კოლონში შევიყვანენ, სტენდის წინ მდგარ ქარისკაცს, რომელსაც ტილო ეჭირა და ხურათებზე მტვერსა სწმენდდა — ხელები გადაუჭრინებს და დაპატიმრებს. „ფაქტი“ დადგენილი იყო, „ბორცობოქმედი“ — კომმუნისტების წევრი ვერნიაკოვი, რუსეთის შორეული ოლქიდან — მხილებული მხილებული ადგილზე!

ორი დღის შემდეგ ასეულის შორივე ვიყავი და პატიმარს საუბრე ჩავუტანე. გუშავდა რომ პაუტკაბატის კარები გამოაღო, საშინელი, შეშარავი სურათი წარმოვიდგა: ვერნიაკოვი მარტო იყო, გონებაში დიდი ეგვო ცემენტის იატაკზე და ზეწრის ფერი ელო სახეზე. ზღლის მოდუნებულ მოძრაობაზე შევახინე, რომ ცოცხალი იყო; ჩემსკენ არ მოუხედა, საჭმელი იატაკზე დაეუფა და გამოვიდა.

ნათელი გახდა — რა საშინელება უნდა გადაეტანა ამ ადამიანს. ეტყე აღარ შეპარებოდა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო; რომ ლონსიციუს აუცილებლად უნდა აღმოეჩინა დამნაშავე, დაეპატიმრებინა, შეიფხინა დაკოხვის ოქში, მოეწირინებინა ხელი ბორცობოქმედისათვის, გამოეტანა ჯანაჩენი და მოეყვანა სისრულეში.

დავბრუნდი ასეულში და შევედი ჩემს ოთახში. ვერნიაკოვის პარალიზებული სხეული და გაფითრებული სახე მოსვენებას არ მოძევედა. უცერად, შთაგონების მსგავსად, გამოიღვა თავში აზრმა. უჩრდიან ასეულის პირადი შემადგენლობის მოძრაობის სიები ამოვიღე, დაეხედე და... ვერნიაკოვი დაპატიმრებამდე სამი დღით ადრე იყო ჩვე ნაწილში მოსული მოსიტილიდან. საქმე რა, რომლის გამო ის დაეპატიმრეს, სამ კვირაზე მეტია, რაც დაიწყო და უკანასკნელ დღეებამდე გრძელდებოდა.

ამ „აღმოჩენაში“ მთლად დამიყარვა სულიერი წინასწრობა, ადგილის ვეღარ ეპოვებოდი დაე. ძლიანის მამდგარმა, თვალი ვეღარ მოეხლეო. თორავდ ვაკაოე — უღანაშაულო, უბრალო ადამიანზე ფიქრში.

ბოლოს გადაწყვეტიტ. როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის იქ მიხვლა, სადაც მე ეტობელ ჩემმა უნებურად აღმოეჩნდა და მის მახლობლად გავლაც კი მიძნელდებოდა, მიესუღიყავი და ლონსიციუსათვის ახსნა-განმარტება მივცა.

„სატარა ფიქრულ სარკმელზე რომ დაეკაკუნე, მომლიმარო, მაგრამ გაცოცხლებული სახე გამოჩნდა, ჩემს მიხვლას არას გზით არ ელოდა. ვუთხარი ეველაფერი, რაც სათქმელი მქონდა.

მაგრამ, როგორ წარმოადგინეთ, რომ ეს დეტალი მე გამომჩნებოდა მხედველობიდან? რაც თქვენ მითხარით, ძალიან კარგად ვიცი და მაინც მადლობელი ვარ შეწუხუნისათვის!

ვერნიაკოვი ასეულში აღარ დაბრუნებულა. ის დახვრიტეს და ჩვენს ასეულშიც აღარ გამოვრებულა ის, რისთვისაც პასუხი მას აგებონეს. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ლონსიცი, ნაწილის კომისართან ერთად, ჩვენს ოთახში შემოვიდა. მე და ასეულის მეთაური, ნაფრონტალი ბელიროსი უფროსი ლეიტენანტი, ნერვიული და თავშეუყავებელი, მაგრამ კეთილი ადამიანი, ფეხზე წამოვდგით და წინდების მიხედვით ხალამი მივეციო.

კომისარმა ასეულის სიები და საქმეები მოიხიოვა, უგულვითყურად გადაფურცლა, მთელი ჩემი „საქანდელარო მუფრენობა“ დაიწუნა, ასეულის მეთაურს ჰკითხა — ვინ იყო ჩვენთან გადაშწერი (თუმცა ეს ძალიან კარგად იცოდა) და ვანჯარგულება ვასცა:

— გადაშწერა მწყობრში გადაიყვანეთ და უკეთესი შეარჩიეთ!

კიდევ ფრონტი, დია პარამი
პროკონსპანე

ვერნიაკოვის გაფითრებულმა სახემ, პარალიზებულმა სხეულმა და მისი სიცოცხლის დასარულმა მოსვენება დაამყარა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ „ოპერაცია“ წარმატებით იყო ჩატარებული და მას აღარაფერი ეშველებოდა.

ამ განცდების სხვაგვარი განცდებიც ეწატიბოდა — „შეშრობა არ იყო“ ლონსიციუს რისხვა, რომელიც ჭერჭერობით იმაში გამოვლინდა, რომ გადაშწერის ოთახიდან მწყობრში აღმოეჩნდა.

მობდა იხე, რომ თავდაცვის მინისტრის მოადგილის ე. ა. შჩაღენკის ბრძანების საფუძველზე საშეთაურო სისწავლებელში გამგზავნეს, და აი ახლა, ერთი წლის შემდეგ — მეორედ მივდივარ ფრონტზე, უკვე ოფიცერი, უმცროსი ლეიტენანტი, და გეროპის ტერატორიაზე. აქამდე თუ მხოლოდ ერთი, ჩემი თავი შებარა, ამერიიდან ოცეული მაინც მეყოლება საფიქრალი და საზრუნავი. აქამდე თუ ჩემი ხალხისა და ჩემი უბედურების მოწმე ვიყავი, ამერიიდან გეროპის უბედურების მოწმე უნდა ვავხდე.

ვეროსა ჩემი სიზაბუსის ოცნება იყო — სწავლის გაგრძელება გეროპაში, რომელიმე მის ქვეყანაში, და შემდეგ დაბრუნება, აუცილებლად დაბრუნება და სამსახური ჩემს ქვეყანაში. მაგრამ ამ მიზნის განხორციელება გადაუღებად დაბრკოლებას წარმოადგენდა.

ჩემი ერთი მეგობარი სკოლის დამთავრებისთანავე წავიდა გერმანიაში. მამა მისი კვიათრიაში შემოხობდა, უცხოურ კონცესიაში და

მისთვის შეიღის რჩენა, თუნდაც ვალუტით, ძნელი არ იყო. ორა წლის შემდეგ განსწავლული სპეციალისტი დაბრუნდა და მალევე ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა.

გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებულს რომ რკინიგზის სადგურზე დაეხვდი, ჩემი გული კეთილი შურით იყო აღვსილი. მისა გერმანიაში გამგზავრების შემდეგ, ევროპის კარი სამუდამოდ დაიარა და შეუვალი ჭებრით დაიხშო. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, ყველას, ვინც ევროპაში იყო წამოყვანილი, ეს „სიამოვნება“ სიცოცხლის ფასად დაუქდათ. იგივე ბედი ეწია ჩემს სკოლის მეგობარსაც.

ევროპაზე ოცნებას სამუდამოდ მოედო ბოლო.

და აი, შე, სამეთაურო სასწავლებელდამთავრებული, ოცდაათ უპირის ლიტენანტთან ერთად, მიემგზავრები მესამე უკრაინის ფრონტის განკარგულებაში, რომელიც უნგრეთშია განლაგებული, სადაც, ბალატონის ტბის მიდამოებში.

და შე ვაძარბე ჩემს ბედს ჩემი მეგობრის ბედთან და არ ვიცი უპირატესობა რომელს მივანიჭო!

მან გერმანიაში წასვლის შემდეგ ათი წელიწადი მშვიდად და წუნარად იცხოვრა და საკვალი სრულიად მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად დაეცა თავს. შე კი ვერ ვითავისუფლებ თავს იმ შეგნებისაგან, რომ ჩემი „მგზავრობა“ უნგრეთში წამდელიად „სიკვდილის“ ძებნა“ იქნება და, სიერთოდ, უანასკნელი მგზავრობა ჩემს მოკლე სიცოცხლეში.

კომანდა ჩემზე ახალგაზრდა პირებისაგან შედგება და ვწუხვარ, ჩემთან ერთად რომ არაა ჩემი სამხედრო სასწავლებელში შეტენილი, ჩემი ასაკისა და „ჩემი ტკუის“ სლავა პოლტავეთა, ძლიერი და მთლიანი პიროვნება, რომელმაც თავისი ცხოვრება მტივრთაობით დაიწყო და ინეროობით დაამთავრა.

სასწავლებელში სამხედრო სამსახურისათვის უჩვეულო დამოკიდებულებით ეჭირა თავი და მოახერხა, რომ მისთვის ანგარიში გაეწიათ, თვით მეთაურებსაც კი, მაგრამ არც სწავლას არიდებდა თავს, არც სამწყობრო სამსახურს და არც, საპირისპიროს მიხედვით, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. ფიზიკურად ყველაზე ძლიერი ბატარეაში — ის პირველი მიდიოდა გაუბიჯის ლაფეტის ასაწევად, დაშლილი ხაზით ქვეშების ღულის ცხენზე გადასაკიდებლად; ის იყო მომღვდელი საჩინიბოში ყველაზე ღონიერი და დაუოკებელი ცხენისა, „ნარჩანისა“, შავი ფაფარი რომ ლომივით ეყარა შავ კისერზე.

ორჯერ ცოლი ჩამოვიდა მის სანახავად, მასზე ახალგაზრდა, ლამაზი ქალი და, მოუხედავად ამით გამოწვეული სიხარულისა, პოლტავეს მიერთებული ფიქრები თითქოს ხელახლა წამოეშალა — ამ ქალის ქმარი არ შეიძლებოდა დაშვიდებული ყოფილიყო.

უანარჩუნ ცხოვრებაში სლავა პოლტავეთა ბოპოქრობდა, ადგილს ვერა მოულობდა. რაპორტი დაწერა, გამოცდები ღროზე ადრე ჩაახარა, და ფრონტზე წავიდა.

სად არის, ნეტავ, ახლა სლავა და არის თუ არა?!

□დასასრული იქნება□



ქაბლი დავით აღმაშენებლისა

საქართველოს მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწესა და მხედართმთავარს — დავით აღმაშენებელს არც სიციცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ დიდების ძეგლი და სათანადო პატივი არა დი-რსებია. პირიქით, როგორც უბრალო, რიგით მოკვდავს, მის საფლავს სადაღ გათლილი ჭვა ადევს, რომელსაც გელათის კარიბჭეში ყველა შემსვლელმა ზედ ფეხი უწდა დაადგას...

აი, ეს არის სამშობლოს სიყვარულისა და თავმდაბლობის გასაოცარი, სამავალითო ნი-მუში..

უდიდესი იყო ღვაწლი დავით აღმაშენებე-ლისა საქართველოსი და ქართველი ერის წი-ნაშე. მან ტიტანური ბრძოლით გააერთიანა სა-ქართველოს მიწა-წყალი, შექმნა სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურ-კულტურულად აღორძინებული უძლიერესი სახელმწიფო. სწო-რედ ამ ღვაწლის წარმოჩენას, დავით აღმაშე-ნებელის გენიალური და შეუდარებელი პირო-ვნების ჩვენებას ისახავს მიზნად რაინ მებრე-ველის წიგნი — „დავით IV აღმაშენებელი“.

ანოტაციიდან ვიკვებთ, რომ „წინამძღვარე წიგნში სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყა-როების, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე, ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინე-ბით, მოცემულია დავით მე-4 აღმაშენებლის მოღვაწეობის შედეგებისდაგვირად სრული სუ-რათის წარმოდგენის ცდა“. ასეთია ავტორისე-ული მიზანდასახულობა და კვლევის ობიექტი.

ამთავითვე უნდა ითქვას, ავტორმა ბრწყინვა-ლედ გაართვა თავი ამ ძნელი ამოცანის გადა-ჭრას და შექმნა ნაშრომი, რომელშიაც აისახა მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედის ყოფა-ცხოვრება, როდესაც ფეოდალურ საქართვე-ლოში ეკონომიკური, პოლიტიკური და კუ-ლტურული დონემ არნახულ სიმაღლეს ში-აღწია.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რატომღაც, სათა-ნადო მეცნიერული სიღრმით არ არის შესწავ-ლილი და ასახული დავით აღმაშენებლის ცხო-ვრება და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. მით უმეტეს მნიშვნელოვანია განსახილველი ნაშრო-

მი, რომელიც უზარმაზარ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა.

უპირველეს ყოვლისა, მოწონებას იმსახე-რებს ისტორიული წარსულისაღმა ავტორისე-ული დამოკიდებულება. რაინ მებრეველი ბრწყინვალედ ფლობს მეცნიერული კვლევის ძირითად მეთოდს — ისტორიზმის პრინციპს, რაიც მას საშუალებას აძლევს სწორად შეა-ფასოს ისტორიული ფაქტები და პროცესები და ამით თავიდან აიცილოს ავლადგარტილი სო-ციოლოგიისა, პრევენტიზმისა და პრაგმატიზ-მის რეკლიდები, რომელიც დამახასიათებელი იყო 20-30-იანი წლების ზოგიერთი ისტორიკო-სისათვის.

რაინ მებრეველი თავის ნაშრომში არა მარტო იყენებს პრავადფეროვან ისტორიული ზასიათის მასალას, არამედ იძლევა ამ მასალის კრიტიკულ ანალიზს. მის მიერ კრიტიკულადაა ათვისებული „ქართლის ცხოვრებაში“ შემონა-ხული უცნობი შემატიანის თხზულება „ცხოვ-რება მეფეთ-მეფისა დავითისა“, რუსი-ურბნი-სის საეკლესიო კრების დადგენილება, რომე-ლსაც ეწოდება „ძეგლის წერა“... დავით აღ-მაშენებლის ანდერძი — „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატოზი და-ეითიანისა, რომელიც წარმოუთხრა მოძღვარსა თქსა არსენის ეპისა გარდაცვალებისა თქსისა უოველთათჳს დიდებულთათჳსთა“, ასევე მე-ორე ანდერძი (სიგელი) შიო-მღვიმის მონასტ-რისაღმა (1123 წ.);

რაინ მებრეველი უყურადღებოდ არ სტო-ვებს სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროე-საც, კერძოდ გამოყენებული აქვს შუა საუკუ-ნეების სომეხ ისტორიკოსთა თხზულებანი — მატეოს ურბაქეის „ეპითალიმწერლობა“, ვარ-დენ ბარძებრდციის „მსოფლიო ისტორია“, რომელშიც მოცემულია ისტორიული ცნობები უძველესი დროიდან მოყოლებული 1267 წლამდე და სხვა.

არაბული წყაროებიც შეიცავენ ცნობებს შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ. ავ-ტორი ამბავლებს უყურადღებს იბნ-ალ-აზრაც ალ ფარიკის (1116-1176), იბან ალ-ასირის (1160-1234) და სხვების შრომებში მოყვანილ ცნობებზე დავით აღმაშენებლის სახელმწიფო-ებრივი და სამხედრო მოღვაწეობის შესახებ.

1 რაინ მებრეველი, დავით IV აღმაშენე-ბელი. „სახპოთა საქართველო“. თბილისი. 1986.

ეგროპიელი ისტორიკოსებიდან რაინ მებრეველი ასახელებს გოტიეს და სხვებს.

პირველადი ისტორიული წყაროების გარდა, რომლებშიც მოცემულია ფაქტობრივი მასალა, რაინ მებრეველს შესწავლილი აქვს და კრიტიკულად განხილული ამ ისტორიკოსების შრომები, რომლებიც ცდილან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული ფაქტების სისტემატიზაციას და სათანადო შეფასებას. მათ შორის არიან ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები: ვახუშტი ბაგრატიონი, მარი ბროსე, ალექსანდრე ზახანაშვილი, ნიკოლაზ ურბნელი, თ. დადუშველიანი, იოსებ გედევანიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მოსე ჭანაშვილი, დავით კარაიშვილი, სარგის კაკაბაძე, სიმონ ჭანაშვილი, ნიკოლაზ ბერძენიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.

ესადა, მკვლევარი ძირითადად ეყრდნობა დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილის შრომებს, რომელმაც „თავი მოუყარა დავით აღმაშენებელზე არსებულ ყველა წყაროს და ერთობაშია პირველმა საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს“ (სარეცენზო ნაშრომი. გვ. 36). ავტორი აქვე დასძენს: „ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებზე ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაეკვირვებით, არსებითი ხასიათისა და სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს“.

ზემოჩამოთვლილი უზარმაზარი ფაქტობრივი მასალისა და ამ საკითხის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიის საფუძველზე რაინ მებრეველმა შესწოლ დაავით აღმაშენებელის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყოველმხრივ ამსახველი მონოგრაფიის შექმნა. ამაზე შეტყველებს, თუნდაც, წიგნში დამუშავებული საკითხების ზერტულ ჩამოთვლაც კი.

ამ ისინი: საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობა დავით აღმაშენებელის გამეფებამდე; დავით აღმაშენებელის მიერ გატარებული ღონისძიებები ქვეყნის ცენტრალიზაციისა და ერთმმართველობის გაძლიერებისათვის; მისი ბრძოლა დიდგვაროვან აზნაურთა თავგასულობის ასალგამავლად; საეკლესიო რეფორმები, ჭყობილი და დიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება, ლაშქრის რეორგანიზაცია; კახეთ-ქართლის შემოერთება, დიდგვარის ბრძოლა თბილისის შემოერთება, შირვანისა და ანისის განთავისუფლება...

წიგნში დაწვრილებით და ყოველმხრივად განხილული მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-ებრივი მდგომარეობა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის თავისებურებანი და საქალაქო ცხოვრება; ფინანსური რეფორმა, ფულის ერთობის განმტკიცება, მონეტის ახალი ტიპის მოჭრა. უმაღლესი სასამართლოს წარმოების ახალი წესები.

უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში

მონოგრაფიის მე-6 თავი, რომელშიც ნაჩვენებია ხალხთა მასების ყოფიარსებობის საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სათანადო მეცნიერული გაშუქება მით უფრო ღირებულა, რადგან საქართველოს მოსახლეობის ფართო მასების ყოფიარსებობის ამსახველი მასალები ძალზე ცოტაა ფეოდალური საქართველოს დროინდელ ისტორიულ თხზულებებში. ეს თავი მოცულობით მცირეა, მაგრამ დამსული საკითხები ახლებურად და ამოწურავდაა განხილული, განსაკუთრებით, მდებობითა, გლახაკთა, მპარავთა და მეკობრეთა სოციალური მდგომარეობა. ახსნილია ამ სოციალურ ფენათა არსებობის მიზეზები.

ამ მზრად ფრთადასუტრადღებია წიგნის მე-6 თავი — „ხალხთა მასების მდგომარეობა“, რომელშიც ნაჩვენებია თუ რას წარმოადგენდნენ იმდროინდელი საზოგადოების ისეთი ფენები, როგორცაა მდებობით-მოლაშქრენი, ხელოსნები, უმა-ვაჭრები, გლახაკები, მეკობრეები, მპარავნი და სხვადასხვა დეკლასირებული ელემენტები.

ჯერ კიდევ 1976 წელს რაინ მებრეველმა წიგნში „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-XII სს.“ დაწერილებით განიხილა გლახაკების პრობლემა შუა საუკუნეების საქართველოში, რის შემდეგ ნათელი უნდა გამხდარიყო ევფისტყაოსნის შემდეგი სტროფების ჭეშმარიტობა შინაარსი.

1) „მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერცისგან ანაწონები,
მოცე გლახაკთა საქურტლე,
ათვისუფლე მონები,
შენ დამდიდრე ყოველი
ობოლი არას მჭონები;
მოღწვიან, მომიგონებენ,
დამლოკვენ მოვგონები“ (811)

და ფსევდორუსთველური:
„ყოვლთა სწორად წყალობასა
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დამდიდრეს
და გლახაკნი არ თხოვდეს,
ათა მჭმწინნი დამონდეს,
კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს, (7)
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“ (7)

ამ სტროფებზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი ასვნიდა, ვითომ, რუსთველის მიერ აღწერილ ქვეყნებში — ინდოეთში და არაბეთში „ობოლი მოვლეს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ყველგან. ტარიელს, აფთან-ღილისა და ფრიდონის ქვეყნებში თითქოს პრაქტიკულად მოისპო ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმა, თითქოს ხორცი შეიხსნა თავისუფლებისა და სოციალურ-კონებრივი სრული თანასწორობის იდეალებმა (1664)“ (ზაზი ყველგან ჩვენია დ. ქ.) ასეთი

დასკვნა შედეგია საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარების სრული არცოდნისა, კერძოდ ისეთი ცნებებისა როგორცაა „გლახაკი“, „მონა“ და სხვა.

რუსთველის ეს სტროფები მიუთითებენ სოციალურ-ქონებრივ უთანასწორობაზე მე-12 საუკუნის საქართველოში და არა პირიქით.

ეს ცხადი ხდება თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ქველმოქმედება გლახაკთა მიმართ (მიეც გლახაკთა საკურტლე) სახელმწიფოებრივ რანგში იყო ადვანილი. ამის შესახებ რიონ მებრტვეელის მონოგრაფიაში „დავით IV აღმაშენებლის“ გამოხტულობით: „როგორც ჩანს მე-12 საუკუნის საქართველოში გლახაკების რიცხვი დიდი იყო. ისინი ანგარიშგასაწევე ძალას წარმოადგენდნენ და ამიტომაც სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ გლახაკებზე ზრუნვა იმთავითვე სახელმწიფოს ღონისძიებათა საგანი იყო“ (გვ. 268).

ხოლო წიგნში „დეკლარირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-XII“ პირდაპირაა ნათქვამი: „გლახაკთა სიმრავლემ, მათმა მიძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, ერთი მხრივ, გლახაკთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების გატარების გარკვეულმა საშემოტობამ, მეორე მხრივ, ფეოდალურ ქვეყანაში გაბატონებულმა ქრისტიანულ დოგმატებზე დაფუძნებულმა იდეოლოგიამ, საქართველოს სახელმწიფო საქველმოქმედო საქმიანობის ფართოდ გაშლა განაპირობა. განვითარდა პირადი ქველმოქმედების გარკვეული სახე — გლახაკთა მოვლაწეობა. პირადი ქველმოქმედების პრინციპად ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების გასხვისება დასაბა“ (გვ. 70). სწორედ ასეთ ქველმოქმედებაზეა ლაპარაკი „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთყვანილ სტროფებში, და არა „სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის“ შესახებ.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო პოლიტიკას. რიონ მებრტველი თანამიმდევრულად გვიჩვენებს, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებს ჩრდილოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებში არსებულ ქვეყნებთან და იგრეთვე ბიზანტიასთან და ქვარისნებთან.

დაბოლოს, რიონ მებრტველი განიხილავს დავით აღმაშენებლის ეპოქის განაოლებასა და ევლტურას.

იმდროინდელი მატანეებიდან ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი თავადაც დიდად განსწავლული პიროვნება იყო და დაუღალავად იღვწოდა განათლებისა და ევლტურის დანერგვისათვის საქართველოში.

რიონ მებრტველმა დაწერილებით აღწესა ამ მხრივ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა. წიგნში ფართოდ არის გაშუქებული მონასტ-

რებისა და აკადემიების მშენებლობა, გელათში, ივალთოში; ევლტურის მნიშვნელოვანი კურორის არსებობა გრემში და სხვა მნიშვნელოვანი წყალ-ცენტრები. განსაკუთრებითაა ნახვამიშელი ის გაგრეობა, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისში ააშენა შენობა, რომელშიც თავს იყრიდნენ მუსულმანი მეცნიერები, ფილოსოფოსები და პოეტები.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ევლტურის გავრცელების მხრივ არ შემოიფარგლებოდა მარტოდენ საქართველოში, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ევლტურული ცენტრების დაარსებას საზღვარგარეთაც.

ამ მხრივ ინტერესს არ არის მოკლებული წიგნში მოტანილი ციტატი „ქართლის ცხოვრებიდან“. ეს იმდენად საინტერესოა, რომ ჩვენ მას მთლიანად ვიმეორებთ: „...დავსო ზღვა და ხმელი ქველისა საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტრინი არა თესთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღაღეთისანი, მერეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა შიოსისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისისა იესო ქრისტესს, და მეოფნი იერუსალიმისანი თუთოფრთა მიერ შესაწირაეთა განამდიდრნა. ევლად უმოკრესცა ამითსა: რამეთუ მოსას სინასა... აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაიდელნი ოქსონონი და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამააზურბელს სწმინდეთა ოქროსა რჩეულსა“ (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 352-353).

წიგნის ერთ-ერთი ბრწყინვალე თავია „დიდგორის ბრძოლა“, რომელსაც წამქმლავებულმა აქვს საუბარი იმის შესახებ, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი და ლაშქრის რეორგანიზაციის სამუშაო ჩატარდა დავით აღმაშენებელმა, რომლის გარეშეც იგი ვერ მოიგებდა დიდგორის ბრძოლას. აქვეა მოცემული ო. სულეიმანოვის მკდარი შეხედულების დამაწერებელი კრიტიკა.

საქმე იმაშია, რომ 1976 წელს გამოქვეყნდა „ქალღმერთი“ (აღმა-ათა) გამოსცა პეტრე ილიას სულეიმანოვის წიგნი „Азия“, რომელშიც ნათქვამია, რომ მე-11-12 საუკუნეებში აზიისა და ევროპის ისტორიაში ყოველზევის როლი მეცნიერების მიერ დამკვირვებელია. ამის მაგალითად მას მოჰყავს კონსტანტინე გამსახბურდიას რომან „დავით აღმაშენებელიდან“ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია დიდგორის ბრძოლაზე. სულეიმანოვი თვლის, რომ დიდგორის ბრძოლაში მთავარი როლი ითამაშა ყოჩაყებმა საქართველოს განთავისუფლებაში, რადგან დავითის 60-ათისიანი ლაშქარში 45 ათასი ყოჩაყი იყო, ხოლო დანარჩენი ქართველები, სომხები და ოსები. ასე ფიქრობს ო. სულეიმანოვი. ამ მკდარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ რიონ მებრტველი, სხვადასხვა



ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ „დიდგორის ბრძოლაში საქართველოს ლაშქარი 55600 კაცისაგან შედგებოდა; ამთგან 40 ათასი ქართველი იყო, 15 ათასი ყიზიყა, 500 აღანი და 100 ფრანგი (ევროპელი რაზმი)... ამრიგად, თ. სულეიმანოვის მიერ კ. გასახურდიასთვის წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, ხოლო საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით მოტანილი ფაქტები — უსწორია... — ასევენი რიონ მებრძველი.

რიონ მებრძველის წიგნი მთავრდება დასკვნითი ხასიათის ქვეთავით — „პოლოთქმის მაგიერ“, რომელშიც მოკლედ და ლაკონურადაა ნათქვამი დავით აღმაშენებლის ღვაწლზე და იმაზე, თუ როგორაა შეფასებული მისი როლი ქართველი ხალხის შემეცნებაში და შესიერებაში.

ყველაზე ზუსტი და ყველაზე მართალი შეფასება დავით აღმაშენებლის ღვაწლისა და პარტოვნების ეკლეთის ქართველი ერის მამას — დიდი ილიას... ამ მეთემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აზრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხი და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენ ბინაზედ ვართ, — ეს იქნება მისი ღვაწლი... ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავის დიდებულებიდან კაცობითაც. იგი, თავგადადებულ მოყვარე თავის ქოვინებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ქოვინებისაც და სარწმუნოებისაც“.

დავით აღმაშენებელი არა მარტო საქართველოს, არამედ შუა საუკუნეების კულტურული სამყაროს გამოჩენილი და უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი იყო. მამგრამ მისთვის უცხო იყო ყოყობა და თავისი პარტოვნების განდიდების მანია. დავით აღმაშენებელს ანდერძის შესაბამისად, იგი დასასულავეს გელათის მონასტრის კარიბჭის თაღბქვეშ, რათა ყველა გამკლელს ფეხი დაეხრებინა მის საფეხებზე, რომელსაც უბრალოდ გათლილი ლოდი ადევს წარწერით:

ეს არს განასაუენებელი ჩემი
 უკნითი უკნისამდე; ესე მინავს;
 აქა დავემკვიდრო მე.

ეს წარწერა თავისთავად მებრძვლებს უდიდესი მეფისა და მხედართმთავრის საოცარ თავმდაბლობაზე.

წარსულისა და თანამედროვე მრავალ მბრძანებელთგან განსხვავებით დავით აღმაშენებელმა გვიჩვენა თავმდაბლობისა და უბრალოების შეუდარებელი მაგალითი. ეს, განსაკუთრებით თვალსაჩინოა დღეს, როდესაც ესოდენ მოდური გახდა ძველებისა და მავზოლეუმების თავაშეკებული და არაფრით რეგლამენტირებული მშენებლობა. თანამედროვე სასაფლაოებსა და პანთეონებში, ცხოვრებაში არაფრით გამორ-

ჩეული, რომელიმე პირის საფლავზე მარტო-ლოსგან და გრანტისაგან აღმართული, უმკვველოდ დიდი ძეგლი. ეს, მრავალსაფეხო მხარეებელი მარმარილოს ძეგლები, გრანტი და ბრინჯაოს ქანდაკებები ნაყილია და აშენებული იმ ფულით, რომელიც აწ განსვენებულმა ნომენკლატურულმა მემკვიდა და საქმოსნებმა ქრთამებითა და სახალხო ქონების ძარცვით მოიპოვა, ყოველშემთხვევაში მათ ხომ ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ საქართველოსთვის და ქართველი ხალხისათვის, ხოლო დავით აღმაშენებელს ძველი ვერ ვპოვობთ, არც თბილისში და არც დიდგორში. მისი ძეგლი, ჩვენ, მის შთამომავლებს გვირდება და არა თვითონ აღმაშენებელს, რომელიც ყოველგვარი ძეგლის წინააღმდეგი იყო.

განხილულ წიგნს დართული აქვს რეზიუმე რუსულად და ფრანგულად. მაგრამ, ცხადია, ისინი ვერ იძლევიან სრულ და ყოველმხრივ სურათს ეპოქისა და თვით დავით აღმაშენებელის მოღვაწეობის შესახებ. ამიტომ რიონ მებრძველის წიგნი სასურველია ითარგმნოს რუსულად, მითუმეტეს, რომ რუსეთის საზოგადოებრიობას საკმაოდ ბუნდოვანი და ზოგჯერ არასწორი წარმოდგენა აქვს საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთზე. ამის მაგალითია რუსი მწერლის ასტაფევის უწიგნურად დაწერილი მოთხრობა «Повля пискарей в Грузий» გამოქვეყნებული ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკის“ 1986 წლის მეხუთე ნომერში.

ამ ნაწარმოების ყოველი სტრიქონი ავტორის უვაციობაზე მებრძვლებს.

სინამდვილეს არ შეეფერება ასტაფევის განცხადება იმის შესახებ, რომ მონღოლმა დამპყრობლებმა გადაწვეს და გადაბუგეს გელათის სამონასტრო კომპლექსი. მონგოლებს არ გადაუწავთ გელათის ტაძრები. არც ტაძარში დანიებული კოცონებისაგან გამდნარა საბურავზე დასხმული ტყვია და იფი მონღოლებს თავზე არ გადასხმიათ. ეს ასტაფევის ავადყოფნის ფანტაზიის ნაყოფია. არც ის არის მართალი, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსი იმ საბრთაა დარჩენილი და განადგურებული მონღოლებმა რომ დატოვეს.

მართალია გელათის მონასტერი 1510 წელს ხანძრისგან დაზიანდა, მაგრამ ხანძარი მონღოლებმა კი არ გაჩინეს, არამედ იმერეთში შემოჭრილმა ოსმალოა ქარბმა. იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III და გიორგი II დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარეს. შემდეგ მე-18 საუკუნეშიც მონასტერი შეუკეთებიათ. ისე არც სწორია არ ამის ასტაფევის სიტყვები: „ქართველები მონასტრის იმ სახით ინახავენ, როგორც მიატოვა საშინელებისაგან შეძრწუნებულმა მტრმა“ — იგულისხმება მონღოლები.

სწორედ იმაზე არის ნათქვამი:

«Ври да знай меру»...



საქართველო

წიგნი თუშეთზე

გოგორც ცოცხანძე — ავტორი სამეცნიერო გამოკვლევის „ფშეთის დიალექტი“ („მეცნიერება“, 1978), ამჯერად თავისი ახალი ნაშრომით წარუდგა მკითხველს, როგორც სიტყვის ოსტატი, რომელიც დიხეი, ეპიური კოლოთი აგვიწერს თუშეთის არცთუ შორეულ წარსულს, გაეცხტლებულს იმათი ნაამბობით, ვინც მოესწრო „კახეთ-თუშეთობის“, შეიძლება ითქვას, ლეგენდურ ცხოვრებას. ეს შთაბრძნობა, ავტორის სიტყვებით, „მოსახლეობის სეზონური მიმოქცევა კახეთსა და თუშეთს შორის“, უნიკალური ფაქტია: სხვაგან არსად, საქართველოში არც ერთ ტომში არ არის დანატრებული „ორგანიზაციური მოსახლეობის ტიპი“. ორგანიზაციურობამ შექმნა გეოგრაფიული ტერმინი „მთათუშეთი“, რაც გულისხმობს, რომ არსებობს „ზარის თუშეთიც“, რომ თუშობის დამკვიდრებული აქვს შედგომი საცხოვრებელი პარში, კახეთში. ეს ტერმინი, ცხადია, გამოხატავს არა თავად თუშების, არამედ კახელების თვალსაზრისს თუშთა საცხოვრისზე: ამავე დროს ეს ტერმინი ხალხურად, არ არის ნომენკლატურული წარმომადგენელი, ამიტომაც მას, როგორც ბუნებრივ წარმონაქმნს, უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება. თუშთა ამ ბოლო ხანს გვევია შეტანილი მის უფლებამოსილებაში, მაგრამ მისი რეალური საფუძველი ხომ ამ ორბინადრობის უნიკალურ მოვლენაშია, რომლის სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარე სრულად შეუსწავლელია. თუშთა ავტორის თქმით, „ამ მოვლენას თუშეთის ეთნოგრაფიული თავისებურებების არც სულეორ და არც მატერიალურ მხარეზე გავლენა არ მოუხდენია“. მაგრამ ეს შედარებით ხანმოკლე, ასწლიანი პერიოდი, არც ისე ეფემერული იყო, რომ ევლი არ დაემჩნია თუშთა ტომის ხასიათზე, მის სულეორბაზე. ავტორი მიზნად არ ისახავს ეთნოგრაფიულ კვლევას თავის წიგნში — წიგნი აკთობება როგორც მხატვრული ოხზულება, რომელსაც აქვს თავისი სიუჟეტური დრო (გეორგობიდან გეორგობამდე) და თავისი სავრცე (თუშეთიდან კახეთამდე), — მაგრამ მასში მოთხრობილ განზოგადოებულ ეპიზოდებს თუშთა ცხოვრებიდან და მასში წარმოჩენილ თუშეთის ეთნიკურ და თავისებურებათა ფაქტებს, სწორედ „შთაბრძნობით“ განპირობებულთ, უდაო მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება.

რამდენადაც ავტორის წინაშეა თუშეთის ცოცხალი სინამდვილე და არა მისი უშორესი პიპოთეტური წარსული, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ათასწლეულობით განსაზღვრავს,

ეძებს რა პეროდოტიკას და მხატვრულ მხატვრულებებში ამ ერთი ქართული ტომის ხსენებას, თუშთა ვინაობის გასარკვევად იგი მიამუშავებს იმათ მესხიერებას, ვისთვისაც წარსული აქტუალურია, რაცა ანდრეზულ ერთბინობაშია მოქცეული წინაპარი და შთამომავალი. ავტორი სვამს კითხვას თავად თუშთა სახელით: „ნეტავი ჩვენ ვინა ვართ, რა ხალხის ჩამომავლები ვართ ან როდიდან ვცხოვრობთ ამ ადგილ-ქვეყანაში? ნეტა რა ხალხი იყო ჩვენი ძველი პაპები, ძირი სადა ჰქონდა, აქ როდის მოვიდნენ? ნეტა ვინ იყო ამ სოფლის თოხ-პარის დამკრავი, ვინ დასახლდა ამ პირველად, ვის შერე გაეყოფა აქ სოფელი?“ ეს კითხვა ტომის ყოველ თაობაში ისმის უხმოდ და უხმოდვე არის გაეცხული პასუხი. საკუთარი სატომო გენეზისის ანდრეზი მყარი „მოთილოგების“ სახეს იღებს: „ეს თუშები სუ ცხვადაცხვა ხალხი ვართ უცრეფილი“. ამ ეთნოგრაფიურ „მოთილოგების“ შეკრებილ კერძო მონახობრობი საკუთარი შინაარსი აქვს. წარმომავლობის ანდრეზი ყოველთვის კონკრეტულია, ყოველთვის ცოცხალი ეპიზოდით არის ხორცშესხმული, ეპიზოში ყოველთვის სახელდება. ამავე დროს, ყოველთვის გაენობიერებულია წინაპრის პასიონარული ძეგა (ეთნოლოგ ლევ გუმილიოვის ტერმინით), რაცა „ერთბინი მყუდროების“ დარღვევით ახალ ტრადიციას უნდა მიეცეს დასაბამი. დამაფიქრებელია ავტორის ინფორმატორთა მონახობრობის პათოსი, ჰეშმარიტად პასიონარული „აფეთქების“ დამადასტურებელი: „თავის ხალხ-ქვეყანაში რი აღარ გვარებოდა, აქ გამობობილეს, სუ მავნებები, სუ მორიალები. იმიტო იყვნეს წინანდელი თუშები ეგეთი უშიშარნი, კრპები, კვა-შეშანი, ზეტები. მვენე და მორიალე კაცი ხო გულითინიყა, უშიშარი, გაუტებელი... შედლება თუნდა არ ჰქონიყო იმდენი, გული ჰქონდა, გულიანი იყო...“ თუშთა ზოგჯერ წინაპარი, პირველმოსახლდ, მშვიდობიანი მონადირეა — აღმომჩენი საცხოვრებელი ადგილისა, რაც ზშირად საკრალურ სინამდვილეს უკავშირდება: სანადიროდ წამოსულ კაცს ამ მთებში დაუღამდება, დაეძინება და ძილი ადგილის ძალას იგრძნობს — „შეო, იჭოა საფუფრის სული მომდიოდაო, ხატოი იქ დასახლბას გვთხოვსო...“ ახალსახლობის გენეზისში ყოველთვის გაბედითებული პიროვნება დგას — ზედი მას ზაადგებს განსაედელში, მიადგებს ზღერბლთან, რათა გადალახოს ზღერბლი; ის მომადლებულია საკრალურის „ყროსივით“, მას ერწმუნებია და მიყვებია, როგორც მოსუსს უდაბნოში. რაცა პასიონარულ წინაპარს ახასიათებს შთამომავალი როგორც „მავნეს“ და „მორიალეს“, ამ იტყვებში არ უნდა ვიგულისხმობთ მათი ჩვე-

გოგორც ცოცხანძე — გეორგობიდან გეორგობამდე. „საპუთა საქართველო“. 1987.



ული ზრტი, არამედ ისეთი გაცემა, როგორსაც ხალხური საგმირო პოეზია აძლევს სიტყვებს „უქო“, „უქონი“ — საპირისპიროდ „კვიდანი-თა“, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის, სოფლის, საყმოს, უმრავლესობას „ეთნიური მყუდროების“ ხანაში. ამჟამაა, რომ „მეფე“, „მორიალე“ მთხრობელის შეგნებაში არ განეკუთვნება ზნეობრივი კატეგორიის ცნებებს. ეს იმ პიროვნებათა დახასიათებაა, რომლებიც თავიანთი ცხოვრების განსაუღლებში იმყოფებიან. მათი ზედრი — ზედრი უმცირესთა — აღმოაჩინო ახალი შესაძლებლობანი საკეთარი თავში, რისი ობიექტური გამოხატულება გარე სამყაროში ახალი საცხოვრებელი ადგილის აღმოჩენაა. ესენი ატარებენ მაღალ სულიერობას და, მსგავსად ალექსანდრე ბუნიაკოვისა, „მავნენი“ და „მორიალენი“ არიან „ეთნიური მყუდროებისთვის“ და საშინაოების უქადის მას. ესენი სტრუქტურულ საცხოვრებელს და ახალ ადგილზე ახალ საყმოს აარსებენ ან უკვე არსებულში ერთიანდებიან „ხარ-ქვაბით შეყრილნი“. საზღვარი გადალახულია, თითქოს ორჯერ დაბადებულს ნიშნად და წელიწადის დრო — ზამთარი, როცა ეს ზღვა ამჟამებში ამ გადალახვის, ამ გამოსვლის სიძნელეს. ზამთარში, თოვლში, გამორბიანი ჭვარ-ხატთა გამტარებელი „მორიალენი“ ძველი ადგილიდან და ახალ ადგილზე აარსებენ სალოცავს (მაგ., არდოტში სომხოს გიორგის და ხანაბოში წყაროსგორული გიორგის დაარსების ანდრეზი); სულიერი გარდატეხის ფაქტად არის მიჩნეული თუში დეკანოზის, დანოელი ასტორის, „გავარდნი“ შეაზამთარში სოფლიდან ლაშარს. ყმაწვილი ასტორი ამ დროს დაიბადა ჭვარის მკადრედ.

ადამიანი, პირველ ყოვლისა, არის სული, და ყოველი ეთნოსი, რა მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, ქმნის სულიერ კულტურას, რომლის ბედი არამწიგნობრულ საზოგადოებაში, განსხვავებით მატერიალური კულტურისა, ტრადიციულია. იგი შეიძლება ისე გაღარბდეს, რომ მისგან აღარაფერი დარჩეს. რა შემთხვევაში დღემდე ამ ერთმა ტომმა, დღემდე, როცა დასრულდა მისი ცხოვრების ერთი პერიოდი, თუნდაც ეგვიპტურია — კახეთ-თუშეთობა? გარდა ფიზიკური არსებობისა, გარდა ეთნიური სხეულისა, რა გამოატარა მან თავისი ძნელი ცხოვრების წიაღ, როცა მთელი ტომი, ვითარცა ერთი მწყვეტისი, მიმოდიოდა მთასა და ბარს შორის, როცა ის აბორცოვებდა დაღუპულ და მიუღწეველ იდეას მოშთაპარე ანგლისას, რომელიც უსათრებოდა დმქრთს, და ასრულებდა ცხოვრების იმ წესსაც, კანონს რომ მოატანა მიწათმოქმედებითა და მიწაზე დამკვიდრებით თუშობა თავისი ცხოვრებით ათავსებდა ერთმანეთთან გზას და სახლს, სილდეს გზისას და მყუდროებას სახლისას. თუშობაში შემთხვევითად დღემდე სულიერი კულტურის ის სახე, რომელიც გამოვლენილია სახალხო-რე-

ლიგიურ დღესასწაულებში. ავტორი თავისი თანამართლიანად აღიარებს ამ უტყუარულ სახალხო დღესასწაულებს „ძველი დროის ცენტრალური მოვლენებად“ და, თუმცა იგი წარსულ დროში გადმოგვცემს სათქმელს, გრძნობა თითოშიღელეის და მონაწილის თვალ-...თავიანთი ჭვარ-ხატების აღსახურის, უკმედღესასწაულებისა და მათთან დაკავშირებული ცერემონია-რიტუალების დამკვიდრებელი წესრიგით ჩატარებას დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა“. ავტორი გადმოგვცემს დღესასწაულთა შეადგენიდან ხილულს და განცდილს — სხვაგვარად ვერ ითქმობა ეს სიტყვები: „ამ ათინგონობებზე და ჭარობებზე დავთვლი-ბოდა ხოლმე თუშს საკეთარი ღირსების სრული შეგნების გრძნობა. დიდსა თუ პატარას, ბერსა თუ ახალგაზრდას, ბერავსა თუ ძლიერს ერთნაირად მოიკავდა ხოლმე ამაღლებული განწყობილება, ეწვეოდა პოეტური პათოსი. აქ იქმობდა საქები და იგმობოდა საგმობი, აქ ითქმობდა და გამოქვეყნდებოდა ხოლმე მარტოობის ეპოსი, თავიანთი საუბრისას დამადებული ლექსი-სიმღერები. ითქმობდა და გადაწყვიტებოდა მრავალთა გულ-გონებაში, მოედებოდა მთელ თუშეთს და ხშირად გასცდებოდა კიდევ მის ფარგლებს“ (თუშთა ჭარობის აქ აღწერილი სურათი მოგვაგონებს განთქმულ ალტინგს — ყოველწლიურ საღიბუნოს, რომელიც, სხვათა შორის, ნორვეგიიდან გამოსულმა „მორიალეებმა“ დააარსეს ისლანდიაში). რის ძალით იქმნება ამგვარი, არ შეეცდებით თუ ვიტყვი, იდეალური სურათი ადამიანთა ერთად ყოფნისა, რომელიც მხოლოდ დღესასწაულზე თუ არის შესაძლებელი? რა ქმნის აქ ადამიანური ღირსების გრძნობას, რა ათანასწორებს ერთმანეთთან ბერავს და ძლიერს, რა აჭარწყვლებს სოციალურ უთანასწორობას, რა აძებლებს ადამიანს თქვენს მხოლოდ ჭეშმარიტებას ერთხელ მაინც ამ დროს და ამ ადგილსა? ეს იგივე ძალაა, რომელმაც ადამიანთა ჩვეულები ერთიან ურღვევ საზოგადოებად შექმნა. დღესასწაულები ჭვარ-ხატების სახელზეა დაწესებული და მათი ფესვი იმ ეთნოსის დასაბამებია, რომელსაც თუშობა გამოეყო როგორც დამოუკიდებელი ტომი თავისი მთა-ბარით, თავისი ტერიტორიით. სიყვარული და ერთგულება თავისი დაკარგვებული მიწა-წყლისადმი მის პატრონთა — ჭვარ-ხატთა თავყვანისკენით არის ნასაზრდოები და ნასულდგმულები. ისეც მოვესმინათ ავტორის:

„როცა აჭარბი სოფლები მთლიანად დაიკალა და არა თუ ზამთარში რჩებოდა ვინმე, ზაფხულშიც თითო-ორი სოფელი თუ ამოვიდოდა თითო-ორი ხანშიშესული ქალი საწველი ძროხებით, დღეობებმა თუშეთის სოფლების შენახვა-გადარჩენის მისია იტვირთა. იმ პერიოდში აღვანგლმა თუშებმა, არ ვიცი, ვინ ინიციატივით, შემოიღეს ახალგაზრდა მთ-



ჩიგვობით „შელტობა“ თავიანთ შიის სოფლებში: ყოველ ზაფხულს, ათიგენობების დღეებში, ყველა სოფელში ამოვიდოდა ორი-სამი აკო, ამოიტანდა წინასწარი მოლაპარაკებით დათქმული რაოდენობის სასმელ-საჭმელს, საათიგენო აღუდებდაც მოხარშავდა, სალოცავში საკლავს დაკლავდა, მწყემსებს მოიწვევდა, თანასოფლელებიც ამოაკითხავდნენ, ვინც მოცლით იქნებოდა და ერთი კვირით მაინც ახალ-ხიანდებოდა შიტიკებული სოფელი. აქ სადღეობო წეს-რიგის ჩატარების გარდა, ბარბადან მოსულნი გადარჩენილ სახლებს სპიხს სახურავებს შეუსწორებდნენ, ზოგან ეზოს ღობეს შემოავლებდნენ, ჭველს გაამაგრებდნენ და ასე თუ ისე ზოგიანობდა უხალხო ქვეყანა. „შთას გაუჭირდეს, შთას დაეშველაღიო“ ვეადრებოდნენ თუშები ოდიოგან თავიანთ სალოცავებს. და აი, „შთას გაუჭირდა“ და შართლაც უშველა წვარ-ხატებმა თუშეთის სოფლებს, აღმათ შთათ არსებობის მანძილზე ყველაზე უფრო კრიტიკულ ეამს“ (გვ. 130).

ზემოთ თქმული ობიექტური ფაქტია და განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს. შის საფუძველზე მხოლოდ დავადგენთ იმ ქეშმარტებას, რომ ხალხი თავის წიაღში თავისივე ძალით, როგორც გენერატორი, ქმნის, აღორძინებს დღესასწაულს, როცა დგება „ეამი შეკრებად ქვათა“. ერთსულოვანი ხალხის წიაღი დევლფა, რომელშიც ინახება „თესლი ცეცხლისა“ (მომეროსელი სპერმა ჰორის), რათა დლით კვლავ გაჩაღდეს ცეცხლი.

განუზომელია დღესასწაულის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში — ის ამბღლებს, განწმენდს ყოველდღიურობას, ის არის დროვამის მარღი, რომელიც დროებით მაინც აუქმებს წუთისოფლის წარმავლობას. დღესასწაულის უქმეს შეაქვს გარღვევა შრომა-საქმიანობის წამქეში; გარღვევა არა ერთგზის და ორგზის, არამედ თორმეტგზის, თუ წარმოვიდგენთ ხალხის ცხოვრების სისხლსავე ხანას. უქმე საკრალური ფაშია, პრაქტიკულ ჭკუთს კ, რომელიც ყოველ მოვლენას, ყოველ საგანს, ადამიანს და მთელ ბუნებას, უტილიტარულ თვალსაზრისით უყურებს, ენანება მშრომელი

აკაცის დრო, ამ დღესასწაულზე გარკვეული ენანება საკლავიც, რომელიც იქ იკვლის — ის პირუტყვი, რომლის მოვლა-მარტარებაში მისი შეჭირველის სისხლის ოფტარს დღესასწაული უტილიტარული თვალსაზრისი იწუნებს, გამოხსტრადიციულ დღესასწაულთა ფორმებს და ცდილობს დაუწესოს ხალხს ოთხედელშუა გამოვლილი „დღესასწაული“ წელწადში ერთადერთხელ. მაგარამ, როგორც ვ. კლუბევსო წერს, შეიძლება უყეთესი ტექსტების და რიტუალების გამოვონება, მაგრამ ისინი ვერ შეცვლიან არსებულთ, თუნდაც უარესთ, რომლებიც ისტორიულად არის ჩამოყალიბებული. დღესასწაულები მეცნიერული აზრის ეპოქაში არ შექმნილა და დღესაც შისი მცდელობა მათ გარდასაქმნელად რაციონალურ საფუძველზე ფუჭი შრომაა (გავიხსენოთ საფრანგეთის რევოლუციის ხანაში ორგანიზებული უღღღერი ელტბი გონებისა თავისი დღესასწაულებით, საერთოხველით, მესიკით, ლიტურგით). ქეშმარტი დღესასწაულს ფესვი სასწაულში აქვს და „ქევიანნი ვერ მიხედებიან“ მას.

თუშეთის ყოფა ამ დღესასწაულთა რკალში მოქცეული და ასევე აგვიწერს მას ავტორი; ეს რკალბაც არის და მოვლენათა გაღმოცემის ხერხიც — წიგნის კომპოზიცია. გიორგობიდან გიორგობამდე გადის თუშის ცხოვრება და „წაეიდა კდეც წუთისოფელი“, როგორც ამბობს გიორგი ცოცაიძის ერთ-ერთი ინფორმირი, — ერთი მცირე წუთისოფელი, ერთი წელიწადი — ხატი ამ დღი წუთისოფლისა. ერთხებულია გიორგობათა შორის მოქცეული დროვამი და ყველაფერი, რაც მასში ხდებდა, თუმცა ძნელია და ხიფათით საესე. ამ ერთხებულობას თვალსაჩინოდ გვისტრათებს წიგნის გარეკანზე მხატვარი თ. შირაშაშვილი; სათურის ორი სიტყვისგან — „გიორგობიდან გიორგობამდე“ — შექმნილ წრეში, როგორც დიდების მანდორლაში, ჩახატულია ცხატები შითი მწყემსითურთ და ხე მათ შორის, როგორც ხე ცხოვრებისა — ეს მარადგამული პეიზაჟი, რომელიც არ გახუნდება წუთისოფლის დასასრულამდე.

ზურაბ კიანაძე

რედიაქციას მხამარით: თხილანი, რუსთაველის პრესბექტა, № 12.

ტილუაქონები: რედიაქტორის — 98-55-11, შ. კ. მღვინის — 98-55-13, და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17. 98-55-20.

გადაცა ასაწყობად 31. 03. 88 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 6. 05. 88 წ. ანწუობის ზომა 71/4 X 12, ქალადის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი — ფურცელი 15,5. საღარ.-საგამომცემლო თაბატი 16,58.

უე 09304. ტირაჟი 30.000. შეკვ. 356. საქართველოს კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

6/105

ფასი 80 ლლ.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ